

ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი



Georgian Book Support Foundation

ქველი უსამდინარული პოეზია

უბერულიდან და აქაღურიდან
თარგმნა

ზურაბ კიქნაქეე



თბილისი
ვეეკიღრეე
2009



The Ancient Mesopotamian Poetry
From Sumerian and Akkadian translated
by Zurab Kiknadze
Tbilisi
Memkvidreoba
2009

მხატვარი
ნუგზარ მეძმარიაშვილი

ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი
“მემკვიდრეობა”

ფონდის საქმიანობას ნივთიერად უზრუნველყოფს
გიორგი ლეჟავა

ISBN 978-9941-9106-1-6

© ზურაბ კიკნაძე, 2009
© “მემკვიდრეობა”, 2009

სიგყვა ორ მდინარეს შორის

ძველი წელთაღრიცხვის IV-III თასწლეულების მიჯნაზე გიგროსისა და ეფურაგის შუამდინარეთში შუმერლებმა შექმნეს ერთ-ერთი პირველი დამწერლობა მსოფლიოში, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ (და მათი გზით სხვა ხალხებსაც) წერილობით აღებუჭდათ და საუკუნეებში გადაეცათ თავიანთი სიგყვიერი შემოქმედება. ამ დროიდან მოყოლებული ათას ხუთასი წლის მანძილზე უხსოვარი გრადიციების მქონე შუმერული მხატვრული სიგყვა ყალიბდება მწერლობად, თუმცა ის არ წყვეს სისხლხორცეულ კავშირს ბეპირსიგყვიერ ქანრებთან. აქ უნდა შეინიშნოს, რომ თავდაპირველად დამწერლობის მიმანი არ ყოფილა სიგყვიერების, როგორც შემოქმედების, აღბეჭდვა-შენახვა და მისი დროსა და სივრცეში გადაცემა. გამოგონებისთანავე მას უაღრესად პრაგმატული, შემოქმედებისგან ძალზე შორსმყოფი ამოცანა დაეკისრა. პირველი დამწერილი ტექსტები გვამცნობს, თუ ტადრის მეურნეობაში მშრომელმა – კაცმა თუ ქალმა სახელდებით – თავისი შრომის საზღაურად რამდენი პური, ბეთი, მაგყლი თუ ხახვი მიიღო; ამ სოლისებრ, უფრო ხატოვან წარწერებიანი დაფებიდან ვიგებთ, თუ რამდენი ცხვარი ძოგს საგადრო საძოვარზე და რა გასამრჯელოს იღებს მათი მწყემსი. სინტაქსი მარტივია, ნიშნების რაოდენობაც შეზღუდულია გადმოსაცემი მწირი და ერთფეროვანი შინაარსით. ეს უფრო სტენოგრაფიულ ჩანაწერებს ჰგავს, სადაც ხშირად მორფოლოგიური ნიშნებიც კი არ არის გამოხატული. ცხადია, ნიშნების მწირი მარაგი ვერ იგვირთავდა მეტაფორებით გაჯერებულ ვრცელ ნარაციებს ან ღმერთებისადმი მიძღვნილ ჰიმნებს. ეს მომავლის

საქმე იყო. რამ მისცა სტიმული ლურსმული დამწერლობის მცოდნეს (შუმერულად *დუბსარს*), რომ უსსოვარი დროიდან თაობიდან თაობამდე გეპირად მოარული გექსტებისთვის თიხაზე მყარი ადგილი მიეჩინა. ცხადია, ვერ ვიფიქრებთ, რომ ეს ეგაპი ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო, რომ მოხდა დროსა და სივრცეში რაღაც გაჭრა, ნახტომი. თუმცა მითოსი დამწერლობის მიგნების შესახებ, რომელიც ერთმა ვრცელმა ეპიურმა გექსტმა (იხ. “ენმერქარი და არათას ბაგონი”) შემოგვინახა, დამწერლობის შემოღებას – გეპირობიდან წერილობაზე გადასვლას – სწორედ *ერთ მშვენიერ დღეს* მიაწერს. ეს მითოსი ამგვარი შინაარსისაა: ურუქის მეფეს ენმერქარს სიგყვიერი პაექრობა ჰქონდა შორეული არათას ბაგონთან. ვინც სიგყვა-პასუსში გაიმარჯვებდა, პირველობაც მას დარჩებოდა ქვეყნიერებაზე და ქალღმერთი ინანაც მის მხარეზე იქნებოდა. ორი მბრძანებელი ძნელად ასახსნელ იგავებს უგზავნიდა ერთმანეთს მაცნის პირით; მაცნის მეხსიერება იყო ის ჭურჭელი, რომელსაც უნდა შეენახა მეფის ნაკარნახევი. ერთხელაც, როცა “მოციქულისთვის სიგყვა ძნელი შეიქნა და ვედარ გაიმეორა, ენმერქარმა თიხას ხელი შეახო და სიგყვა ფირფიტაზე აღბეჭდა”. მაცნის მეხსიერება ვერ შეინახავდა ისეთ სიგყვას, რომელიც მას უკვე აღარ ესმოდა, რომლის უბრალო განმეორებაც კი აღარ შეეძლო. ამიერიდან მეფური სიგყვა დამწერლობით უნდა შენახულიყო. შუმერულმა ეპოსმა შემოინახა ხსოვნა კაცობრიული ცივილიზაციის ამ გარდამტეხ მომენტზე. “ამ დღემდე, – ნათქვამია გექსტში, – თიხაზე აღბეჭდილი სიგყვა არ არსებულა. ქულაბას ბაგონმა დაფაზე სიგყვა აღბეჭდა, ჭეშმარიტად ასე მოხდა!” ამიერიდან მეფე თავის იგავებს წერილობით გზავნის, აქედან იწყება მწერლობა, ლიტერატურა, თავისი ნამდვილი აზრით.

ამ დროიდან მოყოლებული ათასსუთასი წლის მანძილზე უსსოვარი გრადიციების მქონე შუმერული მხატვრული სიგყვა მრავალკანრულ მწერლობად ყალიბდება. დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული სამი ათასამდე თიხის ფირფიტაზე, ბაზალტზე, ქვაქვიშაზე თუ დიორიტზე აღბეჭდილია ამ უცნობი წარმომავლობის ხალხის სიგყვიერი შემოქმედება,

რაც, ერთი მხრივ, თუ მოწმობს მისი სულიერი კულტურის სიმაღლეს და შემოქმედებით გაქანებას, მეორე მხრივ, ააშკარავებს შუმერული ადამიანის სულიერ, არცთუ იშვიათად, თეორიულ და ხშირად პრაგმატულ ინტერესთა ყოვლისმომცველობას. სამყარო და ადამიანური საზოგადოება – ეს ორი კოსმოსი გაშლილია ადამიანის წინაშე თავისი მრავალფეროვნებით და მას აქვს დაუოკებელი წადილი სიგყვიერი აღეკვავი შექმნას ყველაფერ იმისა, რასაც ის ხედავს და განიცდის, ან რაც მას ხსოვნაში მემკვიდრეობით გადმოეცა. “ვილგამეშინის” პროლოგში ნათქვამი სიგყვები გმირზე, რომ მან “ქვამე ამოკვეთა ყოველი განცდილი”, შეგვიძლია ეპიგრაფად წარუძღვა-როთ შუამდინარული ლიტერატურის ისტორიას.

მრავალფეროვანია ეს ლიტერატურა: მითოლოგიური და ნახევრადისტორიული ეპოსები, ღმერთებისა და ადამიანების ურთიერთობანი და მათი საქმენი საგმირონი, ღვთაებათა მოგზაურობანი ქალაქითი ქალაქად, მეფეთა საომარი და სამშენებლო წარწერები, ღმერთების, გაძრების, ღვთიური საგნების თუ მოვლენებისადმი მიძღვნილი საგალობლები, მეფეთა სახოგბო პოეზია, იგავები და შეგონებები, არსებათა, საგანთა თუ მოვლენათა გაბაასებანი, ქალაქთა თუ ღინასგიათა დამხობის გამო გოდებანი, ინანა-ღუმუშის სასიყვარულო დრამა და ლირიკა, ელეგიები და სხვა და სხვა. არ არსებულა ხალხის ყოფა-ცხოვრების რაიმე კუნჭული, რომელიც პოეტური ქანრის სახით არ ყოფილიყოს წარმოდგენილი.

ისეთი, თითქოსდა პროზაული ტექსტები, როგორადაც შეგვეძლო მიგვეჩინა სამშენებლო წარწერები თუ ბრძოლათა ამსახველი მაგინებები (განსაკუთრებით აშურეთ-ბაბილონში მიადწია ამ ქანრმა თავისი განვითარების კულმინაცია) არაიშვიათად ჭემმარიგი, შეიძლება ითქვას, უმეღავათო პოეტურობით ბრწყინავს. ამ ტექსტების მხატვრულობას ორი მხარე განსაზღვრავს – ჯერ თავად შუმერული ენის ბუნებითი ხატოვნება, მისი მეგაფორული სიღრმე და მერე მითოსური სიმბოლიკა, რომლითაც გადმოცემულია ნებისმიერი, თუნდაც ყოფითი ფაქტები. თხრობა ყოველთვის “ამაღლებული”

ჩანს, რადგან მიწიერი მოვლენები თითქოს ცაშია აგანილი და იქ აღქმული ავტორის მიერ, ეპიკური თხრობა არასოდეს არ არის ნაგურალისტური ან ავტორის სუბიექტურ გამოცდილებაზე თუ განწყობილებაზე დაფუძნებული; სიტყვიერი ტექსტი არ წარმოადგენს რეალურ-ემპირიულს განმეორებას, არამედ ის არის მისი სიმბოლურ-მეგაფორული გარდაქმნა ახალ სინამდვილედ. ამ აზრით, შუმერული (იგივე, როგორც ყოველი ძველი, გრადიციული) ხელოვნება ონტოლოგიური ღირებულებისაა და მასში ვერ ვპოვებთ სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ ანაბეჭდებს.

ურუქის პრიორიტეტს დამწერლობის გამოგონებაში არქეოლოგიაც ამოწმებს: მართლაც, პირველი დამწერლობის ნიშნები სწორედ ურუქშია (ე. წ. ურუქის მეთხე არქეოლოგიურ ფენაში) აღმოჩენილი; ეს დამწერლობა ხატოვანია, კლასიკური ლურსმულის წინამორბედი. ხატოვან ნიშანთა შორის ამოცნობილია შინაური პირუტყვის, სამეურნეო ჭურჭლის, იარაღისა თუ ნაგებობათა გამოსახულებანი, რომელთა იდენტიფიკაცია გვიანდელი დამწერლობის ნიშნებთან უდაოა. ამ არქაული ხანისთვის დამახასიათებელია, რომ არ ჩანს მეფის (ლუ-გალ “კაცი დიდი”) ნიშანი. ეს ის ხანაა, როცა თემს, ქალაქს, საზოგადოებას “უხუცესობა” (აბა) და “საკრებულო” (უნქენ) მართავდა. ჩანს, დამწერლობა უმეფობის, ე. წ. პირველყოფილი დემოკრატიის ხანაში შექმნილა. ნიშანდობლივია ისიც, რომ პირველი ეპოსების გმირები ურუქის მეფეები არიან. ცნობილი “შუმერის მეფეთა სია” გვაცნობს ურუქის პირველი დინასტიის მეფეებს – მესქიაგაშერს, ენმერქარს, ლუგალბანდას და გილგამეშს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით მეფობდნენ ურუქში. სწორედ ესენი არიან პირველი ეპიკური პოემების მთავარი გმირები. მათ შორის საყოველთაოდ ცნობილია გილგამეშის სახელი, მაგრამ არანაკლებ მიმზიდველია სხვა სამის – მის წინამორბედთა ეპიკური თავგადასავალი. პირველი მათგანის, მესქიაგაშერის ეპოსიდან, თუკი ის ოდესმე არსებულა (ის რჩება მაინც ჰიპოთეზად), ოთხად-ოთხი სიტყვა ვიცით: “ზღვაში შევიდა, მთაზე ავიდა”. მივიღოთ ეს სიტყვები მითოლოგიად, რომელსაც თუ გავშ-

ლიდით, კოსმოლოგიურ ეპოსს მივიღებდით, სადაც ადამიანი კოსმიურ განზომილებაში მოგვევლინებოდა. მაგრამ ზღვაც და მთაც – ეს ურთიერთდაპირისპირებული ადგილები იმდენად ზოგადია, რომ შესქიავაშერის მითოსზე კონკრეტულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. სამაგიეროდ, ენმერქარისა და ლუგალბანდას ეპოსების გექსტები, მიუხედავად ბევრი ბუნდოვანი ადგილისა, საკმაო ინფორმაციას გვაწვდის იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თითოეული მათგანის გიპი. თითოეულის სახე პარადიგმატულია: მთავარი გმირი განსაზღვრავს სიუჟეტს, ხოლო სიუჟეტი, თავის მხრივ, აყალიბებს გმირის სახეს. ენმერქარი *უთუს*, მზის ღმერთის ძე, თავად არ არის მზე, არც მისი ჰიპოსტასი, რომ მზის გზაზე მოძრაობდეს; იგი ურყევად მის ტახტზე და აქედან გასცემს თავის სიბრძნეს, რომელიც მისმა მოციქულმა უნდა მიუტანოს შორეულ არათას მბრძანებელს, ურუქის მეტოქეს და ინანასადმი ერთგულებაში მოცილეს; ხოლო ლუგალბანდა, ძე მისი, დაკარგული და მოძიებული, დასნეულებული და განკურნებული, მამისწიალიდან ძნელი დავალების შესასრულებლად გაგზავნილი შვილი, რომელიც წუთისოფლის თუ მიღმა-სოფლის ქარტახილების გავლის შემდეგ კვლავ უბრუნდება მამას. ეს მოტივი თუ მითოლოგემა მრავალფერი, ზოგჯერ შეფარული, ვარიაციებით არის გავრცელებული მსოფლიო ფოლკლორში თუ ლიტერატურაში. პირველად კი იგი, როგორც ვხედავთ, ურუქულ ტრადიციაში დასტურდება.

ენმერქარისა და ლუგალბანდას ეპიკური ციკლები ნაციონალური ხასიათისაა, შეგვიძლია მათ ნაციონალური ეპოსები ვუწოდოთ, რამდენადაც მათში აშკარად ჩანს ურუქის ინტერესები, მისი სწრაფვა დასახლებულ სამყაროზე ჰეგემონიისკენ. მათი დრო და სივრცე და მოწინააღმდეგეც განზოგადებული სახით არის წარმოდგენილი: ურუქი გამოხატავს მთელს შუმერს, არათა – დანარჩენ კაცობრიობას, შუმერის ანტაგონისტს და მეტოქეს ინანას “ხელის ძიებაში”. ეპიკური დროც, როგორც წესი, არ არის დაკონკრეტებული; არათა, როგორც მითოსური ქვეყანა, რომლის ლოკალიზაცია ვერ ხერხდება, არც ერთ ისტორიულ პერიოდში არ ეწერება. ისტორიული დრო-ჟამი იცნობს

მხოლოდ სისხლისმღვრელ ბრძოლებს ჰეგემონიისთვის (იხ. “გოდება ლაგაშის დაქცევაზე”), მაგრამ ურუქისა და არათას დაპირისპირება, რომელიც გარდაუვალი ომის მღვარამდე იყო მისული, ინანას რჩევით, მშვიდობიანი შეთანხმებით მთავრდება: რკინის მოციქულობას სიგყვის მოციქულობა ცვლის: აქ ვადასტურებთ არქაული დიპლომატიის იგავურ ენას, რომლის ნაშთები აღმოსავლურ კულტურებში გვიანამდე აქა-იქ იყო შემონახული.

ურუქის პირველი დინასტიის მეოთხე მეფის გილგამეშის ლიგერატურული სახე სრულიად განსხვავებულია. “გილგამეშიანიში” მის გიპზე და ხასიათზე ვრცლად არის საუბარი, აქ მხოლოდ დავძენთ, რომ განსხვავებით ენმერქარ-ლუგალბანდას ეპოსებისა, გილგამეშის ეპიურ ციკლს ნაციონალურ ეპოსად ვერ მივიჩნევთ. მისი ურუქის ანტაგონისტი უკვე აღარ არის არათა, ან რომელიმე სხვა ქალაქი, რომელიც არაშუმერის განსახიერება იქნებოდა, არამედ კედარის გყის მითოსური ნაკრძალი, რომელსაც, როგორც ჩანს, ღმერთები მფარველობენ. ერთადერთი ღმერთი, რომელიც ხელს უწყობდა გილგამეშს და მის თანამგზავრს ამ ლაშქრობაში, არის *უთუ* (აქად. *შამაში*), მზის ღმერთი. გილგამეში მოწოდებულია იმისათვის, რომ ხუვაავას უღრანში მზის სახელი დაამკვიდროს, ფართოდ გასწიოს მზის ღმერთის ეთიკური რელიგიის საზღვრები. გილგამეშის ციკლის შუმერულ სიმღერებში პირველად ჩნდება ეკსისტენციალური პრობლემების კონტურები, რომელთაც აქაღურ ეპოსში თემატიზაცია განიცადეს.

ყოველი მწერლობის უკან თუ მის საფუძვლად, როგორც მამოქმედებელ ძრავად, გარკვეული მსოფლხედვა იგულისხმება. შუმერელი მოაზროვნე სამყაროში წესრიგს ხელავს, რაც მას ანათესავებს ელინურ მსოფლგანცდასთან. ეს სამყარო ღმერთების შექმნილია განსაზღვრული გეგმის თანახმად და ვერ მოიძებნება ვერც ერთი კუნჭული ამ სამყაროში, ვერც აღამიანურ კოსმოსში, რომელსაც ღმერთების თვალი და ნება არ სწვდებოდეს. ღმერთებმა არათუ შექმნეს ეს სამყარო თავისი მრავალფეროვნებით, არამედ მიწყვიტეს მრუნავენ მასზე. ეს არის შუმერული მითოლოგიური ტექსტების დიდი თემა, რომელიც

მრავალი სხვადასხვა კუთხით არის დამუშავებული ცალკეულ ნაწარმოებებში. ტექსტებში ჩანს, რომ შუმერელი მითოლოგოსი, კოსმოსის კანონზომიერების შემყურე და დამკვირვებელი, მისი ღრმად განმცდელი, გრძნობდა ღმერთების თანხმობას არა მხოლოდ შესაქმის პროცესში, არამედ, რაც მთავარია, სოლიდარობას ერთმანეთის მიმართ. ამ ტექსტებზე დაკვირვებამ გამოჩენილ შუმეროლოგ თორკილდ იაკობსენს აფიქრებინა, რომ შუმერული პოლიტიკური კონცეპტი დემოკრატიამდე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. მიწიერ დემოკრატიას ასახვა ციურ დემოკრატიამი უნდა ეპოვა. თუ ღმერთების სასუფეველში, როგორც მითოლოგიური ტექსტებიდან ჩანს, არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა (ვთქვათ, წარღვნა) ერთპიროვნული გადაწყვეტილებით არ მომხდარა, არქაულ ხანაში მიწაზე, ადამიანთა საზოგადოებაშიც ასევე უნდა ყოფილიყო. მიწაზეც და ცაშიც არსებობდა საკრებულო, საიდანაც გამოდიოდა კანონი (*გიშურ*) და სიგყვა (*ენემ*) ორთავე კოსმოსის – სამყაროსა და კაცობრიული საზოგადოების სამართავად. შუმერულ ენაზე შეიქმნა საგანგებო ჟანრი, რომელიც შეიცავს მკაცრად სტრუქტურირებულ ტექსტებს, სადაც აღწერილია ღმერთების, როგორც ზეციური ინსპექტორების, მოგზაურობა შუმერის ქალაქ-სახელმწიფოებში და ერთმანეთთან სტუმრობა სოლიდარობის ნიშნად.

ღმერთები უზენაესი არბიტრები არიან არა მხოლოდ გლობალურ საკითხებში, არამედ ერევიან ყველა დავაში, რომელიც კი წარმოიშვება ცალკეულ ღვთიურ თუ ადამიანურ ქმნილებათა (არტეფაქტთა) შორის პირველობისთვის. იგავებით ასპარეზობამ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, გადაწყვიტა პირველობის საკითხი ორ დაპირისპირებულ ქალაქ-სახელმწიფოს შორის. ურთიერთცილობამ მწყემსსა და მიწისმუშაკს შორის გადაწყვიტა ინანას არჩევანი – ვისკენ უნდა გადახრილიყო მისი გული (“ინანას ნიშნობა”). დისპუტების, ცდობების თემა, ჩანს, იმდენად იმიდავდა შუმერულ მკითხველს, რომ საგანგებო ჟანრიც კი ჩამოყალიბდა – *ადამინდუვა*, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია ქართულ ლიგერატურაში დამკვიდრებული ანალოგიური ჟანრის

კვალზე “გაბაასებანი” ეუწოლოთ, თუმცა შუმერული გაბაასება უფრო სასამართლო პროცესს ჰგავს, სადაც საბოლოო სიგყვა რომელიმე ღმერთს, მათ გამბაასებელს, ეკუთვნის. ელავებიან ერთმანეთს პირველობაში და ჩამოთვლიან თავ-თავიანთ ღირსებებს, დამცირებით და ხშირად ლანძღვითაც კი მოიხსენებენ ერთმანეთის ნაკლს – მაფხული და მამთარი, ვერცხლი და სპილენძი, ხორბალი და ცხვარი, თოხი და გუთანი, ფრინველი და თევზი, ფინიკის პალმა და თამარისკი და სხვა საგნები თუ მოვლენები, რომლებიც შუმერელთა ყურადღების სფეროში მოექცნენ და, შეიძლება ითქვას, ანალიზის ობიექტები გახდნენ.

დამწერლობამ მკაცრად კანონიზებული სახე მისცა ჰიმნურ შემოქმედებას, რომლის ობიექტები არიან არა მხოლოდ ღმერთები და ქალღმერთები, არამედ მეფეები და მათ მიერ აგებული ტაძრებიც. მეფე შულგის (2093-2046 წწ.) განსაზღვრულად ჰიმნოგრაფი არ იმურებს გრადიციულ სიმბოლიკას და მეგაფორებს, რომლითაც სატაძრო ჰიმნებში ღმერთები იმკობიან. შულგის სადიდებელი ჰიმნი პირველ პირშია წარმოთქმული – შულგი თავად აღიღებს საკუთარ თავს, რაც დღეს, ალბათ, გრაბახად მოეჩვენება ადამიანს; მაგრამ მეფე შულგი განდიდებულია არა როგორც ინდივიდუალური პიროვნება, არა როგორც კერძო კაცი, არამედ იმ დინასტიის წარმომადგენელი, რომელიც თავის დასაბამს ურუქელი ქალღმერთის, ნინსუნას, საშოში ხედავს, ხოლო გილგამეშს თავის “დიდ ძმად” (*შემ-გალ*) აცხადებს. ჰიმნის მსმენელს წარმოუდგებოდა შულგი როგორც ღმერთებისგან მრუნვილი, დინასტიური ძალის მგვირთველი, რომლის ზეობის ხანას (*ბალა*) ღმერთები, განსაკუთრებით ენლილი და ინანა, წარმართავენ. ამავე დროს, საგალობელში ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ განდიდების სიგყვები, არამედ მისი, როგორც “შავთავიანთა მფარველი მწყემსის” პორტრეტი, იდეალური მეფის სახე, რომელსაც პანთეონმა მიანდო ხალხის ბედი. ამავე დროს მეფე შულგი, რომლის მეფობაში შუმერული რენესანსი მწვერვალს აღწევს, აღვსილია შუმერული ენისა და კულტურის უპირატესობის გრძნობით და იმის რწმენით, რომ ეს ენა

გასცდება შუმერის ფარგლებს და იმ ხალხშიც დამკვიდრდება, რომელთაც “არასოდეს ჰქონიათ დაგებული გზები და წარმოთქმული სიტყვა არასოდეს დაუწერიათ”. მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ეროვნული სიამაყე არ აბრკოლებს, იცოდეს ბარბაროსების ენა, როგორც თავად აცხადებს ან მგოსანი ათქმევინებს ერთ ჰიმნში: “მე ვიცი მართუს ენა, როგორც შუმერული; როცა მესალმებიან, მართუს ენაზე ვპასუხობ მათ... მე განვმარტავ მისი ენის გაუგებარ სიტყვებს, თუმცა მისი შვილი არა ვარ... როცა შუმერში სამართალს განვიკითხავ, ხუთ ენაზე ვიძლევი პასუხს...”

შუმერული პოეტი ხელდას აღამიანში, მის უმაღლეს გამოხატულებაში – მეფეში – დაუსაზღვრელ შესაძლებლობებს, რაც მას ღმერთების სამყაროსთან აახლოებს, მაგრამ ამის გამო მისი განცდები არ არის დახშული ყოფიერების გრაფიკის წინაშე. გრაფიკული განცდა არანაკლებ დამახასიათებელია შუმერული პოეზიისათვის, ის შეიძლება ითქვას, განსაზღვრავს თითქმის მთელი ეპოქის სულისკვეთებას. იმ დინასტიის დასაბამი და დასაწყისი, რომელსაც ეკუთვნოდნენ *შულგი* და *შუსუნა*, შეიძლება ითქვას, ბედნიერი მეფენი, თითქოს განგებისეულად ამხელს ამ გრაფიკულ სულისკვეთებას. ერთი ვრცელი პოემა, რომელიც აღწერს ამ დინასტიის დამაარსებლის – *ურნამუს* სწეულებას, სიკვდილს, დაკრძალვას და მის ქვესკნელში გამგზავრებას, მთავრდება ელეგიური სიმღერით წუთისოფლის წარმავლობაზე; ხოლო მისი უკანასკნელი წარმომადგენელი *იბისუნა*, რომელიც ცხველ წაიყვანა მისი ქვეყნისა და დინასტიის დამაქცეველმა მტერმა, დაგირებულია საგანგებო გოდებით მთელს ქვეყანასთან და სახელოვან დინასტიასთან ერთად. ამ დროს მთავრდება ახალშუმერული ხანა, რომელსაც ზოგჯერ შუმერული კულტურის რენესანსის ხანას უწოდებენ. შემონახულია მთელი ციკლი “გოდებებისა”, რომლებშიც გამოგირებულია ასწლოვანი იმპერია, თითქოს მგოდებელი მთელი ქვეყნიერების დაქცევაზე გოდებდეს. “გოდების” ჟანრი, პირწმინდად შუმერული მოვლენა (ის არ არის დამახასიათებელი აქადური მწერლობისთვის), ესქატოლოგიური პათოსით არის გამსჭვალული და, ხშირ

შემთხვევაში, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა წიგნების, განსაკუთრებით, იერემიას “გოდების” ასოციაციას იწვევს.

სრულიად ამკარაა მაღალი წარმოსობა თუნდაც ისეთი “მიწიერი” ქანრისა, როგორც არის საგრფილო პოეზია, რომელიც გამოიჩინევა სტრუქტურული სიმწყობრით და სიმბოლოთა მრავალფეროვნებით. ეს სიმბოლიკა ამხელს მის საკულტო, არათუ მხოლოდ ხასიათს, არამედ დასაბამსაც. რამდენადაც კულტი ღრმად იყო შეჭრილი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და სწვდებოდა მის სიღრმეებს, თვით სქესისა და სქესთა შორის ურთიერთობის საიდუმლოებებს. პირველად მსოფლიო პოეზიაში სქესისა და, აქედან გამომდინარე, სიყვარულის თემა უშუალოდ დაუკავშირდა ტრაგიკულს, რომლის ფორმულა ასევე ძველადმოსავლურ წიაღში, კერძოდ, ბიბლიურ “ქებათა ქებაში” გამოიკვეთა: “რამეთუ ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი სიყვარული, ფრთე მისი ფრთე ცეცხლისა”. მართლაც, სიყვარული რომ გაღაჭღობილია სიკვდილთან, ამის პირველ დადასტურებას ინანასა და ღუმუზის დრამაში ვპოვებთ: ღუმუზის, მწყემსის, ვითარცა გაბაფხულის სულის, გინა ხორბლის სულის, დაღუპვა ისევე გარდაუვალია, როგორც ინანას სიყვარული. ის “იწვის”, “იმარხება” ინანას სიყვარულით და კვლავ აღდგება მისივე სიყვარულით.

შუმერულენოვან ტექსტებში შევხვდებით ისეთ ქანრებსაც, რომელთა არსებობა მხოლოდ წერილობით თუ არის წარმოსადგენი, ვგულისხმობ, რომ მათ არ გაუვლიათ ზეპირსიტყვიერი არსებობის სტადია. მხელველობაშია მიძღვნილი (ე. წ. ვოტივური) სამშენებლო წარწერები, საისტორიო თხზულებანი, ბრძოლათა ამსახველი მაგიანეები (განსაკუთრებით აშურეთ-ბაბილონში მიაღწია ამ ქანრმა თავისი განვითარების კულმინაციას), რომელთა ცალკეული პასაჟები არაიშვიათად ჭეშმარიტი, შეიძლება ითქვას, უშეღავათო პოეტურობით ბრწყინავს. ამ ტექსტების მხატვრულობას ორი მხარე განსამღვრავს – ჯერ თავად შუმერული ენის ბუნებითი ხატოვნება, მისი მეტაფორული სიღრმე და მერე მითოსური სიმბოლიკა, რომლითაც გაღმო-

ცემულია ნებისმიერი, თუნდაც ყოფითი ფაქტები. თხრობა ყოველთვის “ამაღლებული” ჩანს, რადგან მიწიერი მოვლენები თითქოს ცაშია აგანილი და იქ ხილულ-აღქმული ავტორის მიერ, ეპიკური თხრობა არასოდეს არ არის ნაგურალისგური ან ავტორის სუბიექტურ გამოცდილებაზე თუ განწყობილებაზე დაფუძნებული; სიტყვიერი გექსტი არ წარმოადგენს რეალურ-ემპირიული ხლომილების განმეორებას, არამედ ის არის მისი სიმბოლურ-მეტაფორული გარდაქმნა ახალ სინამდვილედ. ამ აზრით, შუმერული ხელოვნება ონტოლოგიური ღირებულებისაა და მასში ვერ ვპოვებთ სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ ანაბეჭდებს.

ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოს მთავრდება შუამდინარული სიტყვიერი შემოქმედების შუმერული ეპოქა (თუმცა მისი ენა კიდევ დიდხანს განაგრძობდა არსებობას როგორც საკრალური, საკულტო ენა). თუ პირველი შუამდინარული იმპერიის შემქმნელნი, სემიტები, რომლებიც აქადიდან გამოჩნდნენ (XXIV-XXII სს.), ჯერ კიდევ შუმერულ ენას იყენებდნენ სამწერლო ენად. ისიც კმარა, რომ *მარუქინ* აქადელის ასული *ენხედუანა*, მთვარის ღმერთის ქურუმი, შუმერულ სახელს ატარებს და ჰიმნებს შუმერულ ენაზე თხზავს (მისი სიტყვებია: “მე შენთვის ვშობე ეს საგალობელი როგორც მშობიარე ქალმა გირილითა და ძახილით: საკმარისია! მეგისმეგია! მე ეს ვითხარი ღამის სიბნელეში, მგალობელმა კი მშის სინათლეზე გაგიმეორა”). თუმცა ამავე პერიოდიდან ძალებს იკრებს აქადური ენა, საერთო სემიტური ენის ჩრდილო განშტოება. ის ვითარდება როგორც სამწერლო ენა შუმერულის ძლიერი გავლენით; ორენოვნების პირობებში, ალბათ პირველად კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, შუამდინარეთის მიწაზე ფეხს იდგამს მთარგმნელობითი ხელოვნება. აქადელი სემიტები იყვნენ შუმერული პოემების პირველი მთარგმნელები. ჩვენამდე თიხის ფირფიცებზე შემორჩენილია როგორც ზუსტი პწკარედული თარგმანები შუმერული გექსტებისა (თარგმანი პწკარედულია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: აქადური სტრიქონი შუმერული დედნის ქვეშ არის მიწერილი), ასევე მათი თავისუ-

ფალი გადამუშავებანი (შეადარეთ შუმერული “ინანას ჩასვლა ქვესკნელად” მის აქადურ ორეულს “იშთარის ჩასვლას ქვესკნელად”). აქადური ენა ივსება შუმერული ენის სულით, მისი იდიომატიკით და მეტაფორიკით, ხოლო მწერლობა – სიუჟეტებით და ცალკეული მოტივებით. აქადური მწერლობა, აღმოცენებული შუმერულ ფესვზე, აგრძელებს მის გრადიციებს; მასში ვხვდებით როგორც სხეულს მისას, ასევე მის სულისკვეთებას. მწერლობაში შემოდის ახალი სიუჟეტები და თემები, რომლებიც არ ჩანს, ან მხოლოდ ჩანასახის სახით არის მოცემული შუმერულენოვან გეჟსტებში. ეს არის კოსმოგონიური მითოსი *ენუმა ელიშ* (“ოდეს მალლა”), განსაკუთრებულ – ჰიმნურ-ეპიკურ დიალექტზე შექმნილი გეჟსტი, რომელიც საფუძვლად ედო, როგორც სცენარი, სამყაროს, წელიწადისა და მეფობის განახლების გრანდიოზულ რიტუალს; ეს არის “ენლილისა და ანზუს ეპოსი”, რომელშიც განვითარებულია მამის შურისმგებელი ძის თემა (შვილი უბრუნებს მამას, უზენაეს ღმერთს, მოგაცებულ ბედისწერის დაფებს, კოსმოსის თავისებურ “კონსტიტუციას”); ეს არის “ეა და ათრახასისი” – კაცობრიობის მითოსური ისტორია, სასჯელისა და ხსნის მონაცვლეობით, ერთგვარი დიალოგი კაცთა მოღვმისადმი მგრულ და კეთილმოწყალე ღმერთებს შორის; ეს არის “ერას ეპოსი”, რომელიც წარმოგვიდგენს საკაცობრიო ისტორიის რიტმს – ომისა და მშვიდობის, ნგრევისა და შენების მონაცვლეობას; ეს არის ეთანას მითოსი, სადაც გველისა და არწივის წარუმატებელი მეგობრობა ფრთოსნისა და ადამიანის მეგობრობით გვირგვინდება. მაგრამ თვალსაჩინოა უფრო მნიშვნელოვანი სიახლე: აქადური პოეზია მკვიდრდება როგორც ახალი სტრუქტურული მთლიანობა, თავს აღწევს რა შუმერული პოეზიის “ფოლკლორულ” კანონიკურობას, რომელსაც ღრთოთა განმავლობაში გაყინვა ელოდა. მითოსი გადმოდის აქადურ მწერლობაში გარდაქმნილი, ზოგ შემთხვევაში, სეკულარული სახით. დაღუპული და კვლავ აღმდგარი მწყემსი ღუმუზის შუმერული წარმოშობის ძველი მითოსური მოღელი ედება საფუძვლად ადამიანის დრამას, როგორც ბუნების დრამის კერძო გამოვლინებას. ყველასაგან მიგოვებული, თა-

ვისი სნეული სხეულის ამარა დარჩენილი კაცი ემსგავსება ღმერთებისგან მიტოვებულ ბუნებას – ღუმუზი-თამუზს, რომელიც წელიწადის ბორბალმა ქვესკნელში ჩაიყვანა. მაგრამ ქვესკნელში დასალუპავად განწირულ კაცს, იმ მითოსური მწყემსივით, მოხედავს მფარველი ღვთაება და დაიხსნის მას შავეთის კარიბჭიდან. სნეულება ამ თხზულებაში (“უბრალოდ განჯულის აღსარება”) ადამიანური ყოფიერების ძირითადი კატეგორიაა, მას შემეცნებითი ღირებულება ენიჭება: თავის სენთან მარტო დარჩენილი კაცი მკვეთრად განიცდის თავის არსებობას და თითქოს ახლად შეიცნობს საკუთარ თავს, თავის ადგილს საზოგადოებაში, სამყაროში. მას შეუძლია თქვას (ეს არის გარკვეულად პოემის პათოსი): “სნეული ვარ, მაშასადამე, ვარსებობ”.

საზოგადოდ, აქადური მსოფლგანცდა, მისი პოემიის პათოსი, გრაფიკულია. იგი გასენილია უსაზღვრო პესიმიზმით. ერთი სწავლული ასირიოლოგის თქმით, მათ არ გაუკვირდებოდათ, რომ შეეხებათ იმ ბორცვებისთვის, ეამთადენამ რომ დაგოვა მათი ამქვეყნიური არსებობიდან. “კაცთა მოღვმა და მისი საქმენი თიხად მიიქცევა” – ეს იყო მათი უკანასკნელი სიგჷყვა, როგორც ყოფიერების დიაგნოზი. აქადელ პოეტს ჰქონდა უნარი, დაენახა ადამიანური არსებობის დრამა, მასში გაძლიერებული იყო მიტოვებულობის, ადამიანური ყოფის მოუწყობლობის, სულიერი თუ სოციალური “ჩავარდნის” განცდა. ღმერთები თითქოს გარდაუვალი ბედისწერის ამარა სტოვებენ ადამიანს, როგორც იმ ღუმუზის ან მთიელთა ურდოების სათარეშოდ ქვეულ ქალაქს. გრაფიკში იჭრება მითოსში, უფრო სწორად, მითოსის ენით ადამიანის გრაფიკული ბედია გადმოცემული. მითოსური პრინციპის საწინააღმდეგოდ, თავს იჩენს სულიერი კრიზისის ნიშნები, რაც სრულიად უცნობი იყო შუმერული კულტურისათვის და, ბუნებრივია, არც მის მწერლობაში გამოხატულა. ამ მოგვიანო ხანს შუამდინარელი კაცის შეგნებაში შეიჭრა ეჭვი ღმერთების სამართლიანობისადმი (რაგომ იჩაგრება მართალი კაცი?), რამაც გამოიწვია ისეთი თხზულებების შექმნა, სადაც მოცემული იქნებოდა ცდა ღვთიური განგების გამართლებისა (თეოდოცია). ამ სულისკვეთების გამოა, რომ მოგ-

ვიანო აქაღურ (აშურულ-ბაბილონურ ლიტერატურაში, კერძოდ, პოეზიაში, კატეგორიულად არის დასმული მნეობრივი პრობლემა). “ბაგონისა და მონის დიალოგი” სრული უიმედობის გამომხატველია: მასში მკაცრი პირუთენელობით არის ნაჩვენები წუთისოფლის გადაუწყვეტელი წინააღმდეგობანი, მისი უპერსპექტივო “დიალექტიკურობა”, რომელიც ადამიანს მისსავე საკუთარ ვნება-ლტოლვათა სათამაშოდ აქცევს. საგულისხმოა, რომ საწუთროცხოვრების ეს სპონტანური, შესაძლოა, გედაპირული ანალიზი მონის პირით არის გადმოცემული, რომ საბოლოო დასკვნა გამოუვალი მდგომარეობის დამოწმებაა: წახვალ – ინანებ, არ წახვალ – ინანებ.

მიუხედავად შუმერული სიგყვიერების პრიორიტეტისა აქაღურის მიმართ, უღაოა, რომ ამ უკანასკნელმა სიგყვიერი შემოქმედება ახალ საფეხურზე აიყვანა. თუ ბევრ შუმერულ ტექსტს ატყვია ფოლკლორული წარმომავლობის ნიშანი, აქაღური შემოქმედება, შეიძლება ითქვას, პირწმინდად ლიტერატურულია, იგი *დაწერილია* და იმთავითვე წასაკითხად არის გამიზნული. ბუნებრივია, რომ ისეთ ტექსტებში, როგორც არის “გილგამეშიანი”, “ნერგალი და ანზუ”, “ერას ეპოსი”, კოსმოგონიური ეპოსი “ენუმა ელიში” და სხვანი, რომლებიც უაღრესი ფრაგმენტულობის გამო ვერ მოხვდნენ ამ კრებულში, მრავლად იპოვება ფოლკლორული მოტივები და ეპიზოდები, მაგრამ შესანიშნავი ის არის, რომ ყოველი ასეთი მოტივი თუ ეპიზოდი ეპიკური შემოქმედების კონკრეტულ მიზანს არის დაქვემდებარებული. პროფესიონალი მწერლის ხელში ის მხოლოდ მასალაა, რომელსაც ავტორი თავისი ეპიკური ჩანაფიქრისთვის ამსახურებს. აქაღურ ხანაში იბადება ავტორობის იდეაც. ყველას არა, მაგრამ მოგიერთ ტექსტის ახლავს კოლოფონი, რომელიც ამხელს ავტორის სახელს. ცნობილია “გილგამეშიანის” და “ერას ეპოსის” ავტორები – *სინ-ულიკინი* და *ქაბითი-ილანი-მარდუქი*. მაგრამ ავტორობის შეგნება თავისებურია: ადამიანი მხოლოდ მედიუმი, რომელიც თავის გულსა და გონებაში გაატარებს ღვთიურ გამოცხადებაში ნაკარნახევს. ამ გიპის შემოქმედება გამორიცხავს პირადულს, ცხადია,

თავად შემოქმედის სუბიექტური თვალსაზრისით. ის არ აძლევს თავს ნებას, ჩაერიოს შეგადმო შთაგონებულ ტექსტში. ამ კონცეპციას გამოხატავს მინაწერი “ერას ეპოსის” დასასრულს: “ამ დაფის დამწერი არის *ქაბითილანი-მარდუქი*. (ღვთაებამ) ღამით გამოუცხადა და, როცა დილით გაიმეორა, არაფერი დაუკლია და ერთი ბწკარიც არ დაუმატებია”.

შუამდინარული ცივილიზაცია ორი მდინარის აუზში ჩაისახა. თუმცა ამ მდინარეთა კალაპოტები მთელ სივრცეზე ერთმანეთს არ შეჰხებია, მათი ნაკადები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიედინებოდა და დამოუკიდებლადვე ერთვოდა “ქვემო ზღვას” (დღევანდელ ბაჰრეინს), მაგრამ უხსოვარი დროიდან არხები ქსელავდა მათ შორის მოქცეულ სივრცეს და მათი მეშვეობით ეს ორი მდინარე თავ-თავის წყლებს ერთმანეთს უზიარებდა. ასევე ორი ეთნოსის გრადიციები მსჭვალავდა ურთიერთს მათი პრეისტორიული თუ ისტორიული თანაცხოვრების მანძილზე, და ასე გრძელდებოდა კულტურათა მშვიდობიანი გაცვლა-გამოცვლა, ვიდრე თითოეული მათგანის მონაპოვარი ერთ საერთო აუზში არ მოექცა. *იდიგინა* და *ბურანუნა*, როგორც გიგროსს და ევფრატს უწოდებდნენ შუმერლები, რომელთა გარეშე ეს არემარე უსიცოცხლო და უკაცრიელი უდაბნო იქნებოდა, ორი ხალხის, ორი ენის და ორი მწერლობის ასოციაციას იწვევს, მათ სიმბოლოებად გვესახება.

* * *

ჩვენს წარმოსახვაში შუამდინარული (შუმერულ-აქადური) მწერლობა წარმოგვიდგება როგორც ერთი ნანგრევი ნანგრევ ცივილიზაციაში, რომლის თავდაპირველი სახე და კონფიგურაცია დღევანდელი ადამიანისთვის მიუწვდომელია, რომლის აღქმა მთლიანობაში მის ინტელექტულურ უნარს აღემატება. ასევე ითქმის ბევრ ცალკეულ ნაწარმოებზე, რომელთაც ხშირად არც დასაწყისი აქვს შემორჩენილი და არც დასასრული, ხშირად მათი შუადინებაც გამეხხერებულია. დედანში ხარვეზების ან უთარგმნელი ადგილების მისანიშნებლად გამოყენებულია კვადრატული ფრჩხილები: [. . .]. და ხშირად

ტექსტის დაუზიანებელი ადგილებიც კი, რომლებიც თარგმნას ექვემდებარება, ჩვენზე უცხო და უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს, მათი სემანტიკა და მეტაფორიკა, საგანთა შორის უჩვეულო ასოციაციურობა ვერ ეტევა ჩვენს რაციონალურ გონებაში. მაგრამ უნდა მოველოდეთ რაციოს ხმას პოეზიისგან, მით უმეტეს, თუ ეს პოეზია ათასწლეულების წინ შეიქმნა?

ლაინტერესებულ მკითხველს შეუძლია შუმერული ორიგინალების ელექტრონულ ვერსიებს და მათ ინგლისურ თარგმანებს ინტერნეტის საშუალებით გაეცნოს. შუმერული ლიტერატურის ელექტრონული ტექსტების კორპუსის (ETCSL) მისამართია: www.etcsl.ox.ac.uk

ზურაბ კიკნაძე

2009

შუბერული

სამოთხის მითოსი

(ნაწყვეტი პოემიდან)

დიღმუნის მიწა წმინდა იყო, დიღმუნი უბიწო იყო,
დიღმუნი უბიწო იყო, დიღმუნი ბრწყინვალე იყო.
ვიდრე დიღმუნში მარგოდმარგო განისვენებდა,
ვიდრე ენქი თავის ცოლთან განისვენებდა,
ადგილი იგი უბიწო იყო, ადგილი იგი ბრწყინვალე იყო.
ვიდრე დიღმუნში მარგოდმარგო განისვენებდა,
ვიდრე ენქი ნინსიქილასთან განისვენებდა,
ადგილი იგი უბიწო იყო, ადგილი იგი ბრწყინვალე იყო.
დიღმუნში ყორანი არ ყრანგალებდა,
დიღმუნში ყვაფი არ ჩხაოდა,
ლომი არავის მოაკვდინებდა,
მგელი ბაგკანს არ გაიტაცებდა,
ძაღლი, თიკნის მჭამელი, არ უწყოდნენ,
გახი, ხორბლის მჭამელი, არ უწყოდნენ.
დიღმუნში ქვრივ-ობოლი არ იპოვებოდა,
ძერა ცარგვალზე არ დაბოინობდა,
გუნდს მტრედებისას არ დაეცემოდა.

ავი თვალი “ავი თვალი ვარ” არ იტყოდა,
ავი თავი “ავი თავი ვარ” არ იტყოდა,
ბერიკაცი “ბერიკაცი ვარ” არ იტყოდა,
მგალობელი არ შეიცხადებდა,
ქალაქის გარეთ არ გოღებდა.

ენქი და სამყაროს წესრიგი

(ნაწყვეტები კოსმოგონიური პოემიდან)

1

ენქი ბელს გადაწყვეტს

“შუმერო, დიღო მთავ, ცისა და მიწის მხარევე, ბრწყინვალეებით მოსილო, მზის აღმოსავლეთიდან მზის დასავლამდე ხალხს განგებათ აძლევ. შენი განგებანი დიდი განგებანია, მიუწვდომელია, შენს გულს ვერავინ მოიხილავს. ჭეშმარიტი წყარო ცოდნისა, სადაც ღმერთები დაიბადნენ, ცასავით მიულწეველია, ბადებს მეფეებს, თავზე ჭეშმარიტ თავსაბურველს რომ იგრაგნიან, ბადებს უფალთ, თავზე გვირგვინს რომ იდგამენ. შენი უფალი, პატივდებული უფალი, მეფე ანთან ერთად ცის გახგზეა დაბრძანებული; შენი მეფე, დიდი მთა, მამა ენლილი, კედარივით წინ გიდგას, სამყაროს მამა; ანუნები, დიდი ღმერთები, შენს გულს, მიწის საფუძველს, უახლოვდებიან, გიგუნაში ხეებს სათითაოდ რგავენ. სახლო-შუმერო, შენი ბოსლები შენდებოდეს, შენმა ფურებმა იმრავლონ! შენი ფარეხები გაიმარ-

თოს, შენი ცხვარი ურიცხვი გახდეს! შენი გიგუნა ცას მისწვდეს, შენი ჭემმარიგი სახლი ცამდე ამაღლდეს! ანუნებმა შენს წიაღში ბელი გადაწყვიტონ!”

ურიმის საწმიდარში მივიდა, ენქი, აბზუს მეფე, მის ბელს გადაწყევტს:

“ქალაქო, განგებებით შემკულო, წყალში განბანილო! ხარო, ძლიერად შემართულო! მთის სიუხვის საკურთხეველო, მუხლგახსნილო, მთაგრეხილივით აღმართულო, ფართოჩრდილიანო კეიპაროსის გყევე! [...] შენი სრულყოფილი განგებანი სწორად წარიმართოს, დიდმა მთამ ენლილმა ცად და მიწად შენი მაღალი სახელი გამოაცხადოს! ქალაქი ხარ, რომლის ბელი ენქიმ გადაწყვიტა. ურიმის საწმიდარმა ქელი ცად აღიმადლოს!”

მელუხას ქვეყანაში მივიდა, ენქი აბზუს მეფე, მის ბელს გადაწყევტს:

“შავო ქვეყანავ, შენი ხეები მაღალი ხეები იყოს! შენი გყეები *მეშის* მთის გყეები იყოს! მათგან შექმნილი გახგი მეფის სასახლის საკადრისი იყოს! შენი ლერწამი მაღალი ლერწამი იყოს! ... შენი ხარები დიდი ხარები იყოს! მათი ხმა მთის ველური ხარების ხმა იყოს! ღმერთების დიდი განგებანი სრულქმნილი იყოს! შენი მთის ღურაჯები ყველა ლაქვარდწვერიანი იყოს! შენი ფრინველები ყველა ფარშევანგი იყოს! მათი ჟრიაშული მეფის სასახლის შესაფერი იყოს! შენი ლითონი ოქრო იყოს! შენი სპილენძი თუთიანარევი ბრინჯაო იყოს! ქვეყანავ, ყველაფერი შენი უხვად იყოს! შენი ხალხი სვებენიერი იყოს!..

ქალაქის უქონელს, სახლის უქონელს ენქიმ მართუს პირუტყვი უბოძა.

აქედან რა მშერა მიაქცია, მამა ენქიმ ბურანუნას მიაპყრო, აგეხილ ბუღასავით ყალყბე შედგა, ასო აღმართა და იდიგნა მდინარი წყლით აავსო. როგორც საძოვრიდან შეღმუის ფური თავის ხბოს მორიელეებით

სავსე ბოსელში. ენქიმ ასოს აღმართვით საქორწინო ძღვენი მიიგანა. იდიგნამ, როცა იშვა, ველური ხარევით გულით გაიხარა, წყალი მოიგანა – მდინარი წყალია!.. ხორბალი მოიგანა – ჭრელი ხორბალია! ხალხი შეჭამს. ექური, ენლილის სახლი, დოვლათით აავსო. ენლილი ენქისთან ერთად იხარებს, ნიპური მხიარულობს. უფალმა ჯილა დაიდგა ბაგონობის ნიშნად, კარგი გვირგვინი დაირქვა მეფობის ნიშნად; მარცხენა მხარით მიწას შეეხო, მიწიდან სიუხვე მოუვიდა მას; მარჯვენაში კვერთხი იპყრა [. . . .]. სიუხვემ სასახლიდან ზეთივით იდინა.

2

ინანას წილი

მას ჟამს ერთადერთს წილი არ ჰქონდა; ცის დიდ დედაკაცს, ინანას წილი არ ჰქონდა. ინანა თავის მამა ენქისთან სახლში შევიდა, ცრემლის ღვრით უჩივის:

“ანუნების, დიდი ღმერთების, ბედისწერა ენლილმა ხელთ ჩაგაბარა. მე, ქალი ვარ, მე რაგომ გამომგოვე? მე ბრწყინვალე ინანა ვარ. სად არის ჩემი წილი?”

“არურუს, ენლილის დას, ნინთურს, შობის დედოფალს, შობის აგური მისი ბაგონობისა მიეცეს! ჭიპლარის მოსაჭრელად დანა და ხახვი წაიღოს! თასი ნეღლი ლაქვარდისა მიეცეს! წმიდა ალა-ჭურჭელი წაიღოს! ქვეყნის ბებიაქალი იყოს! მეფეთა და ბაგონთა შობა მის ხელში იყოს!”

“ჩემს დიდებულ დას, ბრწყინვალე ნინისინას, ძვირფასი თველები მიეცეს, ცის ნუგივი (მხევალი) იყოს! ანთან იდგეს, ნებისაებრ ელაპარაკოს.

“ჩემს დიდებულს დას, ბრწყინვალე ნინმუგს, ოქროს ეჩო, ვერცხლის საჭრეთელი მიეცეს! ანთასურას დიდი ბასრი კაყი წაიღოს! ქვეყნის ოქრომჭედელი იყოს! მეფის შობისას მისი საშვენი გვირგვინი, ბაგონის შობისას მისი დაგვირგვინება მის ხელში იყოს!

ჩემს დიდებულ დას, ბრწყინვალე ნისაბას, საზომი ლერწამი მიეცეს! ლაქვარდის საზომი მკლავზე გადაიკიდოს! დიდი განგებანი გამოაცხადოს! საზღვრები მოხაზოს, მიჯნები გაავლოს, ქვეყნის მწერალი იყოს! ღმერთების ჭამა-სმა მის ხელში იყოს!

ნანშე, მაღალი დედოფალი, წმიდა პელიკანზე რომ უდგას ფეხი, მღვებზე სათევზაოთა შედამხედველი იყოს! ყოველგვარი გემრიელი თევზი, ყოველგვარი მსუქანი ფრინველი თავის მამასთან ენლილთან ნიპურში მიჰქონდეს!”

(ინანა)

“მე, ქალი ვარ, მე რატომ გამომტოვე? მე ბრწყინვალე ინანა ვარ. სად არის ჩემი წილი?”

ენქი თავის ასულს, ბრწყინვალე ინანას, ეგყვის:

“რა განგიკუთვნო? ინინ, რა განგიკუთვნო? რა დაგიმატო? ქალწულო ინანა, რა განგიკუთვნო? რა დაგიმატო? ქალის ხმაზე ტკბილად ილაპარაკე, შენს მკლავებზე [. . .]; მხრებზე გმირის სამოსელს მოგახურავ; მის მარჯვენას მის მარცხენად შეგაცვლევიანებ; ქალური ძალის სამოსელით შეგმოსავ, ქალურ ენას პირში ჩაგიდგამ, თითისტარს და სავარცხელს ხელში დაგაჭერიანებ, ქალის სამშვენისებს გაგიმრავლებ, არგანს და კომბალს მწყემსობისა მათ გვერდზე დაგიწყობ. ქალ-

წული ინანა, რა მოგაკუთვნო, რა დაგიმატო? ბრძოლის ორომგრი-
ალში სიცოცხლის სიტყვას გათქმევინებ; ყორანი არ ხარ, ბრძოლის
შუაგულში, ავის მომასწავებელ სიტყვას გათქმევინებ; სწორ ძაფებს
დაგახლართვინებ, ქალწულო ინანა, დახლართულ ძაფებს გაგამართ-
ვინებ; სამოსელს ჩაგაცმევ, სელით შეგმოსავ... ინანა, თავებს მტვერში
დაახვავებ, თავებს თესლივით დათესავ! ინანა, დაუნგრევებს დაან-
გრევ, დაუმკვიდრებელს დაამკვიდრებ! სამგლოვიარო დოლის ხმაზე
სამოსელს გამოიცვლი; ქალწულო ინანა, სამხიარულო დოლის ხმას
დააბრუნებ!.. ქალწულო ინანა, ღრმა ჭაში ბაწრის ჩაკიდება შენი
საქმე არ არის!

წარღვნის დასასრული

(ნაწყვეტი პოემიდან)

ქარიშხალნი ძლევამოსილნი
ყველანი ერთიანად მოვარდნენ.
წარღვნა მძვინვარებდა ხმელეთის პირზე.
შემდგომად შვიდი ღლისა და შვიდი ღამისა,
როცა წარღვნა მიწის პირს წარღვნიდა,
ხომალდს გაღლები მიმოიგაცებდა, –
მაშინ ამობრწყინდა მზის ღმერთი უთუ,
ცად და მიწად ნათლის მომფენელი.
ზიუსუდრამ გააღო ხომალდის სარკმელი,
ზიუსუდრა, მეფე, უთუს წინაშე განერთხა,
მეფემ ცხვარ-ძროხა მსხვერპლად შესწირა.
[. . . .]
ზიუსუდრა, მეფე, ანისა და ენლილის წინაშე განერთხა,
ღვთაებრივი სიცოცხლე მიანიჭეს მას,
მარადი სუნთქვა, ღვთაებრივი, შთაბერეს მას.
მათ ღღეთა შინა მეფე ზიუსუდრა,

შემნახველი სულდგმულთა და კაცთა თესლისა,
შორეულ ქვეყნად, დიღმუნის ქვეყნად,
ადგილზე მზის აღმოსავლისა,
ანმა და ენლილმა დაასახლეს.

ენლილი და ნინლილი

იყო ქალაქი, იყო ქალაქი, ჩვენ ერთნი ვცხოვრობდით იქ; ნიპური იყო ქალაქი ჩვენ ერთნი ვცხოვრობდით იქ; ღურგიშნიმბარი იყო ქალაქი, ჩვენ ერთნი ვცხოვრობდით იქ; ილსალა წმიდა მდინარე იყო, ქარ-გეშთინა მისი ყურე იყო; ქარ-ასარი მისი ყურე იყო, სადაც ნავეებს აბამდნენ. პულალი მისი ანკარა წყლის ჭა იყო იღნუნბირთუმი მისი არხის გოგი იყო და თუ გამოძავდი აქედან, ორმოცდაათ სარს რწყავდა ყოველ გზობაზე.

ენლილი ერთი მისი ყმაწვილკაცი იყო, ნინლილი მისი ერთი ყმაწვილქალი იყო. ნუნბარშეგუნუ მისი ერთი დედაბერი იყო.

მას ჟამს ქალწულს მისი დედა რჩევას აძლევდა, ნინლილს ნინბარშეგუნუ რჩევას აძლევდა: “მდინარე წმიდაა, ქალო! მდინარე წმიდაა – არ იბანაო მასში! ნინლილ, არ გაიარო იღნუნბირის ნაპირზე! მისი თვალები ნათელია, უფლის თვალები ნათელია, დაგინახავს! დიდი მთა, მამა ენლილი – მისი თვალები ნათელია, დაგინახავს!

ნამდვილად, მას სურდა ქალთან შეუღლება, უნდოდა მისი კოცნა! ნაგრობს, ძლიერი თესლი მოგიღვაროს საშოში, მერე დაგტოვოს მასთან ერთად!”

გულით ურჩევდა მას, სიბრძნეს აძლევდა. მდინარე წმიდა იყო, ქალწული ბანაობდა წმიდა მდინარეში.

ნინლილი მიმოდლოდა იდნინბირთუმის ნაპირზე, მისი თვალი ნათელი იყო, უფლის თვალი ნათელი იყო, შეხედა მას. დიდმა მთამ, მამა ენლილმა, მისი თვალი ნათელი იყო, შეხედა მას. მწყემსმა, რომელიც ბედისწერათ წყვეტს, მისი თვალი ნათელია, შეხედა მას. მეფემ უთხრა: “შენთან შეუღლება მსურს”, მაგრამ ვერ დაიყოლია იგი; ენლილმა უთხრა: “შენი კოცნა მსურს”, მაგრამ ვერ დაიყოლია იგი. “ჩემი საშო პაგარაა, ორსულობა არ იცის. ჩემი გუჩები ნორჩია, კოცნა არ იციან. თუ დედაჩემმა გაიგო, ხელზე დამარტყამს. თუ მამაჩემმა გაიგო, ხელს დამადებს! და მე ვერავინ დამაკავებს, რომ არ ვუამბო ჩემს დაქალებს”.

ენლილმა თავის ვეზირს ნუსკას უთხრა: “ნუსკა, ჩემო ვეზირო!” “მზად ვარ გემსახურო. რა გსურს? ექურის მშენებელი! მზად ვარ გემსახურო, ჩემო ბაგონო!” “ვინმე თუ შეუღლებია მას, ვინმეს თუ უკოცნია ასეთი მშვენიერი, სხივოსანი ქალწულისთვის, ნინლილისთვის, ასეთი მშვენიერისთვის, სხივოსანისთვის?” ვეზირმა თავისი ბაგონი ნავით გაღმა გაიყვანა, პაგარა ნავის ბაგირით გადაიყვანა, დიდი ნავით გადაიყვანა. ბაგონი, მდინარეზე რომ მიცურავდა, ნამდვილად შეეუღლა მას, ნამდვილად აკოცა მას; მამა ენლილი მდინარეზე რომ მიცურავდა, ნამდვილად შეეუღლა მას, ნამდვილად აკოცა მას; მაგრად ჩაეხუტა, ვისაც ეძებდა, ნამდვილად შეეუღლა მას, ნამდვილად აკოცა მას; როცა დაწვა მასთან მცირე ნაპირზე, ნამდვილად შეეუღლა მას, ნამდვილად აკოცა მას. ამ ერთი შეუღლებით, ამ ერთი კოცნით სუენაშიმბაბარის თესლი ჩაუღვარა საშოში.

ენლილი კიურში მიმოდლოდა. ენლილი, კიურში რომ მიმოდლოდა, ორმოცდაათმა დიდმა ღმერთმა და შვიდმა ღმერთმა, ბედისწერათ რომ გადაწყვეტენ, ენლილი კიურში დააგყვევეს. ენლილმა, გაუწმი-

დურებულმა, დაგოვა ქალაქი. ნუნამნირმა, გაუწმიდურებულმა, დაგოვა ქალაქი. ენლილი, თანახმად გადაწყვეტილებისა, წავიდა, ნუნამნირი, თანახმად გადაწყვეტილებისა, ენლილი წავიდა, ნინლილი გაჰყვა; ნუნამნირი წავიდა, ნინლილი გაედევნა.

ენლილმა უთხრა კაცს ქალაქის კარიბჭესთან: “ქალაქის კარიბჭის მცველო! მღურბლის მცველო! მეკარევ! წმიდა მღურბლის მცველო! როცა შენი ქალბატონი ნინლილი მოვა და მიკითხავს, არ უთხრა, სადა ვარ!”

ნინლილმა მიმართა ქალაქის კარიბჭის მცველს: “ქალაქის კარიბჭის მცველო! მღურბლის მცველო! მეკარევ! წმიდა მღურბლის მცველო! როდის გაიარა ენლილმა, შენმა ბატონმა?” მან ჰკითხა და ენლილმა, როგორც ქალაქის კარიბჭის მცველმა, უპასუხა: “ჩემს ბატონს არ ულაპარაკნია ჩემთან, მშვენიერო. ენლილს არ ულაპარაკნია ჩემთან, მშვენიერო!” “მე გეცყვი ჩემს ამბავს, გაგიცხადებ ჩემს განმრახვას: შენ აავსე ჩემი საშო, ცარიელი რომ იყო! ენლილი, ქვეყანათა ბატონი, შემეუღლა. თუ ენლილი ნამდვილად შენი ბატონია, მე შენი ქალბატონი ვარ!” “თუ შენ ჩემი ქალბატონი ხარ, ხელი შემახებინე შენთვის!” “შენი ბატონის თესლი, ბრწყინვალე თესლი, ჩემს საშოშია! სუენის თესლი, ბრწყინვალე თესლი, ჩემს საშოშია!” “ჩემი ბატონის თესლი ცაში წავა! ჩემი თესლი ქვემოთ წავა! ჩემი თესლი დაბლა წავიდეს, ჩემი ბატონის თესლის ნაცვლად!” ენლილმა, როგორც ქალაქის კარიბჭის მცველმა, დააწვინა იგი ოთახში. იგი შეეუღლა მას, აკოცა მას. ამ ერთი შეუღლებით, ამ ერთი კოცნით ნერგალ-მესლამთედას თესლი ჩაუღვარა საშოში.

ენლილი წავიდა, ნინლილი გაყვა. ნუნამნირი წავიდა, ქალი გაედევნა. ენლილი იდქურას, ქვესკნელი მდინარის, კაცისმჭამელი მდინარის

კაცთან მივიდა. “იღქურას, ქვესკნელი მდინარის, კაცისმჭამელი მდინარის ჩემო კაცო! როცა შენი ქალბატონი ნინლილი მოვა და მიკითხავს, არ უთხრა, სადა ვარ!” ნინლილი იღქურას, ქვესკნელი მდინარის, კაცისმჭამელი მდინარის კაცთან მივიდა. “იღქურას, ქვესკნელი მდინარის, კაცისმჭამელი მდინარის ჩემო კაცო! როდის გაიარა შენმა ბატონმა ენლილმა?” ჰკითხა მას. ენლილმა მიუგო როგორც იღქურას კაცმა: “ჩემს ბატონს არ ულაპარაკნია ჩემთან, მშვენიერო. ენლილს არ ულაპარაკნია ჩემთან, მშვენიერო!” “მე გეგყვი ჩემს ამბავს, გაგიცხადებ ჩემს განზრახვას: შენ აავსე ჩემი საშო, ცარიელი რომ იყო! ენლილი, ქვეყანათა ბატონი, შემეუღლა. თუ ენლილი ნამდვილად შენი ბატონია, მე შენი ქალბატონი ვარ!” “თუ შენ ჩემი ქალბატონი ხარ, ხელი შემახებინე შენთვის!” “შენი ბატონის თესლი, ბრწყინვალე თესლი, ჩემს საშოშია! სუენის თესლი, ბრწყინვალე თესლი, ჩემს საშოშია!” “ჩემი ბატონის თესლი ცაში წავა! ჩემი თესლი დაბლა წავა! ჩემი თესლი დაბლა წავიდეს, ჩემი ბატონის თესლის ნაცვლად!” ენლილმა, როგორც იღქურას კაცმა დააწვინა იგი ოთახში. იგი შეეუღლა მას, აკოცა მას. ამ ერთი შეუღლებით, ამ ერთი კოცნით მინდვრების მზომელის ნინაზუს თესლი ჩაუღვარა საშოში.

ენლილი წავიდა, ნინლილი გაყვა. ნუნამხირი წავიდა, ქალი გაედევნა. ენლილი სილუიგისთან, მებორნე კაცთან მივიდა. სილუიგი, მებორნე კაცო! როცა შენი ქალბატონი ნინლილი მოვა და მიკითხავს, არ უთხრა, სადა ვარ!” ნინლილი სილუიგისთან, მებორნე კაცთან მივიდა. “სილუიგი, მებორნე კაცო! როდის გაიარა შენმა ბატონმა ენლილმა?” ჰკითხა მას. ენლილმა მიუგო როგორც მებორნე კაცმა: “ჩემს ბატონს არ ულაპარაკნია ჩემთან, მშვენიერო. ენლილს არ ულაპარაკნია ჩემთან, მშვენიერო!” “მე გეგყვი ჩემს ამბავს, გაგიცხადებ ჩემს განზრახ-

ვას: შენ აავსე ჩემი საშო, ცარიელი რომ იყო! ენლილი, ქვეყანათა ბაგონი, შემეულლა. თუ ენლილი ნამღვილად შენი ბაგონია, მე შენი ქალბაგონი ვარ!” “თუ შენ ჩემი ქალბაგონი ხარ, ხელი შემახებინე შენთვის!” “შენი ბაგონის თესლი, ბრწყინვალე თესლი, ჩემს საშოშია! სუენის თესლი, ბრწყინვალე თესლი, ჩემს საშოშია!” “ჩემი ბაგონის თესლი ცაში წავა! ჩემი თესლი დაბლა წავა! ჩემი თესლი დაბლა წავიდეს, ჩემი ბაგონის თესლის ნაცვლად!” ენლილმა, როგორც მებორნე კაცმა, დააწვინა იგი ოთახში. იგი შეეულლა მას, აკოცა მას. ამ ერთი შეუღლებით, ამ ერთი კოცნით ენბილულუს, არხების ზეღამხედველის თესლი ჩაუღვარა საშოში.

შენ ხარ ბაგონი! შენ ხარ მეფე! ენლილ, ბაგონი ხარ! მეფე ხარ! ნუნ-ამნირ, ბაგონი ხარ! მეფე ხარ! უზენაესი ბაგონი ხარ! ძლიერი ბაგონი ხარ! ბაგონი, რომელიც სელს აღმოაცენებს, ბაგონი, რომელიც ხორბალს აღმოაცენებს! ცის ბაგონი ხარ, სიუხვის ბაგონი, მიწის ბაგონი! მიწის ბაგონი ხარ, სიუხვის ბაგონი, ცის ბაგონი! ენლილი ცაშია, ენლილი მეფეა! ბაგონი, რომლის ნათქვამი არ იცვლება! მისი დასაბამიერი ნათქვამი არ გადასხვაფერდება! ქება-დიდება ღედა ნინლილს, ქება-დიდება მამა ენლილს!

ენლილი და ნამზიდთარა

ნამზიდთარამ ენლილს ჩაუარა. ჰკითხა ენლილმა: “საიდან მოდიხარ?”

“ენლილის გაძრიდან. ჩემი სამსახურის ჯერი დასრულდა. გუდუქურუმებს ვემსახურები, მათ ცხვრებს ვმწყემსავ. ახლა შინ მივდივარ. ნუ მაყოვნებ, მექარება. შენ ვინ ხარ, რომ მეკითხები?”

“ენლილი ვარ”.

ენლილს სახე ჰქონდა შეცვლილი: ყორნად ქცეულიყო და ყრანგალებდა.

“შენ ყორანი არა ხარ, შენ ნამღვილად ენლილი ხარ”.

“როგორ მიხვდი, რომ ენლილი ვარ, ბედისწერათა დამსაზღვრელი?”

“როცა შენი ბიძა ენმეშარა გყვედ იყო და ენლილობა მიისაკუთრა, თქვა: ამიერიდან კი მეცოდინება ბედისწერანი, როგორც მეუფეს შემვენის”.

“შეიძენ ძვირფას ლითონს, შეიძენ ძვირფას ქვებს, შეიძენ ნახირს ან ცხვარს, მაგრამ კაცის დღე სულმუდამ ახლოს არის. სად წაგიყვანს შენი ღოვლათი? ახლა მე ნამღვილად ენლილი ვარ, ბედისწერათა დამსაზღვრელი. რა არის შენი სახელი?”

“ჩემი სახელი ნამზიდთარაა”.

“შენი ბედი შენი სახელის შესაფერი იქნება. დაგოვე შენი პაგრონის სახლი და შენი მემკვიდრეები მოვლენ და ჩემს გაძარში ივლიან”.

ინანა და შუქალეთუდა

დელოფალი, დიდი მეთა მფლობელი, ღირსი ბალდახინისა; ინანა, დიდი მეების მფლობელი, წმიდა ბალდახინს რომ აბრწყინებს; ინანა, რომელიც ეანაში საკვირველად ღვას; იმ დღეს ქალწული მთაში ავიდა, ბრწყინვალე ინანა მთაში ავიდა; სიცრუის და სიმართლის საცოდნელად, ქვეყნის გულის გამოსარკვევად, ჭეშმარიტი კაცის მოსაძებნად მთაში ავიდა. ახლა კაცმა კაცს რა უთხრა?

კაცმა კაცს რა სიგყვა შესძინა? ჩემი დელოფალი მთის გარეულ ხართან დადგა, მეები ხელთ უპყრია, ინანა მთიანეთის თხებთან ღვას, მეები ხელთ უპყრია. ახლა კაცმა კაცს რა უთხრა?

კაცმა კაცს რა სიგყვა შესძინა? იმ დღეს ცა დაგოვა, მიწა დაგოვა, მთაში ავიდა; ინანამ ცა დაგოვა, მიწა დაგოვა, მთაში ავიდა; უნუგში ეანა დაგოვა, მთაში ავიდა; მბაბალამში გიგუნა დაგოვა, მთაში ავიდა [. . . .]. ინანამ თავისი სამოსელი დაგოვა [. . . .]. მთაში ავიდა. ახლა კაცმა კაცს რა უთხრა? კაცმა კაცს რა სიგყვა შესძინა?

[. . . .]

მას შემდეგ, რაც ძებნით დაიღალა, ჩემი საწმიდრის უკანა ოთახში შევიდა. ახლა კაცმა კაცს რა უთხრა? კაცმა კაცს რა სიგყვა შესძინა?

[. . . .]

ბრძენმა სიტყვა დასძინა: “ყორანო, სიტყვას გეტყვი, ჩემი სიტყვა შეისმინე; ყორანო, საწმიდარში სიტყვას გეტყვი, ჩემი სიტყვა შეისმინე...”

ახლა კაცმა კაცს რა უთხრა? კაცმა კაცს რა სიტყვა შესძინა? ყორანმა თავისი მეფის სიტყვას ყური ათხოვა [. . . .].

[. . . .]

ბრძენი ამბობს სიტყვას: “ყორანო, რჩევას მოგცემ, ჩემი რჩევა ყურად იღე. ყორანო, საწმიდარში რჩევას მოგცემ, ჩემი რჩევა ყურად იღე. ჯერ დანაყე ფერუმარილი ერიდუს შემლოცველი ქურუმებისთვის; მეთში და წყალში, ლაქვარდის თასში რომ არის საწმიდარის უკანა ოთახში, გაურთე. მერე დარგე ისინი ბაღში, მერე ამოთხარე”. ახლა კაცმა კაცს რა უთხრა? კაცმა კაცს რა სიტყვა შესძინა?

ყორანმა ყურად იღო პაგრონის რჩევა. დანაყა ფერუმარილი ერიდუს შემლოცველი ქურუმებისთვის, შეაბავა მეთში და წყალში, ლაქვარდის თასში რომ არის საწმიდარის უკანა ოთახში, გაურთა. მერე დარგა ისინი ხახვის კვალში ბაღში, მერე ამოთხარა. მცენარე იმრდება ბაღში ხახვივით, საკვირველად მღვარი ხახვის ღეროსავით. ვის უნახავს ასეთი რამ აქამდე? რომ ფრინველი, მსგავსი ყორნისა, კაცის საქმეს ასრულებდეს, აკეთებდეს საპირწონედ ოწინარის გვირთს მის ასაწევად და დასაწევად? აკეთებდეს საპირწონედ ოწინარის გვირთს მის დასაწევად და ასაწევად? ვის უნახავს აქამდე ასეთი რამ?

მერე ყორანი ადგა ამ საკვირველებიდან და ხეზე ბაწარს აჰყვა. დანაყა ფერუმარილი ერიდუს შემლოცველი ქურუმებისთვის, შეაბავა მეთში და წყალში, ლაქვარდის თასში რომ არის საწმიდარის უკანა ოთახში, გაურთა. მერე დარგო ისინი ხახვის კვალში ბაღში, მერე

ამოთხარა. მცენარე იზრდება ბაღში ხახვივით, საკვირველად მღგარი ხახვის ღეროსავით.

(ყორნის ეპიზოდი, არცთუ სავსებით გასაგები, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც კავშირია შუქალთუდასა და ინანას ურთერთობასთან, რაკი პარალელურად გასდევს მას. ყორნის ქმედებებზე, რომელსაც იგი ენქის დავალებით ასრულებს, ავგორი მრავალჯერადად ასკვნის: “რომ ფრინველი, როგორიც ყორანია, კაცის საქმეს ასრულებდეს, ვის უნახავს აქამდე ასეთი რამ?”)

შუქალეთუდა სახელად, ძე იგისიგისიგისა, წასულიყო ბოსგნის მოსარწყავად, სარწყავი მოწყობილობის გასამართავად მცენარეთა შორის. მაგრამ არც ერთი მცენარე არ დარჩა, ყველა ერთიანად ფესვებითურთ ამოძირკვა და გაანადგურა. მერე ქარიშხალმა რა მოიგანა? თვალებში მგვერი მიაბერა მთიანეთიდან. თვალის უპეები მოუფშენიგა, მაგრამ ერთის მეგი ვერ ამოილო. გაიხედა ქვემოთისკენ და დაინახა მაღალი ღმერთები ქვეყნისა, საიდანაც მზე ამოდის; გაიხედა მთიანეთისკენ და დაინახა ამაღლებული ღმერთები ქვეყნისა, სადაც მზე ჩადის. დაინახა მარგოხელა სული და გამოიცნო მარგოხელა ღმერთი მისი გარეგნობით. დაინახა ვინმე, ღვთიური ძალებით მოსილი. ხედავდა მას, ვისი ბედიც ღმერთებმა დასამღვრეს. იმ ადგილას – განა არ მისულა იქ წინათ ხუთგმის და ათგმის? – იღგა მარგოხელა მაჩრდილოელი ხე. ეს იყო ევფრაგის ფართოჩრდილიანი ალვისხე. მისი ჩრდილი არ მცირდებოდა დილაობით, არ იცვლებოდა არც შუადღისას, არც მწუხრისას.

ერთხელ, როცა ჩემმა ქალბატონმა ცა შემოიარა, ხმელეთი შემოიარა; როცა ინანამ ცა შემოიარა, ხმელეთი შემოიარა, ელაში და სუბირი შემოიარა, ცის გადაჭლობილი კაბადონი შემოიარა, ქალბატონ-

ნი ისე დაიღალა, რომ როგორც კი ხის ჩრდილს მიაღწია, მის ძირას მიეძინა. შუქალეთუღამ თვალი მოკრა თავისი ადგილიდან. ინანას სარცხვინელზე არდაგი ემოსა, შვიდი ღვთიური ძალით შემოსილი; სარცყელი ერცყა, შვიდი ღვთიური ძალით შემკული. შუქალეთუღამ ახალა არდაგი, შვიდი ღვთიური ძალით შემოსილი, შეხსნა სარცყელი, შვიდი ღვთიური ძალით შემოსილი; და დააწვინა მის საწოლზე, შეეუღლა მას და აკოცა. რა შეეუღლა და აკოცა, დაბრუნდა თავის ადგილზე. როცა გათენდა და უთუ (მზე) ამოვიდა, ქალმა აქეთ-იქით მიმოიხედა, საგონებელში ჩავარდა: ვინ ხელყო მისი სარცხვინელი? წმიდა ინანამ აქეთ-იქით მიმოიხედა, საგონებელში ჩავარდა: ვინ ხელყო მისი სარცხვინელი? და მან აავსო სისხლით ქვეყნის ჭები, სისხლით ირწყვება ქვეყნის ბალები, სისხლს სვამდა შემაზე წასული მონაბიჭი, სისხლს სვამდა წყალზე წასული მონა-გოგო, სისხლს სვამდნენ შავთავიანები. არავინ უწყოდა, როდემდე იქნებოდა ასე. ქალმა თქვა: ყველგან მოვებენი კაცს, ვინც შემეუღლა.

მაგრამ მთელ ქვეყანაზე ვერ მოებენა კაცი, რომელიც შეეუღლა. ახლა კაცმა კაცს რა უთხრა? კაცმა კაცს რა სიგყვა შესძინა?

ვაჟი შინ წავიდა თავის მამასთან და უთხრა; შუქალეთუღამ შინ წავიდა თავის მამასთან და უთხრა:

“ბალის მოსარწყავად ვიყავი წასული, სარწყავი მოწყობილობის გასამართავად მცენარეთა შორის. მაგრამ არც ერთი მცენარე არ დარჩა, ყველა ერთიანად ფესვებითურთ ამოვძირკვე და გავანადგურე. მერე ქარიშხალმა რა მოიგანა? თვალეებში მგვერი მომაბერა მთიანეთიდან. თვალის უპეები მოვიფშენიგე, მაგრამ ერთის მეტი ვერ ამოვიღე. გავიხედე ქვემოთისკენ და დავინახე მაღალი ღმერთები ქვეყნისა, საიდანაც მზე ამოდის; გავიხედე მთიანეთისკენ და დავი-

ნახე ამადლებული ღმერთები ქვეყნისა, სადაც მზე ჩადის. ღავინახე მარგოხელა სული და შევიცანი მარგოხელა ღმერთი მისი გარეგნობით. ღავინახე ვინმე, ღვთიური ძალებით მოსილი. ვხედავდი მას, ვისი ბედიც ღმერთებმა დასაზღვრეს. იმ ადგილას – განა არ მივსულვარ იქ წინათ ხუთგზის და ათგზის? – იდგა მარგოხელა მაჩრდილობელი ხე. ეს იყო ევფრაგის ფართოჩრდილიანი ალვისხე. მისი ჩრდილი არ მცირდებოდა დღილობით, არ იცვლებოდა არც შუადღისას, არც მწუხრისას. ერთხელ, როცა ჩემმა ქალბატონმა ცა შემოიარა, ხმელეთი შემოიარა; როცა ინანამ ცა შემოიარა, ხმელეთი შემოიარა, ელაში და სუბირი შემოიარა, ცის გადაჭლობილი კაბადონი შემოიარა, ქალბატონი ისე დაიღალა, რომ როგორც კი ხის ჩრდილს მიაღწია, მის ძირას მიეძინა. თვალი მოვკარი მას ჩემი ბაღიდან, შევეუღლე მას და ვაკოცე მას. მერე დავბრუნდი ჩემს ბაღში”.

ქალი საგონებელში ჩავარდა: “ვინ ხელყო ჩემი სარცხვინელი?” წმიდა ინანა საგონებელში ჩავარდა: “ვინ ხელყო ჩემი სარცხვინელი?” და მან აავსო სისხლით ქვეყნის ჭები, სისხლით ირწყვება ქვეყნის ბაღები, სისხლს სვამს შემაგე წასული მონა-ბიჭი, სისხლს სვამს წყალზე წასული მონა-გოგო, სისხლს სვამენ შავთავიანები. არავინ უწყობდა, როდემდე იქნებოდა ასე. ქალმა თქვა: “ყველგან მოვებნი კაცს, ვინც შემეუღლა”.

მაგრამ მთელ ქვეყანაზე ვერ მოვებნა კაცი, რომელიც შეეუღლა.

მისმა მამამ მიუგო ვაჟს, მისმა მამამ მიუგო შუქალეთუდას:

“შვილო, წადი, ქალაქში შენს ძმებს შეერიე. ახლავე წადი შავთავიანებთან, შენს ძმებთან. მაშინ ის ქალი მთებში ვერ გიპოვნის”.

წავიდა შუქალეთუდა, ქალაქში თავის ძმებს შეერია; მაშინვე წავიდა შავთავიანებთან, თავის ძმებთან. და ქალმა ვერ იპოვა იგი მთებში.

მაშინ ქალი მეორედ ჩავარდა საგონებელში: ვის უნდა ხელეყო მისი სარცხვინელი? ინანა მეორედ ჩავარდა საგონებელში: ვის უნდა ხელეყო მისი სარცხვინელი? ამხედრდა ღრუბელზე, თან თავისი გახტი წაიგანა. სამხრეთის ქარი და წარღვნის ქარი მის წინ მიჰქრიან, *პილიპილი* და მგვრის ქარბორბალა უკან მისდევენ; აბბა-შუშუ, ინიმ-ქურ-ღუგ-ღუგ, მრჩეველი, შვიდი მშველელი თანახლდა უღაბნოში, ამბობდა: “დავძებნი კაცს, რომელიც შემეუღლა”. მაგრამ ვერსად იპოვა კაცი, რომელიც შეეუღლა მას.

ვაჟი შინ წავიდა თავის მამასთან, უთხრა; შუქალეთუდა შინ წავიდა თავის მამასთან, უთხრა: “მამაჩემო, ქალი, რომელზეც გელაპარაკე, ის ქალი მეორედ ჩავარდა საგონებელში, თუ ვინ ხელეყო მისი სარცხვინელი, ინანა საგონებელში ჩავარდა, თუ ვინ ხელეყო მისი სარცხვინელი. ამხედრდა ღრუბელზე, თან თავისი გახტი წაიგანა, სამხრეთის ქარი და წარღვნის ქარი მის წინ მიჰქრიან; *პილიპილი* და მგვრის ქარბორბალა უკან მისდევენ; აბბა-შუშუ, ინიმ-ქურ-ღუგ-ღუგ, მრჩეველი, შვიდი მშველელი უღაბნოში თანახლდა. ამბობდა: ყველგან დავძებნი კაცს, რომელიც შემეუღლა. მაგრამ ვერსად იპოვა კაცი, რომელიც შეეუღლა მას”.

მისმა მამამ მიუგო ვაჟს; მისმა მამამ მიუგო შუქალეთუდას:

“შვილო, წადი, ქალაქში შენს ძმებს შეერიე. ახლავე წადი შავთავიანებთან, შენს ძმებთან. მაშინ ის ქალი მთებში ვერ გიპოვნის”.

წავიდა შუქალეთუდა, ქალაქში თავის ძმებს შეერია; მაშინვე წავიდა შავთავიანებთან, თავის ძმებთან. და ქალმა ვერ იპოვა იგი მთებში.

ქალი მესამედ ჩავარდა საგონებელში, თუ ვინ ხელეყო მისი სარცხვინელი; ინანა მესამედ ჩავარდა საგონებელში, თუ ვინ ხელეყო მისი

სარცხვინელი. ხელთ იპყრა [. . .], ჩახერგა ქვეყნის გზები. მის გამო შავთავიანები ვერ მიდი-მოდიოდნენ. ამბობდა: “ყველგან ღავძეხნი კაცს, რომელიც შემეულა”. მაგრამ ვერსად იპოვა კაცი, რომელიც შეეულა მას. მაგრამ ვერსად იპოვა კაცი, რომელიც შეეულა მას.

ვაჟი შინ წავიდა თავის მამასთან, უთხრა; შუქალეთუდა შინ წავიდა თავის მამასთან, უთხრა: “მამაჩემო, ქალი, რომელმაც გელაპარაკე, ის ქალი მესამედ ჩავარდა საგონებელში, თუ ვინ ხელყო მისი სარცხვინელი; ინანა საგონებელში ჩავარდა, თუ ვინ ხელყო მისი სარცხვინელი. ხელთ იპყრა [. . .], ჩახერგა ქვეყნის გზები. მის გამო შავთავიანები ვერ მიდი-მოდიოდნენ. ამბობს: “ყველგან ღავძეხნი კაცს, რომელიც შემეულა. მაგრამ ვერსად იპოვა კაცი, რომელიც შეეულა მას”.

მისმა მამამ მიუგო ვაჟს, მისმა მამამ მიუგო შუქალეთუდას: “შვილო, წადი, ქალაქში შენს ძმებს შეერიე. ახლავე წადი შავთავიანებთან, შენს ძმებთან. მაშინ ის ქალი მთებში ვერ გიპოვნის”.

წავიდა შუქალეთუდა, ქალაქში თავის ძმებს შეერია; მაშინვე წავიდა შავთავიანებთან, თავის ძმებთან. და ქალმა ვერ იპოვა იგი მთებში.

როცა გათენდა და უთუ (მზე) ამოვიდა, ქალმა გასინჯა თავი გულმოდგინედ, ბრწყინვალე ინანამ გასინჯა თავი გულმოდგინედ: “ეჰა, ვინ მიზღავს, ვინ მიზღავს იმისათვის, რაც შემემთხვა? არ შევაგყობინო ჩემს მამას ენქის?” ბრწყინვალე ინანა ერიღუს აბზუსკენ გაემართა. განერთხა მიწაზე მის წინაშე და ხელები გაიწვდინა მისკენ. “მამა ენქი, უნდა მეზღოს! ვინმემ უნდა მიზღოს იმისათვის, რაც შემემთხვა. მე მხოლოდ მაშინ შევალ კმაყოფილი ჩემს საწმიდარში, როცა გადმომცემ იმ კაცს აბზულან”. ენქიმ: “კეთილი”, თქვა: “იყოს!” და გაბრუნდა ბრწყინვალე ინანა აბზულან. და განერთხა იგი ცაზე

ცისარგყელად და მთელს ხმელეთზე გადმოეფინა, თავის ქვეშ გაატარა სამხრეთის ქარი.

შუქალეთულამ თავი დაიპაგარავა, სადამდისაც კი შეეძლო, მაგრამ ქალმა იპოვა იგი მთებს შორის. და უთხრა ბრწყინვალე ინანამ შუქალეთულას: “როგორ?.. ძაღლო!.. ვირო!.. ღორო!”

შუქალეთულამ წმიდა ინანას ასე მიუგო:

“ბაღის მოსარწყავად ვიყავი წასული, სარწყავი მოწყობილობის გასამართავად მცენარეთა შორის. მაგრამ არც ერთი მცენარე არ დარჩა, ყველა ერთიანად ფესვებითურთ ამოვიძირკვე და გავანადგურე. მერე ქარიშხალმა რა მოიგანა? თვალებში მგვერი მომაბერა მთიანეთიდან. თვალის უპეები მოვიფშვნიგე, მაგრამ ერთის მეტი ვერ ამოვიღე. გავიხედე ქვემოთისკენ და დავინახე მაღალი ღმერთები ქვეყნისა, საიდანაც მზე ამოდის; გავიხედე მთიანეთისკენ და დავინახე ამაღლებული ღმერთები ქვეყნისა, სადაც მზე ჩადის. დავინახე მარგოხელა სული და შევიცანი მარგოხელა ღმერთი მისი გარეგნობით. დავინახე ვინმე, ღვთიური ძალებით მოსილი. ვხედავდი მას, ვისი ბედის ღმერთებმა დასაზღვრეს. იმ ადგილას – განა არ მივსულვარ იქ წინათ ხუთგმის და ათგმის? – იდგა მარგოხელა მაჩრდილობელი ხე. ეს იყო ეფფრაგის ფართოჩრდილიანი ალვისხე. მისი ჩრდილი არ მცირდებოდა დილაობით, არ იცვლებოდა არც შუადღისას, არც მწუხრისას. ერთხელ, როცა ჩემმა ქალბატონმა ცა შემოიარა, ხმელეთი შემოიარა; როცა ინანამ ცა შემოიარა, ხმელეთი შემოიარა, ელამი და სუბირი შემოიარა, ცის გადაჭლობილი კაბადონი შემოიარა, ქალბატონი ისე დაიღალა, რომ როგორც კი ხის ჩრდილს მიაღწია, მის ძირას მიეძინა. თვალი მოვკარი მას ჩემი ბალიდან, შევეუღლე მას და ვაკოცე მას. მერე დავბრუნდი ჩემს ბაღში”.

ასე რომ ელაპარაკა მას, ბრწყინვალე ინანამ [. . . .] ბედი დაუსაზღვრა მას, უთხრა:

“ასე! შენ მოკვდები! მაგრამ მე რა? შენი სახელი მაინც არ იქნება დავიწყებული, შენი სახელი დარჩება სიმღერებში და დაამშვენებს სიმღერებს. ჭაბუკი მომღერალი მეფის სასახლეში ტკბილად იმღერებს, მწყემსი სადღვებელთან კეთილად იამბობს. მწყემსის ბიჭი წაიღებს შენს სახელს იქ, სადაც ცხვრები მრავლობენ. უღაბნოს სასახლე შენი სახლი იქნება!”

შუქალეთუდა [. . . .]. რაკი მისი ბედი დაისაზღვრა, დიდება ინანას!

ინანა და ღუმუზი

წუხელ, ოდეს დედოფალი ვბრწყინავდი,
წუხელ, ოდეს ცის დედოფალი ვბრწყინავდი,
ოდეს ვბრწყინავდი და ვროკავდი,
ოდეს გზაზე მივიმღეროდი,
ხოლო ღამეს ნათელი ძლევდა,
შემომხვდა იგი, შემომხვდა იგი,
უფალი ქულიანა შემომხვდა მე,
უფალმა ხელი ჩემს ხელს ჩასჭიდა,
უშუმგალანა გადამეხვია.
“გამიშვი, ჩემო ხარო, შინ წავიდე!
ქული-ენლილ, გამიშვი, შინ წავიდე!
რა ვუთხრა დედაჩემს, როგორ ვეცრუო?
რა ვუთხრა დედაჩემს, ნინგალს, როგორ ვეცრუო?”
“მე გასწავლი, მე გასწავლი!
ინანა, უცბიერესო ასულთა შორის, მე გასწავლი!
უთხარ: ჩემს ღობილს უბან-უბან დავყავდი,
მემუსიკე როკვით შემოგვეყარა,
ტკბილს და საამურ სიმღერას მიმღეროდა,
ტკბილ განსაცხრომელში ქამი გავაგარე.

ამგვარად ეცრუე დედაჩემს, რა შეხვდები.
რა მთვარის შუქზე სიყვარულის საფსებას ავიღებთ,
წმიდა სარეცელს ალერდით მოგიფენ,
ტკბილი დღე მხიარულ აღსასრულს მოგიგანს”.
“დედაჩემის კარიბჭისკენ მივდივარ,
მხიარული მივემართები.
ნინგალის კარიბჭისკენ მივდივარ,
მხიარული მივემართები.
დედაჩემს ღუმუში სიგყვას ეტყვის,
კვიპაროსის ბეთს ზღურბლზე მოასხურებს.
ვისი სადგომნიც სურნელებით ფშვენენ,
ვის სიგყვებსაც ნეგარება მოაქვთ,
უფალო ჩემო, უბიწონაკეთიანო,
ამა-უშუმგალანა, გუენას სიძევ,
უფალო ჩემო, სიუხვით ჰყვავიხარ,
ტკბილია ნაყოფი შენი, ნელლი ბალახი.
ამა-უშუმგალანა, სიუხვით ჰყვავიხარ,
ტკბილია ნაყოფი შენი, ნელლი ბალახი”.

ინანას ნიშნობა

უთუ თავის დას აღერსით ეტყვის:
“დაო, სელი მინდვრად უხვად იმრდება,
ინანა, სელი მინდვრად უხვად იმრდება.
დაო, სელს მოგიგან,
ინანა, სელს მოგიგან!”
“ძმაო ჩემო, სელს რომ მომიგან,
ვინ დამიქსელავს, ვინ დამიქსელავს?
იმ სელს ვინ დამიქსელავს?”
“დაო ჩემო, დამქსელავს მოგიყვან,
ინანა, დამქსელავს მოგიყვან!”
“ძმაო ჩემო, დამქსელავს რომ მომიყვან,
ვინ დამისთავს, ვინ დამისთავს?
იმ სელს ვინ დამისთავს?”
“დაო ჩემო, დამსთავს მოგიყვან,
ინანა, დამსთავს მოგიყვან!”
“ძმაო ჩემო, დამსთავს რომ მომიყვან,
ვინ დამიგრეხს, ვინ დამიგრეხს?
იმ სელს ვინ დამიგრეხს?”

“ღაო ჩემო, ღამგრეხელს მოგიყვან,
ინანა, ღამგრეხელს მოგიყვან!”
“ძმაო ჩემო, ღამგრეხელს რომ მომიყვან,
ვინ გამიმართავს, ვინ გამიმართავს?
იმ სელს ვინ გამიმართავს?”
“ღაო ჩემო, გამმართავს მოგიყვან,
ინანა, გამმართავს მოგიყვან”
“ ძმაო, ჩემო, გამმართავს რომ მომიყვან,
ვინ მომიქსოვს, ვინ მომიქსოვს?”
“ღაო ჩემო, მქსოველს მოგიყვან,
ინანა, მქსოველს მოგიყვან!”
“ძმაო ჩემო, მქსოველს რომ მომიყვან,
ვინ შემიკერავს, ვინ შემიკერავს?
იმ სელს ვინ შემიკერავს?”
“ღაო ჩემო, მკერავს მოგიყვან,
ინანა, მკერავს მოგიყვან!”
“ძმაო ჩემო, მკერავს რომ მომიყვან,
ვინ მომიწვება, ვინ მომიწვება?”
“ის მოგიწვება, ის მოგიწვება,
სასიძო შენი მოგიწვება.
ღაგალ-უშუმგალანა მოგიწვება,
წმიღა საშოს ღანაბადი მოგიწვება,
მეფის ნაშიერი მოგიწვება!”
“რალა ქნას კაცმა, გულისა ჩემის ნანღაურმა,
კაცმა, გულითა ჩემით მოხმობიღმა,
რომელიც ბელღებს ხორბლით აღავსებს,

მიწისმოქმედმა, ხორბლის მეხვავემ?
მწყემსმა რა იცის, ფარეხის გარდა?”
მისი ძმა უთუ, ქველი მეომარი,
უბიწო ინანას კვლავ ეცყვის:
“დაო ჩემო, მწყემსმა წაგიყვანოს!
ქალწულო ინანა, რად არ ინებებ?
ტკბილია ერბო მისი, ტკბილია რძე მისი.
ინანა, ღუმუშიმ წაგიყვანოს!
ჰოი, ძვირფასი თვლებით შემკულო, რად არ ინებებ?
ტკბილ ნაღებს მისას ერთად შეექცეით!
ჰოი, მეფეთა მფარველო, რად არ ინებებ?”
“მე მწყემსი იგი ვერ წამიყვანს,
ახალი სამოსელით ვერ შემმოსავს.
მე, ქალწულს, მიწისმოქმედი წამიყვანს,
მიწისმოქმედი, ხილის მომყვანი,
მიწისმოქმედი, ხორბლის მეხვავე”.
მწყემსი ღუმუში თავის ქალბატონს ასე ეცყვის:
“მიწისმოქმედი მე რითი მჯობს?
ენქიმღუ, კაცი არხებისა და გუთნისა,
მიწისმოქმედი მე რითი მჯობს?
უკეთუ მომცემს თავის შავ ხორბალს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ჩემს შავ ცხვარს მივცემ.
უკეთუ მომცემს თავის თეთრ ხორბალს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს, ჩემს თეთრ ცხვარს მივცემ.
უკეთუ დამისხამს თავის ლულს, უკეთესს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ყვითელ რძეს დავესხამ.

უკეთუ დამისხამს თავის ლუდს მათრობელს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ჩემს მაწონს დავუხსამ.
უკეთუ დამისხამს თაფლუჭს უკეთესს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს აღღვებულ რძეს დავუხსამ.
უკეთუ მომცემს თავის ხილს უტკბილესს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ჩემს კარაქს მივცემ,
უკეთუ მომცემს თავის პურს უკეთესს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ჩემს ტკბილ ყველს მივცემ.
ხოლო შემდგომად ჭამისა და სმისა
ნაღებსაც უხვად დავუტოვებ,
რძესაც უხვად დავუტოვებ.
მიწისმოქმედი რით მაჯობებს?”
ის ჰყვავის, ის ჰყვავის,
ჰყვავის მორწყული მკერდი მიწისა.
მორწყულ მიწაზე მწყემსი მიმოდის,
მორწყულ მიწაზე მწყემსი ცხვარს აძოვებს.
მწყემსს, მორწყულ მიწაზე ცხვრის მადოვებელს,
მწყემსს მიწისმოქმედი შეეყარა.
მიწისმოქმედი ენქიმდუ შეეყარა.
მეუფე არხებისა ღუმუზის შეეყარა.
მის ველზე მწყემსმა, მის ველზე, დავა გაუმართა,
მწყემსმა ღუმუზიმ მის ველზე დავა გაუმართა.
“მე შენთან, მწყემსო, შენთან, მწყემსო,
მე შენთან რად უნდა ვდავობდე?
ძოვდეს შენი ცხვარი ჩემს მორწყულ მიწაზე,
ჩემს ყანებში შენი ცხვარი დაბალახობდეს,

უნუგის ბრწყინვალე ველებზე თავთავსა ჭამდეს,
შენი კრავი და თიკანი არხის წყალს სვამდეს!”
“მაშინ ჩემს ქორწილზე მე, მწყემსი, ჩემს ქორწილზე,
მიწისმოქმედო, მაყრად წაგიყვან!
მიწისმოქმედო, ენქიმდუ, მაყრად წაგიყვან!”
“მე კი პურს მოგიგან, ცერცვს მოგიგან,
ხორბალს მოგიგან, თაფლუჭს მოგიგან,
ქალწულო ინანა, ყოველივე უკეთესს მოგიგან!”
დავაში მწყემსისა და მიწისმოქმედისა,
ქალწულო ინანა, კეთილ არს ქება შენი!

ინანა-ღუმუზის ტრფიალება

ღაო, შენთან ერთად ჩემს ყანაში წავილოდი,
ღაო, მშვენიერო, შენთან ერთად ჩემს ყანაში წავილოდი,
შენთან ერთად ჩემს ფართო ყანაში წავილოდი,
შენთან ერთად ჩემს მცირე ყანაში წავილოდი,
აღრეული წყლებით მორწყულ ჩემს აღრეულ თავთავთან,
გვიანი წყლებით მორწყულ ჩემს საგვიანო თავთავთან...

* * *

შემიყვანა, იქ შემიყვანა,
ჩემმა ძმამ ბაღში შემიყვანა,
ღუმუზიმ ბაღში შემიყვანა.
აღმართულ ხეთა შორის მასთან ერთად დავდიოდი,
წაქცეულ ხეთა შორის მასთან ერთად დავდიოდი,
ვაშლის ხესთან, როგორც წესია, ვიჩოქებდი.

ჩემი ძმის წინაშე, სიმღერით რომ მოდიოდა,
ღუმუზის წინაშე, ჩემკენ რომ მოდიოდა,
თამარისკის ბუჩქებიდან ჩემკენ რომ მოდიოდა,

ფინიკის მგევენებიდან ჩემკენ რომ მოდიოდა, –
ნორჩ ნერგებს საშოდან აღმოვუცენებდი,
ნორჩ ნერგებს მის წინაშე ვაწყობდი,
ხორბალს მის წინაშე ვახვავებდი...

* * *

მას სწყურია, სწყურია, სარეცელი სწყურია,
გულის სიხარულის სარეცელი სწყურია, სარეცელი სწყურია,
სარეცელი, საამური უბე სწყურია, სარეცელი სწყურია,
სამეფო სარეცელი სწყურია, სარეცელი სწყურია,
სადელოფლო სარეცელი სწყურია, სარეცელი სწყურია,
მის საამურ სარეცელს, მის საამურს, მის საამურ სარეცელს,
გულის სიხარულის სარეცელს, მის საამურ სარეცელს,
სარეცელს, საამურ უბეს, მის საამურს, მის საამურ სარეცელს,
სამეფო სარეცელს, მის საამურ სარეცელს, მის საამურ სარეცელს,
სადელოფლო სარეცელს, მის საამურს, მის საამურ სარეცელს,
საამურ სარეცელს გაუშლიან, სარეცელს გაუშლიან...

* * *

“შენი გულის რჩეულმა მეფემ, შენმა საყვარელმა ქმარმა, შენს
წმიდა და საამურ უბეში მრავალი ჟამი გაატაროს! კეთილი ხანი მე-
ფობისა ამოუბრწყინე, სამეფო გახტი მყარ საძირკველზე დაუდგინე,
კვერთხი – ხალხის საწინამძღვრო, არგანი და კომბალი მიეცი.
მტკიცე გვირგვინი, შარავანდი, თავის გამაბრწყინებელი, მიეცი.

მზის აღმოსავლიდან მზის დასავლამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე, ზემოურ ზღვიდან ქვემოურ ზღვამდე, ხალუბის ტყიდან კედარის ტყემდე, შუმერ-აქადზე საგანმგებლოდ არგანი და კომბალი მიეცი. შავთავიანებს, საღაც კი მკვიდრობენ, მწყემსობა გაუწიოს, მიწისმუშაკივით ყანები მოხნას, ჭეშმარიტი მწყემსივით ფარეხ-ბოსლები გაამრავლოს; მისი მეფობისას ბალახი გაჩნდეს, ხორბალი გაჩნდეს! ტბორებში თევზი მრავლდებოდეს, ცაში ფრინველი ჟრიამულობდეს! ლერწმოვანში ბებერი ლერწამი და ნორჩი ლერწამი იზრდებოდეს, უდაბნოში მაშგურის ხეები იზრდებოდეს! ბაღები ტკბილი ყურძნით იხუნძლებოდეს... სასახლეში მრავალქამიერი სიცოცხლე დამკვიდრდეს, იდივინა და ბურანუნა წყალუხვად დიოდეს, მათ ნაპირებზე ჯეჯილი ბიბინებდეს, მინდვრებს ფარავდეს... ჩემო დედოფალო, ვინც ცასა და მიწას მოიცავ, ღუმუზიმ შენს უბეში მრავალი ქამი გააგაროს!..”

ღუმუზის ვნებანი

გული ცრემლით ევსება, უღაბნოში მიდის,
მოყმეს გული ცრემლით ევსება, უღაბნოში მიდის,
ღუმუზის გული ცრემლით ევსება, უღაბნოში მიდის,
კომბალი მხარზე გადაუღევს, უღაბნოს შეჭბღავის:
“უღაბნოვ, მოთქვამდე! ჭაობო, გოლებდე!
კებორჩხალებო, მდინარეში მოთქვამდეთ!
ბაყაყებო, მდინარეში გოლებდეთ!
დეღაჩეში დაიძახებს,
დეღაჩეში სირთური დაიძახებს,
დეღაჩეში, “ხუთი პურიო”, დაიძახებს,
დეღაჩეში, “ათი პურიო”! დაიძახებს.
ჩეში სიკვდილის დღეს ვერ გაიგებს.
უღაბნოვ, ჩემს მშობელ დედას შეაგყობინე,
ჩემს უმცროს დასავით ცრემლი ღამაღვარე!”

ბღავილში მიეძინა, ბღავილში მიეძინა,
მწყემს ბღავილში მიეძინა;
როცა მწყემს ბღავილში მიეძინა, სიმშრისთვის მიეძინა.
გაეღვიბა: სიმშარი ყოფილა! შეკრთა: ძილი ყოფილა!

თვალეები მოიფშვნიტა, შეძრწუნდა.
“მომიყვანეთ, მომიყვანეთ, ღაი ჩემი აქ მომიყვანეთ!
გეშთინანა მომიყვანეთ, ღაი ჩემი აქ მომიყვანეთ!
(ასე ეუბნება გეშთინანა ღუმუზის):
როცა მავნენი ძებნას დაგიწყებენ,
შენი მეგობარი ასე ღაარიგე:
მეგობარო, ბალახებში თავს ჩავმაღავ,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
მეჩხერ ბალახებში თავს ჩავმაღავ,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
ხშირ ბალახებში თავს ჩავმაღავ,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
არალის არხში გადავეშეები,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
(გითხრას მეგობარმა):
თუ შენი ადგილსამყოფელი გავუმხილო,
შენმა ძაღლმა შემჭამოს!
შავმა ძაღლმა, შენი სამწყსოს ძაღლმა,
შენმა ჯიშიანმა ძაღლმა შემჭამოს!”

მეფის წინააღმდეგ ხალხის ბრბო მოდის:
საჭმელი არ იციან, სასმელი არ იციან,
დაფრქვეულ ფქვილს პირს არ აკარებენ,
ძვირფას საბოძვარს ხელს არ აკარებენ,
ცოლს სიხარულით გულში არ იკრავენ,
საყვარელ შვილებს არ კოცნიან.

ცხარე ნიორს კბილს არ აკარებენ,
თევზს არ ჭამენ, პრასას არ ჭამენ.
ორი ადაბელი მეფისკენ მოდის,
ამომშრალი წყლის ნარშავები,
დამყაყებული წყლის ძეძვები,
– ხელი მისი გაბლაბე დევს, ენა მისი სასახლეშია.
ორი უნუგელი მეფისკენ მოდის,
თავჩასაჭყლეტი ლახტი ჰკიდიათ.
ორი ურელი მეფისკენ მოდის,
ბრწყინვალე სამოსელი მოსავთ.
ორი ნიპურელი მეფისკენ მოდის,
“ერთმანეთს მივყვით!” – ასე ყვირიან,
ბოსელ-ფარეხისკენ გაიჭრებიან,
გეშთინანას ბოსელ-ფარეხთან შეიპყრობენ.
მდინარე თავის წყლიანად შესთავაზებს, არ მიიღო;
ყანა თავის ხორბლიანად შესთავაზებს, არ მიიღო.

მავენებმა ერთმანეთში ასე ითათბირეს:
“როდის ყოფილა, დას ძმა გაეცეს?
წავიდეთ, მეგობართან მივიდეთ!”
მაშინ მის მეგობარს
მდინარე თავის წყლიანად შესთავაზებს, მიიღო;
ყანა თავის ხორბლიანად შესთავაზებს, მიიღო.
“ჩემი მეგობარი ბალახში ჩაიმალა,
ოღონდ არ ვიცი მისი სამყოფელი.”
ექებეს დუმუმი ბალახებში,

ვერ მოძებნეს.

“მეჩხერ ბალახებში ჩაიმალა,
ოღონდ არ ვიცი მისი სამყოფელი.”
ექებეს ღუმუზი მეჩხერ ბალახებში,
ვერ მოძებნეს.

“ხშირ ბალახებში ჩაიმალა,
ოღონდ არ ვიცი მისი სამყოფელი.”
ექებეს ღუმუზი ხშირ ბალახებში,
ვერ მოძებნეს.

“არალის არხებში გადაეშვა,
ოღონდ არ ვიცი მისი სამყოფელი.”
არალის არხებში შეიპყრეს ღუმუზი.

გირის ღუმუზი, ფერგამკრთალი:

“ქალაქში დამ გადამარჩინა,
მეგობარმა სასიკვდილოდ გამწირა!
ქუჩაში მიგდებულ ჩემს ღისწულს მიეფერონ,
ქუჩაში მიგდებულ მეგობრის ბავშვს არ მიეფერონ!”

გარსშემოერტყნენ, დამღვარი წყალი აღინეს,
ბაწარი დაუგრისეს, ბაღე მოუქსოვეს,
ხელებზე ხუნდები დაადეს,
მკლავები შეუბორკეს.

მოყმემ ხელი გაიწვდინა მაღლა უთუსაკენ:
“უთუ, შენ ჩემი ცოლისძმა ხარ, მე შენი სიძე!
ეს მე ვარ, ეანაში საბრღო რომ მიმაქვს,

ეს მე ვარ, უნუგში საქორწინო ძღვენი რომ მივიტანე,
ეს მე ვარ, წმინდა ბაგეებს რომ ვკოცნი,
ეს მე ვარ, ინანას წმინდა მუხლებზე რომ ვროკავ!
ხელებს ქურციკის ხელებად მიქცევდე!
ფეხებს ქურციკის ფეხებად მიქცევდე!
მავნეთაგან თავს დავისხნიდი.
გამაქციე ქუბირემ-დილდარემში!”
უთუმ შეიწყნარა მისი ცრემლები,
შემბრალებელ კაცივით შეიბრალა.
ხელები ქურციკის ხელებად უქცია,
ფეხები ქურციკის ფეხებად უქცია.
დუმში გაექცა თავის მავნეებს,
ქუბირემ-დილდარემს თავი შეაფარა.
ექებეს მავნეებმა, ვერ მოძებნეს.
“წამო, ქუბირემ-დილდარემში წავიდეთ!”
დუმში ქუბირემ-დილდარემში შეიპყრეს,
გარსშემოერტყნენ, დამდგარი წყალი აღინეს,
ბაწარი დაუგრისხეს, ბაღე მოუქსოვეს,
ხელებზე ხუნდები დაადეს,
მკლავები შეუბორკეს.

მოყმემ ხელი გაიწვდინა მალლა უთუსკენ:
“უთუ, შენ ჩემი ცოლისძმა ხარ, მე შენი სიძე!
ეს მე ვარ, ეანაში საზრდო რომ მიმაქვს,
ეს მე ვარ, უნუგში საქორწინო ძღვენი რომ მივიტანე,
ეს მე ვარ, წმინდა ბაგეებს რომ ვკოცნი,

ეს მე ვარ, ინანას წმინდა მუხლებზე რომ ვროკავ!
ხელებს ქურციკის ხელებად მიქცევდე,
ფეხებს ქურციკის ფეხებად მიქცევდე!
მავნეთაგან თავს დავისხნიდი,
ბელილის სახლში თავს შევაფარებდი!”

უთუმ შეიწყნარა მისი ცრემლები,
შემბრალებელ კაცივით შეიბრალა.
ხელები ქურციკის ხელებად უქცია,
ფეხები ქურციკის ფეხებად უქცია.
დუმუში გაექცა თავის მავნეებს,
ბერდედა ბელილის სახლს შეეფარა.
ბერდედა ბელილის სახლთან რომ მივიდა,
“ბერდედავ, მე უბრალო კაცი არა ვარ,
ქალღმერთის ქმარი ვარ!
თუ წყალს ჩამოასხამ, შემასვი,
თუ ფქვილს ჩამოაფრქვევ, დამაპურე!”
წყალი ჩამოასხა, ფქვილი ჩამოაფრქვია,
ამ დროს სახლში იჯდა დუმუში.

ბერდედა ბელილი სახლიდან გავიდა.
მავნეებმა თვალი რა ჰკიდეს,
თუ არ იცის ბერდედამ დუმუშის სამყოფელი,
შიშნეულად რად იხედება,
შიშნეულად რად ლაპარაკობს!
“წამო, ბელილის სახლში წავიდეთ!”

ღუმუმი ბელილის სახლში შეიპყრეს,
გარსშემოერტყნენ, დამღვარი წყალი აღინეს,
ბაწარი დაუგრიხეს, ბაღე მოუქსოვეს,
ხელებზე ხუნდები დაადეს,
მკლავები შეუბორკეს.

მოყმემ ხელი გაიწვდინა მაღლა უთუსკენ:
“უთუ, შენ ჩემი ცოლისძმა ხარ, მე შენი სიძე!
ეს მე ვარ, ეანაში სამრდო რომ მიმაქვს,
ეს მე ვარ, უნუგში საქორწინო ძღვენი რომ მივიტანე,
ეს მე ვარ, წმინდა ბაგეებს რომ ვკოცნი,
ეს მე ვარ, ინანას წმინდა მუხლებზე რომ ვროკავ!
ხელებს ქურციკის ხელებად მიქცევდე,
ფეხებს ქურციკის ფეხებად მიქცევდე!
მავნეთაგან თავს დავისხნიდი,
წმინდა ფარესში, ჩემი დის ფარესში, თავს შევაფარებდი!”

უთუმ შეიწყნარა მისი ცრემლები,
შემბრალებელ კაცივით შეიბრალა.
ხელები ქურციკის ხელებად უქცია,
ფეხები ქურციკის ფეხებად უქცია,
წმინდა ფარესს, თავის დის ფარესს, თავი შეაფარა.
წმინდა ფარესთან, თავის დის ფარესთან, რომ მივიდა,
გეშთინანამ ცას შეჰკივლა, მიწას ჩაჰკივლა,
კივილმა ცის კიდენი სამოსივით დაფარა,
სელის სამოსივით გადაეფინა.

თვალნი დაიხოკა, სახე დაიხოკა,
ყურნი დაიხოკა, მკერდი დაიხოკა,
მუცელი დაიხოკა, თეძონი დაიხოკა.
“მშაო, შენს გამო ქუჩა-ქუჩა ვიხეტიალე!”

თუ არ იცის გეშთინანამ ღუმუმის სამყოფელი,
შიშნეულად რად იხედება,
შიშნეულად რად კივის!
“წამო, წავიდეთ ბოსელ-ფარეხში!”
პირველმა მავნემ ფარეხში შესვლისას
ურღულს ცეცხლი წაუკიდა;
მეორემ ფარეხში შესვლისას
მწყემსის კომბალს ცეცხლი წაუკიდა;
მესამემ ფარეხში შესვლისას
წმინდა სადღეებელს თავი მოხადა;
მეოთხემ ფარეხში შესვლისას
კაუჭიდან სასმისი ჩამოაგდო.
მეხუთე მავნის შემოსვლისას
სადღეებელები პირქვე ეყარნენ, რძე აღარ დიოდა,
სასმისები პირქვე ეყარნენ,
ღუმუმი ცოცხალი აღარ იყო,
ფარეხი განქარებულიყო.

დუმუზის სიმზარი

ლაფების მეცნაური მომიყვანეთ, ჩემი დაი აქ მომიყვანეთ!
სიმღერათა მეცნაური მომიყვანეთ, ჩემი დაი აქ მომიყვანეთ!
სიტყვათა მეცნაური მომიყვანეთ, ჩემი დაი აქ მომიყვანეთ!
ბრძენქალი, სიმზართა მეცნაური, მომიყვანეთ,
ჩემი დაი აქ მომიყვანეთ!

ჩემი სიმზარი მინდა ვაუწყო:
სიმზარი ვნახე, ჩემო ღაო, სიმზარი! ჩემს სიმზარში
ჩემს წინ ლერწმები აღმართულიყვნენ,
ჩემს წინ ლერწმები ამომრდილიყვნენ;
მარგოხელა ლერწამი თავს მიქნედა,
წყვილი ლერწამიდან ერთი გამეცალა.
ტყეში ხე მაღალი აღმოფხვრილიყო,
ჩემს წმინდა ნაკვერცხალზე წყალი დაღვრილიყო,
ჩემს წმინდა სადღვებელს თავი ახლოდა,
წმინდა სასმისი, კაუჭზე რომ მეკიდა,
კაუჭიდან ჩამოვარდნილიყო,
ჩემი კომბალი სადღაც გამქრალიყო.
არწივს ფარეხიდან კრაფი გაეგაცნა,
ქორს ლერწმის ღობიდან ბელურა გაეგაცნა.

ჩემი ვაცები ლაჟვარდის წვერს მტვერში მიათრევდნენ,
ჩემი ერკემლები მსხვილი ჩლიქებით მიწას მითხრიდნენ.
საღვებელები პირქვე ეყარნენ, რძე აღარ დიოდა,
სასმისები პირქვე ეყარნენ, ღუმუზი ცოცხალი აღარ იყო,
ფარეხი განქარებულიყო!

გეშთინანა ღუმუზის ასე უპასუხებს:

“ძმაო, ცუდია შენი სიმზარი, რა ეშველება?

ღუმუზი, ცუდია შენი სიმზარი, რა ეშველება?

შენს წინ ლერწმები რომ აღიმართნენ,

შენს წინ ლერწმები რომ ამოიზარდნენ, –

ყაჩაღები საფარიდან თავს დაგესხმიან.

მარგოხელა ლერწამი, თავს რომ გიქნევდა, –

მშობელი დედა მწუხარებით თავს დაგიქნევს.

წყვილი ლერწამი, ერთი რომ გაგცილდა,

მე და შენა ვართ, ერთმანეთს დავცილდებით.

ტყეში ხე მაღალი რომ აღმოიფხვრა, –

შენს შემორაგულში მავნენი შეგიპყრობენ.

შენს წმინდა ნაკვერცხალზე წყალი რომ ეღვარა, –

ფარეხი მღუმარების სახლად გექცევა.

შენს წმინდა საღვებელს თავი რომ ახლოდა, –

მავნე კაცები ხელში ჩაგიგდებენ.

წმინდა სასმისი, კაუჭიდან რომ ჩამოგივარდა, –

შენი მშობელი დედის კალთიდან გადმოვარდები.

შენი კომბალი, საღდაც რომ გაქრა, –

პაგარა მავნე ცეცხლს წაუკიდებს.

არწივმა ფარეხიდან კრავი რომ გაიგაცა, –

ავი კაცი სახეში გაგარცყამს.
ქორმა ლერწმის ლობიდან ბელურა რომ გაიგაცა, –
დიდი მავნე ლობიდან მოგეჭრება.
სადღვებლები რომ პირქვე ეყარნენ და რძე არ ღიოდა,
სასმისები პირქვე რომ ეყარნენ, –
ღუმუმი ცოცხალი არ იქნება, ფარეხი განქარდება.
შენი ვაცები ლაქვარდის წვერს მტვერში რომ მიათრევდნენ, –
ჩემი თმები შენს გამო ცაში იფრიალებენ.
შენი ერკემლები მსხვილი ჩლიქებით მიწას რომ გითხრიდნენ, –
შენს გამო ღაწვებს ფრჩხილებით დავიხოკავ.”

ნათქვამი მის ბაგეს არ მოსცილებოდა, –
“ღაო, მთაბე ადი, ღაო, მთაბე ადი!
ღაო ჩემო, როცა მთაბე ახვალ,
უღარდელი კაცივით ნუ ახვალ.
გულ-ღვიძლი გაიგლიჯე,
სამოსელი და თემოები ღაიგლიჯე.
ღაო, მთაბე ადი!
ღაო ჩემო, როცა მთაბე ახვალ,
მთიდან გაიხედე:
მავნენი, კაცთა საძულველნი,
მდინარის ნავით ხომ არ მოდიან?
ხუნდები ხელში ეჭირებათ,
უღელი ექნებათ, კაციშვილი რომ ვერ გაღაიგლებს!”

გეშთინანა მთაზე ავიდა, გაიხედა,
გეშთინანამ კისერი წაიგრძელა.
მისი დაქალი გეშთინდუ რჩევას აძლევს:
“კისრის შემკვრელი კაცები მოდიან,
შენს წინააღმდეგ მოდიან!”
“ჩემო მრჩეველო დაქალო, უკვე მოდიან?”
“დაგანახებ კისრის შემკვრელებს!”
“ჩემო ძმაო, შენი მავნენი შენკენ მოდიან!
ბალახებში თავი ჩამალე!
დუმუზი, შენი მავნენი შენკენ მოდიან!
ბალახებში თავი ჩამალე!”
“ჩემო დაო, ბალახებში თავს ჩავმაღავ!
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
მეჩხერ ბალახებში თავს ჩავმაღავ,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
ხშირ ბალახებში თავს ჩავმაღავ,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
არალის არხში გადავეშვები,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!”

“თუ შენი ადგილსამყოფელი გავუმხილო,
შენმა ძაღლმა შემჭამოს!
შავმა ძაღლმა, შენი სამწყსოს ძაღლმა,
შენმა ჯიშიანმა ძაღლმა შემჭამოს!”

ღუმუზის აღსასრული

(შვიდი მღევარი შემოადგება ღუმუზის ფარებს, ექვსი დაურბევს კარმიღამოს, ხოლო მეშვიდე თავზე წაადგება მძინარე მწყემსს):

ჩემო მეფევ, შენთვის მოვსულვარ, ადე, წამომყევი!

ღუმუზი, სირთურის ძევ, ადე, წამომყევი!

ინანას ქმარო, სირთურის ძევ, ადე, წამომყევი!

გეშთინანას ძმავ, თავს რომ იმძინარებ, ადე, წამომყევი!

შენი ცხვარი დაჭერილია, შენი კრავები მოგაცეხულია,

ადე, წამომყევი!

შენი თხები დაჭერილია, შენი თიკნები მოგაცეხულია,

ადე, წამომყევი!

მოისადე წმინდა გვირგვინი, თავშიშველი წამომყევი!

ტანზე გაისადე შესამოსელი, ტანშიშველი წამომყევი!

წმინდა კვერთხი ხელიდან გააგდე, ხელშიშველი წამომყევი!

ფეხზე გაიძვრე ფეხსამოსელი, ფეხშიშველი წამომყევი!

(ღუმუზი ევედრება მზის ღმერთს, უთუს, და იგიც გამოაბამს მას ქურციკის ფეხებს, და გარბის ღუმუზი; მღევრები ბჭობენ):

ხელს ვგაცეზდით დედა სირთურის კალთას შეფარებულს, –
სირთური, მოწყალე დედა, შეიწყალებს.

ხელს ვგაცეზდით დის კალთას შეფარებულს, –
მისი მოწყალე დაი შეიწყალებს.

ხელს ვგაცეზდით მისი ცოლის, ინანას, კალთას შეფარებულს, –
ინანა, მრისხანე ქარიშხალი, რისხვით შეჭხედავს...

ინანა მოთქვამს ღუმუზიზე

დელოფალი ქმარს ცხარედ დასტირის,
ინანა ქმარს ცხარედ დასტირის,
ენას დელოფალი ქმარს ცხარედ დასტირის,
უნუგის დელოფალი ქმარს ცხარედ დასტირის,
ზაბალამის დელოფალი ქმარს ცხარედ დასტირის:
ვაი, მის ქმარს, ვაი, მის შვილს!
ვაი, მის სახლს, ვაი მის ქალაქს!
მის ქმარს დატყვევებულს, მის შვილს დატყვევებულს.
მის ქმარს მოკვდინებულს, მის შვილს მოკვდინებულს.
მის ქმარს უნუგში დატყვევებულს,
უნუგში, ქულაბაში, მოკვდინებულს!
ვაი მას, ვინც ერიდუში ველარ იბანება,
ვინც ინანას დედას თავის დედად ვერ შერაცხავს...
ინანა გოდებს თავის ჭაბუკ ქმარზე:
“ქმარი წამივიდა, ჩემი ტკბილი ქმარი,
შვილი წამივიდა, ჩემი ტკბილი შვილი!
ჩემი ქმარი, საზრდოსათვის წასული, წყალს მიეცა...”

ინანას ჩასვლა ქვესკნელად

დიდი ციდან დიდი მიწისკენ მიმართა ზრახვა,
ქალღმერთმა დიდი ციდან დიდი მიწისკენ მიმართა ზრახვა,
ინანამ დიდი ციდან დიდი მიწისკენ მიმართა ზრახვა.
ჩემმა დედოფალმა ცა მიაგოვა, მიწა მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა,
ინანამ ცა მიაგოვა, მიწა მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა,
მამფლობა მიაგოვა, დედოფლობა მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა,
უნუგში ეანა მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა,
ბად-თიბირაში ემუშ-ქალამა მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა,
ზაბალამში გიგუნა მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა,
ურში ედილმუნა მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა,
ადაბში ეშარა მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა,
ნიპურში ბარათუშგარა მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა,
ქიშში ხურსანგ-ქალამა მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა,
აქადში ეულმაში მიაგოვა, ქვესკნელში ჩავიდა.

შვიდი ღვთაებრივი მაღლით შეიკაზმა,
ღვთაებრივი მაღლნი შეკრიბა, თან წაიღო,
შუგურა, ველის გვირგვინი თავს დაიდგა,
ბრწყინვალე ბაკმით სახე მოივანა,

ლაჟვარდის თვლები ქედზე აისხა,
პატიოსანი ტყუბი თვალი მკერდზე მიიმაგრა,
ოქროს სალგენი მკლავებზე მონირცა,
სამკერდული “*ლუ, განუ, განუ!*”¹ მკერდზე მიირქვა,
ნელსაცხებელი “*ხემდუ, ხემდუ!*”² სახეზე იცხო,
სადელოფლო სამოსელი შეიმოსა,
ინანა ქვესკნელისკენ გაემართა.
მაცნე მისი, ნინ-შუბური, მის გვერდით გაემართა.
წმინდა ინანა ნინ-შუბურს ეტყვის:
“ჰოი, მარად ერთგულო ჩემო,
მაცნეო ჩემო სასურველ ამბავთა,
მოყმეო ჩემო წრფელ სიგყვათა,
დღეიდან ქვესკნელში ჩავდივარ.
ოდეს მე ქვესკნელში ჩავალ,
ჩემს გამო გლოვას გამართავდე,
საკრებულო სადგომში საკრავს დამიკრავდე,
ღმერთების საყდრებს ჩემთვის მოივლიდე,
თვალებს დაითხრიდე,
პირსაც დაიხოკდე,
ვითარცა უპოვარი ერთადერთ სამოსელს შეიმოსდე,
ექურად, ენლილის გაძრად, მარტოდმარტო გაემართე!
ექურში, ენლილის გაძარში, შე-რა-ხვალ,
ენლილის წინაშე ცრემლი დაღვარე:

¹ “კაცო, მოდი, მოდი!”

² “მოვა, მოვა!”

“მამფალო ენლილ, შენი ასული ქვესკნელში არავინ მოკლას,
შენი ბრწყინვალე განძი ქვესკნელის მგვერმა არ დაფაროს,
შენი ძვირფასი ლაქვარდი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,
შენი ბზისხე ღურგლის დამგამე არ დაიჩეხოს,
ქალწული ინანა ქვესკნელში არავინ მოკლას!”
უკეთუ ენლილი არ შეგეწიოს, ურისკეს გაემართე.
ურში გაძრად ქვეყნის სიკეთეთა,
ექიშმირგალად შე-რა-ხვალ,
ნანარის წინაშე ცრემლი დაღვარე:
“მამფალო ნანარ, შენი ასული ქვესკნელში არავინ მოკლას,
შენი ბრწყინვალე განძი ქვესკნელის მგვერმა არ დაფაროს,
შენი ძვირფასი ლაქვარდი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,
შენი ბზისხე ღურგლის დამგამე არ დაიჩეხოს,
ქალწული ინანა ქვესკნელში არავინ მოკლას!”
უკეთუ ნანარი არ შეგეწიოს, ერიდუს გაემართე,
ერიდუში ენქის გაძრად შე-რა-ხვალ,
ენქის წინაშე ცრემლი დაღვარე:
“მამფალო ენქი, შენი ასული ქვესკნელში არავინ მოკლას,
შენი ბრწყინვალე განძი ქვესკნელის მგვერმა არ დაფაროს,
შენი ძვირფასი ლაქვარდი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,
შენი ბზისხე ღურგლის დამგამე არ დაიჩეხოს,
ქალწული ინანა ქვესკნელში არავინ მოკლას!”
მამფალი ენქი, სიბრძნის უფალი,
ვინც ცხოველმყოფელი საზრდელი უწყის,
ვინც ცხოველმყოფელი წყალი უწყის, –
ჭემმარიგად სიცოცხლეს დამიბრუნებს!”

ინანა, ქვესკნელს წამავალი,
თავის მაცნეს, ნინ-შუბურს, კვლავ ეცყვის:
“წარვედ, ნინ-შუბურ,
ჩემი ნათქვამი სიცყვა არ დააგლო!”

ინანა ქვესკნელში ლაქვარდის სასახლეს მიადგა,
ქვესკნელის კართან ავად მოიქცა,
ქვესკნელის კართან ავად იყვირა:
“გამილე კარი, ჰე გუშაგო, გამილე კარი!
გამილე კარი, ნეთი, მარტო შემოვდივარ!”
ნეთი, ქვესკნელის დიდი გუშაგი,
წმიდა ინანას ამგვარად მიუგებს:
“ვინა ხარ, საიდან მოდიხარ?”
“ინანა ვარ, მზის აღმოსავლელი”.
“თუ ინანა ხარ, მზის აღმოსავლელი,
უკანმოუქცეველ ქვეყნად რად მოდიხარ?
გზაზე, სად მავალი უკან ვერ ბრუნდება,
გულმა შენმა როგორ გაგიწია?”
წმიდა ინანა ამგვარად მიუგებს:
“ჩემს უფროს დასთან, ერეშქიგალთან,
მეუღლე რომ მოუკლეს, უფალი გუგალანა,
დაკრძალვის წესთა სახილველად მოვდივარ”.

ნეთი, დიდი გუშაგი ქვესკნელისა,
წმიდა ინანას ამგვარად მიუგებს:
“დადექ, ინანა, ჩემს დედოფალს მოვახსენებ,

ჩემს დედოფალს, ერეშქიგალს, მოვასხენებ”.
ნეთი, დიდი გუშაგი ქვესკნელისა,
თავის დედოფალს სასახლეში ეახლა,
თავის დედოფალს, ერეშქიგალს, მოახსენებს:
“დედოფალო, ერთი ქალწული კარს უკანა დგას,
ქალღმერთის სამოსელი მოსავს,
შვიდი ღვთაებრივი მადლით შეჭურვილა,
ღვთაებრივი მადლნი შეუკრიბავს, თან წამოუღია,
შუგურა, ველის გვირგვინი, თავს დაუდგამს,
ბრწყინვალე ბაკმით სახე უელავს,
ლაქვარდის არგანი ხელში უჭირავს,
ლაქვარდის თვლები ქედზე აუსხამს,
პატიოსანი ტყუბი თვალი მკერდზე მიუბამს,
ოქროს სალგენი მკლავებზე შეურცყამს,
სამკერდული “ლუ, განუ, განუ” მკერდზე მიურქვამს,
სადედოფლო სამოსელი შეუმოსავს,
ნელსაცხებელი “ხემდუ, ხემდუ” სახეზე სცხია”.

ერეშქიგალმა მკლავზე იკბინა,
ნეთის, დიდ გუშავს, ამგვარად ეცყვის:
“წარვედ, ნეთი, დილო გუშაგო ქვესკნელისა,
ჩემი ნათქვამი სიცყვა არ დააგლო.
განახვნე შვილნი ბჭენი ქვესკნელისა,
ხოლო ინანა რა შემოვიდეს,
მის წინაშე თავი დახარე”.

ნეთიმ, ღიღმა გუშაგმა ქვესკნელისა,
თავისი დელოფლის სიგყვა შეიგონა,
განახვნა შეიღნი ბჭენი ქვესკნელისა,
წმიდა ინანას ამგვარად ეტყვის:

“მოვედ, ინანა, შემოდი!”

ხოლო ინანა რა შემოვიდა,
მობადეს შუგურა, გვირგვინი ველისა.

“რისთვის?”

“ღუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა,
ინანა, ქვესკნელის წესებს ნუ გამოიკითხავ”.

მეორე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,
ლაქვარდის არგანი ჩამოართვეს.

“რისთვის?”

“ღუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა.
ინანა, ქვესკნელის წესებს ნუ გამოიკითხავ”.

მესამე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,
ლაქვარდის თვლები ქელიდან აართვეს.

“რისთვის?”

“ღუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა.
ინანა, ქვესკნელის წესებს ნუ გამოიკითხავ”.

მეოთხე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,
ტყუბი პატიოსანი თვალი მკერდიდან აართვეს.

“რისთვის?”

“ღუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა.
ინანა, ქვესკნელის წესებს ნუ გამოიკითხავ”.

მეხუთე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,

ოქროს საღგენი მკლავებიდან აართვეს.

“რისთვის?”

“ღუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა.
ინანა, ქვესკნელის წესებს ნუ გამოიკითხავ”.

მეექვსე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,
სამკერდული მკერდიდან შემოაძარცვეს.

“რისთვის?”

“ღუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა.
ინანა, ქვესკნელის წესებს ნუ გამოიკითხავ”.

მეშვიდე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,
დედოფლის სამოსელი შემოაძარცვეს.

“რისთვის?”

“ღუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა.
ინანა, ქვესკნელის წესებს ნუ გამოიკითხავ”.
ბრწყინვალე ერემქიგალი საკარცხულზე იჯდა,
შვიდი მსაჯული მის წინაშე სამართალს სჯიდა.
თვალი ჰკიდა, თვალი სიკვდილისა,
სიგყვა უთხრა, სიგყვა რისხვისა,
ხმა აღუმალლა, ხმა ბრალდებისა,
სნებაშეყრილი ცხედრად გარდიცვალა,
ცხედარი კაუჭზე ჩამოკიდეს.

შემდგომად სამი დღისა და ღამისა,
მაცნე მისი ნინ-შუბური,
მაცნე მისი სასურველ ამბავთა,

მოყმე მისი წრფელ სიტყვათა,
მის გამო გლოვას გამართავს.
საკრებულო სადგომში საკრავს დაუკრავს,
ღმერთების საყდრებს შემოივლის,
დაითხრის თვალებს, პირსაც დაიხოკავს,
ვითარცა უპოვარი ერთადერთ სამოსს შეიმოსავს,
ექურად, ენლილის გაძრად, მარტოდმარტო წარემართება.
ექურად, ენლილის გაძრად, შე-რა-ვიდა,
ენლილის წინაშე ცრემლი დაღვარა:
“მამფალო ენლილ, შენი ასული ქვესკნელში არავინ მოკლას,
შენი ბრწყინვალე განძი ქვესკნელის მგვერმა არ დაფაროს,
შენი ძვირფასი ლაქვარდი ქვისმთელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,
შენი ბზისხე ღურგლის დაზგამე არ დაიჩეხოს,
ქალწული ინანა ქვესკნელში არავინ მოკლას!”

მამფალი ენლილ ნინ-შუბურს ამგვარად მიუგებს:
“ჩემმა ასულმა დიდი ცა მოითხოვა, დიდი მიწა მოითხოვა,
ინანამ დიდი ცა მოითხოვა, დიდი მიწა მოითხოვა,
შვიდი ღვთაებრივი მადლი თან წაიღო”.
მამფალი ენლილი არ შეეწია.

ნინ-შუბური ურისკენ გაემართა.
ურში გაძრად ქვეყნის სიკეთეთა,
ექიშმირგალად შე-რა-ვიდა,
ნანარის წინაშე ცრემლი დაღვარა:
“მამფალო ნანარ, შენი ასული ქვესკნელში არავინ მოკლას,

შენი ბრწყინვალე განბი ქვესკნელის მგვერმა არ დაფაროს,
შენი ძვირფასი ლაქვარდი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,
შენი ბზის ხე ღურგლის დაზგაზე არ დაიჩეხოს,
წმიდა ინანა ქვესკნელში არავინ მოკლას!”

მამფალი ნანარ ნინ-შუბურს ამგვარად მიუგებს:
“ჩემმა ასულმა დიდი ცა მოითხოვა, დიდი მიწა მოითხოვა,
შვიდი ღვთაებრივი მადლი თან წაიღო”.
მამფალი ნანარ არ შეეწია.

ნინ-შუბური ერიდუსკენ გაემართა,
ერიდუში ენქის გაძრად შე-რა-ვიდა,
ბრწყინვალე ენქის წინაშე ცრემლი დაღვარა:
“მამფალო ენქი, შენი ასული ქვესკნელში არავინ მოკლას,
შენი ბრწყინვალე განბი ქვესკნელის მგვერმა არ დაფაროს,
შენი ძვირფასი ლაქვარდი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,
შენი ბზისხე ღურგლის დაზგაზე არ დაიჩეხოს,
ქალწული ინანა ქვესკნელში არავინ მოკლას”.

მამფალი ენქი ნინ-შუბურს ამგვარად მიუგებს:
“რა შემთხვევია ჩემს ასულს! გული მიწუხს!
რა შემთხვევია ინანას! გული მიწუხს!
რა შემთხვევია ქვეყანათა დედოფალს! გული მიწუხს!
რა შემთხვევია მესკნელის მხევეალს! გული მიწუხს!”
მოილო მგვერი, ქურგარა შექმნა,
მოილო მგვერი, გალათურა შექმნა.

ქურგარას ცხოველმყოფელი საზრდო მისცა,
გალათურას ცხოველმყოფელი წყალი მისცა.
მამფალი ენქი ქურგარას და გალათურას ამგვარად ეგყვის:
“წადით, ქვესკნელისკენ იბრუნეთ პირი,
ქვესკნელში თქვენი ჩასვლისას
მოგართმევენ მდინარეს თავის წყლიანად, – არ მიიღოთ!
მოგართმევენ ყანას თავის ხორბლიანად, – არ მიიღოთ!
ერთმა მიაყაროს ცხოველმყოფელი საზრდო,
მეორემ მიასხუროს ცხოველმყოფელი წყალი, –
ჭეშმარიტად აღდგება ინანა”.

მიართვეს მდინარე თავის წყლიანად, – არ მიიღეს,
მიართვეს ყანა თავის ხორბლიანად, – არ მიიღეს.
“მოგვეცით ცხედარი, კაუჭზე ჩამოკიდებული!” – უთხრეს.
ბრწყინვალე ერეშქიგალი ამგვარად მიუგებს:
“ეს ცხედარი თქვენი დედოფლის ცხედარია”.
“ეს ცხედარი იყოს ცხედარი ჩვენი დედოფლისა, მოგვეც!”
ერთმა მიაყარა ცხოველმყოფელი საზრდო,
მეორემ მიასხურა ცხოველმყოფელი წყალი, –
და ჭეშმარიტად აღდგა ინანა.

ინანა, ქვესკნელიდან ამომავალი,
ქვესკნელის მსაჯულებმა დააკავეს:
“ვინ ამოსულა ქვესკნელიდან?
ქვესკნელიდან მრთელი ვინ ამოსულა,
თუკი ოდესმე ვინმე ამოსულა?”

უკეთუ ინანა ქვესკნელიდან ამოვა,
ვინმე თავის ნაცვლად მოგვცეს!”

ინანას, ქვესკნელიდან ამომავალს,
მაგნენი, ღიღნი და მცირენი, ლერწმებივით მოჰყვებიან.
მის წინ მავალი მისი მაცნე არ ყოფილა,
თუმცა არგანი ხელში უჭირავს.
მის გვერდით მავალი მისი მოყმე არ ყოფილა,
თუმცა მახვილი წელზე შემოურგყამს.
რომელნიც თანახლავან,
რომელნიც თანახლავან ინანას,
საჭმელი არ უწყიან,
სასმელი არ უწყიან,
ნასხურები ფქვილი არ უჭამიათ,
ღაღვრილი წყალი არ დაუღვიათ.
კაცის უბიდან ცოლს იგაცებენ,
ძიძის მკერდიდან ბავშვს იგაცებენ.

ინანა ქვესკნელიდან ამოდის.
ინანას, ქვესკნელიდან ამოსულს,
მაცნე ნინ-შუბური ფეხებში ჩაუვარდა,
ფლასით შემოსილი მგვერში ჩაჯდა.
მაგნენი ეგყვიან წმიდა ინანას:
“ინანა, წადი შენს ქალაქში,
ამას ჩვენ წავიყვანთ!”
წმიდა ინანა ამგვარად მიუგებს:

“ჩემი მაცნეა იგი კეთილ ამბავთა,
ჩემი მოყმეა წრფელ სიგყვათა,
ჩემი რჩევა არ დაუვიწყნია,
ჩემი ნათქვამი არ დაუგდია,
ჩემს გამო გლოვა გაუმართავს,
საკრებულო სადგომში საკრავი დაუკრავს.
ღმერთების საყდრები შემოუვლია,
თვალნი დაუთხრია, პირი დაუხოკავს,
ვითარცა უპოვარს ერთადერთი სამოსელი ჩაუცვამს,
ექურად, ენლილის გაძრად, წასულა,
ურში ნანარის გაძრად, წასულა,
ერიდუში ენქის გაძრად წასულა,
სიცოცხლე მაგან მომიგანა!”

“წამოგყვებით უმაში, სიგ-ქურმაგამლე წაგყვებით!”
უმაში, სიგ-ქურმაგასთან
შარა ფეხებში ჩაუვარდა,
ფლასით მოსილი მგვერში ჩაჯდა.
მავენნი ეგყვიან წმიდა ინანას:
“ინანა, წადი შენს ქალაქში,
ამას ჩვენ წავიყვანთ!”
წმიდა ინანა ამგვარად მიუგებს:
“შარა ჩემი მგალობელია,
შარას ვერ წავიყვანთ!”

წამოგყვებით ბად-თიბირაში, ემუშ-ქალამამდე წაგყვებით!”
ბად-თიბირაში ემუშქალამასთან
ლათარაკი ფეხებში ჩაუვარდა,
ფლასით მოსილი მტვერში ჩაჯდა.
მაგნენი ეგყვიან წმიდა ინანას:
“ინანა, წადი შენს ქალაქში,
ამას ჩვენ წავიყვანთ!”
წმიდა ინანა ამგვარად მიუგებს:
“ლათარაქი მარჯვნივ და მარცხნივ მიდგას,
ლათარაქს ვერ წავიყვანთ!”

“ქულაბას ჭალისკენ წაგყვებით!”
ქულაბას ჭალისკენ წაჰყვინენ.
ღუმუზის შეემოსა დიდებული სამოსი,
დიდებულ ტახტზე დამჯდარიყო.
მაგნეებმა ბრჭყალები ჩააფლეს,
შვიდივე ეძგერა, ვით ძალი სნებისა.
მწყემსებს სალამური აღარ დაუკრავთ.
ინანამ თვალი ჰკიდა, თვალი სიკვდილისა,
სიგყვა უთხრა, სიგყვა რისხვისა,
ხმა აღუმაღლა, ხმა ბრალდებისა:
“აჰა, ესერა, ეს წავიყვანეთ!”
წმიდა ინანამ მწყემსი ღუმუზი ხელთ ჩაუგდო.
რომელნიც თან ახლავან,
რომელნიც ღუმუზის თან ახლავან,
საჭმელი არ უწყვიან,

სასმელი არ უწყინან,
ნასხურები ფქვილი არ უჭამიათ,
დაღვრილი წყალი არ შეუსვამთ.
მეუღლის უბე არ აამებთ,
საყვარელ ბავშვებს არ კოცნიან,
შვილს კაცის მუხლიდან იგაცებენ,
პაგარძალი მამამთილის სახლიდან მიჰყავთ.
გირის ღუმუზი სახეგამკრთალი,
უთუს მიმართ ცად ხელი აღაპყრო:
“უთუ, შენ ჩემი ცოლისღა ხარ, მე შენი სიძე ვარ!
ეს მე ვარ, დედაშენის სახლში ერბო რომ მომქონდა,
ეს მე ვარ, ნინგალის სახლში რძე რომ მომქონდა!
მიქციე ხელები გველის ხელებად!
მიქციე ფეხები გველის ფეხებად!
მავნეებს გავექცე, არ შემიპყრან!”
[. . . .]

ინანას გასაჭირო

სახლში სიცოცხლე გადაეგო,
სადგომში სიცოცხლე გადაეგო.
ქალ-რძალს სიცოცხლე მოესპო,
მათ ჩვილებს სიცოცხლე მოესპო.
წარგაცებულ იქმნა, უჩინარ იქმნა...
ადრე ბუდეებში მათ ჩვილებს ვკვებავდი,
სადგომში მათ ბროხებს ვარწყულებდი.
აწ მე, დედოფალი გაქცეულ ვარ,
ჩემსავე ქალაქში უცხო ვქმნილვარ.
მზრუნველი ქვემო ქვეყნებისა
ჩაძირულ ნავში ვზივარ,
ტბებში თევზების შემკრებელი
მეთევზის ნავში ვზივარ,
ჩემს ქალაქში მწირი ვარ,
ჩემი ქუჩებიდან განდევნილი ვარ.
ჩასახების ადგილას, სახლში მშობიარე დედისა
მფარველი ჩრდილი ვიყავ,
სულდგმულთა შემწყალე,
სასწაულმოქმედი ძალი ვიყავ.

აწ სიგყვა მისი გაქცევად მაჩქარის,
რა ჩემკენ მოდის, პირი ჩემი მიწად იხრება.
იმ ღლიდან დაქცევაში დავდივარ;
როსლა გავიხარებ?
მგლოვიარე დაქცევაში დავდივარ;
როსლა გავიხარებ?
მას ქამსა ბედისწერა მეწია,
მას ქამსა უბედობა მეწია:
სიგყვამ ანისამ ჩემდამო მოაწია,
სიგყვამ ენლილისამ ჩემდამო მოაწია,
ჩემი ტაძრისაკენ წამოვიდა,
კაცვით ხამლმოსილი შემოვიდა,
მგერი ხამლმოსილი შემოვიდა.
განუბანელი ხელი შემახსო,
ხელი შემახსო, შემაშინა, შევეძრწუნდი,
მგერმა შემაშინა, თავად არ შეშინდა.
სამოსელი შემომადარცვა, ცოლი თვისი შემოსა.
სამკაული ამართვა, ასული თვისი შეამკო.
განვერიდე, საყდარ-საყდარ გავრბოდი,
მელევენებოდა, საყდარ-საყდარ მეძებდა.
დამფრთხალმა ტრედმა ერლოზე დავაღამე,
გაფრენილი გნოლი ნაპრალში გავძვერი.
ჩემი საყდრიდან ფრინველივით გამომაფრინეს,
მე, დედოფალი, ჩემი ქალაქიდან ფრინველივით გამომაფრინეს.
საყდარი ჩემი უკან მომბახოდა,
ქალაქი ჩემი უკან მომბახოდა,

ისინის კელელი უკან მომძახოდა,
ლარაკის კელენი უკან მომძახოდნენ,
შვიდი გიპარი უკან მომძახოდა.
მაშინ გავყვირე საყდარს ჩემსას:
“აწ აღარა ხარ საყდარი ჩემი!”
მაშინ გავყვირე ქალაქს ჩემსას:
“აწ აღარა ხარ ქალაქი ჩემი!”
“ველარ შემოგივალ!” – ასე ვეცყოდი.
“ველარ დაგიმკვიდრებ!” – ასე ვეცყოდი,
როგორ დაგექცა, როგორ დაგექცა,
ბრწყინვალება როგორ შეგებლალა!
უფლისწულო, საქალებო შენი როგორ დაგექცა.
ბრწყინვალება როგორ შეგებლალა!

ინანას ზეიმი

ზესკნელის დედოფალს მშვიდობას ვეცყვი!
ღვთაებრივ მხევალს, ცად აღმომხდარს, მშვიდობას ვეცყვი!
ზესკნელის დედოფალს, ინანას, მშვიდობას ვეცყვი!
ბრწყინვალე სანთელს, ზეცის აღმავსებელს,
ინანას, შორეთში მზისებრ მანათობელს,
ზესკნელის დედოფალს მშვიდობას ვეცყვი!
ღვთაებრივ მხევალს, ძლევაშოსილს ანუნაქთა ზელა,
ზესკნელის გმირქალს, ნათლის გადმომღვრელს,
სინის დიდ ასულს, ინანას მშვიდობას ვეცყვი!
ოდეს მიმწუხრისას ცად ამოენთება,
ბრწყინვალე ნათლით ზესკნელს რა აღავსებს,
მთვარის და მზისებრ ცად რა დაადგრების –
ქვემო და ზემო ქვეყნები უჭვრეტენ.
ზესკნელის ღვთაებრივ მხევალს, ცის სიქადულს,
ინანას გალობით ვუგალობ!

ცად დაადგრების – ცის სათნო ფურია,
ხმელეთზე იბრძვის – ქვეყნის დედოფალია!
ერიდუს აბზუღან მადლნი მოუხვეჭავს,

მამამისს, ენქის, ძღვნად უბოძებია.
ანთან ერთად უზენაეს ტახტზე დამჯდარა,
ენლილთან ერთად ქვეყნის ბელს გადაწყვეტს.
ქვეყნის ღმერთები გარს ეხვევიან,
ანანუქები ქედს უხრიან,
მსხვერპლით და ლოცვით მასთან მიდიან,
ქვეყანათა სათხოვარს მიუთხრობენ.
შავთავიანები მის წინაშე მიდიან,
ალგარს, წმიდა საკრავს, მისთვის უკრავენ, –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
მესკნელის დედოფალს, ინანას, მშვიდობას ვეცყვი!
წმიდა დაფსა და წმიდა ებანს მისთვის უკრავენ,
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
მესკნელის დედოფალს, ინანას, მშვიდობას ვეცყვი!
წმიდა სანთურს და წმიდა ებანს მისთვის უკრავენ,
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
სინის დიდ ასულს, ინანას, მშვიდობას ვეცყვი!

გმირი მოყმენი ბრწყინვალედ შეამკობენ –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
თმას პატიოსანი თვლებით შეუმკობენ –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
ტანს ღვთაებრივად შეუმოსავენ –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
საბრძოლო საჭურველით შეჭურვავენ, –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

მარჯვენა მხარს მამაცებრ უმოსავენ –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
მარცხენა მხარს დიაცებრ უმოსავენ –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
სინის დიდ ასულს, ინანას, მშვიდობას ვეტყვი!

მოწიფულნი ყრმანი უმღერიან –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
ქალწულნი თავებს ყვავილებით იმკობენ –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
რომელნიც მახვილს სისხლში ამოსვრიან,
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

გესკნელის მხევალი ცად ობლად დავაღს.
შავთავიანებს, ცხვრის ფარაზე უმრავლესს,
ჩემი დედოფალი ცის გულიდან მხიარულად ამოუბრწყინდება.
მწუხრის დედოფალო, მაღალო ინანა,
ქალწულო ინანა, შენ გადიდებ!
მწუხრის დედოფალი ცის კიდემდე უბემთაესია!
მიმწუხრისას მგრული ვარსკვლავია,
ასპიროში, დიდი სხივი წმიდა გეცისა.
მწუხრის ვარსკვლავს, გმირქალს, ცად აღმომხდარს,
ხალხი ყოველთა ქვეყანათა უჭვრეტს.
მამაკაცები განიწმიდებიან,
დიაცები შეიმკობიან,
ულლის ხარები თავებს ბეაწვევენ,

ცხვრები ფარეხში შეგროვდებიან.
შაქანის პირუტყვი, მინდვრის არსებანი,
ვრცელი ცისქვეშეთის ყოველი სულდგმული,
ხეები, ნერგები მწვანე ლერწმისა,
თევზები წყლისა, ფრინველნი ცისა,
ჩემს დედოფალს თავიანთ ბინებში ელიან.
ჩემს დედოფალს ყველასთვის მშვიდობა მოაქვს.
მოყმე ხარობს თავის სწორფერთან.
დედოფალი ჩემი ცის გულიდან მხიარულად აღმოხდების –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
ინანა, სამკაული ვრცელი ზესკნელისა,
ღამით მთვარესავით შუქს გამოანათებს,
შუადღის მგესავით ნათელს მოაფენს.
ოდეს ქვეყნად ტკბილი ძილი სუფევს,
უცხონი და შავთავიანნი ერთად შეყრილან,
როგორც მკვდრები საწოლში წვანან –
ყველას ზრახვები მისკენ მიდიან,
ყველას სატკივარი მას მოეხსენება.
მაშინ მან უწყის ყოველი ბოროტი,
ბოროტმოქმედს ბოროტს მიაგებს,
ავისმქმნელს დალუპავს.
მართალს სიყვარულით მიჰხედავს,
კეთილ ბედს დაუწერს.

ჩემი დედოფალი ცის გულიდან მხიარული აღმოსდების –
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
დილის დედოფალო, მაღალო ინანა,
ქალწულო ინანა, შენ გადიდებ!
დილის დედოფალი ცის კიდემდე უზემთაესია!

ინანას სიმღერა

მამამ ჩემმა ზეცა მიბოძა, ხმელეთი მიბოძა,
მე გაშანანა ვარ!
მე ღმერთთაგანი ვინ შემედრება?
ენლილმა ზეცა მიბოძა, ხმელეთი მიბოძა,
მე გაშანანა ვარ!
მამფლობა მიბოძა, დედოფლობა მიბოძა,
ომი მიბოძა, ბრძოლა მიბოძა,
გრიგალი მიბოძა, ქარიშხალი მიბოძა,
ზეცის გვირგვინი თავს დამხურა,
ხმელეთი ხამლებად ფერხთ შემმოსა,
ბრწყინვალე სამოსელი ჭანთ ჩამაცვა,
სხივოსანი კვერთხი ხელში ჩამაბარა.
ღმერთები ბელურებია, მე – შევარდენი,
ანუნაქები მიდამოფრენენ, მე – ფური ზეპური.
ენლილის ზეპური ფური ვარ,
ზეპური ფური, ყოველთა წინამძღოლი,
ექურად, ენლილის სახლად, შე-რა-ვდივარ,
ექურის მცველი უკუ არ მიმაქცევს,
ვეზირი, “ლადექო,” არ შემაჩერებს.

ბეცა ჩემია, ხმელეთი ჩემია, გმირი ვარ!
უნუგში ეანა ჩემია,
ზაბალამში გიგუნა ჩემია,
ნიპურში ღურანქი ჩემია,
ურიმში დილმუნის სახლი ჩემია,
გირსუში დამქუგის საწმიდარი ჩემია,
აღაბში შარას სახლი ჩემია,
ქიში სურსან-ქალამა ჩემია,
ქისიგაში ამაშ-ქუნგა ჩემია,
აქშაქში ან-ზაგარი ჩემია,
უმაში ებგალი ჩემია,
აქადში ულმაშის სახლი ჩემია!
მე ღმერთთაგანი ვინ შემედრება?

(ამ სიმღერაში იხანა თავის სახელს ქალთა დიალექტზე წარმოთქვამს:
გაშანანა)

ენმერქარი და არათა

ქალაქი, მძვინვარე ხარი, შიშისზარის მაგარებელი, ქულაბა [. . . .], ქარიშხლის მკერდი, სადაც ბედისწერა წყდება, [. . . .] უნუგი, დიდი მთა [. . . .], ანის დიდი სანადიმო დარბაზი [. . . .]; მას ქამს, როცა ბედისწერა წყდებოდა [. . . .], უნუგს, ქულაბას, ეანას [. . . .] დიდმა ღმერთებმა თავი მაღლა ააწვეინეს; სიუხვე, თევზით სავსე წყალი, წვიმა, ჭრელი ხორბალი, უნუგ-ქულაბას ორმაგად მისცეს.

ჯერ კიდევ დილმუნი არ არსებობდა, როცა ეანა უნუგ-ქულაბაში დაფუძნდა. ბრწყინვალე ინანას *გიპარი* აგურნაშენ ქულაბაში ვერცხლის საბადოსავით გაბრწყინდა. ჯერ ვაჭრობა არ დაწყებულიყო, ოქრო და ვერცხლი, სპილენძი, ტყვია, ლაქვარდის ლოდები, მთის ქვა მთიდან ერთიანად არ მოჰქონდათ, [. . . .] საღვთისაწაულოდ არ განიბანებოდა, [. . . .] არ მკვიდრობდა, დრო გადიოდა, [. . . .] წმიდა ადგილი ფერად-ფერადად შემკულიყო, უზალო ლაქვარდით დამშვენებულიყო, მისი შიგაღი მსხმოიარე *მეშის* თეთრ ხესავით აყვავებულიყო; მას ქამს ინანასთვის არათას ბატონმა ოქროს გვირგვინი თავს დაიდგა, მაგრამ ქულაბას ბატონივით პატივს არ მიაგებდა; ეანას საწმიდარივით, გოპარივით, ბრწყინვალე ადგილივით, ბრწყინვალე ინანასთვის არათას აგურნაშენ ქულაბასავით არ აღუმართავს. მას ქამს ბატონმა, ინანას გულით არჩეულმა, ელვარე მთიდან წმიდა გულით არჩეულმა, ენმერ-

ქარმა, უთუს ძემ, თავის დას, ქალბატონს, კეთილსასურველს, ბრწყინვალე ინანას ლოცვა აღუვლინა:

“ჩემო დაო, არათამ უნუგისთვის ოქრო და ვერცხლი გამიმზადოს, ლაქვარდი ლოდებად მომიჭრას, ელვარე, ჭვირვალი ლაქვარდი მთიდან ჩამომიგანოს, უნუგში წმიდა მთა ააშენოს; ცით ჩამოსულ სახლში, სადაც შენ მკვიდრობ, არათამ ეანას საწმიდარი ააგოს; წმიდა გიპარი, სადაც შენ მკვიდრობ, შიგალი მისი არათამ გამიმშენიეროს. მე, ლაქვარდის ხბო, იქ გადაგეხვიო; არათამ უნუგისთვის ქელი მომიდრიკოს; არათას ხალხმა მთიანეთის ქვეები მთიდან ჩამომიგანოს; დიდი საწმიდარი ამიშენოს, დიდი დარბაზი ამიგოს. დიდი დარბაზი, ღმერთების დარბაზი გამომიბრწყინოს. ჩემი წესები ქულაბაში სწორად აღმისრულონ; აბზუ წმიდა მთასავით ამომიბარდოს, ერიდუ მთიანეთივით გამიკაშკაშოს; საწმიდარი აბზუ ვერცხლის საბალოსავით გამომიბრწყინოს. და, როცა მე აბზუდან დიდებას გეცყვი, ერიდუდან განგებებს მოვიგან, როცა ქურუმობის გვირგვინი ამიყვავდება, უნუგ-ქულაბაში წმიდა გვირგვინს მივიღებ, [. . .] დიდ საწმიდარში, გიპარში, მომიგანონ, გიპარის [. . .] დიდ საწმიდარში მომიგანონ, ხალხმა ამ საკვირველებამე კეთილად ილაპარაკოს! უთუმ მხიარული თვალით გადმოსხედოს!”

მას ჟამს წმიდა ანის სიხარული, მთის ქალბატონი, ბრძენი, ინინი, რომლის საცხებელი ამაუშუმგალანასთვის არის, ინანა, ქვეყანათა ქალბატონი, ენმერქარს, უთუს ძეს, მიუგებს:

“ენმერქარ, მოდი, რჩევას მოგცემ, ჩემი რჩევა მიიღე! სიტყვას გეცყვი, ყურადიღე! მოციქული, სიტყვის მცოდნე, შენი ხალხიდან ამოირჩიე, ბუბის მთიანეთში წავიდე, ბუბის მთიანეთით შენკენ წამოვიდეს; მუშინი, ანშანის ქვეყანა, პაგარა თაგვივით ინანას მდაბლად მიესალ-

მოს; დიდ მთებში მორჩილი ურიცხვი ხალხი მგვერში ფორთხავდეს მის წინაშე; არათამ უნუგს ქელი მოუხაროს; არათას ხალხმა მთიანეთის ქეები მთიდან ჩამოუგანოს, დიდი საწმიდარი აუგოს, დიდი დარბაზი დაუდგას, დიდი დარბაზი, ღმერთების დარბაზი, გამომიბრწყინოს, ჩემი წესები ქულაბაში აღმისრულოს, აბბუ წმიდა მთასავით ამომიბარდოს, ერიდუ მთიანეთივით გამიკაშკაშოს, წმიდა საწმიდარი აბბუ ვერცხლის საბადოსავით გამომიბრწყინოს. და, როცა შენ აბბუდან დიდებას მეგყვი, როცა ერიდუდან განგებებს მოიგან, როცა ქურუმობის გვირგვინი აგიყვავდება, როცა უნუგ-ქულაბაში წმიდა გვირგვინს მიიღებ, [. . .] დიდ საწმიდარში, გიპარში, მოგიგანონ, გიპარის [. . .] დიდ საწმიდარში მოგიგანონ. ხალხმა ამ საკვირველებაზე კეთილად ილაპარაკოს! უთუმ მხიარული თვალთ გადმოგხედოს! არათას ხალხი [. . .] ღუმუმის ადგილზე, სადაც ცხვარი, თხა და ბაგკანი ურიცხვია, ღუმუმის ყანებში მთის ცხვარივით მუხლს მოგიყრის. ჩემს მკერდზე მშესავით ამოდი! ჩემი ყელსაბამის ძვირფასი ქვა ხარ! ენმერქარ, უთუს ძევ, შენ დიდება!”

ბაგონმა ბრწყინვალე ინანას სიგყვა ჩაიბუჭდა. მოციქული, სიგყვის მცოდნე, გამძლე კაცი, ლაშქრიდან გამოარჩია, [. . .] მოციქულს [. . .], დიდი სიგყვა, ბრძენი ინანას სიგყვა სად წაუღოს?

“ზუბის მთიანეთი გაღაიარე, ზუბის მთიანეთიდან ჩემთან მოდი; შუშინი, ანშანის ქვეყანა, ჰაგარა თავვივით მღაბლად ინანას მიესალმოს: დიდ მთებში მორჩილი ურიცხვი ხალხი მგვერში ფორთხავდეს მის წინაშე! მოციქულო, არათას ბაგონს უთხარი, მიუსართე: ხალხს შენი ქალაქიდან, როგორც ქედნებს ხიდან, გავრეკავ, როგორც ჩიგებს მკვიდრად ნაშენი ბუდიდან ამოვრეკავ; გაცამგვერებული ქალაქის მგვერით ავხვეგავ. არათას სამკვიდრო ენქიმ დაწყევლა, და მეც

გაცამტვერებული ადგილივით გავაცამტვერებ. ამისთვის აღდგა ინანა და ხმა დასჭექა, მაღალ ხმაზე იყვირა, და მეც როგორც ნანგრევებს ხვეტენ, ისე მის ნანგრევებს ავხვეტავ. როცა ნაბადებ ოქროს ტყავის ტომრებში ჩაყრის, როცა ვერცხლს მისი მტვერიდან გამოაცალკევებს, როცა ძვირფას ლითონს დაამზადებს, როცა მთის ვირებს (ცხენებს) გვირთს აპკიდებს, – ენლილმა, შუმერის ჭაბუკმა, ჩემთვის, ბაგონისთვის, ნუღიმულის წმიდა გულით არჩეულისთვის, წმიდა განგებათა მთა ააშენებინოს, ბზით ლამაზად მოაპირკეთებინოს, განუნიდან ამომავალ მშვესავით გააფურადებინოს, კარის წყრთილები გამიკამშაშებინოს. მის *განუნებში* წმიდა სიმღერები და შელოცვები რომ იგალობება, ნუღიმულის შელოცვა უთხარი:

“მას ჟამს, როცა გველი არ იქნება, მორიელი არ იქნება,
აფთარი არ იქნება, ლომი არ იქნება,
ძალღი არ იქნება, შიში არ იქნება,
ოდეს კაცთა მოღგმას მტერი არ ეყოლება, –
მაშინ შუბურის მთები, ხამაზის ქვეყანა,
შუმერის მიწა, ტკბილმეცყველი,
ღიაღი ქვეყანა დიდებულ წესთა,
ური, მქონებელი ყოველთა სახმართა,
მართუ ჭალებში დავანებული,
მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი,
ენლილს ერთ ენაზე განადიდებს.

მას ჟამს მამა-ბაგონი, მამა-მთავარი, მამა-მეფე; ენქი მამა-ბაგონი, მამა-მთავარი, მამა-მეფე, მამა ბაგონი; მამა-მთავარი, მამა-მეფე, ენქი, სიუხვის ბაგონი, კეთილი სიგყვის ბაგონი, გონების ბაგონი, ქვეყნის ბრძენი, ღმერთების წინამძღოლი, სიბრძნისთვის არჩეული, ერიღუს

ბაგონი, მათ ბაგეებში ენას შეცვლის. რამდენიც არ უნდა იყვნენ – კაცთა მოღვმის ენა ერთია”.

მეორედ იგი მოციქულს მთისკენ წამავალს, არათასკენ, სიგყვას მიუსართავს:

“მოციქულო, ღამით ეული ღრუბელივით იწვიმე, შუაღლისას ცვაროვით ამოდი!”

მოციქულმა მეფის სიგყვა თავს იღვა; ღამით ვარსკვლავებს მიყვებოდა, შუაღლისას ცის უთუს (მზეს) მიჰყვებოდა. ზუბის მთიანეთში ავიდა, ზუბის მთიანეთიდან ჩავიდა; შუშინი, ანშანის ქვეყანა, პაგარა თავგვივით მიესალმა. დიდ მთებში მორჩილმა ურიცხვმა ხალხმა მგვერში იფორთხა მის წინაშე; ხუთი მთა, ექვსი მთა, შვიდი მთა გადაიარა, გაიხედა, არათას მიუახლოვდა, არათას ეზოში მხიარულად შეაბიჯა, თავისი მეფის დიდება მოახსენა, მისი სიგყვის შინაარსი გამოუცხადა. მოციქული არათას ბაგონს ეუბნება:

“შენმა მამამ, ჩემმა ბაგონმა შენთან გამომგზავნა, უნუგის ბაგონმა, ქულაბას ბაგონმა შენთან გამომგზავნა”.

“შენმა მეფემ რა თქვა ჩემზე, რა მიუსართა?”

“ჩემმა მეფემ ეს თქვა, ეს მიუსართა, ჩემმა მეფემ შობითგანვე გვირგვინის მაგარებელმა, უნუგის ბაგონმა, რჩეულმა გველმა (*მუშსანგ-ქალ*), შუმერში მცხოვრებმა, თავებს ფქვილივით რომ ფქვავს, მწვერვალების ჯიხვმა, ძლიერმა, [. . .], მთებში ჭეშმარიტი ფურის შობილმა, ენმერქარმა, უთუს ძემ, შენთან გამომგზავნა”.

“შენი მეფე ჩემზე რას ამბობს, ჩემზე რას მიუსართავს?”

“ჩემი მეფე, აი, რას ამბობს: ხალხს შენი ქალაქიდან, როგორც ქედნებს ხიდან, გაფვანგავ, როგორც მკვიდრად ნაშენი ბუდიდან ჩიგებს ამოვრეკავ, დაქცეული ქალაქის მგვერივით ავხვეცავ. არათას სამ-

კვიდრო ენქიმ დაწყევლა, და მეც გაცამტვერებული ადგილივით გავაცამტვერებ. ამისთვის აღდგა ინანა და ხმა დასჭექა, ხმა აღამალა, და მეც როგორც ნანგრევებს ხვეტენ, ისე მის ნანგრევებს ახვეტავ. როცა ნაბადებ ოქროს ტყავის გომრებში ჩაყრის, როცა ვერცხლს მისი მტვერიდან გამოაცალკევებს, როცა ძვირფას ლითონს დაამზადებს, როცა მთის ვირებს (ცხენებს) გვირთს აჰკიდებს, – ენლილი, შუმერის ჭაბუკი, ჩემთვის, ბაგონისთვის, ნუღიმუღის წმიდა გულით არჩეულისთვის, წმიდა განგებათა მთას ააშენებინებს, ბზით ლამაზად მოაპირკეთებინებს, განუნიდან ამომავალ მზესავით გაააფერადებინებს, კარის წყრთილებს გამიკაშკაშებინებს. მის *განუნებში* წმიდა სიმღერები და შელოცვები რომ იგალობება, ნუღიმუღის შელოცვა უთხარი. რაც ჩემთვის სათქმელი გაქვს, მითხარი. და მე ლაქვარდწვეროსანის ნაშიერს, ძლიერი ფურის ნაშობს წმიდა განგებათა მთაში, არათას მიწიდან ამომზრდილს, ჭეშმარიტი ფურის გამოკვებილს, ქულაბაში, დიდ-დიდ განგებათა ქვეყანაში, სამთავროდ შესაფერს, ენმერქარს, უთუს ძეს, ამ სიბყვას ეანას საწმიდარში, კეთილ სიბყვას ვეცყვი; გიპარში, *მეში* ხესავით ნაყოფს რომ ისხამს, ჩემს მეფეს, ქულაბას ბაგონს, ხელში მივცემ”.

ასე რომ ელაპარაკა, არათას ბაგონმა მიუგო:

“მოციქულო, შენს მეფეს, ქულაბას ბაგონს, უთხარი, მიუსართე: ეს მე ვარ, ბაგონი, სუფთა ხელის შესაფერისი, ვინც ცის დიდმა ყელსაბამმა, ცისა და მიწის დედოფალმა, ყველა განგებათა ქალბაგონმა, ბრწყინვალე ინანამ, არათაში, წმიდა განგებათა მთაში, მომიყვანა, მთაში კარიბჭესავით თავის წინ დამაყენა. არათა უნუგს ქედს როგორ მოუხრის? არათა უნუგს ქედს არ მოუხრის, მას უთხარი”.

ასე რომ ელაპარაკა, მოციქულმა არათას ბაგონს მიუგო:

“დიდი ცის დედოფალი, შიშისმომგვრელ *განგებამე* რომ არის ამხედრებული, გამუშის მთიანეთში რომ არის დამკვიდრებული, გამუშის საწმიდარი რომ შეამკო, რაკი ბაგონმა, ჩემმა მეფემ, მისმა მსახურმა, ღვთიური დედოფალი ეანაში შეიყვანა. არათას ბაგონმა ქელი უნდა მოუხაროს! ასე უთხრა მას (ინანამ) აგურნაშენ ქულაბაში”.

მას უამს არათას ბაგონს გულმა ცემა დაუწყო, შეშფოთდა. პასუხი არა აქვს, პასუხს ეძებს. თავის ფეხებს დაამგერდა პასუხის მოსაძებნად; პასუხი იპოვა, მიუგო, მოციქულს პასუხს აძლევს, ხარივით შედმუვლა:

“მოციქულო, შენს მეფეს, ქულაბას ბაგონს, უთხარი, მიუსართე: დიდი მთიანეთი, სადაც *მეშის* ხე ცამდე იზრდება, რომლის ფესვები ბაღეა, რომლის გოგები ხაფანგია; ბელურაა, ჭანგები კი ანზულის თუ არწივისა აქვს; ინანას შეკრული დაურღვეველია. იმ არწივის ჭანგები მგრის სისხლს თეთრ მთაში აღინებს. არათა ცრემლსა ღვრის, სამსხვერპლო წყალი იღვრება, ფქვილი იფრქვევა. ქვეყანაში ლოცვა-ვედრებაა, თაყვანისცემაა. ხუთი კაცი არ არის, ათი კაცი არ არის – აღმდგარი უნუგი ზუბის მთიანეთის წინააღმდეგ როგორ გაილაშქრებს? შენი მეფე ჩემს იარაღს ესხმის თავს, მე კი პაექრობით დავესხმები თავს. ვინც პაექრობა არ იცის, ვერაფერს ჭამს; როგორც ხარმა ხარის ძალა არ იცის. ვინც პაექრობა იცის, ჭამს, როგორც ხარმა იცის ხარის ძალა. მას არ სურს პაექრობა? მეორეგმის, მოციქულო, სიგყვას გეგყვი; პასუხი გაგიმზადე, თან წაიღე. ეანაში, თათებზე რომ ლომი წევს, მის გულში ხარი რომ ღმუის, გიპარში, *მეშის* ხესავით რომ ახლად ისხამს ნაყოფს, შენს მეფეს, ქულაბას ბაგონს, ხელში ჩააბარე! მთა გმირია, მაღლა აღმართული, მწუხრზე თავისი სახლისკენ მიმავალ უთუსავით, პირისახიდან სისხლმდინარივით, რქააღმართულ ნანარი-

ვით, მეღამით შუბლგასხივოსნებულებით, მთების გადამლობავ ხეე-
ბით. [. . .], წმიდა განგებათა ქვეყნის (მთის) მფარველი კეთილი
ანგელოზისადმი (ლამა), როცა არათას ოქროს გვირგვინით რქა
გაუმართა, მას ჟამს მე ჩემი დიდებულება შევიცანი. ხორბალს გომ-
რებში არ ჩაყრის, ურმით არ წაიღებს, თავის ხორბალს მთებში არ
წაიღებს, ხალხში ხარკის ამკრეფთ არ დაადგენს. თუ თოფრაკებს
ხორბლით აავსებს, ვირებს გვირთს აჰკიდებს, სათადარიგო ვირებს
გვერდით დაუყენებს, თუ არათას ეზოში სვავად დაახვავებს, ნამდ-
ვილად დაახვავებს სვავად თავის ღოვლათს, ქვეყნების მანათობე-
ლი, საცხოვრებელთა სამკაული, შვიდი გალავნის დამამშვენებელი,
გმირი დედოფალი, ბრძოლის შესაფერი, ინანა, ბრძოლის ველის
გმირი, მეომართა მაცეკვებელი ინანას ცეკვით, თუ ნამდვილად არა-
თას მძორისმჭამელი ძალივით ხელიდან გამიშვებს, მე მას ჟამს დავ-
ემორჩილები, იგი თავის დიდებულებას მაცოდინებს, ქალაქივით ჩემს
სიმცირეში დავემორჩილები. ასე უთხარი”.

ასე რომ ელაპარაკა, არათას ბატონმა მოციქულს ბაგეში ჩაუღო
თავისი ბაგით ნათქვამი სიგყვა. მოციქული ველური ფურივით თავის
თედოზე შემოგრიალდა, მგვერის მწერივით ღღის სიგრილეში გაე-
მართა; აგურნაშენ ქულაბაში ფეხი მხიარულად შეაბიჯა; დიდ ეზოში,
გუენას ეზოში მოციქულმა გასწია. თავის მეფეს, ქულაბას ბატონს,
ბაგისეული მუსგად გაუმეორა; ხარივით შეუბღავლა. მეფემ ხარის
გამრეკივით ყური მიაპყრო, მეფემ მარჯვენა მხარეს დაისვა, მარცხ-
ენა მხარეს შეაგრიალა – “ნამდვილად იცის არათამ [. . .]”, უთხრა.

დღე რომ გავიდა და მზე ამოვიდა, უთუმ ქვეყანაზე თავი აღმართა,
მეფემ იდიგნა ბურანუნასთან დააწყვილა, ბურანუნა იდიგნასთან დააწყ-
ვილა. დიდი თასები დააწყო, პაგარა თასები, ბატკნებივით ბალახს

რომ წიწკნიან, გვერდით მიუწყო, [. . . .] თასები ცისა გვერდით დააწყო; მეფემ ოქროს ჯამები, ენმერქარმა, უთუს [. . . .] სორბლის ხეავით პირთამდე აავსო, კალიის კბილისთვის დაუმაგა, ვირებს გომრები აჰკიდა, შემცვლელი ვირები გვერდით დაუყენა. მეფემ, ბაგონმა, ვრცელამროვანმა, უნუგის ბაგონმა, ქულაბას ბაგონმა, არათას გზაზე გაამგზავრა. ხალხი ხვრელების ჭიანჭველებივით არათასკენ თავისით წავიდა. ბაგონი მოციქულს, მთისკენ წამავალს, არათასკენ, სიგყვას მიუსართავს:

“მოციქულო, არათას ბაგონს უთხარი, მიუსართე: ჩემი კვერთხის ფესვი დიდებულობის განგებაა, მისი რგოები ქულაბას მფარველი ჩრდილია, მისი სხივოსანი რგოების ქვეშ ეანას საწმიდარში ბრწყინვალე ინანა თავს იგრილებს. კვერთხი გამოთალოს, თან ჰქონდეს, მარჯნის ქვებივით, ლაქვარდის ქვებივით, ხელში ჰქონდეს. არათას ბაგონმა ჩემს წინაშე მოიგანოს! მას უთხარი!”

ასე და ამგვარად რომ ელაპარაკა, მოციქული არათასკენ გაემართა. მისმა ფეხებმა გზაზე მგვერი დააყენა, მთიანეთის კენჭები აახმაურა; გველეშაპივით, გრამალში რომ მითარეშობს, მეგოქე არ ჰყავს. მოციქულმა არათას რომ მიაღწია, არათას ხალხი გომრებაკიდებულ ვირებს გაკვირვებით მიეჭრა; მოციქულმა არათას ებოში ხორბალი დაახვავა, კალიას კბილებსაც დაუტოვა. როგორც ცის წვიმისგან და მზისგან არათა სიუხვით აივსო. თითქოს ღმერთები დაბრუნდნენ თავიანთ ადგილას, არათას შიმშილი დაცხრა.

“ჩვენ ამ შიმშილობისას ქულაბას ბაგონს, ჩვენს შიმშილობაში, შევეხიზნოთ!” უხუცესებს, სიგყვის მცოდნეთ, ხელები განუპყრიათ, კედელს მიყუდებთან. ბაგონს თავიანთ საგანძურს სთავაზობენ. მისი კვერთხი სასახლეში [. . . .].

მოციქული სიგყვის შინაარსს, რაც გულში ეღვა, აცხადებს:

“შენმა მამამ, ჩემმა მეფემ, შენთან გამომგზავნა; ენმერქარმა, უთუს ძემ, შენთან გამომგზავნა”.

“შენმა მეფემ ჩემთვის რა თქვა, ჩემთვის რა მიუსართა?”

“ჩემმა მეფემ ეს თქვა, ეს მიუსართა: ჩემი კვერთხის ფესვი დიდებულობის განგებაა, მისი რგოები ქულაბას მფარველი ჩრდილია, მისი სხივოსანი რგოების ქვეშ ეანას საწმიდარში ბრწყინვალე ინანა თავს იგრილებს. კვერთხი გამოთალოს, თან ჰქონდეს, მარჯნის ქვებით, ლაქვარდის ქვებით, ხელში ჰქონდეს. არათას ბაგონმა ჩემს წინაშე მოიგანოს! მას უთხარი!”

ასე და ამგვარად რომ ელაპარაკა, ამის გამო არათას ბაგონი საძილე ოთახში შევიდა და უჭმელი დაწვა. დღე დადგა, სიგყვას ამრავლებს; სიგყვას, რომელიც ბაგეზე არავის მოსვლია, ამბობს; სიგყვას ხორბლის მჭამელი ვირივით გარეუვლის. ახლა კაცი კაცს რას ეგყვის? კაცი კაცს რას მიუსართავს? კაცი კაცს როგორც ეგყვის, ისე იყოს!

“მოციქულო, შენს მეფეს, ქულაბას ბაგონს, უთხარი, მიუსართე: კვერთხი ხის არ იყოს, ხის სახელი არ ითქვას; ხელში დაიჭიროს, დააკვირდეს – ილდაგის არ არის, შიმგიგის არ არის, კედარის არ არის, შურმენის არ არის, კვიპაროსის არ არის, ფინიკის არ არის, ესის არ არის, მბაბალუმის არ არის, საეგლო ჭადრის არ არის, წკეპლის ლერწამი არ არის, ოქრო არ არის, სპილენძი არ არის, ძვირფასი ლითონი არ არის, ვერცხლი არ არის, მარჯანი არ არის, ლაქვარდი არ არის – ასეთი კვერთხი გამოთალოს, ხელში დაიჭიროს. მარჯანი, როგორც ხე, ლაქვარდი, როგორც ხე, ხელში დაიჭიროს. ქულაბას ბაგონმა ჩემ წინაშე მოიგანოს, ასე უთხარი”.

ასე და ამგვარად რომ ელაპარაკა, მოციქული ვირივით, გვირთს რომ ჩამოხსნიან და აყროყინდება, გაეშურა; უღაბნოს კანჯარივით გაიჭრა, პირი ქარს მიუშვირა; გრძელბეწვიანი ცხვარივით, ბილიკიდან რომ ცხვრებს გადარეკავს, გაიქცა; აგურნაშენ ქულაბაში ფეხი მხიარულად შეაბიჯა; თავის მეფეს, ქულაბას ბაგონს, დანაბარები სიგყვა-სიგყვით გადასცა.

ენმერქარს ენქიმ სიბრძნე მიანიჭა. ბაგონმა თავის მთავარ მოურავს დააგალა, თავის სახლში [. . . .], მეფემ მიიღო [. . . .], შებურა როგორც [. . . .], დაათვალიერა, ფილთაქვით [. . . .] როგორც ბალახი დანაყა, [. . . .] ლერწამზე მეთივით დაღვარა. დღის სინათლიდან ჩრდილში შევიდა, ჩრდილიდან დღის სინათლეზე გამოვიდა. ხუთი წელი, ათი წელი რომ გავიდა, [. . . .] ლერწამი ცულთ აჩეხა. ბაგონმა სიხარულით შეხედა, კაშკაშა მთის ზეთი, დაწმენდილი ზეთი, დაღვარა. მოციქულს, მთაში წამაგალს, კვერთხი ხელთ მისცა. მოციქული, არათაში წამაგალი, მთებს წეროსავით გადაევიღო, მწერივით მიწას გადააფრინდა, თევზივით მთაში გასრიალდა – არათას მიადგა. არათას ეზოში ფეხი მხიარულად შეაბიჯა, კვერთხი [. . . .] დაღო, [. . . .]; არათას ბაგონმა კვერთხს თვალი ჰკიდა, საძილე ოთახში, მის წმიდა სამყოფელში, საშიშად გაბრწყინდა. ბაგონი თავის მოურავს ეგყვის:

“არათა გაფანტული ცხვარივით არის, მისი გზა ამბოხებულ ქვეყანასავით არის! რაც დიდებული არათა ბრწყინვალე ინანამ ქულაბას ბაგონს გადასცა, კაცს, რომელმაც თავისი მოციქული გამოგზავნა, რათა მშის ნათელივით ძნელი სიგყვა გაენათეებინა, ახლა ბრწყინვალე ინანამ მოწყალედ მოხედა, არათაში ამ შიმშილობისას ვინ მოვა? ჩვენ კი ჩვენს გაჭირვებაში ქულაბას ბაგონს, ჩვენ შიმშილობაში, დავემორჩილოთ”.

არათას ბაგონი მოციქულს სიგყვას დიდად საჭირო დაფასავით ხელში აძლევს:

“მოციქულო, შენს მეფეს, ქულაბას ბაგონს, უთხარი, მიუსართე: კაცი არც შავი იყოს, კაცი არც თეთრი იყოს, კაცი არც ქვალი იყოს, კაცი არც წითელი იყოს, კაცი არც მწვანე იყოს, კაცი არც ჭრელი იყოს – ასეთი კაცი მომიყვანოს. ჩემი კაცი მის კაცს საასპარეზოდ გამოიწვევს. მჯობი ცნობილი გახდეს, მას უთხარი”.

ასე და ამგვარად რომ ელაპარაკა, მოციქულმა *ულუმ-ულამი* გაიარა, კვლავ აგურნაშენ ქულაბაში დაბრუნდა, სიგყვა დააბრუნა, დედალ თხასავით მთის კალთებისკენ მშერა მიუშართავს; დიდი გველივით, ბუჩქებიდან რომ გამოდის, [. . .], თავი ასწია, [. . .] არათაში [. . .], თავისი სადგომიდან მოვარდნილი წყალივით ეუბნება:

“მოციქულო, არათას ბაგონს უთხარი, მიუსართე: სამოსელი არც შავი იყოს, არც თეთრი იყოს, სამოსელი არც ქვალი იყოს, სამოსელი არც წითელი იყოს, სამოსელი არც მწვანე იყოს, სამოსელი არც ჭრელი იყოს – ასეთ სამოსელს მივცემ მას. ჩემი კაცი ენლილთან არის შებმული, ამ კაცს გავეუგზავნი მას. ჩემი კაცი მის კაცს ასპარეზობაში გამოიწვევს, მჯობი ცნობილი გახდეს, მას უთხარი. მეორეგზის უთხარი, მიუსართე, თვალთმაქცობას სწრაფლ განერიდოს. თავის ქალაქში მის წინ ცხვარივით იაროს; იგი მათი მწყემსივით უკან გაედევნოს; მისი სვლისას ელვარე ლაქვარდის მთამ გათელილი ლერწამივით ქედი მოუდრიკოს; მისი მბრწყინავი ოქრო და ვერცხლი, ინანას, ეანას ქალბაგონს, არათას ებოში ხვავად დაუხვავონ. მესამეგზის უთხარი, მიუსართე: რომ მისი ქალაქი, როგორც ხიდან ქედნები, არ აყვარო; [. . .] ვით დავაფრთხო; [. . .]; [. . .] ქარს არ გავაგანო: [. . .]. წამოსვლისას მთიანეთის ქვები წამოიღოს; დიდი საწმილარი ერიდუ

– აბბუ-განუნი ამიშენოს; მისი კარიბჭე შემიმკოს; მფარველი მისი ჩრდილი ქვეყანაზე გადმომიფინოს. [. . . .] სიგყვა, მისი ნათქვამი [. . . .]. მისი ნიშანი მას უთხარი”.

მას ქამს ბაგონი [. . . .]; [. . . .] ნათქვამი მისი ღიღია, გული (აზრი) მისი მიუწვდომელია. მოციქულმა, რომლის ბაგე მძიმე იყო, ვერ გაიმეორა. რაკი მოციქულის ბაგე მძიმე იყო და ვერ გაიმეორა, ქულაბას ბაგონმა თიხა ხელით მოზილა, სიგყვა დაფად აქცია. მანამდე სიგყვა თიხად ქცეული არ იყო, ამიერიდან უთუს ამ ღღეს ეს ასეა. ქულაბას ბაგონმა სიგყვა დაფად აქცია, ეს ასეა. მოციქული ფრინველივით ფრთებს აგყლაშუნებს, თხას გამოკიდებული მგელივით გარბის. ხუთი მთა, ექვსი მთა, შვიდი მთა გადაიარა, მზერა აღმართა, არათას მიუახლოვდა; არათას ებოში მხიარულად შეაბიჯა; თავისი მეფის პაგივი გააცხადა; მისი გულის (აზრის) განმარტება მოახსენა. მოციქული არათას ბაგონს მიუბრუნდა:

“შენმა მამამ, ჩემმა მეფემ, შენთან გამომგზავნა; უნუგის ბაგონმა, ქულაბას ბაგონმა, შენთან გამომგზავნა”.

“შენმა მეფემ ჩემთვის რა თქვა, ჩემთვის რა მიუსართა?”

“ჩემმა მეფემ ეს თქვა, ეს მიუსართა. ჩემი მეფე ღიღი *მეშის* ხეა, ენლილის ძეა. მისი ხე ცად და მიწად იზრდება, მისი რგოები ცას სწვდება, მისი ფესვები მიწას ეყრდნობა. უფლობაში და მეფობაში გაბრწყინებულია. ენმერქარმა, უთუს ძემ, თიხა მომცა. არათას ბაგონო, თიხას შეხედე, სიგყვის აზრი გაიგე; რაც სათქმელი გაქვს, მითხარი. და მე პირდაპირ ლაქვარდწვეროსანის ნაშიერს, ძლიერი ფურის მიერ სუფთა *განგებათა* მთაში შობილს, უნუგის მიწიდან ძალამიღებულს, ჭემმარიტი ფურის რძით გამოკვებილს, ქულაბაში, ღიღებულ *განგებათა* ქვეყანაში, ბაგონად განწესებულს, ენმერქარს, უთუს ძეს, ამ

სიცივეს ეანას საწმიდარში, კეთილ სიცივეებს ვეცყვი; გიპარში, *მეშის* ხესავით ნაყოფს რომ ისხამს, ჩემს მეფეს, ქულაბას ბაგონს, ხელში დაეუბრუნებ”.

ასე და ამგვარად რომ ილაპარაკა, არათას ბაგონმა მოციქულისგან გამომწვარი თიხა მიიღო. არათას ბაგონმა თიხას თვალი ჰკიდა – ნათქვამი სიცივეა სოლეპია. არათას ბაგონმა შუბლი შეიჭმუნა. გამომწვარ თიხას უყურებს. მას ჟამს ბაგონმა, ბაგონობის გვირგვინის ღირსმა, ენლილის ძემ, იშქურმა, ცად და მიწად დიდებულად მგრგვინავმა, ქარიშხალი აგეხა, დიდი ლომივით მიწაზე შეიმართა. მთებს არყევს, მთიანეთს ამხობს, მზარავი *მელაში* მის მკერდზე, მთიანეთს მხიარული ხმა გამოაღებინა. არათას განაპირას მას ჟამს, მთიანეთის გულში, ხორბალი თავისით აღმოცენდა, მუხუდოც აღმოცენდა, ხორბალი აღმოცენდა, ხვაი [. . .]. არათას ბაგონს მიუგანეს. არათას ეზოში მის წინაშე დაახვავეს. არათა ბაგონმა ხორბალს თვალი ჰკიდა, მოციქული აღმაცერად იყურება. არათას ბაგონი მოციქულს ეუბნება:

“ინანას, ქვეყნების დედოფალს, თავისი ქალაქის, არათას, პირველობას არ გაქცევი, უნუგის სასარგებლოდ არ მოუპარავს; თავისი *ეზაგინა* არ დაუგოვებია, ეანას სასარგებლოდ არ მოუპარავს; წმიდა განგებათა ქვეყანა არ მიუგოვებია, აგურნაშენი ქულაბას სასარგებლოდ არ მოუპარავს; შემკული სარეცელი არ მიუგოვებია, აყვავებული სარეცლისთვის არ მოუპარავს; ბაგონისთვის თავისი სუფთა ხელი არ წაურთმევი, უნუგის ბაგონის, ქულაბას ბაგონის სასარგებლოდ არ მოუპარავს. არათას მარჯვნივ და მარცხნივ ინანამ, ქვეყნების დედოფალმა, დიდი წყლებივით ირგვლივ შემოუარა; ეს ხალხია ხალხებისგან გამოცალკევებული; ხალხია, ღუმუმი ხალხებიდან

გამოიყვანა; წმიდა ინანას სიგყვა თავის ადგილზე დაამყარა; ფალავან-
მა, ბრძენმა და ღუმუზის [. . .] ირგვლივ იგრიალოს. მალე მოდი, ძეო
[. . .]! წარღვნა მოვიდა და წარღვნამ რომ წალეკა, ინანამ, ქვეყანა-
თა დედოფალმა, ღუმუზის დიდი სიყვარულის გამო სიცოცხლის წყალი
ასხურა მათ, ქვეყანაში ხეები აღმოაცენა; ბრძენი ფალავანი როცა
მოვიდა, ჭრელი საბურველით თავი დაიფარა, ლომის გყავებით შეი-
მოსა [. . .], მისი სიმღერა ამაუშუმგალანას, მის სასიძოს, ეგკბო. იმ
ხანიდან ღუმუზის წმიდა ყურისთვის განამშვეენა (სრულყო), სიმღერა
და სიგყვა აცოდინა. როცა ბერღელა სუფთა განგებათა ქვეყანაში
მოვიდა, როგორც ქალწული, თავის დღეთა სრულყოფილებაში, მოვ-
იდა, თვალეები შეიღება, თეთრი სამოსელით შეიმოსა, მთვარესავით
დაგვირგვინებული ამოვიდა; თავი [. . .] გაიმზადა, თავისი სასიძო
ენმერქარი გახტმე გვერდით მოისვა, [. . .]. ნამღვილად, გაუმ-
რავლდება არათას ცხვარი და ბაგკანი! ნამღვილად, გაუმრავლდება
არათას თხა და ციკანი! ნამღვილად, გაუმრავლდება არათას ძროხა
და ხბო! ნამღვილად, გაუმრავლდება არათას ხრდალი ვირი და შავი,
მკვირცხლი ჩოჩორი! არათაში იგყვიან: ხორბლის ხვავე დაახვავეონ,
ქელი მოვიხაროთ! სიუხვე შენია, შენი სიუხვეა!

*(დასასრული არ არის შემორჩენილი. ფრაგმენტული სგრიქონე-
ბი გვაუწყებს, რომ უნუგისა და არათას ცილობა მშვილობიანად
მთავრდება. უნუგი არათას ხორბლით ამარაგებს, არათა – საშენი
მასალით.)*

ენმერქარი და ენსუბგირანა

აგურის კელეები აღმართულია ბრწყინვალე ველის პირზე; ქულაბა, ქალაქი, რომელიც მიწიდან ცას სწვდება, უნუგი, რომლის დიდება ცისარტყელად ცას ეფინება, მრავალფერად ელვარე, ახალ მთვარესავით ცაზე დგას.

მას ჟამს დღე უფალი იყო, ღამე გახტი იყო, მზე-უთუ მეფე იყო. არათას უფლის ვეზირი იყო, სახელი მისი ანსიგარია იყო; ენმერქარის, ქულაბას უფლის, ვეზირი იყო, სახელი მისი ნამენათუმი იყო. კაცს, ღმერთად შობილს, კაცს, ღმერთად გამოცხადებულს, უნუგის უფალს, ქულაბას უფალს, მან ასპარეზობა გაუმართა; არათას უფალმა ენსუბგირანამ, თავის მოციქულს უნუგისთვის სათქმელად დააბარა:

“ქელი მომიხაროს, ჩემი უღელი იგვირთოს! როცა ქედს მომიხრის, ნამღვილად ქედს მომიხრის, შინ ის და მე – მან ინანასთან ერთად ეგარში იმკვიდროს, მე კი ინანასთან ერთად არათას ეზაგინში ვიმკვიდრო! აყვავებულ სარეცელზე მასთან ერთად დაწვეს, მე კი შემკულ სარეცელზე გკბილად დასაძინებლად მასთან ერთად დავწვე; მან ინანასთან ერთად ღამით სიმშრები იხილოს, მე კი ინანასთან ფხიზლად ვისაუბრო! მან ბაგები ხორბლით გამოკვებოს, მე კი ბაგები ხორბლით არ გამოვკვებო; მე ბაგის კვერცხებს კალათაში ჩავაწყო, წიწილებს გამოვაჩეკინებ; პაგარ-პაგარებს ჩემს ქოთანში ჩავაწყო,

მომრდილებს ჩემს დიდი ქვაბში ჩავაწყო. და რაც ბაგისგან დარჩება, ქვეყნის გამგებლებმა, ვინც ქელს მოიხრიან, ჩემთან ერთად ჭამონ. ენმერქარს ასე უთხარი”.

მოციქული ირემივით გარბის, შევარდენივით მიფრინავს; დღისით გადის, საღამოთი ბრუნდება; [. . .]. შაქანის ვირივით მთებზე გადარბის [. . .]; როგორც ლომი ველზე დილაობით ღრიალებს, როგორც მგელი, ბაგკნის გამგაცბელი, იჩქარის, [. . .], უფალთან მის წმიდა გიპარში შევიდა, ენმერქართან მის წმიდა გიპარში შევიდა:

“შენთან ჩემმა მეფემ გამომგზავნა, არათას უფალმა, ენსუხგირანამ, გამომგზავნა”.

“შენს მეფეს რა აქვს ჩემთვის სათქმელი, რა აქვს მოსათხრობი? ენსუხგირანას რა აქვს ჩემთვის სათქმელი, ჩემთვის მოსათხრობი?”.

“ჩემი მეფე ამბობს: ქელი მომიხაროს, ჩემი უღელი იგვირთოს! როცა ქელს მომიხრის, ნამდვილად ქელს მომიხრის, შინ ის და მე – მან ინანასთან ერთად ეგარში იმკვიდროს, მე კი ინანასთან ერთად არათას ეზაგინში ვიმკვიდრო! აყვავებულ სარეცელზე მასთან ერთად დაწვეს, მე კი შემკულ სარეცელზე ტკბილად დასაძინებლად მასთან ერთად დაწვევ; მან ინანასთან ერთად ღამით სიმრეები იხილოს, მე კი ინანასთან ფხიზლად ვისაუბრო! მან ბაგები ხორბლით გამოკვებოს, მე კი ბაგები ხორბლით არ გამოკვებო; მე ბაგის კვერცხებს კალათაში ჩავაწყო, წიწილებს გამოვაჩეკინებ; პაგარ-პაგარებს ჩემს ქოთანში ჩავაწყო, მომრდილებს ჩემს დიდი ქვაბში ჩავაწყო. და რაც ბაგისგან დარჩება, ქვეყნის გამგებლებმა, ვინც ქელს მოიხრიან, ჩემთან ერთად ჭამონ”.

“მან ინანასთან ერთად არათას ეზაგინში იმკვიდროს, მე კი, როგორც მიწიერი თანამგზავრი, ვიმკვიდრებ მასთან ერთად; შემკულ

სარეცელზე ტკბილად დასაძინებლად დაწვეს მასთან ერთად, მე კი ინანას აყვავებულ სარეცელზე [. . .] მისი ზურგი უგ-ლომია, მისი თავი პირიგ-ლომია; უგ-ლომი პირიგ-ლომს ეღვენება, პირიგ-ლომი უგ-ლომს ეღვენება; როცა უგ-ლომი პირიგ-ლომს ეღვენება, პირიგ-ლომი უგ-ლომს ეღვენება, დილა არ თენდება, ღამე არ გადის. მე ინანასთან ერთად თხუთმეტი დანა გზა გამივლია, მზე-უთუს წმიდა გვირგვინი არ უხილავს, როცა წმიდა გიპარში შედის; ენლილმა ჭემ-მარიტი გვირგვინი და კვერთხი ჩამაბარა, ნინურთამ ენლილის ძემ, ხეს მათარასავით ფესვი გაუფართოვა; არურუმ, ენლილის დამ, მარჯვენა ძუძუ გამომიწოდა, მარცხენა ძუძუ გამომიწოდა. დიდ საწმიდარში შესვლისას ღვთისმხვეალი ანზულის ბარცყივით ჭყივის [. . .]. ინანა უნ-უგში მკვიდრობს, არათას რა აქვს? ქულაბას კელღებში მკვიდრობს [. . .]; ხუთი წელია, ათი წელია, არათაში არ წასულა; როცა არათაში წასვლა უნდა, ეანას დიდებული დედოფალი მე მეთათბირება; წასვლას მე მაგყობინებს და ვიცი, რომ არ წავა. ვისაც არაფერი აქვს, ბატებს ხორბლით ვერ გამოკვებავს, მე კი ბატებს ხორბლით ვკვებავ. მე ვაწყობ ბაგის კვერცხებს კალათაში და წიწილებს ვაჩეკინებ. პაგარ-პაგარებს ჩემს ქოთანში, მოზრდილებს ჩემს დიდი ქვაბში. რაც ბაგისგან დარჩება, ქვეყნის გამგებელნი, ვინც ქელს ისრიან, შეჭამენ ჩემთან ერთად.

ენმერქარის მოციქულმა მიაღწია ენსუხგირანას, მიაღწია მის წმიდა გიპარს, სადაც ის ზის და ელის პასუხს. მოუხმო საკრებულს, რჩევას ეძებს – იშიბ-ქურუმს, ლუმახ-ქურუმს, გუდუ-ქურუმს, გირსაგა-ქურუმს, ვინც გიპარში ცხოვრობენ [. . .]: “რა ვუთხრა მას, რა ვუთხრა მას? უნუგის ბატონს, ქულაბას ბატონს რა ვუთხრა? მისი ხარი ჩემი ხარის წინააღმდეგ აღდგა, უნუგის ხარმა იგი დაამარცხა; მისი კაცი ჩემს

კაცს შეერკინა, უნუგის კაცმა იგი დაამარცხა; მისი ფალავანი ჩემს ფალავანს შეერკინა, უნუგის ფალავანმა იგი დაამარცხა.”

მოსმობილმა კრებულმა მიუგო: “შენ პირველმა გაგზავნე უნუგში მედიდური სიგყვები ენმერქართან; ენმერქარს ვერ დააოკებ, შენი თავი დააოკე. დამშვილდი, გულის გერჩის არაფრისთვის, ეს იცოდე”.

“თუ ჩემი ქალაქი ნანგრევად იქცევა, მე მისი ნამსხვრევი ვიყო! უნუგის ბაგონს, ქულაბას ბაგონს, ქელს არ მოვუხრი”.

ჯალოქარი, რომლის ხელოვნება ხამაზის კაცის ხელოვნებაა; ურგირინუნა, რომლის ხელოვნება, ხამაზის კაცის ხელოვნებაა; ხამაზი რომ დაინგრა, არათაში მოვიდა, ეგიპარში ჯალოქრობას ეწეოდა [. . .]. ჯალოქარმა უთხრა ვეზირ ანსიგარიას:

“ჩემო მეფევ, ქალაქის დიდი მამები, საფუძველი რომ დადეს, რჩევას რაგომ არ იძლევიან? მე გავათხრევიანებ არხებს, არათას წინაშე უნუგს ქელს მოვახრევიანებ, ჩემი დიდი ლაშქრის წინაშე ქვემოთიდან ბემოთამდე, ბღვიდან კედარის გყემდე, ბემოლან კედარის სურნელოვან მთამდე ქელს მოვახრევიანებ; უნუგი დოვლათს თავად მოიგანს სომალდით, სომალდს არათას ეზაგინთან დააბამს”.

ვეზირი ანსიგარია აღგა თავის ქალაქში.

“ჩემო მეფევ, დიდი ქალაქის მამები, საფუძველი რომ დადეს, რჩევას რაგომ არ იძლევიან? მე გავათხრევიანებ არხებს, არათას წინაშე უნუგს ქელს მოვახრევიანებ; ჩემი დიდი ლაშქრის წინაშე ქვემოთიდან ბემოთამდე, ბღვიდან კედარის გყემდე, ბემოლან კედარის სურნელოვან მთამდე ქელს მოვახრევიანებ; უნუგი დოვლათს თავად მოიგანს სომალდით, სომალდს არათას ეზაგინთან დააბამს”.

უფალი ამან ძალზე გაახარა. ხუთი მანა ოქრო მისცა, ხუთი მანა ვერცხლი მისცა, საუკეთესო საჭმელს დაჰპირდა, საუკეთესო სასმელს

დაჰპირდა. “როცა მისი ხალხი გყვედ ჩავარდება, შენი ცხოვრება [. . . .]”, დაჰპირდა.

ჯადოქარი, საუკეთესო თესლის მთესველი, ერეშისკენ, ნისაბას ქალაქისკენ, გაემართა, ბოსელს, სახლს, სადაც ძროხა დგას, მიაღწია; ძროხა ბოსელში შიშისგან აკანკალდა; ძროხას სიგყვა უთხრა, ადამიანივით დაელაპარაკა:

“ძროხავ, შენს ერბოს ვინ ჭამს, შენს რძეს ვინ სვამს?”

“ჩემს ერბოს ნისაბა ჭამს, ჩემს რძეს ნისაბა სვამს. ჩემი ყველი, ოსტაგურად ქმნილი, ნათელი გვირგვინია. დიდი დარბაზის, ნისაბას დიდი დარბაზის საკადრისია. ვიდრე ჩემი ერბო წმიდა ბოსლიდან მიაქვთ, ვიდრე ჩემი რძე წმიდა ფარეხიდან მიაქვთ, ჭეშმარიტი ფური ნისაბა, ენლილის პირმშო, ხალხს ბეგარას არ დააკისრებს”.

“ძროხავ, შენი ერბო შენს ელვარე რქებს, შენი რძე შენს ზურგს!” ძროხის ერბო ძროხის ელვარე რქებს, ძროხის რძე მის ზურგს”.

წმიდა ბოსელს, ნისაბას ბოსელს მიაღწია. თხა ბოსელში აკანკალდა. თხას სიგყვა უთხრა, ადამიანივით ელაპარაკა:

“თხავ, შენს ერბოს ვინ ჭამს, შენს რძეს ვინ სვამს?”

“ჩემს ერბოს ნისაბა ჭამს, ჩემს რძეს ნისაბა სვამს. ჩემი ყველი, ჩემი ყველი ოსტაგურად ქმნილი, ნათელი გვირგვინია. დიდი დარბაზის, ნისაბას დიდი დარბაზის საკადრისია. ვიდრე ჩემი ერბო წმიდა ბოსლიდან მიაქვთ, ვიდრე ჩემი რძე წმიდა ფარეხიდან მიაქვთ, ჭეშმარიტი ფური ნისაბა, ენლილის პირმშო, ხალხს ბეგარას არ დააკისრებს”.

“თხავ, შენი ერბო შენს ელვარე რქებს, შენი რძე შენ ზურგს!” თხის ერბო თხის ელვარე რქებს, თხის რძე მისავე ზურგს.

მას ჯამს ბოსელ-ფარეხი მდუმარე სახლად იქცა, დოვლათი მოაკლდა; ძროხის ჯიქანში რძე აღარ იდგა, ხბოს დღე დაუბნელდა; მისი

ნორჩი ხბო მშვიერი იყო, მწარედ ტიროდა. თხის ჯიქანში რძე აღარ იდგა, თიკანს დღე დაუბნელდა; თიკანი და თხა შიმშილობდნენ... ხბო ძროხას მწარე სიგყვებს ეუბნებოდა, თხა – თიკანს [. . . .]; წმიდა სადღვებელი მღუმარებდა, ცარიელი იდგა. მას ქამს ფარეხ-ბოსელი მღუმარების სახლად გადაიქცა, დოვლათი დაიკარგა; მეცხვარეს კეგი ხელიდან გაუვარდა, მწყემსმა კომბალი გვერდზე გადადო, მწარედ ატირდა. მწყემსი ბიჭი ფარეხ-ბოსელში აღარ შედიოდა, რძის დამგარებელი ხმამაღლა აღარ იძახის, სხვა გზა დაიჭირა; ნისაბას მწყემსები, ერთი დედის ნაშობნი, ფარეხ-ბოსელს განერიდნენ. ერთის სახელი მაშგულა, მეორის სახელი ურედინა. ორივენი ნანგრევებში სხედან, ციურ უთუს ვევერებიან:

“ჯალოქარი, არათელი კაცი, ფარეხში შევიდა, ფარეხში რძე დაამრო, ხბოს არაფერი რჩება; ფარეხ-ბოსელი გაპარგახდა, ერბომ და რძემ დაიკლო. [. . . .]

ორივემ თევზის ქვირითი მდინარეში მოისროლა. ჯალოქარმა წყლიდან ვეებერთელა თევზი ამოიყვანა; ბრძენმა ქალმა საგბურუმ კი არწივი ამოიყვანა. არწივი ვეებერთელა თევზს დააცხრა და მთიანეთში გაფრინდა (ვარ. არწივმა გალღებიდან აიგაცა ვეებერთელა თევზი და ცაში წავიდა).

მეორედ მოისროლეს თევზის ქვირითი მდინარეში. საგბურუმ წყლიდან მგელი ამოიყვანა. მგელმა ცხვარი და მისი ბატკანი შეიპყრო და უდაბნოსკენ წაათრია.

მესამედ მოისროლეს თევზის ქვირითი მდინარეში; ჯალოქარმა წყლიდან ძროხა და ხბო ამოიყვანა. ბრძენმა ქალმა საგბურუმ კი წყლიდან ლომი ამოიყვანა. ლომმა შეიპყრო ძროხა და მისი ხბო და ლაქაშებში წაათრია.

მეოთხედ მოისროლეს ქვირითი მდინარეში. ჯაღოქარმა წყლიდან ჯიხვი და გარეული ცხვარი ამოიყვანა, ბრძენმა ქალმა საგბურუმ კი წყლიდან მთის ავაზა ამოიყვანა. მთის ავაზამ ჯიხვი და გარეული ცხვარი შეიპყრო და მთაში წაიღო.

მეხუთედ მოისროლეს ქვირითი მდინარეში. ჯაღოქარმა წყლიდან ქურციკი ამოიყვანა, ბრძენმა ქალმა საგბურუმ კი წყლიდან ვეფხვი ამოიყვანა. ვეფხვმა შეიპყრო ქურციკი და ტყისკენ წაათრია. ჯაღოქარი ამაზე მოიღუშა, გონება აერია.

ბრძენმა ქალმა საგბურუმ უთხრა მას:

“ჯაღოქარო, ჯაღოქრობის ძალა გაქვს, მაგრამ სად არის შენი ჭკუა? როგორ იფიქრე ჯაღოქრობა უნუგში, ნისაბას ქალაქში, ქალაქში, რომლის ბედი ანმა და ენლილმა გადაწყვიტეს, ნინლილის საყვარელ ქალაქში?”

ჯაღოქარმა მიუგო:

“აქ რომ მოვდიოდი, ეს არ ვიცოდი. ახლა ვალიარებ შენს უპირატესობას. გთხოვ, სასტიკი ნუ იქნები”. ეხვეწებოდა, ლოცვით ევედრებოდა: “გამიშვი, ჩემო დაო, გამიშვი, მშვიდობით წავიდე ჩემს ქალაქში. უსაფრთხოდ დამაბრუნე არათაში, ბრწყინვალე მეთა მთიანეთში”.

ბრძენქალმა საგბურუმ მიუგო მას:

“შენ შეაწუხე ფარეხები და ბოსლები, კარაქი და რძე შეამცირე; შენ გაღმობირქვავე სამხრის ტაბლა, დილისა და საღამოს ტაბლა. შენ შეუწყვიტე კარაქი და რძე დიდ სანადიმო დარბაზს სავახშმოდ. შენზეა ცოდვა, რომ კარაქი და რძე აღარ შემოდის, არ გეპატიება. მეფე ნანარმა დაადგინა, რომ ეს სასიკვდილო დანაშაულია და მე ვერ დაგინდობ”.

ბრძენქალმა საგბურუმ გამოაცხადა განაჩენი ჯაღოქარზე საკრებულოში. და მან გადააგლო თავისი პატიმარი ეფურაგის ნაპირიდან.

ამოართვა სასიცოცხლო ძალა და დაბრუნდა უნუგში, თავის ქალაქში.

რა ესმა ეს ამბავი ენსუხგირანას, კაცი გაუგზავნა ენმერქარს: “შენ ხარ ინანას ნანდაური ბაგონი, შენ ხარ ერთადერთი აღზევებული. ნამდვილად ინანას თავისი წმიდა კალთისათვის აურჩევებარ, შენა ხარ მისი ნანდაური. დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე დიდებული ბაგონი ხარ, მე კი მეორე ვარ შენს შემდეგ. შობითგანვე შენი სწორი არა ვარ, შენ ჩემი უფროსი ძმა ხარ, ვერასოდეს შეგედრები.”

ასპარეზობაში ენმერქარსა და ენსუხგირანას შორის ენმერქარი ენსუხგირანაზე უპირატესი გამოჩნდა. დიდება ნისაბას!

ლუგალბანდა და ანზულ-ფრთოსანი

ლუგალბანდა მთაში, შორეთში დახეგიალობს; საბუს მთიანეთის მწვერვალზე ასვლას ლამობს. დედა თან არ ეყოლება, რჩევას ვერ მისცემს; მამა თან არ ეყოლება, სიგყვას ვერ ეგყვის; თავისი მოყვასი და ნაცნობი თან არ ეყოლება, მისი გულის სიგყვებს ვერავინ მიაწოდებს. თავის გულში სიგყვებს იკრებს:

“ფრთოსანს მის საკადრისად მოვექცევი, ანზულს მის საკადრისად მოვექცევი; მის ცოლს ყელზე გადავეჭდობი, ანზულის ცოლთან, ანზულის შვილებთან ნადიმად დავეჯდები. ანი გუენას ქალბატონს მთიანეთიდან დააბრუნებს; გამოცდილი ქალი, დედის მშვენებად გაჩენილი, ნინქასი, გამოცდილი ქალი, დედის მშვენებად გაჩენილი, მისი ალაოს ჭურჭელი, ლაჟვარდის ქვისგანაა, მისი თასი წმიდა ვერცხლისა და ოქროსია; ლულში რომ დგას, ნეგარებაა, ლულში რომ მის, მხიარულებაა... ჩემგან მირთმეული ღვინო, დაე, შეერგოს! ფრთოსანი, ლულს რომ დალევეს, გაიხარებს; ანზული, ლულს რომ დალევეს, გაიხარებს; უნუგში წასასვლელს მომიძებნის. ანზული ჩემი ძმების გზაზე დამაყენებს”.

მას ჟამს ენქის ხვივანი არწივ-ხე, ინანას ჭრელთვალა სარდიონის მთიანეთში, ბუმბერაზად მიწაზე რომ იდგა, [. . .] ვით ხავსით იყო დაფარული, მთის მაღალ ადგილზე თავის ჩრდილს აფენდა, მაგყლის

სამოსელივით აფენდა, სელის სამოსელივით ფარავდა. მისი ფესვები რჩეული გველივით უთუს შვიდგოგა მდინარეში ჩაწოლილიყო; მის გვერდით, კვიპაროსის უცნობელ მთაში, გველი არ იჩქაროდა, მორიელი არ მიცოცავდა; მის შუაგულში ბურუაშს ბუდე მოუწყვია, თავისი კვერცხი დაუდევს; მის შორიასლო ანზუდ ფრთოსანს ბუდე დაუდგამს, თავისი მართვე შიგ ჩაუსვამს. მისი ძელები ურთხელისა და ბზისაა. ფრთოსანმა მათი ელვარე შგოები სახურავად უქმნა. ფრთოსანმა განთიადისას ფრთები გაშალა, ანზუდი მზის ამოსვლისას აყივლდა; მის ყივილზე მთის გულში მიწა შემანზარდა. გვიგენის კბილები ჰქონდა, არწივის ჭანგები ჰქონდა, მისი შიშით ველური ხარი მთაში გაიქცა.

ლუგალბანდა ღიდად მცოდნეა, ღიდ საქმეთა ხელმყოფელია. ღმერთების ტკბილი სამრდელისთვის ბრუნვას ბრუნვაზე მიუსართავს. *გიმი-ემ-თა* საჭმელში თაფლს ურევს, თაფლს უმაგებს; ბუდის მართვეს, ანზუდის მართვეს, წინ ულაგებს. მართვეს ქონს აჭმევს, ცხვრის ქონს ასანსვლინებს; გეთიან პურს ნისკარგში უყრის. ლუგალბანდამ ანზუდის მართვე თავის ბუდეში ჩასვა, თვალები შეუფერადა, თავზე თეთრი კედარის რგოები გადააწნა, გვირგვინი თავზე დაადგა.

ანზუდის ბუდიდან ამოვიდა. მთაში, სადაც კვიპაროსი არ იცის, დაელოდა. მაშინ ფრთოსანს მთის ხარი მოჰქონდა, ანზუდს მთის ხარი მოჰქონდა; ცოცხალი ხარი ხელით მოჰქონდა, მკვლარი ხარი მურგით ეტვირთა [. . .], ფრთოსანმა თავის ბუდეს შეჰყივლა, ანზუდმა თავის ბუდეს შეჰყივლა. მისი მართვე ბუდიდან არ შეხმიანებია. მეორეგზის ფრთოსანმა თავის ბუდეს შეჰყივლა, მისი მართვე ბუდიდან არ შეხმიანებია. წინათ, როცა ფრთოსანი თავის ბუდეს შეჰყივლებდა, მისი მართვე ბუდიდან ეხმიანებოდა. ახლა ფრთოსანმა თავის ბუდეს შეჰყივლა, მისი მართვე ბუდიდან არ შეხმიანებია. ფრთოსანმა ყივილი

აგება, ცამდე მიაწვდინა; მისმა ცოლმა “ვაი” იყვირა, წყლის სიღრმეს ჩააწვდინა. ფრთოსნის “ვაის” ძახილზე, მისი ცოლის დაკვივლებაზე, ანუნაქები, ქვესკნელის ღმერთები, ჭიანჭველებივით მიწის ნაპრალებიდან გამოძვრნენ.

ფრთოსანი თავის ცოლს ეუბნება, ანზული თავის ცოლს ეუბნება:

“ჩემს ბუღეს, ნანარის ღიღი ფარეხივით რომ არის, შიშისმარი აწვევს. თითქოს ველური ხარებისგან, ერთმანეთს რომ ებულრავებიან, შიში სუფევს. ჩემი მართვე ბუღიდან ვინ ამოიყვანა? ანზული ბუღიდან ვინ ამოიყვანა?”

როგორც კი ფრთოსანი თავის ბუღეს მიუახლოვდა, როგორც კი ანზული თავის ბუღეს მიუახლოვდა, ადგილი იგი ღმერთების საღვთოვით გამხდარიყო, ბრწყინვალედ მორთულიყო; მისი მართვე თავის ბუღეში ჩამჯდარიყო. თვალნი მისნი [. . .]ით შეფერადებულიყო, თავზე თეთრი კედარის რგოები დაწვნიდა, [. . .] გვირგვინი თავს ედგა.

ფრთოსანი თავის თავს აქებს, ანზული თავის თავს აქებს: “სწრაფი მდინარის ბედის დამსაზღვრელი ბელადი ვარ. ჩემმა მამამ, ენლილმა, მომიყვანა; მთის შუბლი კარივით ჩავკეციე. ბელს დავსაზღვრავე, ვინ გალაგა? სიგყვას ვიგყვი, ვინ შეცვლის? თუ ღმერთი ხარ, სიგყვას გეგყვი, ჩემს მეგობრობაში შემოგიყვან; თუ კაცი ხარ, ბელს დავსაზღვრავე, მთაში მეტოქეს არ შეგახვედრებ. ანზულისგან ძალმონიჭებული მოყმე იქნები.”

ლუგალბანდა ჯერ შიშისგან, მერე სიხარულისგან, ჯერ შიშისგან, მერე გულის სიხარულისგან ფრთოსანს მიეპირფერება, ანზულს მიეპირფერება:

“ფრთოსანო, ამ ამწვანებულ მხარეში შობილო, ანზულ, ამ ამწვანებულ მხარეში შობილო! პაპაშენმა [. . .] ზეცა ხელზე დაგილო,

მიწა ფეხქვეშ გაგიგო. შენი ფრთები ბადესავით ცაღ გადავიშლია; მიწას მთის ხარისვით შენი ბრჭყალებით ჩასჭიდებხარ; შენი ბურგით დაწერილი დაფა ხარ, შენი ნექნებით გამპობი *ნირახი* ხარ! შენი სიშიშველით ამწვანებული ბალი ხარ, საკვირველად მდგარი! გუშინდლიდან ჩემი სიცოცხლე შენთვის მომიგანია, შენ გამოგყოლივარ. შენი ცოლი დედაა ჩემი, – ვიგყვი; შენ მამა ხარ ჩემი, – ვიგყვი. შენს პაგარებს ჩემს ძმობაში შემოვიყვან. გუშინდლიდან მთაში, სადაც კვიპაროსი არ იციან, გელოდები; შენი ცოლი ჩემდამი სალამში შენთან იდგეს; ჩემს სალამს გეგყვი, ჩემს ბედისწერას [. . .]”.

ანზული ბრწყინვალე ლუგალბანდას ეუბნება:

“კეთილი, ჩემო ლუგალბანდა. ვერცხლის ხომალდით, ხორბლის ხომალდით, ვაშლით დაგვირთული ხომალდით, კიგრით დაგვირთული ხომალდის ჩრდილივით, მოსავლის ადგილას სიუხვით სავესე ხომალდით აგურნაშენ ქულებისკენ თავალმართულმა გასწიე!”

ლუგალბანდას, კაცს თესლის მოყვარულს, ხელი არ გაუწვდია.

“როგორც შარამ, ინანას საყვარელმა ძემ, შენი წვერწამახული ისარი მგესავით ამოგყორცნე, [. . .] მთვარის სხივივით ამოგყორცნე. წვერწამახული ისარი, ვისაც მოხვდება, [. . .] გველი იყოს! ცულით მოკლული თევზივით შელოცვა გაუწყდეს! ნაჯახით დაჩეხილი მორებივით შეკრას!”

ლუგალბანდას, კაცს თესლის მოყვარულს, ხელი არ გაუწვდია. “როგორც ნინურთას, ენლილის ძეს, მუზარადი – “ლომი ბრძოლისა” თავზე დაგეხუროს! დიდ მთაში, [. . .] ვისი მკერდიც არ შეგრიალე-ბულა, შენს მკერდს ჩაეხუტოს!

[. . .] ლუგალბანდას, კაცს თესლის მოყვარულს, ხელი არ გაუწვდია. “სიუხვე ღუმუმის წმიდა საღვებლიდან, ერბო ქვეყნიერებისა

შენ [. . .], რძე ქვეყნიერებისა შენ [. . .]. ლუგალბანდას, კაცს თესლის მოყვარულს, ხელი არ გაუწვდია. როგორც *ქიბ-ფრთოსანი* მტკნარი წყლის *ქიბ-ფრთოსანს*, ჭაობის გადამფრენს, სიგყვას მიუგებს.

ფრთოსანმა ყური დაუგლო მას. ანზული ბრწყინვალე ლუგალბანდას სიგყვას ეუბნება:

“კეთილი, ჩემო ლუგალბანდა! სიგყვა გულში ჩაღე, ასე ქმენ: ურჩი ხარი კვალში ჩადგება, კოჭლი ვირი სწორ გზაზე გაემართება. სიგყვებს მეგყვი, მეც გეგყვი. შენს სასურველ ბელს მე დაგისაზღვრავე!”

ბრწყინვალე ლუგალბანდა მიუგებს:

“ჩემს თეძოებს სირბილის ღონე ჰქონდეს, არ დავიღალო. ჩემს მკლავებს ძალა ჰქონდეს, მკლავები გავშალო, მკლავები არ დამიუძღურდეს! მზისებრ მავალივით, ინანასავით, შვიდი ქარიშხალივით, იმქურივით, ცეცხლის ალივით გეავიწო, ელვასავით ვიელვო! საითაც გავიხედო, იქით წავიდე! საითაც თვალი ვკილო, იქით გავაბიჯო! საითაც გულმა გამიწიოს, იქ მოვხვდე! სადაც გული მეგყვის, ხამლები გავიხადო. როცა უთუ ჩემს ქალაქად, ქულაბად, მიმიყვანს, ჩემი დამაწყევარი არ გავახარო; ჩემთან ჩხუბის მოწადინემ “მოვიდესო” არ თქვას ჩემზე. როცა შენს ქანდაკს ღურგალს გავაკეთებინებ, ყველას გასაკვირად დაიდგას! შენს სახელს შუმერში გამოგაბრწყინებ, ღიდი ღმერთების გაძრებში მშვენებად იქნება!”

ანზული ბრწყინვალე ლუგალბანდას ეგყვის:

“შენს თეძოებს სირბილის ღონე ჰქონდეს, არ იღლებოდე. შენს მკლავებს ძალა ჰქონდეს, მკლავებს შლიდე, მკლავები არ გეღლებოდეს! მზისებრ მავალივით, ინანასავით, შვიდი ქარიშხალივით, იმქურივით, ცეცხლის ალივით გეიწოდე, ელვასავით ელავდე! საითაც გაიხედო, იქით წახვიდე; საითაც თვალი ვკილო,

იქით აბიჯებდეს; საითაც გულმა გაგიწიოს, იქ მოხვდეს; სადაც გული გეცყოდეს, ხამლებს იქ იხდიდეს. როცა უთუ შენს ქალაქად, ქულობად, მიგიყვანს, შენი დამაწყევარი არ გაახარო, შენთან ჩხუბის მოწადინემ “მოვიდესო” ვერ თქვას შენზე. როცა ჩემს ქანდაკს ღურგალს გააკეთებინებ, ყველას გასაკვირად დაიდგმება! ჩემი სახელი შუშერში გამობრწყინდება, დიდი ღმერთების ტაძრებში მშვენებად იქნება!”

[. . . .]

ანბული მალლა წავიდა, ლუგალბანდა დაბლა წავიდა. ფრთოსანმა მალლა აღმართა მშერა, ლაშქარი გადმოათვალა; ლუგალბანდამ დაბლა დამართა მშერა, ლაშქრისგან აყრილ მტვერს ახელა.

ფრთოსანი ლუგალბანდას ეუბნება:

“კეთილი, ჩემო ლუგალბანდა. რჩევას მოგცემ, მიიღე ჩემი რჩევა. სიგყვას გეცყვი, ყურადიღე. რასაც გეცყვი, რა ბელსაც დაგისაზღვრავ, შენს მეგობრებს არ უთხრა, შენს ძმებს არ გაუმხილო. კეთილში ბოროტი მის – ეს ასეა. მე ჩემი ბუდისკენ ვიქნები, შენ შენი ლაშქრისკენ იყავი!”

ფრთოსანი თავისი ბუდისკენ გაესწრაფა, ლუგალბანდა თავისი ძმების ადგილისკენ გაემართა. წმიდა ლელიანიდან ამოფრენილი ფრინველივით, აბბუდან ამომხტარი ლახამასავით, ციდან მიწაზე ჩამომავეალი კაცივით, ლუგალბანდა თავის ძმათა რაზმის შუა ჩადგა. ძმანი მისნი კბილებს აღრჭიალებენ, კბილებს აღრჭიალებენ; ძმანი მისნი, მეგობარნი მისნი კითხვებით აწუხებენ:

“აბა, ჩემო ლუგალბანდა, ახლა შენ აქა ხარ. ბრძოლაში დამარცხებულივით ლაშქარმა მიგატოვა; ფარეხის კარგი ერბო არ გიჭამია, ბოსლის წმინდა ყველი არ გიჭამია. დიდი მთიდან, სადაც მარგო არა-

ვინ ღაღის, საიდანაც ხალხთან აღარ ბრუნდებიან, როგორ წამოხველი?”

მეორეგზის ძმანი მისნი, მეგობარნი მისნი, კითხვით აწუხებენ:

“მთის მდინარე, დედა სიუხვისა, რომლის ნაპირები შორი-შორს არიან, წყალი მისი, თითქოს წყალი შეგესვას, როგორ გადალახე?”

ბრწყინვალე ლუგალბანდა მიუგებს:

“მთის მდინარე, დედა სიუხვისა, რომლის ნაპირები შორი-შორს არიან, როგორც კი ჩემს თეძოებს მიწა შეეხო, წყალი როგორც მათარიდან, ისე შეესვი; მგელივით ვეძუოდი, წყლისპირა ბალახებს ვჭამდი; ქედანივით მიწას ვკენკავდი, მთის რკოებს ვჭამდი”.

ლუგალბანდას ძმებმა, მეგობრებმა სიკცვა, რაც მათ უთხრა, გულში ჩაიდეს. მთელი დღე ერთად დამწყველული ბელურებივით ყელზე მოეხვივნენ, გადაკონეს. გამგაზჩიგის ბარგყვივით, თავის ბუდეში რომ მის, აჭამეს, ასვეს; ბრწყინვალე ლუგალბანდადან სენი გამოდევნეს.

მაშინ უნუგი, როგორც ერთი კაცი, უკან გაჰყვა. მთა “ხორბლის ხვავის გველივით” გადაიარეს. ქალაქამდე ერთ ბერუს მანძილზე რომ იყვნენ, არათას სვეგებთან და არხებთან უნუგ-ქულაბამ ფეხი მოირთხა; ქალაქიდან, თითქოს ღრუბლიდან, ჰოროლებმა იწვიმეს; შურდულის ქვები მთელი წლის მოსულ წვიმასავით არათას კედლებიდან ახმაურდნენ.

დღეები გავიდა, თვეები გაგრძელდა, წელიწადი თავის დედას დაუბრუნდა. ყვითელი მოსავალი ცისქვეშ ამოვიდა. ყანას ავად შეხედეს, შიშმა მოიცვა. შურდულის ქვები მთელი წლის წვიმასავით ეხლებოდა. მთის ჯაგებმა პირი შეკრეს, ურჩხულები ერთად შეიყარნენ. ქალაქისკენ წასვლა არავინ იცოდა, ქულაბასკენ წასვლას ვერავინ ბედავდა. მის შიგნით ენმერქარს, უთუს ძეს, შიში მისწვდა,

შფოთმა მოიცვა [. . .]; ქალაქში გასაგზავნად კაცს ეძებს, ქულაბაში გასაგზავნად კაცს ეძებს. “ქალაქში მე წავალ,” არავინ ეგყვის, “ქულაბაში მე წავალ,” არავინ ეგყვის, უცხოთა რაზმში მივიდა – “ქალაქში მე წავალ,” არავინ ეგყვის, “ქულაბაში მე წავალ,” არავინ ეგყვის. რჩეულ მეომრებთან მივიდა – “ქალაქში მე წავალ”, არავინ ეგყვის, “ქულაბაში მე წავალ”, არავინ ეგყვის. მეორე გზის უცხოთა რაზმთან მივიდა – “ქალაქში მე წავალ”, არავინ ეგყვის, “ქულაბაში მე წავალ”, არავინ ეგყვის. რჩეულ მეომრებთან მივიდა – “ქალაქში მე წავალ”, არავინ ეგყვის, “ქულაბაში მე წავალ”, არავინ ეგყვის. ერთი ლუგაბანდა ადგა ხალხიდან, ეგყვის: “მეფევე ჩემო, მე წავალ ქალაქში, არავინ წამომყვეს; ქულაბაში მე მარგო წავალ, არავინ წამომყვეს”. “როცა ქალაქში წახვალ, არავინ წამოგყვეს! ქულაბაში შენ მარგო წადი, არავინ წამოგყვეს!” ცის სიცოცხლე დაიფიცა, მიწის სიცოცხლე დაიფიცა: “ქულაბას ღიდ-ღიდნი ძალნი ხელიდან არ გამოგეცალოს!”

საკრებულოში მისვლისას სასახლის გულში, ღიდ მთასავით მიწას რომ ეფუძნება, ენმერქარმა, უთუს ძემ, ინანას მაგარი სიგყვებით მიმართა:

“ერთხელ ჩემმა ღიდებულმა დამ, ბრწყინვალე ინანამ, ზამუშის მთიდან თავისი ბრწყინვალე გულით მომიხსმო, ქულაბას კედლებში შემიყვანა. უნუგში ჭაობი იყო, წყალი გამოედინებოდა; ხმელეთი იყო, ალვისხე იზრდებოდა; ლელიანი იყო, “მკვლარი ლერწამი”, “მწვანე ლერწამი” იზრდებოდა. ენქიმ, ერილუს მეფემ, “მკვლარი ლერწამი” ამომიძირკვა, წყალი შემიწყვიტა; ორმოცდაათი წელი ვაშენებდი, ორმოცდაათი წელი ვაშენებდი! შუმერ-აქადის გარეშემო მართუ, ხორბლის უმეცარი, ალგა; უნუგის გალაგანი, როგორც სათხეველი, ველზე გაიშალა. ახლა კი აქ ძალი ჩემი შეწყდა. როგორც ფურს

ეკვრის მისი ხბო, ისე მეკვრის მე ჩემი ლაშქარი; დედის მოძულე შვილივით, ქალაქიდან რომ გააგდეს, ჩემმა დამ, ბრწყინვალე ინანამ, ქულაბის კელლებს მომწყვიგა. როცა თავისი ქალაქი შეიყვარა, მე შემოძულა. მე ქალაქთან რისთვისღა გადამასკვნა? როცა თავისი ქალაქი შეიძულა, მე შემეყვარა. მე ქალაქთან რისთვისღა გადამასკვნა? ღვთისმხევეალმა “ანზულის მართვესავით” [. . .] თავის ბრწყინვალე სადგომში მიაგოვა, ქულაბას კელლებში შემეყვანოს! ჩემი ლახგი იმ დღეს გვერდზე გადაიდება; ჩემი ფარი იმ დღეს დაილეწება! ჩემს დიდებულ დას, ინანას, ასე უთხარი!”

ბრწყინვალე ლუგალბანდა სასახლიდან გავიდა. ძმანი მისნი, მეგობარნი მისნი, როგორც უცხო ძაღლს, ძაღლების ხროვაში რომ შედის, ისე უღრენენ. როგორც უცხო ვირი, ვირების ჯოგში რომ შედის, მათთან ამაყად გავიდა. “ბაგონო, უნუგში (ხალხი) დააბრუნე!” “ენმერქართან, უთუს ძესთან, ქულაბაში მე ერთი წავაღ, არავინ წამომყევს”. ასე უთხრა მათ. “რაგომ შენ ერთი? გზაზე არავის გააგარებ? ჩვენი კეთილი უღუგო იქ შენთან არ დადგება, ჩვენი კეთილი ლამარი იქ შენთან არ ივლის, ჩვენს სადგომში ჩვენთან ერთად არ დადგები, ჩვენს საჯდომში ჩვენთან ერთად არ დაჯდები, ჩვენი ფეხის მგვერდში ჩვენთან ერთად ფეხს ჩადგამ. დიდ მთაში მარგო ვინც დადის, ხალხთან ვეღარ ბრუნდება, ვერც შენ დაბრუნდები!” “დრო გავა და გაიგებენ, ჩემთან ერთად დიდ მიწაზე რომ არ წამოხვალთ”.

ლუგალბანდამ, როცა მის ძმებს გული აუბაგუნდათ, როცა მის მეგობრებს გული აუძგერდათ, თავისი საგზალი, რომელიც არ უჭამია, თავისი ყველა იარაღი, სათითაოდ, ხელში აიღო. მთის ძირას, მთაგრეხილზე, ვაკეზე, ანშანის სამღვრიდან ანშანის თავამდე ხუთი მთა, ექვსი მთა, შვიდი მთა გადაიარა. შუალამისას, ვიდრე ბრწყინვალე ინანას

გაბლას მიეახლებოდნენ, ქულაბას გალაგანში მხიარულად შეაბიჯა. მისი დედოფალი, ბრწყინვალე ინანა, თავის დარბაზში იჯდა. ლუგალბანდა მოიხარა, მის წინაშე მიწად განერთხა. ინანამ, როგორც მწყემსისთვის, ამა-უშუშგალანასთვის, შეუხედავს, ბრწყინვალე ლუგალბანდას შეხედა. როგორც თავის ძესთან, შარასთან, ლაპარაკობს, ბრწყინვალე ლუგალბანდას ელაპარაკა:

“აბა, ჩემო ლუგალბანდავ, ქალაქიდან ამბავი როგორ მოიგანე? არათადან შენ ერთი როგორ მოხვედი?”

ბრწყინვალე ლუგალბანდა მიუგებს:

“შენმა ძმამ, აი, რა თქვა, აი, რა დასძინა. ენმერქარმა, უთუს ძემ, აი, რა თქვა, აი, რა დასძინა: ერთხელ ჩემმა დიდებულმა დამ, ბრწყინვალე ინანამ, ბამუშის მთიდან თავისი ბრწყინვალე გულით მომიხმო, ქულაბას კედლებში შემეყვანა. უნუგში ჭაობი იყო, წყალი გამოედინებოდა; ხმელეთი იყო, ალვისსე იზრდებოდა; ლელიანი იყო, “მკვდარი ლერწამი”, “მწვანე ლერწამი” იზრდებოდა. ენქიმ, ერილუს მეფემ, “მკვდარი ლერწამი” ამომიძირკვა, წყალი შემეწყვიტა. ორმოცდაათი წელი ვაშენე, ორმოცდაათი წელი ვსაჯე! შუმერ-აქადის გარეშემო მართუ, ხორბლის უმცარი, აღდგა. უნუგის გალაგანი, როგორც სათხეველი, ველზე გაიშალა. ახლა კი აქ ძალი ჩემი შეწყდა. როგორც ფურს ეკვრის მისი ხბო, ისე მეკვრის მე ჩემი ლაშქარი. დედის მოძულე შვილივით, ქალაქიდან რომ გააგდეს, ჩემმა დამ, ბრწყინვალე ინანამ, ქულაბის კედლებს მომწყვიტა. როცა თავისი ქალაქი შეიყვარა, მე შემეძულა. მე ქალაქთან რისთვისლა გადამასკვნა? როცა თავისი ქალაქი შეიძულა, მე შემეყვარა. მე ქალაქთან რისთვისლა გადამასკვნა? ღვთისმხეველმა ანზულის მართვესავით [. . .] თავის ბრწყინვალე სადგომში მიაგოვა, ქულაბას კედლებში შემეყვანოს! ჩემი ლახგი

იმ ღღეს გვერდზე გადაიდება; ჩემი ფარი იმ ღღეს დაილეწება! ჩემს დიდებულ დას, ინანას, ასე უთხარი!”

ბრწყინვალე ინანა მიუგებს:

“ახლა ანკარა მდინარე, მდინარე ანკარა წყლისა, ინანას ლაქვარ-ლოვანი მათარის მდინარეა. მის კულებში, მის ნაპირებზე, მის ჭალებში, *სუხურმაშ*-თევზი “თაფლის ბალახს” ჭამს; *ქინთურ*-თევზი “მთის საპნის ბალახს” ჭამს; *გიშმეშ*-თევზი *სუხურმაშ*-თევზების მეფეა, იქ მხიარულად თამაშობს, კულს იქნევს, თავის ქერეჭიან კულს წმიდა მიწაზე “მკვდარ ლერწამს” ახლის. სანახების თამარისკები, რაც კი არიან, თავის ლელიანში წყალს სვავენ. ეულად აღმართულა, ეულად აღმართულა ერთი თამარისკი, განზე ეულად აღმართულა. ენმერქარმა, უთუს ძემ, ის თამარისკი მოჭრას, *ბუნი-ჭურჭლად* ქმნას. “მკვდარი ლერწამი” წმიდა მიწაზე მის ფესვებიანად ამოძირკვოს (*ბუნი-ჭურჭელი*), ხელში დაიჭიროს. როცა *გიშ-შეში*, *სუხურმაშების* მეფე, შიგ მოყვება, თევზი იგი დაიჭიროს, შეწვას, გაამზადოს. *აანქარას*, ინანას საბრძოლო საჭურველს, შეაჭამოს. მისი ლაშქარი ხელს განაპყრობს, არათას სოცოცხლე ენგურში შეწყდება. ქალაქის ძვირფას ლითონს ოქრომჭედელი წაიღებს, პაგიოსან ქვებს ქვისმთლელი წაიღებს. ქალაქიდან, როცა განახლდება, გაიგანს. არათას ყალიბებს, ყველას ერთიანად, მოგიმიდავს. არათას ქონგურები ლაქვარდის ქვისაა. მისი გალავანი, მისი თავაღმართული აგურები წითლად ბრწყინავენ. მისი თიხა კალის თიხაა, კვიპაროსის მთებშია მოჭრილი”.

დიდება ბრწყინვალე ლუგალბანდას!

ლუგალბანდა მთის გამოქვაბულში

ოდეს ძველად ცა მიწას გაეყარა, ოდეს ძველად [. . . .], სამანი აღიმართა, სახელები წაეწერა, არხები და ნაკადები განიწმიდა, ჭები ამოითხარა, ბურანუნას, უნუგის უხვი მდინარის, კალაპოგი გაიხსნა, [. . . .] აღიმართა. [. . . .] დამყარდა, [. . . .]; ქურუმობა და მეფობა უნუგში დიდებულად წარიმართა, ქულაბას კვერთხი და კომბალი საბრძოლოდ აღიმართა; ბრძოლაში, ინანას თამაშში, შავთავიანებს ხანგრძლივ სიცოცხლე მიემალდათ, გზებზე [. . . .]; მთის თხებს რქები მოეძებნათ, ირმებს რქები გაუმშვენდათ, ენმერქარს, უთუს ძეს, მიეცა, მას ჟამს მეფემ ლახგი ქალაქისკენ გაიშვირა; ენმერქარს, უთუს ძეს, არათასკენ, წმიდა განგებათა მთისკენ, ლაშქრობა განუმზადეს; მოჯანყე ქვეყნის დასამხობად მიდის; ბაგონმა თავის ქალაქში ლაშქრობა გამოაცხადა; მაცნემ ყველა მხარეში ბუკი აახმიანა.

აღმდგარი უნუგი თავის ბრძენ მეფეს გაჰყვება, აღმდგარი ქულაბა ენმერქარს გაედევნა; აღმდგარი უნუგი წარღვნის წყლებია, აღმდგარი ქულაბა მოღრუბლული ცაა. მიწა ნისლივით რომ დაფარეს, აღენილი მტვერი ცას აღწევდა; ჭილყვავებივით, გადაყრილ მარცვლებს რომ ესევიან, თავის ხალხს მოუწოდა. ერთმანეთს ნიშანს აძლევდნენ. მათი მეფე წინ წაუძღვა, ლაშქარს, ენმერქარი წინ გაუძღვა [. . . .]. მართალმა, ვინც ენლილთან თათბირობს, მთელი ქულაბა წაიყვანა,

ლაშქარი ცხვარივით აუყვა მთის ფერდობს; ველური ხარებივით წინ გაიჭრნენ. [. . . .].

მას ჟამს შვილნი იყვნენ, შვილნი იყვნენ, ყმაწვილნი, ქულაბას ყლორტები, შვილნი იყვნენ. ეს შვილნი ურაშის შობილნი, გარეული ფურის რბით გამოკვებულნი, გმირები იყვნენ, შუმერში მცხოვრებნი, დიდებულნი, ანის ტაბლაზე მიწვეულნი იყვნენ, [. . . .]; ბაგონის წინაშე სამსახურად დარაზმულნი იყვნენ. ლუგალბანდა მათ შორის მერვე იყო. [. . . .] წყალში განბანილი იყო, წინ მღუმარედ მიდიოდა, რამმითან ერთად მიდიოდა. გზა გაინახევრეს, სადაც გზა გაინახევრეს, იმ ადგილას ტკივილი შეხვდა, თავის ტკივილი შეხვდა, [. . . .]. მახეში გაბმული ქურციკივით, პირით მიწას კბენდა, მისი ხელი [. . . .], მისი ფეხი [. . . .], მეფე დიდ მთაში [. . . .]. ნეგავ უნუგში წაიყვანდნენ. მაგრამ არ იციან, როგორ წაიყვანონ. ნეგავ ქულაბაში წაიყვანდნენ, მაგრამ არ იციან, როგორ წაიყვანონ. მთაში სიცივეა, კბილს კბილზე სცემდა; თბილ ადგილას წაიყვანეს, ჩვრებისგან ჩიგის ბუდესავით გაუკეთეს, ფინიკი, ლეღვი, ყველი [. . . .], პური და ტკბილეული, რასაც სნეული კაცი შეჭამს, დაუწყევს. პალმის რგოებისგან სახლი აუმენეს. ბოსლის სხვადასხვა ერბო, ფარების წმიდა ყველი დაუწყევს. მეთი ცივ კვერცხებთან ერთად, ცივად მოხარშული კვერცხები, წმიდა ადგილზე, შესაწირავ ადგილზე მისატანივით დაუწყევს; ლუდი სასმელად, ტკბილი, ფინიკის წვენიში გაზავებული, ნაირ-ნაირი საჭმელები ტაბლის წინ დაუწყევს. ცყავის მათარები სასმელით, როგორც წესია, ცყავის ტომრები საგმლით, მისმა ძმებმა და მეგობრებმა, თითქოს ნავიდან გადმოეგვიროს მოსავალი, თავთან მთის გამოქვაბულში დაუწყევს, ცყავის ტიკები წყლით [. . . .], შავი ლუდი, თეთრი ქურუნის ლუდი, ღვინო სასმელად, საუკეთესო ლუდი, თავთან მთის გამო-

ქვაბულში. საკმევლის ფისი, სურნელოვანი ფისი, ლიგილბა-ფისი, მის თავთან მთის გამოქვაბულში ჩამოკიდეს; მისი ცული, საუკეთესო თხელი ლითონისგან, ზუბის მთიანეთიდან მოგანილი, თავთან დაუდეს; წელზე შემოსარგყმელი მისი რკინის საგევარი, შავი მთიდან მოგანილი, გვერდით დაუდეს; თავის თვალებს, ფართე არხივით წყლით სავსეს, ბრწყინვალე ლუგალბანდა ახელს (უყურებს ამას ყველაფერს); თავის ბაგეს, როგორც გარეთა კარს, უთუ [. . .], თავის ძმებს არ უღებს; კისრის აწვევისას სიცოცხლე არ არის; მისი ძმები, მისი მეგობრები, ერთმანეთში ბჭობენ: “თუ ჩვენი ძმა უთუსავით საწოლიდან წამოდგება, მაშინ ღმერთი, რომელმაც დაჰკრა, გვერდზე გაღგება, ამ საჭმელს შეჭამს, ამ სასმელს შესვამს, მისი ფეხი მიწაზე მყარად დადგება, მთებიდან აგურნაშენ ქულაბამლე მიიყვანს. თუ უთუ ჩვენს ძმას წმიდა ადგილას, ძვირფას ადგილას მოუხმობს, სიცოცხლის ძალა დაგოვებს მის სხეულს, მაშინ ჩვენ არათადან მობრუნებისას ჩვენი ძმის გვამს აგურნაშენ ქულაბასკენ წავიღებთ”.

ნანარის ვაფანგული წმიდა ძროხებივით, გამოკვებილი ხნიერი ხარებივით, სადგომში რომ გოვებენ, მისმა ძმებმა, მისმა მეგობრებმა, ბრწყინვალე ლუგალბანდა მთის გამოქვაბულში დაგოვეს. ცრემლის ღვრით, წუხილით და მოთქმით, გულისტკივილით და გოლებით ლუგალბანდას უფროსი ძმები მთაში წავიღვენ.

მას ჟამს ლუგალბანდა ავად იყო, ორი ღლე გავიდა, ამ ორ ღლეს ნახევარი ღლე დაემატა, როგორც უთუმ მზერა თავის სახლს მიმართა, როგორც პირუტყვმა თავისი სადგომისკენ ასწია თავი, მას ჟამს საღამოს სიგრილეში მისი სხეული მეთით ცხებულებით გახდა, მაგრამ სენი არ გასულა მისგან. უთუს მიმართ ცისკენ თვალი აღმართა, როგორც მშობელ მამას, ისე შესგირა:

“უთუ, სალამს გეცყვი, ნულარ ვისნეულებ. გმირო, ნინგალის ძეო, სალამს გეცყვი, ნულარ ვისნეულებ. უთუ, ჩემს ძმებთან ერთად მთაში ამოვედი, მთის გამოქვაბულში, საშინელ ადგილას, ნულარ ვისნეულებ. სადაც დედა არ არის, მამა არ არის, ნაცნობი არ არის, მოყვასი არ არის; დედაჩემი “ჩემო შვილო” არ იცყვის, ძმა ჩემი “ჩემო ძმაო” არ იცყვის, მეზობელი დედაჩემისა, სახლში შემომსვლელი, არ მიგირებს; ღმერთი დედაჩემისა, ღმერთი მამაჩემისა [. . .], სამეზობლოს ღმერთი “კაცი არ დაილუპოსო” არ იცყვის; ძალი, რომელსაც არ იცნობენ, ავია; კაცი, რომელსაც არ იცნობენ, საშიშია; უცნობ გზაზე, მთის მკერდთან, უთუ, კაცი, რომელსაც არ იცნობენ, ავ დღეშია; წყალივით ცუდ ადგილას ნუ ვიდინებ; მწარე მიწას ხორბალივით ნუ შევჭამ; გადაგდებული ჯოხივით უდაბნოში, ჩემთვის უცნობ ადგილას, ნუ გადავეარდები; ჩემი ძმებისგან დავიწყებული ნულარ ვისნეულებ; ჩემს თანამგზავრთაგან მოძულებული ნულარ ვისნეულებ, უმწეოს მთაში ბოლო ნუ მომელება!”

უთუმ ცრემლი მისი შეიწყნარა. თავისი განმაცოცხლებელი შეწევნა მთის გამოქვაბულში ჩამოგზავნა. ის, ვინც [. . .] ლაგაკისთვის გადასასვლელი ბაგირია, როსკიპი, ღუქანში შემსვლელი, საძინებელს აგებობს, ლაგაკის დამპყრებელი, ინანა, სინის ასული, წამოიმართა ხარივით ქვეყანაში მის წინაშე. მისმა მელაშმა, როგორც ბრწყინვალე შარას მელაშმა, მისმა სახემ მთის გამოქვაბული დღესავით გაანათა. ინანას მიმართ ცისკენ აღმართა მზერა; როგორც მშობელი მამისადმი, ისე დაღვარა ცრემლი; თავისი კარგი ხელები მთის გამოქვაბულში მისკენ გაიწვდინა:

“ინანა, ნეგავ ეს ჩემი სახლი იყოს, ნეგავ ჩემი ქალაქი იყოს! ქალაქი, სადაც ჩემმა დედამ მშობა, ქულაბა იყოს! გველის უდაბურ მი-

წასავით იყოს! მორიელის მიწის ნაპრალივით იყოს! [. . .]. ჩემი სხეული კვიპაროსის მთაში არ დაილუპოს!”

ინანამ მისი ცრემლი შეიწყნარა, თავისი განმაცოცხლებელი ძალით უთუს ძილით დააძინა; ინანამ გულის სიხარულით, როგორც სამოსელით, შემოსა. თითქოს აგურნაშენ ქულაბასკენ წასულიყო, ხარი, რომელიც შავ წვნიანს ჭამს, ვარსკვლავი-ხბო, ბრწყინვალე, დარაჯად მოვიდა, [. . .]; ღამეს ანათებს ნათელი შუქით; სუენი, ახალი მთვარე, სალამს ამბობს; მამა ნანარი ამომავალ უთუს გზას უჩვენებს; დიდებული უფალი, რომელსაც ჯილა შეშვენის; სუენი, ენლილის საყვარელი ძე, ღმერთი, რომელიც ცის თავანს აღწევს; რომლის მეღამეში წმიდა შარას მსგავსია, მისი ელვარება უნათებს მას მთის გამოქვაბულში; სუენის მიმართ ცად მზერა რომ მიაპყრო, როგორც მშობელი მამის წინაშე ცრემლი დაღვარა, თავისი მშვენიერი ხელები მთის გამოქვაბულში მისკენ გაიწვდინა:

“ჩემო მეფევე, შორეულ ცად ვერავინ მოგწვდება; სუენ, შორეულ ცად ვერავინ მოგწვდება; მეფევე, სამართალი გიყვარს, ბოროტება გძულს; სუენ, სამართალი გიყვარს, ბოროტება გძულს; სამართალს შენს გულში სიხარული მოაქვს; ალვისსხე, ღიდი შგო შენ კვერთხს აღმოგიცენებს; შენ სამართლის საკვრელს ხსნი; სიცრუის საკვრელს არ ხსნი; როცა ბოროტებას შეეყრები შენს წინ, უკან მოისვრი; როცა შენი გული მრისხანებს, ბოროტისკენ შენს შხამს, როგორც გველი, მიანთხევ”.

სუენმა შეიწყნარა მისი ცრემლი, სიცოცხლე მიჰმადლა; მის ფეხებს მყარად ღგომის ძალა შესძინა. მეორედ თეთრი ხარი ცის ფუძიდან რომ ამოვიდა, ხარი კვიპაროსში [. . .]; ფარი მიწაზე იღვა, კრებულისგან ნაყარაულევი; ფარი საგანძურიდან გამოგანილი, მოყმეთაგან ნაყარაულევი; ჭაბუკმა უთუმ თავისი ბრწყინვალე სხივი ციდან მოაფინა, მთის გამოქვაბული თავისი მეღამით გაუნათა; ბრწყინვა-

ლე ლუგალბანდას მთის გამოქვაბულში უბოძა, მისი კეთილი უღუგო ციდან მოუვლინა; მისი კეთილი ლამა უკან გააყოლა. ღმერთი, რომელმაც დაჰკრა მას, განერიდა. როცა უთუს მიმართ მზერა აღაპყრო, როგორც მშობელ მამას ცრემლით შესგირა, როცა თავისი მშვენიერი ხელები მთის გამოქვაბულიდან გაიწვავდა:

“უთუ, ქვეყნის მწყემსო, შავთავიანთა მამავ, შენ წვები დასაძინებლად და ხალხიც წვება დასაძინებლად; ყმაწვილო უთუ, შენ იღვიძებ და ხალხიც იღვიძებს შენთან ერთად; უთუ, შენს გარეშე ფრინველის ბადე არ დაიგება, მონა გყვედ არ ჩავარდება; მარგოდ მავალის თანამგზავრი ხარ; უთუ, ორ მგზავრს შორის მესამე ხარ; [. . .]; უპოვარს და სამოსლის უქონელს, შენი სხივებით, როგორც მაგყლით, შემოსავ; მონასაც კი თეთრი მაგყლივით გვერდზე ეფინება; მდიდარი ბერიკაცივით საბრალო დედაბრები თავიანთ სიბერეში შენს სხივებს აქებენ; შენი სხივები ზეთივით ძლიერია... [. . .]. დიდი ხარები წინ გარბიან. შენი ქება ტკბილზე ტკბილია, ცამდე აღწევს; გმირო, ნინლილის ძევ, გიმღერიან როგორც ღირსი ხარ”.

წმიდა ლუგალბანდა მთის გამოქვაბულიდან გამოვიდა. მას ჟამს მართალმა, რომელიც ენლილთან ბჭობს, სიცოცხლის ბალახი გააჩინა. დაკლაკნილი მდინარიდან მთის დეღამ სიცოცხლის წყალი მოიგანა; სიცოცხლის ბალახს კბილი დაადგა, სიცოცხლის წყალი მოსვა; სიცოცხლის ბალახს რომ კბილი დაადგა, სიცოცხლის წყალი რომ მოსვა, ამ ადგილიდან მთის ვირივით გაიჭრა, შაქანის კვიცივით მთაში გაქანდა; იმ ღამიდან საღამომდე იარა, უკაცრიელი მთები მთვარის შუქზე გადაიარა. მარგო იყო, ირგვლივ თვალი არავისთვის მოუკრავეს; გყავის თოფრაკში საგმლით [. . .]. მისმა ძმებმა, მისმა მეგობრებმა, რაც ცივი წყლით მიწაზე პური გამოუცხვეს, ბრწყინვალე ლუგალბანდამ საგმლად მთის

გამოქვაბულიდან წაიღო, ნაღვერდალში დააწყო, ჭურჭელი წყლით აავსო, [. . . .] ნაკვერცხლები დააქუცმაცა, ველზე მიმოყარა; კაქმა ცეცხლი გააჩინა; იმ ცეცხლმა უკაცრიელი უდაბნო დღესავით გაანათა. პურის ცხობის უმეცარმა, თონის უმეცარმა, შვიდი ნაკვერცხლით *გიბიეთა* გამოაცხო. პური თავისთავად რომ გამოცხვა, მთის ლერწამი ამოძირკვა და ცოცხები მოასხიპა, გამომცხვარი პურები დღიურ საგზლად გამოახვია. პურის ცხობის უმეცარმა, თონის უმეცარმა, შვიდი ნაკვერცხლით *გიბიეთა* გამოაცხო; თაფლით, ფინიკით, სხვა გვილეულით შეაბავა...

[. . . .]

მარტო იყო, ირგვლივ თვალი არავისთვის მოუკრავს; მეფეს ძილი მოეველინა, ძილი ქვეყნის დამხობისა: როგორც აზვირთებული წარღვნა, როგორც კედლის დამანგრეველი ხელი, ხელი, მალლა აწეული, ფეხი, მალლა აწეული...

[. . . .]

ლუგალბანდას ძილი მოეძალა, *მილინუშ*-ბალახი წმიდა მთისა დააფინა, *ბულუმბი*-მაგყლის სამოსელი გაშალა, თეთრი სელი გადააფარა, [. . . .]; მეფე დასაძინებლად არ დაწოლილა, სიმმრისთვის დაწვა; სიმმრის კარიბჭესთან არ დასაბრუნებლად, კარის სვეტთან არ დასაბრუნებლად. (სიმმარი) ცრუ კაცს სიცრუეს ეგყვის, მართალ კაცს სიმართლეს ეგყვის, კაცს გაამხიარულებს, კაცს ამღერებს; ის ღმერთების დახურული კალათაა, ნინლილის *საამური* საძინებელია, ინანას მრჩეველია, კაცთა მოღვმის გამამრავლებელი; ხმა იმისი, ვინც ცოცხალი არ არის; მანგარა, სიმმრის ღმერთი, ლუგალბანდას თავად ხარივით ეხმიანება, ძროხის ხბოსავით შეღმუის:

“წითელი ხარი ვინ მოკლა ჩემთვის? მისი პოხიერი ქონი ვინ გადაადნო ჩემთვის? ჩემს ცულს, გალესილს, ის წაიღებს; ჩემი წელის

საგვეარს რკინისას ის ჩამოიკიდებს; წითელ ხარს, მთის ხარს, მოჭიდავე კაცივით დასცემს, ძალა გამოვა მისგან; მზის ამოსვლას თუ შესწირავს, წითელი თხის, დედალი თხის – ერთავე თხის თავები ხორბალივით დაყაროს; მათ სისხლს ორმოში რომ ჩაღვრის, მისი სუნი უდაბნოს მოეფინება; მთის დადარაჯებულმა გველმა იყნოსოს”.

ლუგალბანდას გაეღვიძა – სიმმარი ყოფილა! გააქრქოლა – სიმმარი ყოფილა! თვალები მოიფშენიგა, ღუმს, თავისი გაღესილი ცული ხელთ იპყრა; თავისი წელის საგვეარი, რკინისა იშიშვლა; წითელი ხარი, მთის ხარი მოჭიდავე კაცივით დასცა; ძალა გამოვიდა მისგან. მზის ამოსვლას მსხვერპლი შესწირა; წითელი თხის, დედალი თხის – ერთავე თხის თავები ხორბალივით დაყარა. მათი სისხლის ორმოში რომ ჩაღვარა, მისი სუნი უდაბნოს მოეფინა; მთის დადარაჯებულმა გველმა იყნოსა. მზის ამოსვლისას [. . .]; ლუგალბანდამ ენლილის სახელი ახსენა; ანუ, ენლილი, ენქი, ნინხურსანგა ორმოსთან ლხინად დასხდნენ, მთაში, ადგილას, რომელიც მოუმზადა მან, ტაბლა გაუწყო, შესაწირავი მიართვა; შავი ლუდი, თეთრი ლუდი, ღვინო – სასმელად საამური მიართვა; ველზე ცივი წყალი დაღვარა; წითელი თხის ხორცი საგვერით აქნა, მისი შავი ღვიძლი ცეცხლზე შეწვა. დაღებული საკმეველივით ავიდა მისი კვამლი, თითქოს ღუმუმის ფარეხის სურნელება მოეგანოს. ლუგალბანდას მომზადებული ანმა, ენლილმა, ენქიმ, ნინხურსანგამ ჭამეს, მისგან საუკეთესო ჭამეს...

[]

მართუს ქორწილი

ინაბ-ქალაქი უკვე იყო, ქირითაბ-ქალაქი ჯერ კიდევ არ იყო; წმიდა გვირგვინი უკვე იყო, წმიდა გიარა ჯერ კიდევ არ იყო; წმიდა ბალახი უკვე იყო, წმიდა კელარი ჯერ კიდევ არ იყო; წმიდა მარილი უკვე იყო, წმიდა მტუტე ჯერ კიდევ არ იყო; ხვევნა-კონა უკვე იყო, მინდვრებზე შობა უკვე იყო; მე წმინდა კედრის მამა ვიყავი, *მესიხის* წინაპარი ვიყავი; თეთრი კედრის დედა და მამა ვიყავი, *ხაშურის* ნათესავი ვიყავი. მას ჟამს ქალაქებში გეპური ქვეყანა იყო; ინაბ-ქალაქი ქალაქებში გეპური ქვეყანა იყო; ინაბ-ქალაქის მთავარი თიგიშემალა იყო; მისი ცოლი სახელად შაგეგური იყო; მათი ასული სახელად [. . .] იყო. ქალაქის მცხოვრებნი ბადეებს ჰკიდებდნენ, ინაბ-ქალაქის მცხოვრებნი ბადეებს ჰკიდებდნენ, ბადეებს ჰკიდებდნენ, ქურციკებს ინაღირებდნენ, ქურციკებს აღამიანებივით ხოცავდნენ. მას დღეს მწუხრის მოახლოებისას, წილობების გაცემის ადგილზე მოახლოებისას, ღვთაების წინაშე წილობების გაცემა დააწესეს: ცოლიან კაცს ორი წილობი დაუწესეს; შვილიან კაცს სამი წილობი დაუწესეს; მარგოსულ მოყმეს ერთი წილობი დაუწესეს; მარგოსულ მართუს კი ორი წილობი დაუწესეს.

მართუ თავის მშობელ დედასთან სახლში შევიდა, ეგყვის: “ჩემს ქალაქში ჩემს მეგობრებს ცოლები ჰყავთ, ჩემს გოლებს ცოლები ჰყავთ;

ჩემს ქალაქში ჩემი მეგობრებით ცოლი არ მყავს, ცოლი არ მყავს, შვილები არ მყავს. მაინც ჩემი წილი მეგობრების წილზე მეტია, ჩემი წილი ჩემი გოლების წილზე მეტია”.

ერთ დღეს მწუხრის მოახლოებისას, წილობების გაცემის ადგილზე მიახლოებისას, ღვთაების წინაშე წილობის გაცემა დააწესეს: ცოლიან კაცს ორი წილობი დაუწესეს, შვილიან კაცს სამი წილობი დაუწესეს, მარგოსულ მოყმეს ერთი წილობი დაუწესეს, მარგოსულ მართუს კი ორი წილობი დაუწესეს.

მართუ თავის მშობელ დედასთან სახლში შევიდა, ეგყვის: “დედაჩემო, ცოლი მომიყვანე, ჩემს წილობს მოგიგან”. მართუს დედა, მისი მშობელი, მიუგებს: “ჩემო სუხენუნა, რჩევას მოგცემ, ჩემი რჩევა მიიღე; სიგყვას გეცყვი, ჩემი სიგყვა ყურად-იღე: შენი თვალის მოსაწონი ცოლი მოიყვანე; შენი გულის მოსაწონი ცოლი მოიყვანე. დამხმარე მომეცი, მსახური ქალი... სახლები აუგე შენი ქალაქის გარშემო მცხოვრებთ, ბაღები გაუმენე... შენი გოლები ჭებს ამოიღებენ”.

მას ჟამს ქალაქში დღესასწაული გამოაცხადეს; ინაბ-ქალაქში დღესასწაული გამოაცხადეს. “წამო, მეგობრებო, წავიდეთ, წავიდეთ! ინაბ-ქალაქის ლუდის სახლში წავიდეთ! ღვთაება ნუმუშდა დღესასწაულში მონაწილეობს; მისი საყვარელი ასული ადგარ-ქიდუგი დღესასწაულში მონაწილეობს; მისი მეუღლე ნამრათი, სათნო ქალი, დღესასწაულში მონაწილეობს”. ქალაქში ბრინჯაოს დაფლაფები აახმიანეს, შვიდი ალა-დოლის ხმა გაეპასუხა; სარგყელშემოჭერილი მოყმენი საჭიდაო სახლში შევიდნენ; ინაბის სახლში ერთმანეთთან შესარკინებლად შევიდნენ; ინაბ-ქალაქში სადღესასწაულოდ საკვირველად დადგნენ; [. . .]. ინაბის კარიბჭესთან დიდ ებოში შესარკინებლად მოაბიჯებს, ძლიერ მებრძოლებს მისთვის ეძებენ, ძლიერ მებრძოლებს სთავაზობენ.

მართუ ღიდ ეზოში მიაბიჯებს; მართუმ ერთმა ღაცა ისინი ღიდ ეზოში, ბრძოლაში [. . . .]. ინაბის ეზოში ღახოცილთა გვამები აკრიფა. ნუმუშლა მართუს სიხარულით ოქრო-ვერცხლს აძლევს, მართუ ხელს არ აკარებს; ძვირფას ქვებს აძლევს, მართუ ხელს არ აკარებს; მეორეჯერაც შესთავაზებს, მესამეჯერაც შესთავაზებს; მართუ ეცყვის: “შენს ოქრო-ვერცხლს მე რას ვაქნევ? შენს ძვირფას თვლებს მე რას ვაქნევ? მე, მართუ, შენს ასულს წავიყვან, აღგარ-ქიღუგს, შენს ასულს წავიყვან”.

ნუმუშლა ეცყვის: “ხბორები ნიშნობის საჩუქრად [. . . .]; მეწველი ძროხა ხბორებს გამოკვებავს; ბოსელში ხბო ღა ძროხა ღაწვებიან; მეწველი ძროხა იქ იცხოვრებს, მწოვარი ხბო მის მარჯვნივ იქნება. ამაებზე სიგყვა მომეცი, აღგარ-ქიღუგს, ჩემს ასულს, მოგცემ. ბაგკნები ნიშნობის საჩუქრად [. . . .]. მეწველი ცხვარი ბაგკნებს გამოკვებავს, ფარესში ცხვარი ღა ბაგკანი ღაწვებიან. მეწველი ცხვარი იქ იცხოვრებს, მწოვარი ბაგკანი მის მარჯვნივ იქნება. ამაებზე სიგყვა მომეცი, აღგარ-ქიღუგს, ჩემს ასულს, მოგცემ. ციკნები ნიშნობის საჩუქრად [. . . .]. მეწველი თხა ციკნებს გამოკვებავს, საღგომში მეწველი თხა ღა ციკანი ღაწვებიან, მეწველი თხა იქ იცხოვრებს; მეწველი ციკანი მის მარჯვნივ იქნება. ამაებზე სიგყვა მომეცი, აღგარ-ქიღუგს, ჩემს ასულს, მოგცემ”. [. . . .]

მართუმ ინაბის ყურეში მიიყვანა [. . . .], ინაბის უხუცესებს ოქროს საღგეები მიართვა; ინაბის ბერღეღებს ოქროს თავსაფრები მიართვა; ინაბის ქალ-ვაჟებს ოქროს [. . . .] მიართვა; ინაბის მონებს [. . . .] მიართვა, ჭრელი სამოსელი მიართვა; ინაბის მონაქალებს ვერცხლის ჭურჭელი მიართვა.

ღღეები გავიღა, არაფერი გაღამწყღარა. ღაქაღები აღგარ-ქიღუგს ასე ეცყვიან: “მათი ხელი ღამანგრეველია, სახით მაიმუნებს ჭგვანან,

ნანნარის აკრძალულს ჭამენ. შიში არაფრის აქვთ; სულმუდამ ხეგიალში არიან, ღმერთების სახლისთვის საძულველნი არიან. გონება არეული აქვთ, ენა გაუგებარი აქვთ; [. . .]. მართუ ცყავებით იმოსება; ქალაქი არა აქვს, სახლი არა აქვს, კარავში ცხოვრობს; ქარსა და წვიმაში ჭერი არა აქვს; მთებში მის, ღმერთების ადგილი არ იცის; მიწის ხვნა-თესვა არ იცის, სოკოებს ეძებს მთისძირებში; მუხლის მოყრა, ლოცვა არ იცის; მოხარშული ხორცი არ უჭამია; ხორბალი არ იცის, პური არ იცის; მთელი სიცოცხლე სახლი არ ჰქონია; როცა მოკვდება, არ დამარხავენ. ჩემო დაქალო, მართუ მაინც მოგყავს?”

ადგარ-ქილეგი თავის დაქალებს მიუგებს: “მართუ მომყავს”.
ინაბ-ქალაქს ძალი და ღიღება!

ქება დედისა

მეფის მოციქულო, გზას გაუდექ,
ნიპურს მიმიგანე ეს ამბავი!
შორეულ მგზავრობად განემზადე!
გინდ ფხიზლობდეს დედაჩემი, გინდ ეძინოს,
მისი სავანისკენ წარემართე.
მაცნევ, ჩემს მოკითხვას ნუ წაიკითხავ,
მოკითხვის წიგნი ხელთ ჩააბარე.
მხიარულია დედაჩემი, მოკაზმული,
უკეთუ ვერ იცნო, ნიშნებს გაუწყებ:
შათ-იშთარ – სახელი მისი, ამგვარად ეძებდე:
განაღია და პირმშვენიერი,
მოწყალე ქალღმერთმა მისი უბნისამ
ბედი დაუსაზღვრა სიჩჩოებითვე.
ქმრეულის საყდრისკენ მოწიწებით ვალს,
კდემით ჩერდება ქალღმერთის წინაშე –
უწყის, სად ეძებოს ინანას ადგილი.
არ გადამხვევი უფლის სიგყვათა,
ხელმტკიცე, საუნჯეთა მაუხვებელი,
მოყვარული, მლმობელი, მოცინარე,
კრავი, მწთოლარე ამო ბეთით და ტკბილი ნაღებით.

მეორედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
დედაჩემი – ცის წიაღში მოკაშკაშე სხივი,
ყელმოღერებული შველი მთებისა,
ცისკრის ვარსკვლავი, შუადღემდე მანათობელი.
ლალი, იაგუნდი მარხაშის მხარისა,
სამეფო განძი, გრძნებით აღსავსე,
მარმარის ბეჭედი, მზესავით ელვარე,
კალის სამაჯური, ანთასურას სალგე,
ოქრო რჩეული და წმიდა ვერცხლი,
მაგრამ მსუნთქავი ცხოველი, არსი,
აღბასგროს ქანდაკი ლაქვარდის კვარცხლბეკზე,
ცოცხალი კერპი, გრძნეულნაკვთიანი.

მესამედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
დედაჩემი – ბეციური წვიმა,
წყალი ურჩეულეს თესლისა,
უხვი მოსავალი, ნაყოფის ორმაგად გამოძლები,
მგილი შეებისა, სიხარულით აღსავსე,
მორწყული ნაძვი, გირჩებით დახუნძლული,
ახალწლის ხილი, გაზაფხულის პირველნაყოფი,
სარწყავი არხი, უხვი წყლის მომგანი,
ტკბილი ფინიკი დიღმუნისა, პირველმოწეული.

მეოთხედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
ლოცვა-გალობებს სიწრფოებით ადავლენს დედაჩემი,
ახალწლის ბეიმზე მგერა უბრწყინავს,

სეფექალი, მღერალი სიუხვის გალობათა,
საროკველზე აღტაცების მომგვრელი,
გული მოყვარული, ლხენაულევი,
სასო ტყვეკაცისა, დედისაკენ დაბრუნებულის.
მეხუთედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
დედაჩემი – ფინიკი ტკბილსურნელოვანი,
ეგლი ფიჭვისა, ბზის ტახტრევანი,
კეთილი მცენარე, სურნელთა მფშენი,
მტევანი – გვირგვინი, უხვებით შეთხზული,
ნელსაცხებელით აღვსილი ჭურჭელი.

ნიშნები გაუწყე, რა წარდგები მისი ნათლის წინაშე,
ეცყვი: “ლუ-დინგირა, ძვირფასი ძე შენი, მშვიდობით არის”.

გუღეას სიზმარი

(გუღეა ისტორიული პიროვნებაა. იგი ოცდაათი წლის განმავლობაში მართავდა შუშერულ ქალაქს, ლაგაშს ძვ.წ. XXII ს.-ში. იგი ცნობილია როგორც მშვიდობიანი განმგებელი, “კეთილი მწყემსი” თავისი ქალაქისა. მისი სახე მრავალრიცხოვანმა ქანდაკებებმა შემოგვინახა, ხოლო მის დეაწლს ასევე მრავალრიცხოვანი წარწერები გვამცნობს. წინამდებარე ნაწყვეტი ამოღებულია ვრცელი წარწერიდან, სადაც მოთხრობილია ლაგაშის მთავარი განძის – ენინუს – შენების ისტორია, გაძრისა, რომელიც ამ ქალაქის ღვთიური პაგრონის, ნინგირსუს დასაგანებლად იყო განკუთვნილი. ნაწყვეტი ეხება პირველ ეგაჰს გაძრის მშენებლობისას.)

მას ჟამს გუღეას სიზმრად მისი მეუფე ნინგირსუ გამოეცხადა, თავისი გაძრის აგება უბრძანა, ენინუს გაძრისაკენ – დიდ არს წესნი მისნი – თვალი მიაპყრობინა.

მორსმიმწვდომია გუღეას გული, გარნა ამ ბრძანებამ შეაფიქრიანა: წავიდე, ვამცნო? წავიდე, ვამცნო? ესე ნაბრძანები თან წარვიგანო? მე, მწყემსს, დიდებულება წილად მრგებია, გარნა აზრი მზანებულისა ვერ შევიცან. დელაჩემს მივუგან სიზმარს ჩემსას. ღვთაებრივი მისანი, მეცნაური ჩემთა გასაჭირთა, დაი ჩემი სირარანელი აზრს ამა სიზმრისას გამომიცხადებს.

თავის ორჩხომელზე ფეხი შედგა, სირარანს მიმავალ არხში სირარანისკენ, თავის ქალაქისკენ, შეაცურა ორჩხომელი. ბაგარას, არხ-

ისპირა გაძარს, რა მიაღვა, მსხვერპლი შესწირა და წყალი დაღვარა.
ბაგარას უფალს მიეახლა, ლოცვა აღუვლინა:

ჰე, გმირო, გორებზე შემართულო,
ლომო უბრძოლველო!
ნინგირსუვ, ზღვის გულში შობილო,
ნიპურის წიადში ძალმოსილო!
ეჰა, გმირო, რაც მიბრძანე,
ყოველივეს წრფელად აგისრულებ,
ნინგირსუვ, გაძარს აგიშენებ,
სადვთო წესებს სრულგიყოფ.
დაი შენი, ერიდუში შობილი ასული,
ღვთაებრივი მისანი,
გასაჭირთა ჩემთა მეცნაური,
დაი ჩემი სირარანელი
გზას განმიმზადებდეს!

ღალადი მისი შესმენილ იქნა. ლოცვა და მსხვერპლი შეიწყნარა
გუდეასგან უფალმა ნინგირსუმ. მერმე ბაგარას გაძრად ემ-ემის დღე-
სასწაული გადაიხადა გუდეამ.

შემდგომად ამისა ქალღმერთ გათუმდუგის გაძრისაკენ გაემართა
მთავარი, მისი სავანისკენ. მსხვერპლი შესწირა და წყალი დაუღვარა.
წმინდა გათუმდუგს მიეახლა და წარმოთქვა ლოცვანი:

დედოფალო ჩემო, ნათელ ცად შობილო ასულო!
ეჰა, გმირ-ქალო, ცის მიმართ თავაღმართულო!
შუემერისად ცხოვრების მომნიჭებულო!
შენი ქალაქის ჭირთა მეცნაურო,
დედოფალო, დედავ, ლაგაშის ფუძევე!

შენს მზერას ერისთვის სიუხვე მოაქვს;
კაცს, შენგან მაღლიანი თვალით მოხელულს,
დღეებს სიცოცხლისას უგრძელებ.
დედა არ მივის, – დედა ხარ ჩემი!
მამა არ მივის, – მამა ხარ ჩემი!
თესლი ჩემი მუცლად მივიღია,
წმინდა ბაგინში ვიშობივარ.
გათუმდუგ, ტკბილ არს სახელი შენი!
ღამით ბაგინში დაგიწვენივარ,
სიცოცხლის სუნთქვა მოგინიჭებია.
ვრცელზე ვრცელი საფარველი ხარ,
ჩრდილსა შენსა რიდით შევუვრდები.
მაღალი ხელი შენი, მარჯვენა მკლავი შენი,
დედოფალო ჩემო, გათუმდუგ, მომაშველე!
ქალაქს მივდივარ, სასიკეთო ნიშნები მენიშნოს!
წყლიდან ამოზიდულ მთისაკენ, სირარანისკენ,
კეთილი უდუგი შენი მიმიძლოდეს,
კეთილი ღამარი შენი მიმეყებოდეს!
წავიდე, ვამცნო! წავიდე, ვამცნო!
ძილში ნაბრძანები თან წარვიტანო,
დედაჩემს მივუტანო სიმშარი ჩემი!
ღვთაებრივი მისანი,
მეცნაური ჩემთა გასაჭირთა,
ქალღმერთი ნანშე, ღაი ჩემი სირარანელი,
ამრს ამა სიმშრისას გამომიცხადებს.

ღალადი მისი შესმენილ იქნა. მისმა ქალბატონმა ლოცვა და მსხვერ-
პლი, წმინდა გათუმდუგმა გუდეასგან შეიწყნარა.

თავის ორჩხომელზე კვლავ შედგა ფეხი. სირარან-ქალაქში სირა-
რანის ყურეში მიაყენა ორჩხომელი. მთავარმა სირარანის ტაძრის
ეზოში თავი ცად აღაპყრო, მსხვერპლი შესწირა და წყალი დაუღვარა.
ნანშეს მიეახლა და ლოცვა აღუვლინა:

ნანშევ, ქალ-ქურუმო,
სათაყვანებელ წესთა დედოფალო,
ენლილივით ბედს რომ გადაწყვეტ!
ნანშევ, მტკიცეა სახელი შენი,
ყოველთა უწინარეს გამოცხადებული.
ღვთაებრივო მისანო,
სამყაროს დედოფალი ხარ,
ღედა ხარ, მზანებათა ამხსნელი.
ძილისშორისში მეზმანა კაცი,
კაცი ვინმე ცასავით ვრცელი,
კაცი ვინმე ხმელეთივით ვრცელი.
თავი მისი – თავი ღმერთისა;
მკლაფნი მისნი – მკლაფნი ანზულისა,
ტერფნი მისნი – ტერფნი წარღვნისა.
მარჯვნივ და მარცხნივ ლომები უწვა.
თავისი ტაძრის აგებას ბრძანებდა,
გარნა აზრი ესე ვერ შევიცან.
ცის კილიდან მზე ამომიბრწყინდა.
ქალსა ერთსა, – ვინ იყო, ვინ არ იყო,
ელვარე კალამი ლერწმისა ეპყრა,

დაფა კეთილი ვარსკვლავისა ეჭირა.
დაფას დაჰყურებდა, თავისთვის ბჭობდა.
მერმე მოყმე ვინმე ვიხილე, –
მკლავმობხრილს ლილაქვის ფირფიგა ეპყრა,
ზედ გაძრის ნახაზი დაეხაზა.
წმინდა გოლორი იდგა ჩემს წინაშე, –
წმინდა ყალიბი გამზადებული.
წილხვედრი აგური ყალიბში იდგა.
ბუჩქი მშვენიერი ჩემს წინ ირხეოდა,
ფრინველთ ჟრიაბულში დღე გადიოდა.
რჩეული კვიცი ჩემი მეუფისა
წინაშე ჩემსა მიწას მიჩიჩქნიდა.

ასე მიუთხრო მთავარს დელამისმა, ნანშემ:

მწყემსო ჩემო, სიმზარს შენსას მე ამოგიხსნი: კაცი იგი ცასავით ვრცელი, ხმელეთივით ვრცელი, თავი ღმერთისა რომ ჰქონდა, მკლავებად ანბულის ფრთენი რომ ესხა, გერფებად წარღვნის გერფნი რომ ედგა, მარჯვნივ და მარცხნივ ლომები რომ ეწვა, – ძმა არის შენი, უფალი ნინგირსუ: ენინუს აგებას, თავისი გაძრისას, გიბრძანებს.

მზე ცისკილიდან რომ ამოგიბრწყინდა, – ნინგიშშიდაა, ღმერთი შენი საკუთარი: მზეებრ ცისკილიდან ამოგიბრწყინდება.

ქალწული იგი, ხელთ ლერწმის ელვარე კალამი რომ ეპყრა, კეთილი ვარსკვლავის დაფა რომ ეჭირა, დაფას რომ დაჰყურებდა და ბჭობდა თავისთვის, – დაი შენი ნიდაბაა, ჭემშარიგად: გაძრის აგებისთვის ნათელ ვარსკვლავს გამოგიცხადებს.

მერმე მოყმე ვინმე რომ იხილე, მკლავმობხრილი, ლილაქვის ფირფიგა რო ეპყრა, – ნინღუბაა იგი: გაძრის ნახაზს გამოგიცხადებს.

წმინდა გოდორი, შენს წინაშე მდგარი, წმინდა ყალიბი გამზადებული, წილხვედრი აგური ყალიბში ჩადებული, – ენინუს მგვიცე აგურია, ჭეშმარიტად.

ბუჩქი მშვენიერი წინ რომ გერხეოდა, ფრინველთ ქრიაშულში დღე რომ გადიოდა, – გაძრის შენებისას თვალთა შენთა ტკბილი ძილი არ მიეკარება.

რჩეული კვიცი შენი მეუფისა წინაშე შენსა მიწას რომ გიჩიჩქნიდა, შენა ხარ: რჩეული კვიცივით გაძრისათვის მიწას ამოთხრი.

რჩევა მომიცია, მიჰყევ ჩემს რჩევას: გირსუსაკენ, ლაგაშის წმიდა უბნისაკენ გაემართები, საგანძურს შენსას ბეჭედს ახსნი. ძელებს გამოიგან საგანძურიდან, შენი მეუფისათვის ფორანს გააკეთებ, რჩეულ კვიცს შეაბამ ამ ფორანში. მერმე ილეკროთი და ძვირფასი თვლებით შეამკობ ფორანს. ნინგირსუს სანუკვარ ნიშანს გააკეთებ, ზედ სახელს შენსას წააწერ. მის სანუკვარ ქნარს – შუმერის ურჩხულს – მაღალხმიან სახელოვან საკრავს ძღვენისმოყვარულ შენს მეუფესთან, ნინგირსუსთან, გაძარში შეიგან – გაძარში, რომელ არს ენინუ, მოკაშკაშე ანზული.

მაშინ შენს ჩურჩულს მეუფე შენი ხმამაღალი ნათქვამივით შეიწყნარებს. უფალი, ზეცის წიაღივით მიუწვდომელი, ნინგირსუ ძე ენლილისა, შემოგეწევა, თავისი გაძრის ნახაზს გამოგიცხადებს. გმირი იგი – დიდ არს წესნი მისი – დაგლოცავს.

დიდად ბრძენია მაღლიანი მწყემსი გუდეა და დიდთა საქმეთა შემოქმედი. სიგყვათა მიმართ, ნანშესაგან ნაუბართა, თავი დაჰხარა. საგანძურს თვისას ბეჭედი ახსნა, ძელები საგანძურიდან გამოიბიდა. გუდეამ ძელებს გარს შემოუარა. ძელები ფაქიზად გარანდა: გირიფის მროები გააკრიალა, ალვისხე ფიცრებად დააპო, – ბრწყინვალე ფორანისთვის განამზადა.

ფორანს შეუბა კვიცი, რომელ არს “ლომი რბოლად მოხმობილი”, მისი სასურველი ნიშანი გაუკეთა და ზედ სახელი თვისი წააწერა.

სანაგრელი ქნარი, “შუმერის ურჩხული”, მაღალხმიანი და ხმაგანს-მენილი საკრავი, ძღვენის მოყვარულ მეომართან, თავის მეუფესთან, უფალ ნინგირსუსთან, ენინნუში, რომელ არს “მოკაშკაშე ანზული”, შეიგანა. გაძარში მხიარულად შევიდა.

ენინნუს საკურთხევიდან განწმენდილი გამოვიდა გულეა. მეორეგზის გაძრად ღღისით მივიდა, ღამითაც მივიდა.

ნაპრალები ამოავსო, სიბინძურე გვიდან გადახვევა. შუგალამისკენ, საშინელ ადგილას, განკითხვის ადგილას, საიდანაც ნინგირსუ ქვეყნებს უჭვრეტს, პოხილი ცხვარი, მსუქანი ვერძი, ნასუქალი ვაცი, უცოდველი თიკანი, ენსიმ მირეკა. ღვია, მთიანეთის წმიდა მცენარე, ცეცხლს შეუნთო; კედარის ფისი, ღვთიური საკმეველი, ცეცხლში გააღნო. წარდგა წინაშე მეუფისა და ლოცვა აღუვლინა. უბშუქინად მისული ასე ილოცვიდა:

“მეუფეო ჩემო, ნინგირსუ, მძვინვარე ღვარის უკუშქცეველო,

წრფელო უფალო, თესლო, ქურ-გალიდან მოგანილო,

[. . . .]

ნინგირსუ, გაძარს აგიშენებ!

გარნა სასწაული არ გაგიმხელია.

ყოველი საჭირო გიბრძანებია,

ძეო ენლილისავ, გმრო ნინგირსუ,

გარნა არსი მისი არ მეუწყა, –

ზღვათა წიაღივით მღელვარე ხარ,

ვერხვის ხესავით მოშრიალე ხარ,

აღმომსკდარ წყალსავით მოხმიანე ხარ,

ნიაღვარივით ქვეყნის წამლექავი ხარ.
ქარიშხალივით დამაქცევარი ხარ.
მეუფეო ჩემო, გული შენი უშრეგი წყაროა,
ჰე გმირო, ცათა წიაღივით მიუწვდომელია!
ძეო ენლილისაჲ, უფალო ნინგიროსუ,
რა მეუწყა მე შენს გარდამო?”

მერმე მწოლარესთან, მწოლარესთან შევიდა უფალი ნინგიროსუ, სასთუმალთან დაუდგა და ხელით შეეხო:

“ამშენებელო, ამშენებელო! ენსი, სახლის ჩემის ამშენებელო! გუდეა, სახლის ჩემის ამშენებისთვის სასწაულს გამოგიცხადებ! ჩემს განგებულებათა ნათელ ვარსკვლავს გაუწყებ. ენინუ, – გაძარი ჩემი ცად დადგენილია; მისნი დიადნი რჯულდებანი სხვათა რჯულდებათა უპირაგესია; გაძარი, რომლის მეუფე მალაღ მხედია, – ფრთოსანი, ანზუღივით მყივარი, მეცას აზანზარებს; საშინელი კაშკაში მისი ცად აღწევს; ჩემი გაძრის დიადი ძალა უცხო ქვეყნებს ეფინება; მისი სახელის ირგვლივ ცის კიდიდან უცხო მხარენი იკრიბებიან: მაგანი და მელუსხა თავიანთი მთებიდან ჩამოდიან. მე ნინგიროსუ ვარ, მძვინვარე ღვარის უკუმქცეველი, გმირთა გმირი – ენლილის მაგიერი, მეუფე, რომელს მეტოქე არ უვის. გაძარი ჩემი, ენინუ, მე – მეუფემ ქურში დავაფუძნე. საჭურველი ჩემი, შარური, უცხო ქვეყანათა დამპყრობელია; ჩემს მძვინვარე მზერას უცხო ქვეყნები ვერ იგვირთავენ; ჩემს გაშლილ მკლავებს ვერვინ გაექცევა. მამამ მშობლიურმა ჩემმა, დიდად მოყვარულმა, სახელად “მეუფე, ქარიშხალი ენლილისა, უცხო მხარეთაგან მძვინვარე მზერის არმომრიდებელი, ნინგიროსუ მეომარი ენლილისა” მიწოდა.

ერგასი რჯულდება დაადგინა, საკურთხი ტაბლა აღამალა, განწმენდის წესები წრფელად წარმართა.

წრფელი მარჯვენა ჩემი ბრწყინვალე ბეცად აღიმართა, ყოველი ჩემს ხელთა მყოფი, კეთილია; მამა მშობლიური ჩემი ნებიერად მკვეზავს.

ანმა, ღმერთების მეუფემ, სახელად “ნინგირსუ, მეუფე ანის რჯულდებათა” მიწოდა.

თირაში აბზუსავით მის ღიალებაში დააფუძნა; მის წიაღში ახალ მთვარის ქამს დიდი რჯულდებანი, – ბეციერი დღესასწაული ჩემი, დიდებულად განმისრულა.

საშიში გაძარი, საშიში ადგილი ჩემი, საშიში გველივით მძვინვარე ადგილას ამიშენე.

ჩემს უცხო მხარეში, უხსენებელ ადგილას, ოდეს გული ჩემი მძვინვარებს, მსგავსად უნასისა შხამს ჩამიდგამს.

ე-ბირ-ბირში, ჩემთა განგებათა ადგილას, მზის ღმერთივით გაბრწყინებულ ჩემს ადგილას, ღვთაებრივი მსაჯულივით, საგარანივით, ჩემი ქალაქის სამართალს წარვმართავ.

ბაგარას გაძარში, ჩემს საკურთხეველში, ლაგაშის დიდი ღმერთები იკრიბებიან.

გაძარი ჩემი, ამქვეყნად რჩეული,
მარჯვენა მკლავი ლაგაშ-ქალაქისა,
ფრთოსანი ანზულ, გაგნობზე მყივარი,
ენინნუ, ჩემი სამეუფო გაძარი, –
ეჰა, გუღეა, მწყემსო მადლიანო!
რა დღესაც წრფელ ხელს ჩემკენ გამოიწვიდ,
ბეგარდმო წვიმას მოვუხმობ.

ციდან სიუხვე გარდამოვივა,
ხალხი სიუხვეში იმრავლებს.
ჩემი გაძრის დაფუძნებისას
ვრცელი ველები აგიყვავლებიან,
არხები წყლებით აგევესებიან,
ბორცვებზე, სად წყალნი ვერ აღიან,
წყლები ამოგივლენ.
შუმერში ზეთი უხვად იღინებს,
მაგყელი უხვად აიწონება.
ოღეს საძირკველს ჩემსას ამოავსებ,
ოღეს გაძრისაკენ წოფელ ხელს გამოიწვდი,
მთისაკენ, ქარიშხლის ბუღისაკენ,
ფეხს გადავადგამ:
კაცი ფრთამაგარი წმიდა ხურსანგიდან
ქარს გამოგიგზავნის.
როს ქვეყნად სიცოცხლეს მოგანიჭებ,
კაცი კაცის გვერდით იშრომებს,
ლამით ნათელი ამოგიბრწყინდება,
ვარსკვლავი მშვესავით ამოგიბრწყინდება.
გაძარს ღლისით აგიშენებენ,
ლამით ამოგიმართავენ.
ქვემოთიდან ალვისხეს ამოგიგანენ,
ზემოთიდან კედარი, კვიპაროსი, მაბალუმი ჩამოგივა.

გირიფის მთიდან გირიფს ჩამოგიგანენ; ქვის მთაში დიდრონ ქვეებს
ლოღებად მოგიჭრიან. რა ღღესაც შენს მკლავს ცეცხლი შეეხება, ჩემს
სასწაულს მაშინ შეიცნობ?”

ადგა გუდგა, – თურმე სძინებია; კანკალებს, – სიმმარი ყოფილა. ნინგირსუს ნაუბარი სიგყვის წინაშე თავი დაჰხარა.

ქათქათა ციკნის შიგნეული გამოიკვლია: სასიკეთო გამოდგა ნიშე-ბი. ნინგირსუს მრახვა დღესავით გაუნათდა გუდეას. დიდად ბრძენია იგი და დიდთა საქმეთა ხელმყოფელი, ჭემმარიგად:

ენსიმ ქალაქი თვისი, ვითარცა ერთი კაცი, დამოდღვრა. ლაგაშის მიწაზე ერთი დედის შვილებივით ერი გააერთგულა: თოხები მოიმარ-ჯვეს და ეკალ-ბარდები ამოძირკვეს, ღვარძლი აღმოფხვრეს; ყოველი დავა გააუქმეს, ყოველი მტრული სახლებიდან განაგდეს, ნაცვლად მოლგისა ხელთ ცხვრის ფაფუკი მაგყლი დაიჭირეს.

დედა ბავშვს არ კიცხავდა, შვილი დედას არ ეჯიუტებოდა, შემ-ცოდე მონას მისი ბაგონი თავში არ სცემდა, დამნაშავე მონა-ქალს მისი ქალბაგონი სახეში არ სცემდა. ენინუს მშენებელ ენსის, გუდეას, საჩივარს არავინ მოახსენებდა.

ენსიმ ქალაქი განწმიდა, ცეცხლის ალში გამოახურვა, არაწმიდა და საძაგელი ქალაქიდან განდევნა.

მეაგურენი და მგვირთავნი ქალაქიდან გაიყვანა; სააგურე ყალიბ-ში ნიშანი ჩაღო, აგურზე ნიშანი აღიბეჭდა. აგურის ნიმუში მოეწონა გუდეას. ნანშესაგან სახელმერქმეულმა მწყემსმა საზეიმოდ დადვა ნიმუში. და ყალიბი, მისგან მოხაზული, და აგურის ნიმუში, მის მიერ საზეიმოდ დადებული, იყო ფრთოსანი იმდუგული, მისი მეუფის სა-სურველი ნიშანი.

[. . . .]

ღვია, მთების წმიდა მცენარე, ცეცხლს შეუნთო; კედარის ფისი, ღე-თაებრივი სასუნელი, საკმეველად გამოხადა. დღისულ მსხვერპლს შეს-წირვიდა, ღამ-ღამობით ლოცვებს აღუვლენდა.

ლაგაშის მიწა-წყლის ანანუქები ნინგირსუს ტაძრის აგებისთვის გუდეასთან მსხვერპლის მისაღებად მოვიდნენ. ჭემარიგმა მწყემსმა გუდეამ სიხარულით შესწირა მსხვერპლი.

მას ჟამს ენსიმ თავის ქვეყანაში ხალხი შეჰყარა: მთელ თავის სამთავროში, ნინგირსუს გუედინაში ხალხი შეჰყარა.

თავის კეთილნაგებ, ერდანამკვიდრებ ქალაქში, ნანშესეულ გუგიმბარაში ხალხი შეჰყარა.

ნინგირსუს სანახში, რომელ არს “მძვინვარე ხარი შემართული და უბრძოლველი”, ნინგირსუს სანახში, რომელ არს “სპეგაკი კედარი, მისი მეუფისთვის დარგული”, – ხალხი შეჰყარა. მაღალი ნიშანი ნინგირსუსი “მეუფე დამაქცევარი უცხო მხარეთა” მათ წინ დაუდგინა.

ნანშეს სანახში, რომელ არს “ფშანები, წყლიდან ამოსული ლელიანით დაფარული”, ნანშეს სანახში, რომელ არს “წყალუხვი იღმახი, სიუხვის მომგანი”, – ხალხი შეჰყარა. ნანშეს ნიშანი, წმიდა ნავით, მათ წინ დაუდგინა.

ინანას სანახში, რომელ არს “ნახირი ველზე მოფენილი”, ინანას სანახში, რომელ არს “ურაკვიცი, სახელგანთქმული მეომარი, მზის ღმერთის უთუს საყვარელი მეომარი”, – ხალხი შეჰყარა. მირგვალა, ინანას ნიშანი, მათ წინ დაუდგინა.

ელამელი ელამიდან მოუვიდა; სუბელი სუზადან მოუვიდა. მაგანმა და მელუხსამ თავიანთი შორეული ქვეყნიდან მორები ბურგით ჩამოუზიდეს. ნინგირსუს ტაძრის ასაგებად მის გირსუ-ქალაქში გუდეასთან შემოკრბენ.

ნინგირსუმ ნინზაგას უბრძანა, გუდეასთან, ტაძრის მშენებელთან, თითბერი მწიფე თავთუხის მზიდველივით მიეგანა.

ნინსიქილას ნინგირსუმ უბრძანა: ენსისთან, ენინუს მშენებელთან, ალვისხე და გირიფი მიეგანა.

კელარის მთაში, სადაც ძეხორციელს არ შეუღწევია, ნინგირსუმ გზა გაუკვალა გუღეას. კელარის ხეები ძელებად გასხლა, – შარურისათვის, რომელ არს “მარჯვენე ლაგაშ-ქალაქისა”, საჭურველისთვის, რომელ არს წარღვნის საჭურველი მისი მეფისა, დააპო ძელები. საჭურველი იგი, ვითარცა დიდი გველი, წყალში მოსრიალე.

კელარის მთიდან – კელარის მორები, კვიპაროსის მთიდან – კვიპაროსის მორები, მბაბალუმის მთიდან – მბაბალუმის მორები, დიდ-დიდი ნაძვები, ჭადრები, დიდი უმსხვილესი მორები “ბრწყინვალე კარიბჭის” უზენაეს ყურეში დააწყო.

გრანიტის მთებში, სადაც ძეხორციელს არ შეუღწევია, ნინგირსუმ გზა გაუკვალა გუღეას. დიდ-დიდი ქვები ლოდებად წამოიღო იქიდან. აბალის ასფალგი, “იგი-ენგურის” ასფალგი და თაბაშირი (თეთრი თიხა) მადგას მთიანეთიდან გუღეამ ნინგირსუს ხომალდით მიუგანა, როგორც მინდორში მიაქვთ სათესლე ხორბალი.

ენსი, ენინუს მშენებელი, უხვად მოამარაგეს: სპილენძის მთამ ქიმიდან საბადო მოუძებნა, სპილენძი თვისი გოდრებით მოუმიდა. კაცს, თვისი მეუფის სახლის მშენებელს, ენსის ოქროს მთიდან ოქროს ქვიშა მოუტანეს; გუღეას ძვირფასი ილეკრო მთიდან ჩამოუტანეს; ელვარე ძოწი მელუხხადან მოუმრავლეს; მარმარის მთიდან მარმარილო ჩამოუტანეს.

მწყემსი ტაძარს ძვირფასი ილეკროთი აშენებს; ოქრომჭედლები უსხედან. ენინუს ძვირფასი ქვებით აშენებს; ქვისმთლევები უსხედან. სპილენძითა და თითბერით აშენებს; ნინთუქალამას მჭედელ-ქურუმმა ყოველივე განუმბადა.

დღეები მოკლედ ეჩვენება გუდას, ღამეები უგრძელდება გუდას. თვისი მეუფის გაძრის შენებას რაც შეუდება, ღამე არ ეძინა, შუადღისას თავს არ მიდრეკდა.

ნანშესაგან მაღლიანი თვალით მოხედულს, ენლილისგან გულით ამორჩეულს, ენსის, ნინგირსუსგან შეყვარებულს, გუდას, უზენაეს ბაგინში გათუმდუგის მიერ შობილს, ქალღმერთმა ნიდაბამ “სიბრძნის სახლი” განულო, ენქიმ გაძრის გეგმა განუმზადა.

გაძრისათვის, რომლის ელვარება ცას მისწვდენია, რომლის სჯულდებანი ცა-მყარზე დადგენილია, რომლის მეუფე მზერასაშიშია, – გმირი ნინგირსუ, ბრძოლის მეცნაური – ენინუსათვის, რომელ არს “ბრწყინვალე ფრთოსანი ანზუდ”, გუდა ქვემოთიდან ავიდა, ზემოთისკენ გაემართა; ზემოთიდან ჩამოვიდა, ქვემოთისკენ ჩამოემართა.

გოდება აკლებულ ლაგაშზე

უმას ხალხმა ექი ცეცხლს მისცა, ანთასურა ცეცხლს მისცა,
ვერცხლი და პაგიოსანი ქვა გაკრიფა.
თირამის სასახლეში სისხლი დაღვარა, აბზუბანდაში
სისხლი დაღვარა,
ენლილის დარბაზში, ბაბარის დარბაზში, სისხლი დაღვარა,
ვერცხლი და პაგიოსანი ქვა გაკრიფა.
ებაბარაში სისხლი დაღვარა, ვერცხლი და
პაგიოსანი ქვა გაკრიფა.
ნინმახის წმიდა ჭალაში სისხლი დაღვარა, ვერცხლი
და პაგიოსანი ქვა გაკრიფა.
ბაგარში სისხლი დაღვარა, ვერცხლი
და პაგიოსანი ქვა გაკრიფა.
აბზუეგაში სისხლი დაღვარა,
გათუმდუგის გაძარი ცეცხლს მისცა,
ვერცხლი და პაგიოსანი ქვა გაკრიფა, ქანდაკი მისი დალეწა.
ინანას ეანას წიაღი ცეცხლს მისცა, ვერცხლი
და პაგიოსანი ქვა გაკრიფა, ქანდაკი მისი დალეწა.
შაგეპადაში სისხლი დაღვარა, ვერცხლი
და პაგიოსანი ქვა გაკრიფა.

ხიენდას ბლურბლი დალახა, ქიაბში, ნინდარას გაძარში,
სისხლი დაღვარა,
ვერცხლი და პაგიოსანი ქვა გაკრიფა.
ქინუნირი, ღუმუზიბზუს გაძარი, ცეცხლს მისცა, ვერცხლი
და პაგიოსანი ქვა გაკრიფა.
ლუგალურუს გაძარი ცეცხლს მისცა, ვერცხლი
და პაგიოსანი ქვა გაკრიფა.
ნანშეს ენგურის გაძარში სისხლი დაღვარა, ვერცხლი
და პაგიოსანი ქვა გაკრიფა.
ამაგეშთინანას გაძარში სისხლი დაღვარა,
ამაგეშთინანასგან პაგიოსანი ქვა გაკრიფა.
გინარბანირუში, ნინგირსუს ხოდაბუნში, აღრეულ დანათესში,
ხორბალი გაკრიფა.

(რაკი უმას ხალხმა ლაგაში დაარბია, ნინგირსუს წინაშე ცოდვა ჩაიდინა,
ხელი, რომელიც მასზეა გადმოსული, მოიკვეთოს! ურუინიშინას, ლაგაშის
მეფეს, ცოდვა არ აღეგს. ლუგალზაგესის, უმას ენსის, მისმა ღმერთმა ნისაბამ
ცოდვა დააკისროს!)

თუმალის ისგორია

ენმებარაგესიმ, მეფემ, ირინანამი ენლილის სახლში ააშენა, აგამ, ენმებარაგესის ძემ, თუმალი ააყვავა, ნინლილი თუმალში შეიყვანა.

პირველად დაემხო თუმალი.

მეშანეპადამ ბურშუშუა ენლილის სახლში ააშენა, მეშქიაგუნამ, მეშანეპადას ძემ, თუმალი ააყვავა, ნინლილი თუმალში შეიყვანა.

მეორეგზის დაემხო თუმალი.

გილგამეშმა ნუმუნბურა, ენლილის საკურთხეველი ააგო, ურ-ლუგალმა, გილგამეშის ძემ, თუმალი ააყვავა, ნინლილი თუმალში შეიყვანა.

მესამედ დაემხო თუმალი.

ნანიმ ღიდი ბალი ენლილის სახლში გააშენა. მეშ-ქიაგ-ნანამ, ნანის ძემ, თუმალი ააყვავა, ნინლილი თუმალში შეიყვანა.

მეოთხედ დაემხო თუმალი.

ურ-ნამამ ექური ააშენა, შულგიმ, ურ-ნამას ძემ, თუმალი ააყვავა, ნინლილი თუმალში შეიყვანა.

მეხუთედ დაემხო თუმალი.

ამარსუენას წლიდან მეფე იბისუენას წლამდე ენამგალანა ინანას ქურუმაღ, უნუგში იქნა არჩეული; ნინლილი თუმაღში დადიოდა.

ლუ-ინანას, ენლილის დიდი დაბადის, სიგყვის მიხედვით დაიწერა. იმბი-ერამ, ექურზე რომ ზრუნავდა, ენლილის საგანძური ააშენა.

აქადის წყევლა

როცა ენლილის შუბლის შეჭმუხვნამ ქიში ბეციური ხარივით მოკლა, უნუგის სახლი დიდი ხარივით მიწად დასცა, შარუქინს, აქადის მეფეს, ქვემოთიდან მემოთამდე ენლილმა ბაგონობა და მეფობა ჩააბარა, მას ჟამს აქადის საწმიდარი ბრწყინვალე ინანამ თავის უზენაეს სადიაცო სამყოფლად ააშენა, ულმაშში გახტი დაიდგა.

როგორც ყმაწვილკაცი, პირველად რომ აშენებს სახლს, როგორც ყმაწვილქალი, სადიაცო სამყოფელს რომ აწყობს, საგანძურის სახლზე სამრუნავად, ქალაქში საცხოვრებელთა დასაფუძნებლად, საუკეთესო სამრდოთი ხალხის გამოსაკვებად. საუკეთესო სასმელით ხალხის დასარწყულებლად, განბანილთათვის ეზოში გასახარებლად, სამეიმო ადგილას ხალხის შესაყრელად, ქალაქის ხალხს ერთად რომ ეჭამათ, უცხოებს ცის უცნობი ფრინველებივით ირგვლივ რომ ებორიალათ, *მარხაშის* ხალხი [. . . .], მაიმუნები, ძლიერი სპილოები, წყლის კამეჩები, უცხო ცხოველები, ძაღლები და ლომები, ცხენები და გრძელმატყლიანი ცხვრები ფართო მოედნებზე ერთმანეთს რომ შეხლოდნენ, ბრწყინვალე ინანას არ ეძინა.

მას ჟამს აქადი, ემერის სახლი, ოქროთი აავსო, თეთრი ემერის სახლი ვერცხლით აავსო, ბელლებში სპილენძი და თუთია, ლაქვარდის ლოდები ხორბალივით დაყარა, და გარედან ჩაკეცა. მის ბერდელებს

რჩევის უნარი მიჰმადლა, მის ბერიკაცებს სიტყვის უნარი მიჰმადლა, მის ქალწულებს გართობის უნარი მიჰმადლა, მის მოყმეთ საბრძოლო ძალი მიჰმადლა, მის პაგარებს გულის სიხარული მიჰმადლა. სარდალთა ძიძები ალგარზე უკრავდნენ, ქალაქის შიგნით თიგი-დოლებს ახმიანებდნენ, ქალაქის გარეთ სგვირის და *მამშამის* ხმა ისმოდა, ყურეში, სადაც ხომალდები ეყუნენ, სიხარული იყო. ქვეყნები სიმშვიდეში იყვნენ დავანებული, მათი ხალხი სიკეთეს ხედავდა.

მათი მეფე, მწყემსი ნარამსინი, აქადის წმიდა გახგმე ღლესავით გაბრწყინდა. მისი კელელი მთასავით ცას სწვდებოდა, მის კარიბჭეს ინანა აღებდა და, როგორც *იდივინას*, მღვაში რომ იღვრება, შუმერში ხომალდებს საქონელი თავისით მოჰქონდათ. მთის მართუ, რომელმაც ხორბალი არ იცის, საღ ხარებს და საღ თხებს მიართმევდა; მელუხას, შავი მთის ხალხს, მთის საქონელი ჩამოჰქონდა მისთვის; ელაში და სუბირი, როგორც საგვირთო ვირები, საქონელს ბურგით უზიდავდნენ; მთავრები, ქურუმები, *გუედინას* აღმრიცხველნი, ყოველთვიურ და საახალწლო ძღვენს სწირავდნენ. აქადის კარიბჭესთან მოსვენება არ იყო! ბრწყინვალე ინანა ძღვენის მიღებას ვერ აუდიოდა.

მაგრამ ექურის განაჩენი ღუმელივით ჩამოწვა. აქალი თრთის მის წინაშე, *ულმამი* ძრწის მასთან ერთად; ქალაქიდან მისი მკვიდრი გავიდა; როგორც ქალწული სგოვებს თავის სადიაცოს, ბრწყინვალე ინანამ აქადის საწმიდარი დაგოვა; მეომარივით იარაღისკენ რომ ისწრაფის, ქალაქის წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგა და მგერს ჩაუგლო ხელში.

ხუთი დღე არ გასულა, ათი დღე არ გასულა, ნინურთამ ბატონობის ძე, მეფობის ძე, *მანსიუმი*, რომელსაც სამეფო გახტი მიეცა, თავის *ემ-*

უმეშაში დააბრუნა. ქალაქს ბრძნული სიგყვები უთუმ წაართვა, მისი გონება ენქიმ (უკან) წაიღო; მეღამი, რომელიც ცას სწვდებოდა, ანმაცის გულში წაიღო. ბრწყინვალე სვეტი, აგებული, ენქიმ ამოძირკვა, მისი საჭურველი ინანამ წაიღო.

აქადის საწმიდარის სიცოცხლე როგორც პაგარა თევზი ოკეანეში დაილუპა; და ქალაქები, ყველანი უყურებდნენ მას. ძლიერ სპილოსავით ქელი მიწად მოედრიკა, მათ კი ძლიერი ხარივით რქები მალლა აღემართათ. მომაკვდავი გველეშაპივით თავს ძირს მიათრევედა, როგორც ბრძოლის ველზე პატივი აჰყარეს.

აქადის მეფობა რომ მტკიცე საჯდომზე აღარ იჯდებოდა, მისი მომავალი რომ სასიკეთო არ იქნებოდა, სახლი რომ შეირყეოდა, საგანძური რომ გაიფანტებოდა – ნარამსინმა სიმზრად იხილა. სიმზრის ამრს მისხდა, მაგრამ ენით ვერ გამოთქვა, ვერავის უთხრა [. . . .].

ექურის გამო ფლასით შეიმოსა, თავის ეტლში ლერწმის ჭილობი დააგო, საწესო ხომალდის ლერწმის ბალდახინი მოარღვია, თავისი მეფობის აღჭურვილობა გადაყარა. ნარამსინმა შვიდ წელიწადს გაძლო! მეფეს შვიდ წელიწადს თავი ხელებში რომ ჰქონდეს ჩარგული – ვის უნახავს?

ტადრისთვის თხაზე სამკითხაოდ გაემართა. ტადრის აშენება *თხაში* არ გამოჩნდა; მეორედ ტადრისთვის თხაზე სამკითხაოდ გაემართა. ტადრის აშენება *თხაში* არ გამოჩნდა. [. . . .] მისი ქვეშევრდომნი გაიფანტნენ, თავის ლაშქარს მოუწოდა, “მკლავოსანივით” დიდ ეზოში რომ შედის, ექურისკენ ხელები გაიწვდინა; მორბენალივით, გასარბენად რომ იხრება, *გიგუნა* ოცდაათ შეკელად მიიჩნია; როგორც ავაზაკი, ქალაქს რომ ძარცვავს, ტადარს გრძელი კიბე მიაყუდა. დიდი ხომალდივით ექურის დასანგრევად, მთასავით, მადნისთვის რომ

თხრიან, გასაცამგვერებლად, ლაქვარდის მთასავით ამოსათხრელად, უშქურისგან წარღვნილი ქალაქივით მიწად დასამხოებად. თუმცა გაძარი კედარის გასაჩეხი მთა არ იყო, დიდრონი ცულები ჩამოასხმევენა, ორღესული აგასილა-ცულები გაღესა, მის ფესვებთან ფიწლებივით დააწყო [. . .]; ცულები მის რგოებთან დააწყო; გაძარმა მოკლულ მოყმესავით ქელი მიწად დახარა, უცხო ქვეყნებმა ქელი მიწად დახარეს.

წყლის მიღები ამოყარა და წვიმა ცისკენ უკან გაბრუნდა; კარის ბალავარი გამოღლიჯა, ქვეყნის მშვენება მოისპო; კართან, სადაც პური არ იმკებოდა, პური მომკა; და ქვეყანას პური წაერთვა. “მშვიდობის კარს” წერაქვი დაჰკრა და ქვეყნების მშვიდობა შეიცვალა. ექურში “დიდი ღერძის გაძარი” შეშად აქცია; ბნელი სახლი, რომელმაც ღღის სინათლე არ იცოდა, ხალხმა იხილა; ღმერთების წმიდა საგანძურში აქადელმა ჩაიხედა; *ლახამა* – დიდი სვეტი, გაძარში რომ იღვა [. . .]; კედარი, კვიპაროსი, იაღღუნნი და ბზა, მისი *გიგუნას* ხეები გაჩეხა მან; მისი ოქრო ყუთებში ჩააწყო, მისი ვერცხლი გყავის გომრებში ჩაყარა; მისი სპილენძი ნავსაყუდელში დახვავებული ხორბალივით აავსო; მისი ვერცხლი ვერცხლის მჭედელმა დაამუშავა, მისი ძვირფასი ქვები ქვის ოსგაგმა დაამუშავა, მისი სპილენძი სპილენძის მჭედელმა გამოკვერა. თუმცა განადგურებული ქალაქის ქონება არ ყოფილა, გაძართან ყურეში დიდი ხომალდები მიაყენა, ენლილის გაძართან ყურეში დიდი ხომალდები მიაყენა; ქონება ქალაქიდან გაიგანეს. როცა ქონება ქალაქიდან გაიგანეს, აქადი გონებამაც დაგოვა. როცა ხომალდები ყურეს გამორღნენ, აქადს ამრიც გამოორდა.

გამაყრუებელმა ქარიშხალმა, ქვეყანა რომ მოიცვა, ამვირთებულმა ნიაღვარმა, მეგოქე რომ არა ჰყავს, ენლილმა თავისი განადგურე-

ბული ექურისთვის – რა დაენგრია (მის სანაცვლოდ)? – მიმართა მზერა *გუბინის* მთისკენ, ვრცელი მთიანეთიდან ერთიანად ჩამორეკა ხალხი უგვანი, ხალხად არშესარიცხი, გუთიუმი, ხალხის წესების უმეცარი, სახე ადამიანისა აქვს, ქცევა – ძაღლისა, ენლილმა მთიდან ჩამოიყვანა. ბელურებივით მოედვნენ მიწას, ცხოველთა დასაჭერ ბადესავით გაშალეს ხელები გაშლილ ველებზე, მათ მკლავებს ვერაფერმა დააღწია თავი, მათ მკლავებს ვერაფერს გადაურჩა, მაცნეები გზებზე აღარ მიმოდიოდნენ, სამგზავრო ხომალდი მდინარეზე აღარ დაცურავდა; ენლილის ფარა ფარეხიდან გამოასხეს, მათი მწყემსები თან გაიყოლეს, ხარ-ძროხა ბოსლებიდან გამოასხეს, მათი მწყემსები თან გაიყოლეს; გზები ავაზაკებს ეჭირათ. ქვეყნის ჭიშკრები ჩაიკეცა, ქალაქის კედლებში ქვეყნების მწარე ხმა გაისმოდა; ქალაქის გარეთ ყანები მიაგოვეს, ქალაქის შიგნით გააველეს ხნულები; როგორც იყო ქალაქის გაშენებამდე, მის დაფუძნებამდე, დიდი ყანები და მიწდვრები მარცვალს არ იძლეოდა, ბაღ-ვენახები ტკბილ წვეწვსა და ღვინოს არ იძლეოდა, მრქელი ღრუბელი არ წვიმდა, ხე აღარ იმზღებოდა; მას ჟამს ნახევარი სილა მეთი ერთი გინი ღირდა, ნახევარი სილა მარცვალი ერთი გინი ღირდა, ნახევარი მანა მაგყლი ერთი გინი ღირდა, ერთი გინის თევზი ჰაგარა ქოთანს ავსებდა, ქალაქის ბაზრებში ასე იცვლებოდა. ბანზე მწოლარე ბანზე კვდებოდა, სახლში მწოლარე არ იმარხებოდა, ხალხი შიმშილისგან თავისით [. . . .]; ქიურში, ენლილის დიდ ადგილზე, ძაღლები მღუმარე ქუჩებში [. . . .], ორ კაცს, მოსიარულეს, ჭამდნენ, სამ კაცს, მოსიარულეს, ჭამდნენ. [. . . .]. მართალი კაცი და ცრუ კაცი ერთმანეთში აირია, მეომარი მეომარზე იწვა. ცრუ კაცის სისხლი მართალი კაცის სისხლს ეღვრებოდა.

მას ჟამს ენლილმა თავისი დიდი საწმიდრების ნაცვლად ლერწმის პაგარ-პაგარა საწმიდრები აიშენა, მზის აღმოსავლიდან მზის დასავლამდე თავისი საუნჯენი შეამცირა. [. . . .]. დედაბერი ძახილისგან “ვაი, ჩემს ქალაქს” თავს ვერ იკავებდა, ბერიკაცი ძახილისგან “ვაი, მის ხალხს” თავს ვერ იკავებდა, მოგირალი ძახილისგან “ვაი, ექურს” თავს ვერ იკავებდა, მისი ქალწული თმის მოჭრისგან თავს ვერ იკავებდა, მისი მოყმე მახვილის ჩაბლუჯვისგან თავს ვერ იკავებდა. მათი გოდება ენლილის დედ-მამის გოდებაა წმიდა ბორცვზე [. . . .].

მას ჟამს სუენმა, ენქიმ, ინანამ, ნინურთამ, იშქურმა, უთუმ, ნუსქუმ და ნისაბამ მიასხურეს ენლილის გულს გრილი წყალი და ლოცვა წარმოთქვეს: “ენლილ, ქალაქი, შენი ქალაქი რომ დაანგრია, შენი ქალაქივით აშენდეს! შენი გიგუნა რომ შეიბღალა, ნიპურივით აშენდეს! ამ ქალაქში თავებმა ჭები ამოაგსოს! კაცმა თავისი ნაცნობი ვერ მოძებნოს! ძმამ თავისი ძმის ნიშანი ვერ ამოიცნოს! მისი ქალწული თავის სადიაცო სამყოფელში სასტიკად მოიკლას! მისმა ბერიკაცმა თავის მკვდარი ცოლის სახლში მწარედ იგიროს! მისი მგრედი რაფაზე მოთქვამდეს! მისი ბელურა თავის კუნჭულში მოიკლას! [. . . .]

მეორედ სუენმა, ენქიმ, ინანამ, ნინურთამ, იშქურმა, უთუმ, ნუსქუმ და ნისაბამ, ღმერთებმა, ვინც იყვნენ, ქალაქს თვალი მიაპყრეს, აქაღზე წყევლა დაათიეს: “ქალაქო, ექურს რომ შეუგციე, ენლილია! აქადლო, ექურს რომ შეუგციე, ენლილია! დაე, შენი წმიდა კედლის სიმაღლიდან გლოვა მოისმას! შენი გიგუნა მგვრის გროვად იქცეს! შენი პილასგრები ლახამუს ქანდაკებებითურთ მთვრალი მოყმესავით მიწას განერთხას! შენი თიხა აბმუს დაუბრუნდეს! ენქისგან დაწყევლილ თიხად იქცეს! შენი ხორბალი ხნულეებში დაბრუნდეს! *ემინასგან* დაწყევლილი ხორბლად იქცეს! შენი ხეები გყეს დაუბრუნდეს! ნინი-

ლუმასგან დაწყველილ ხედ იქცეს! დაე, ხარების მქლეგელმა თავისი ცოლი მოკლას! ცხვრების მხოცველმა თავისი შვილები დახოცოს! შენმა ხალხმა სიწმიდისთვის მოწოდებული შვილები წყალში გადაყაროს! შენმა როსკიპმა საროსკიპოს ღუქნის კართან თავი ჩამოიხრჩოს! [. . . .]. შენი ოქრო ვერცხლად იყიდებოდეს! შენი ვერცხლი მბზინავ ლითონზე იყიდებოდეს! შენი სპილენძი ტყვიანზე იყიდებოდეს! აქადო, შენს ძალმოსილს ძალა წაერთმეოდეს! საგზლის აბგა ვერ ეზიდოს! შენი რაშების ძალამ ვერ იხაროს, დღითა და ღამით უქმად ეყარონ! ქალაქი შიმშილმა ამოწყვიტოს! შენი მოქალაქე, ტკბილ პურს რომ ჭამდა, ბალახებში ეგდოს! შენი კაცი თავისი სახლის ბანზე თავის მოსასხამს ჭამდეს, მამამისის სახლის კარის ტყავის [. . . .] დეჭავდეს! შენი სასახლე, გულის სასიხარულოდ აგებული, გულის მწუხარებით დაითრგუნოს! უდაბნოს, მღუმარე ადგილის, ავსულნი განუწყვეტლივ გაჰკიოდნენ! მელა, რომელიც ნანგრევის ბორცვებს კუდით მიხვეცავს, განწმედის რიგუალს განაგებდეს! კარიბჭეში, რომელიც ქვეყნისთვის აღიმართა, უქუქუმ, გულმოკლულმა ფრინველმა, თავის ბუდე გაიკეთოს! შენი ქალაქი, სადაც კაცს თივის ხმისგან არ ეძინა, გულის სიხარულისგან არ დაწოლილა, ნანარის ხარებმა, რომლებიც სადგომებს ავსებენ, თავიანთი ბლავილით, როგორც უდაბნოს მღუმარე ადგილების ავსულებმა, გააყრუოს! შენი არხების ნაპირებზე მაღალი ბალახი გაიმარდოს! ეგლებისთვის დაგებულ შენს გზებზე გლოვის ბალახი გაიმარდოს! მეორეგზის: შენს დასილულ არხებზე გარეულმა მხეცებმა და მთის სწრაფმა გველებმა არავინ გააგაროს! შენს მინდვრებზე, სადაც ტკბილი ბალახი იზრდებოდა, ცრემლის ლერწამი გაიმარდოს! აქადო, შენს მდინარეებში, სადაც ანკარა წყალი დიოდა, მყრალმა წყალმა იდინოს! ვინც იცყვის “ამ ქალაქში დავსახლდები”,

იქ დასახლებით ვერ გაიხაროს! აქალო, ვინც იტყვის “მოვისვენებო”, იმ განსასვენებელში ვერ გაიხაროს! ახლა, ვიდრე უთუ ამ ღღეს მოიყვანდეს, ასე იქნება!

შენი არხების ნაპირებზე მაღალი ბალახი გაიზარდოს! ეგლებისთვის დაგებულ შენს გზებზე გლოვის ბალახი გაიზარდოს! შენს დასილულ არხებზე გარეულმა მხეცებმა და მთის სწრაფმა გველებმა არავინ გააგაროს! შენს მინდვრებზე, სადაც ტკბილი ბალახი იზრდებოდა, ცრემლის ლერწამი გაიზარდოს! აქალო, შენს მდინარეებში, სადაც ანკარა წყალი დიოდა, მყრალმა წყალმა იდინოს! ვინც იტყვის “ამ ქალაქში დავსახლებიო”, იქ დასახლებით ვერ გაიხაროს! ვინც იტყვის “აქაღში მოვისვენებო”, იმ განსასვენებელში ვერ გაიხაროს!

აქადის დამხობისთვის დიდება ინანას!

გამარჯვების სიმღერა

ენლილი, – მას შემდეგ რაც გუთიუმმა, მთის გველეშაპმა, ღმერთების მტერმა, შუმერის მეფობა მთაში გაიტაცა, შუმერი შუღლით აავსო, ცოლიანს ცოლი მოსტაცა, შვილიანს შვილი მოსტაცა, ქვეყნად შუღლი და მტრობა დაამკვიდრა, – ენლილი, სამყაროს მეფე, მისი სახელის დასამხობად უთუხენგალს, მაგარ მოყმეს, უნუგის მეფეს, მეფეს ოთხივ მხარისა, მეფეს, რომლის სიტყვა უცილობელია, – ენლილი, სამყაროს მეფე, ძალას მიანიჭებს.

უთუხენგალი ინანას, თავის დედოფალს, ეახლება, ლოცვას აღუვლენს: “ჩემო დედოფალო, ლომო ბრძოლისავ! მთელს ქვეყნიერებაზე უმშვენიერესო! ენლილმა შუმერის მეფობის დასაბრუნებლად ძალა მომანიჭა. შემწედ მეყოლე!”

ტირიგანმა, გუთიუმის მეფემ, გამოაცხადა: “ჩემს წინააღმდეგ ვერავინ გამოვა!”

ილიგინას დინება ზღვის პირამდე დაკავებულა, შუმერი ქვემოთამდე შეკრულა, ზემოთამდე შებორკილა, ქვეყნის გზებზე მაღალი ბაღასი ამოსულა.

მეფე, ენლილისაგან ძალმონიჭებული, ინანასაგან გულით ამორჩეული, უთუხენგალი, მაგარი მოყმე, უნუგიდან გავა. იმქურის ტაძარში მსხვერპლს შესწირავს, ქალაქის შვილებს სიტყვას ეტყვის:

“გუთიუმი ენლილმა მომცა! ინანა, ჩემი დედოფალი, ჩემი შემწეა. ღუმუზის, ამა-უშუმგალს, ჩემი ბედი გამოუცხადებია, გილგამეშს, ნინსუნას ძეს, ჩემთვის ნიშანი მოუცია”.

უთუხენგალი უნუგის შვილებს, ქულაბას შვილებს, მხიარულ გულს ჩაუდგამს. მისი ქალაქი, როგორც ერთი კაცი, უკან გაჰყვება. პირმოკუმული, თვალხილული გაემართება. იშქურის გაძრით რომ დაიდრება, მეოთხე დღეს ნაქსუში ენურუგალის გაძარში მსხვერპლს შესწირავს, მეხუთე დღეს დუდუსის ბაგინში მსხვერპლს შესწირავს.

ურნინაბუ და ნაბიენლილი, გირიგანის სარდლები, შუმერის ქვეყნად შიკრიკებს დაგზავნიან.

უთუხენგალი დუდუსის გაძრით რომ დაიდრება, მეექვსე დღეს მურუს თავში მსხვერპლს შესწირავს. იშქურისაკენ გაემართება, ლოცვას აღუვლენს:

“იშქურ, გუთიუმი ენლილმა მომცა. შემწედ მეყოლე!”

იმ შუალადით [. . .] უთუსაკენ გაემართება, ლოცვას აღუვლენს:

“ჰე, უთუ, გუთიუმი ენლილმა მომცა. შემწედ მეყოლე!”

უთუხენგალი მის წინააღმდეგ ლაშქარს წაასხამს. უთუხენგალი, მაგარი მოყმე, გაიმარჯვებს.

მაშინ გირიგანი, გუთიუმის მეფე, მარგოდ-მარგო ფეხით გაიქცევა. მისი საჭურველთმგვიროთველი, რომელიც გაიქცა, დუბრუმს შეეფარება. დუბრუმის ხალხმა, რაკი იცოდა, რომ უთუხენგალი ენლილისაგან ძალმონიჭებული მეფე იყო, გირიგანს მხარი არ მისცა. უთუხენგალის შიკრიკმა გირიგანი და მისი ცოლ-შვილი დუბრუმში შეიპყრო, ხელებზე ბორკილები დაადო, მის წინაშე მიიყვანა. უთუხენგალმა თვალი ჰკიდა, გირიგანი მის ფეხქვეშ განერთხა, უთუხენგალმა ქელზე ფეხი დაადგა. გუთიუმი, მთის გველეშაპი, დაამხო.

შუმერის მეფობა დააბრუნა.

ურნამუ – არხის მშენებელი

ვინ გათხრის? ვინ გათხრის? ვინ გათხრის არხს?
ქემლუგის არხს ვინ გათხრის? ვინ გათხრის არხს?
პაბილუხის არხს ვინ გათხრის? ვინ გათხრის არხს?
ურნამუ, დოვლათიანი გათხრის მას.

მართალი ჭაბუკი, მქონებელი, გათხრის მას.

ჩემო მეფევე, შენს ტახტზე ენლილმა, უფალმა აშიმ-ბაბარმა დაგსვა,
ჭაბუკო სუენ, შენს ტახტზე ენლილმა, უფალმა აშიმ-ბაბარმა, დაგსვა,
მეფე ვარ, მართალ სამოთგანვე ბედგადაწყვეტილი,
მბრძანებლობაში თავადმართული,

ურნამუ, ჭაბუკი, დიდი მთისკენ, ენლილისკენ, მბერამიმართული,
ნუნამნირმა შუმერ-აქადში მე ამირჩია,

ნიპურში, სიცოცხლის მთაში, ჩემი ბელი გადაწყვიტა,

თავისი სხივოსანი შუბლი მომაპყრო, მეფობა მიბოძა,

ურში, ემულქურაში, ჩემი ტახტის საძირკველი განამტკიცა,

წმიდას კვერთხი ურიცხვი ხალხის გასაძლოლად ჩამაბარა,

მწყემსის კომბალი ხალხის განსაჯრცობად

და გასამრავლებლად, ხელთ მომცა,

უფალმა აშიმ-ბაბარმა ხანგრძლივი სიცოცხლე მომანიჭა,

ენლილმა ოთხივე კუთხის მბრძანებლობა მომანდო,

ურნამუს დაგირება

შვიდი დღე, ათი დღე რა გამოხდა,
ჩემს მეფეს მისწვდა შუმერის გოდება,
ურნამუს მისწვდა შუმერის გოდება:
“ზღუდე ურისა ვერლა განასრულა,
ახალი სახლი ალაშენა, გარნა ვერ აკურთხა,
მწყემსმა თავის სადგომზე ვერლა იბრუნა,
მეუღლე სიხარულით ვერლა ჩაიხუგა,
შვილი მუხლებზე ვერლა გამოზარდა”.

მართალმა მწყემსმა გლოვა თავის თავზე მო-რა-ისმინა:
“მე საქმე ესე შეემთხვია –
ღმერთებისთვის ვიდექ, ფუძეს აღვუჩენდი,
ანუნაქებს სიუხვეს გამოვუჩენდი,
მათ სარეცელზე, ხასხასა აღერდით მოფენილზე,
ძვირფასი ნივთები განვაღაგე.
არა ღმერთი ჩემს გვერდით არ დამდგარა,
გული ჩემი არ დამცხრაღა.
მე, მეფეს, კეთილი ნიშები ცასავით განმეშორა.
დღედაღამ მდგარმა სჯულსა ჩემსა რა მოვიხვეჭე?
დღედაღამ უბილოდ მდგარს დღეები შემომელია.

აწ მოთქმა ჩემი ზეცად მიუქცეველ წვიმასავით
ურის კელლებამდე ველარ ააღწევს.
მეუღლეს, მნახველს კეთილთა ღღეთა,
მწუხარე ღღეები გაუთენდება...”

მეფე შულგის სადიდებელი

მეფე ვარ, დედის საშოდანვე გმირი ვარ,
შულგი ვარ, შობითგანვე ძლიერი კაცი ვარ,
მზერასაშიში ლომი, უშუმგალის დანაბადი ვარ,
მეფე სამყაროს ოთხივე კიდისა ვარ,
შავთავიანთა მფარველი მწყემსი ვარ,
მოყმე – სამყაროთა ღმერთისა ვარ,
ბე – ნინსუნას მიერ შობილი ვარ,
ბრწყინვალე ანის გულით მოხმობილი ვარ,
კაცი, ენლილისგან ბედლასაზღვრული ვარ,
შულგი, ნინლილისგან შეყვარებული ვარ,
დედა-ნინთურის ნებიერი ვარ,
ენქისაგან შთაგონებული ვარ,
მეფე ძლიერი, ნანარის მორჩილი ვარ,
ხახადალებული ლომი – მზის ღმერთისა ვარ,
შულგი, ინანასგან შვებად მოხმობილი ვარ,
ლალი კანჯარი, გზად გაჭენებული ვარ,
ფეხმარდი ცხენი, კულმოფრიალე ვარ,
შაქანის კვიცი, მკვირცხლად მიმხლდომი ვარ,
ბრძენი ნიდაბას დაფათა მპყრობელი ვარ.

ვინ არის ჩემებრ ქველი?
ვინ არის ჩემებრ ძლიერი?
სიბრძნეში სრულყოფილი შევიქენი,
წრფელი სიბრძნეები მისი შევიგონე,
სამართლიანობა შევიყვარე,
ბოროტება არ შევიყვარე,
მგრული სიბრძნეები შევიძულე.
შულგი ვარ, მეფე ძლიერი, წინამორბედი ვარ,
ფეხი გადავდგი, გზები ქვეყნისა მოვიარე,
სამანძილო სვეტები გავამაგრე,
ქალაქები დავაფუძნე,
შემოგარენში ბალები გავაშენე, სავანედ ვაქციე,
იმ ადგილზე მშვიდობიანი ხალხი დავასახლე.
ხალხმა, ქვემოთიდან ამომავალმა,
ხალხმა, ზემოთიდან ჩამომავალმა,
მის ჩრდილოვანში სული მოითქვას.
მგზავრმა და მაცნემ ღამე გაათიოს,
შევიდეს ვით კეთილად ნაგებ ქალაქში.
ჩემი სახელის საუკუნოდ დასამკვიდრებლად,
ხალხის ბაგეთაგან არგასაქრობად,
შემერის ქვეყნად ჩემი დიდების განსაცხადებლად,
უცხო მხარეთა მორჩილსაყოფად –
მე, მუხლმაგარმა, ფეხმოუქანცავმა,
ნიპურ-ქალაქიდან ურის კედლებამდე,
თითქოს ერთი ბერუ ყოფილიყოს, გულმა გამიწია.
მე, ლომმა ძალამოუღლემა, ძალი ვაჩინე:

მოკლე არდაგით თეძოები შევიმოსე,
როგორც მგრედმა, საფრენად გამზადებულმა, მკლავები გავშალე,
როგორც ანზულმა, მთისკენ მზერააპყრობილმა, მუხლი გავშალე,
ქალაქები, ჩემგნით მყარი, ჩემკენ მოდიოდნენ,
შავთავიანებს, ცხვრებივით მრავალთ, კეთილად მოვხედე –
მთის ლერწმებივით მყარში ჩარგულიყვნენ.
როგორც მზემ, კაცთა მოღვმისათვის დღის გამჩენმა,
სინის გაძარი, უხვერობიანი, სიმდიდრით ავაფსე,
დავკალი ხარები და ურიცხვი ცხვარი,
დაფი და ებანი ავახშიანე.
მულგიმ, ყოვლის მაუხვებელმა, პური ვამსხვერპლე,
როცა ლომგულმა სამეფო საყდარში,
ნინგალას უზენაეს გაძარში, ძალი მოვიდე,
მუხლი მოვიყარე, მჩქეფარე წყალი შევსვი,
ჩავიმუხლე და პური ვჭამე.
როგორც ნინშარა, არწივი ბეაფიწი,
ნიპურში, ჩემს ქალაქად, შემოვიქეც.
იმ დღეს გრიგალი ახმაურდა,
წარღვნის ქარიშხალი დაგრიალდა,
ბორეასმა და არავმა ერთად იღრიალეს,
ელვამ და შვილმა ქარმა ცაში ყველაფერი შთანთქეს,
ქარმა, ყოვლის გამაყრუებელმა, ხმელეთი შეარყია.
ცის კიდებე იშქური გაჰკიოდა,
ციური წვიმა ხმელეთის წყალს შეერწყა.
სეცყვა მცირე და სეცყვა დიდრონი
ბეჭებზე უხვად მეყრებოდა.

მე კი, მეფე, არ შევშინდი, არ შევეძრწუნდი,
ლომის ბოკვერივით წინ გავიჭერ,
ველური ცხენივით წინ გავვარდი,
მარგო მთარული კვიცივით გავჭენდი,
ჩემდა სისარულად გაჩენილ თვეში
როგორც მზის ღმერთმა, თავის სადგომისკენ მზერამიმართულმა,
თხუთმეტი ბერუ გავიარე.
ჩემი მამაცი ხალხი მომცქეროდა.
ერთ დღეს ვიბეიბე ეშეში, ნიპურსა და ურში.
ჩემს ღვიძლ ძმასთან, მზის ღმერთთან ერთად,
მალღალდაფუძნებულ სასახლეში ვინადიბე.
მგალობელნი დაფბე და ებანბე მიგალობდნენ.
ჩემს სწორფერთან, ქალწულ ინანასთან ერთად,
ცისა და მიწის შვებათა ქალბაგონთან,
სმა-ჭამად ღავჯედ.

ჩემს ნამოქმედარს ვერ განსჯის მსაჯული:
საითაც გავიხედავ, იქითკენ წავალ,
საითაც გამიწევს გული, იქ მოვხვდები.
თვით ანმა მტკიცე გვირგვინი თავს ღამადგა,
ბრწყინვალე ექურში კვერთხი ჩამაბარა.
სხივოსან სადგომში, მყარფუძიან ტახტზე,
ამაყი თავი ბეცისკენ აღვმართე,
მეფობის ძალი შემოვიმტკიცე,
უცხო ქვეყნები ღავიმორჩილე,
ხალხი მყარად ღავამკვიდრე.

ხალხი სამყაროს ოთხივე კიდისა
ჩემს სახელს მარადიულად ახსენებდეს,
სიმღერებში ქებას შემასხმიდეს,
ჩემს სიღიადეს აცხადებდეს!

უმენაეს მეფურ ძალაში ნებიერად ბრუნვილი,
ვისაც სინმა ქიშნუგალის ტაძრიდან
სიმტკიცე და მორჭმით ცხოვრება მიაგო,
ვისაც ნუნამნირმა მაღალი ძალა მიანიჭა –
ეს მე ვარ შულგი, უცხო მხარეთა დამაქცევარი,
ხალხების მყარად დამამკვიდრებელი!
(ცისა და მიწის განჩინებას მეგოქე არ ჰყავს!)
შულგი, ბავშვი, ცის გმირის – სინის ნანდაური.
დიდება ნიდაბას!

შულგის მოგზაურობა შუმერის ტაძრებში

ჩემი მეფე ერილუსკენ მიდის,
დიდებულო მამა ენჭი, გიხაროდეს!
შულგი ერილუსკენ მიდის,
დიდებულო მამა ენჭი, გიხაროდეს!
ჩემი მეფე ნიპურისკენ მიდის,
დიდო მთაო, მამა ენლილ, გიხაროდეს!
შულგი ნიპურისკენ მიდის,
დიდო მთაო, მამა ენლილ, გიხაროდეს!
ჩემი მეფე ეშუმეშასკენ მიდის,
უფალო ნინურთა, გიხაროდეს!
შულგი ეშუმეშასკენ მიდის,
უფალო ნინურთა, გიხაროდეს!
ჩემი მეფე ქეშისაკენ მიდის,
ნინსუმუნზიდანა, გიხაროდეს!
შულგი ქეშისაკენ მიდის,
ნინსუმუნზიდანა, გიხაროდეს!
ჩემი მეფე ურიმისკენ მიდის,
უფალო აშიმბაბარ, გიხაროდეს!
შულგი, ურიმისკენ მიდის,

უფალო აშიმბაბარ, გიხაროდეს!
ჩემი მეფე ებაბარისკენ მიდის,
ლაქვარდისწვეროსანო, გიხაროდეს!
შულგი ებაბარისკენ მიდის,
ლაქვარდისწვეროსანო, გიხაროდეს!
ჩემი მეფე ქულაბისკენ მიდის,
ნინირიგალ, გიხაროდეს!
შულგი ქულაბისკენ მიდის,
ნინირიგალ, გიხაროდეს!
ჩემი მეფე ბაბალამისკენ მიდის,
წმიდა ინანა, გიხაროდეს!
შულგი ბაბალამისკენ მიდის,
წმიდა ინანა, გიხაროდეს!

საგრაფილო ჰიმნი მეფე შუსუენასადმი

წმიდა უშობიეს, წმიდა უშობიეს,
დელოფალს წმიდა უშობიეს,
აბისიმთის წმიდა უშობიეს,
დელოფალს წმიდა უშობიეს!

“ხელნი და ფერხნი შენნი შვენიერ, ჩემო აბისიმთი!
თავი შენი ოქრო რჩეული, ქუბათუ, ჩემო დელოფალო!”
“თმები შენი გურფად ნათხზენი, შუსუენა, ჩემო მეუფეო!
სიტყვა შენი გოლეული, ძეო შულგისაო ჩემო!”

“რამეთუ ვუგალობე, რამეთუ ვუგალობე,
მეუფემ ჩემმა ძღვენი მიბოძა!
რამეთუ აღარი ვუგალობე,
მეუფემ ჩემმა ძღვენი მიბოძა!
ოქროს საყურე, ლაყვარდის ბეჭედი,
მეუფემ ჩემმა ძღვნად მიბოძა!
ოქროს სამაჯური, ვერცხლის სამაჯური:
მეუფემ ჩემმა ძღვნად მიბოძა!

ძღვენი შენი კეთილ, მეუფეო! მიჩვენე პირი შენი!
ძღვენი შენი კეთილ! შუსუენა, მიჩვენე პირი შენი!
ქალაქს შენსას საპყარივით ხელი განუპყრია
შენდა მომართ, შუსუენა, ჩემო მეუფეო!
ლომის ბოკვერივით ქვე განრთხმულა,
შენს ფერხთ ქვეშე, ძეო შულგისაო!

ღვთაებაე ჩემო, ტკბილია სასმელი მეღვინე ქალისა!
ვითარცა სასმელი მისი ტკბილია უბე მისი,
ტკბილია სასმელი მისი!
ვითარცა ბაგე მისი ტკბილია უბე მისი,
ტკბილია სასმელი მისი!
ვითარცა ზედაშე ტკბილია უბე მისი,
ტკბილია სასმელი მისი!

ჩემო შუსუენა, რომელმა შემიტკბე,
რომელმა შემიტკბე, რომელმა შემივრდომე,
ჩემო შუსუენა, რომელმა შემიტკბე,
ენლილის რჩეულო, ჩემო შუსუენა,
მეუფეე ჩემო, ღმერთო შუმერისაჲ!”

გოდება მეფე იბისუნაზე

ქამთა ცვალებად, სჯულდებათა დამხობად,
ავმა დროებამ წარღვნასავით წალეკა ყოველი.
შუმერის რჯული რომ შეეცვალა,
კეთილი დროება რომ წაეშალა,
ქალაქები დაემხო, სახლები დაექცია,
ბოსლები დაეშალა, ფარეხები წარეხოცა,
ძროხა ბოსელში აღარ მდგარიყო,
ცხვარს ფარეხში აღარ ემრავლა,
არხებში მწარე წყალს ედინა,
ყანებში ბალახი ამოსულიყო,
მდელოებს ღვარძლი აღმოეცენა,
დედას შვილი აღარ მოეძებნა,
მამას ცოლისთვის აღარ მოეხმო,
თანამწოლს მის გვერდით აღარ გაეხარა,
ჩვილნი კალთებში აღარ დაზრდილიყვნენ,
ძიძას იავნანა აღარ ემღერა,
სამეფო საყდარი ალაგშეცვლილიყო,
ბრძნული განაჩენი დაბრკოლებულიყო,
მეფობა შუმერიდან წაღებულიყო,

და უცხო ქვეყნად გამოჩენილიყო,
ანის და ენლილის ბრძანებით რჯული მოშლილიყო.
ოდეს ანმა სამყაროს გადახელა,
ოდეს ენლილმა თვალი უცხო ქვეყანას მიაპყრო,
ენქიმ გიგროსს და ეეფრაგს ღინება შეუცვალა,
მაშინ ანმა და ენლილმა ასე გადაწყვიტეს:
ხალხს ძველ ადგილას აღარ ეცხოვრა,
უცხო მხარეში გადახვეწილიყო,
სუთელ-ელამელთ დაეპყრათ ქვეყანა,
მეფეს სასახლე და ქვეყანა დაეგლო,
მეფე იბიშუნა ელამში წარტყვენილიყო,
გაბუს მთაში, მთათა მკერდისკენ,
ანშანის კიდემდე წაეყვანათ,
მსგავსად ბუდემოშლილი ფრინველისა,
მსგავსად მწირისა თავის ქალაქად ვერ მოქცეულიყო.
მდინარის პირებზე ავი ბალახი ამოსულიყო,
გზებზე ფეხი აღარავის დაედგა,
მგზავრობას აღარავინ შედგომოდა,
ქალაქი ერმრაგალი ნანგრევებად ქცეულიყო,
შავთავიანები თავიანთ ბინებში ამომწყდარიყვნენ,
კეთილი ყანები არ გათოხნილიყო,
მწყემსს საძოვარზე ფარისთვის აღარ მოეხმო,
ბოსელში ფურებს რძე და ერბო აღარ მიეცათ,
ველზე საქონელი შემცირებულიყო,
ყოველი სულდგმული მომსპარიყო,
მაქანის პირუტყვეს სიმშვიდე ვერ ეპოვა,

ლელიანს ბოროტი ლერწამი აღმოეცენა,
ჭებში წყალი დაშრეგილიყო,
ხილნარი, სადაც ახალნერგები არ ხარობენ,
თავისთავად გამხმარიყო.

უკეთუ ანი და ენლილი, სამყაროს მეუფენი,
ქვეყანას ბელს გადაუწყვეგენ,
ანის სიგყვას ვინ გადავა,
ენლილის სიგყვას წინ ვინ აღუდგება?
ეშინია შუმერის ქვეყანას, ძრწის ერი,
მეფე აღარ არის, გოდებს ხალხი მისი.

გოდება ურის დაქცევის გამო

I

მან დაუტევა სადგომი თვისი, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ხარმა დაუტევა სადგომი თვისი, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
სამყაროს მეუფემ დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ენლილმა ნიპურის გაძარი დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ცალმა მისმა, ნინლილმა, დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ნინლილმა სახლი მათი ქიური დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ქიშის ქალბატონმა დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ნინმასხმა სახლი მათი ქეში დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ისინის ქალბატონმა დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ისინის ქალბატონმა ეგალმასის გაძარი დაუტევა,
ფარეხი მისი ქარს მიეცა,
უნუგის ქალბატონმა დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ინანამ სახლი მათი უნუგი დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ნანნარმა ური დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
მუენამ ექიმნუგალი დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ცალმა მისმა, ნინგალმა, დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ნინგალმა თავისი ენუნქუგი დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,

ერიდუს ხარმა დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ენქიმ სახლი მათი ურიდუ დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ნინაშთემ სახლი მათი ლარაქი დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
შარამ ემახი დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
უსახარამ სახლი მათი უმა დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
შარამ ემახი დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ბაბამ უნუგუგი დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
წმიდა ბაგარა, სამყოფელი თვისი, დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
წულმა მისმა აბაბამ დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
აბაბამ მაგუენა დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ლამარმა წმიდა საყდარი დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ლამარმა ესილსირა დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ლაგაშის დედამ დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
გათუმდუგმა სახლი მათი ლაგაში დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ნანშეს ქალბატონმა სადგომი თვისი დაუტევა,
ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ნინგულამ სახლი მათი სირარა დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ქინირშაგის უფალმა დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ლემუზი-აბბუმ სახლი მათი ქინირშაგი დაუტევა,
ფარეხი მისი ქარს მიეცა,
გუაბას დედოფალმა დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ნინმარმა გუაბას გაძარი დაუტევა, ფარეხი მისი ქარს მიეცა,
მოდახილი: “ფარეხი მისი ქარს მიეცა,
ძროხა ბოსელში აღარა დგას”.

II

“ჰოი, ქალაქო, გოდებითა მწართა გოდებდე!
მწარეა გლოვა შენი, ჰოი, ქალაქო, გოდებდე!”
მტკიცე ქალაქი მისი დაქცეულ, მწარეა გლოვა!
ური მისი დაქცეულ, მწარეა გლოვა!
“მწარეა გლოვა შენი, ჰოი, ქალაქო, გოდებდე!”
ური მისი დაქცეულ, მწარეა გლოვა!
“მწარეა გლოვა შენი, – ვიდრემდე წუხდეს მოგირალი უფალი შენი?
მწარეა გლოვა შენი, – ვიდრემდე წუხდეს მოგირალი ნანნარ?
ჰოი, აგურნო ურისანო, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, ექიმნუგალ, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, გაძარო ენუნქუგ, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, ქიურ, დიალო აღგილო, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, გაძარო ნიპურისავ, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, აგურნო ექურისანო, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, მაგიშუა, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, აგურნო უნუგუგისანო, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, ესილსირა, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, მაგუენა, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, აგურნო ისინისანო, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, გაძარო ეგალმახისავ, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, აგურნო უნუგისანო, გოდებითა მწართა გოდებდე!
ჰოი, აგურნო ერიდუსანო, გოდებითა მწართა გოდებდე!
მწარეა გლოვა შენი, – ვიდრემდე წუხდეს მოგირალი უფალი შენი?
მწარეა გლოვა შენი, – ვიდრემდე წუხდეს მოგირალი ნანნარ?”

ჰოი, ქალაქო, ჰგიეს სახელი შენი, ხოლო შენ დაიქეც!
ჰოი, ქალაქო, მალლობს ბლუდე შენი, ხოლო ქვეყანა შენი შეიმუსრა!
ჰოი, ქალაქო, ვითარცა უცოდველ ცხოვარს წარგეგაცა კრავი შენი!
ჰოი, ურ, ვითარცა უცოდველ თხას, წარგიწყმდა თიკანი შენი!
ჰოი, ქალაქო, სჯულდებანნი შენნი, შიში და ძრწოლა უცხო მხარეთა,
წესნი შენნი უცხოთად შეიცვალნენ!
მწარეა გლოვა შენი, – ვიდრემდე წუხდეს მოგირალი უფალი შენი?
მწარეა გლოვა შენი, – ვიდრემდე წუხდეს მოგირალი ნანნარ?
ური მისი დაქცეულ – მწარეა გლოვა!”
მოდახილი: “მგკიცე ქალაქი მისი დაქცეულ – მწარეა გლოვა!”

III

სახლშებილწული უფლისა გამო ქალაქი მისი გირილს მიეცა,
ქვეყანადადუჰულ ნანნარის გამო ურმა გაამრავლა მოთქმა თვისი.
წრფელი ქალბატონი თვისი ქალაქისა გამო უფლის მეწუხებად,
ნინგალი თვისი ქვეყნისა გამო უფლის არმოსვენებად, –
მას მიეახლა თვისი ქალაქისა გამო საწყალობლად მგირალი,
უფალს მიეახლა თვისი შებილწული სახლისა გამო,
საწყალობლად მგირალი,
თვისი შებილწული სახლისა გამო მიეახლა, გამომდები მწარე გლოვისა,
გლოვის გალობას მის წინაშე ზარით აღმოიგყვის:
“ამგყდარმა ქარიშხალმა გლოვა დამაგება,
ქარიშხლისგან ვიქცეოდი მიდამოთ კერძო.
მე, დედოფალს, ამგყდარმა ქარიშხალმა გლოვა დამაგება.

ამცყდარმა ქარიშხალმა გლოვა დამატება.
დღისით ქარიშხალი თავს დამატყდა, –
თუმცა შევეძრწუნდი მას დღესა შინა,
იმ დღისა გამო არ წავსულვარ.
სალმობათა გამო ჩემს დიოფლობაში დღე კეთილი,
ჩემს დიოფლობაში დღე კეთილი არ მიხილავს.
ლამით მწარე გლოვა თავს დამატყდა, –
თუმცა შევეძრწუნდი მას ღამეს შინა,
იმ ღამისა გამო არ წავსულვარ.
სალმობათა გამო ჩემს ღამის საწოლში განცხრომა,
ჩემს ღამის საწოლში განცხრომა არ დავანებულა.
სალმობათა გამო ჩემს საწოლში განსვენება,
ჩემს საწოლში განსვენება არ შესულა,
რამეთუ ჩემს ქალაქში მწარე გლოვა დამკვიდრდა.
დღემ, ქალაქივით დაქცეულმა, გლოვა დამატება,
ჩემი ქვეყანა შიშისაგან ველარ მობრუნდა,
რამეთუ ჩემს ქალაქში მწარე მოთქმა დამკვიდრდა.
მაშინ ფრინველივით ფრთენი გავშალე
და ჩემი ქალაქისკენ გაფრინდი:
ქალაქი ჩემი მისაფუძვლამდე დაქცეულიყო,
ჩემი ური საძირკველითურთ აღმოფხვრილიყო.
რამეთუ ძალი ქარიშხლისა ცით აღმოცყდა,
ვიკივლე: “ქარიშხალო, ველად მიიქეც!” – შევძახოდი.
გარნა მკერდი ქარიშხლისა არ აღდგა მიქცევად.

მე, ქალბატონს, ენუნქუგში, სახლში ჩემი დიოფლობისა,
სად უფლობა მომავალ დღეთა მიმართ არ მომეცა,
მთქმანი და გოდებანი მეწიენ მე.
რამეთუ სახლმა, სად სული შავთავიანთა განცხრებოდა,
დღესასწაულთა წილ ჭმუნვა და წუხილი განიმრავლა.
რამეთუ ჩემს სახლში, კეთილ სამყოფელში,
ჩემს მარჯულ სახლში, რომელს ველარასოდეს მივხედავ,
მწარე გლოვა დაასადგურეს.
სახლს ჩემსას, მარჯული კაცის მიერ ანაშენს,
ვითარცა ხულას, გვერდი მოერღვა.
ექიშმირგალი, სახლი ჩემი დიოფლობისა,
მარჯული სახლი, სახლად საგოდებლად ქცეული ჩემი,
მარცხად ანაშენი იგი, მარჯვედ ნაშალი,
ჩემდა ბედისწერად რომ გადაწყვეტილა, –
მსგავსად კალოსი, საიდანაც მოსავალი გახვეტეს,
მსგავსად ბელლისა, საიდანაც მოსავალი გამოხვეტეს, –
ქარსა და წვიმას მიეცა.
ური, ვრცელი სამყოფელი ჩემი,
სახლი, ქალაქი ჩემი, ნაგვემი და აღმოფხვრილი,
მსგავსად მწყემსთა ფარებისა, აღმოფხვრა.
ხვათი ჩემი ქალაქისა მიდამოიფანტა”.
მოდახილი: “ური-ქალაქი ტირილს მიეცა”.

მას ჟამს, რა გრიგალი უფალს დაატყდა,
დედოფლითურთ ქალაქი მისი დაატყდა,
მას ჟამს, რა გრიგალმა უფალი დაძლია,
რა ქალაქი ჩემი დასატყვევად გაწირეს,
რა ური ჩემი დასატყვევად გაწირეს,
რა მისი ერის წარწყმელა ბრძანეს, –
მას ჟამს ქალაქი ჩემი არ დამიგდია,
ქვეყანა ჩემი არ დამეწყინია...
ანის წინაშე წყალი თვალთა ჩემთა დავღვარე.
ენლილის მიმართ ვედრება აღვაველინე.
“ნუ დაიტყვევ ქალაქი ჩემი!” – შევლაღადე.
“ნუ დაიტყვევ ური ჩემი!” – შევლაღადე.
“ნუ დაიტყვევ ერი მისი!” – შევლაღადე.
არ შეიწყნარა ანმა ესე ღალადისი,
ენლილმა “კეთილი, – ხეამ!”¹ არ წარმოთქვა,
გული ჩემი არ დამიწყნარა.
კვლავ დავიჩოქე, ხელი აღვაპყრე,
ანის წინაშე წყალი თვალთა ჩემთა დავღვარე,
ენლილის მიმართ ვედრება აღვაველინე.
“ნუ დაიტყვევ ქალაქი ჩემი!” – შევლაღადე.
“ნუ დაიტყვევ ური ჩემი!” – შევლაღადე.
“ნუ დაიტყვევ ერი მისი!” – შევლაღადე.
არ შეიწყნარა ანმა ესე ღალადისი,
ენლილმა “კეთილი, – ხეამ!” არ წარმოთქვა,

¹ შუმ. შეძახილი: “იყავნ”!

გული ჩემი არ დამიწყნარა.
ქალაქი ჩემი დასაქცევად გაწირეს,
ური ჩემი დასაქცევად გაწირეს,
ური მისი წარწყმელად გაწირეს.
წუხილით ამავეს ჩემი ქალაქისა გამო,
წუხილით აავსეს ური ჩემი ჩემ გამო.
ანი არ შეცვლის თავის ნათქვამს,
ენლილი არ გადათქვამს აღმოთქმულ სიტყვას.
მოდახილი: “დაიქცა ქალაქი მისი,
სჯული მისი უცხოდ შეიცვალა”.

V

ენლილმა ქარიშხალს მოუხმო, მოთქვამს ერი.
სიუხვის ქარი მხარეს მოაშორა, მოთქვამს ერი.
ქარი კეთილი შუმერს მოაშორა, მოთქვამს ერი.
ქარი უკეთური ქვეყანას ეკვეთა, მოთქვამს ერი.
ქვეყნის დამაქცევარ ქარს მოუხმო, მოთქვამს ერი.
ყოველთა ქართა უკეთურთა მოუხმო, მოთქვამს ერი.
ცეცხლის ღმერთი მწელ შემოიყვანა, მოთქვამს ერი.
დიდი ქარიშხალი ციდან ღრიალებს, მოთქვამს ერი.
ქარი, ქვეყნის დამაქცევარი, ხმელეთით ბანს აძლევს, მოთქვამს ერი.
ცის წიაღი მიდამოიქცევა, მოთქვამს ერი.
დიდი ქარიშხალი ციდან აღრიალდა, მოთქვამს ერი.
ბრწყინვალე სხივი – ღლის ნაყოფი – ქვე დაემხო,

ქვეყნად ბრწყინვალე ათინათი აღარ აღმოცისკრდა,
დღის მნათობი ღამის ვარსკვლავით ბჟუგავს, მოთქვამს ერი.
სასწაულთა ღამე გრიგალმა დაამხო, მოთქვამს ერი.
მათი ვაშრაპები მგვერით ამოივსო, მოთქვამს ერი.
შაფთავიანებს ქარნი უბერავენ, მოთქვამს ერი.
ავი ქარიშხალი ცრემლმა ვერ მოაღბო, მოთქვამს ერი.
წარღვნასავით ქალაქებს წარხოცავს, მოთქვამს ერი.
ავი ქარიშხალი – ენლილის სიგყვა –
ურს სამოსელივით ემოსება, მოთქვამს ერი.
გრიგალი მოვალს ქმნად ბოროტისა.
მოდახილა: “მძვინვარე ქარიშხალი უტევს, მოთქვამს ერი”.

VI

ოდეს ავი ქარი ქალაქად დამკვიდრდა,
ქალაქი იგი ნანგრევებად იქცა.
მამფალო ნანარ, ქალაქი იგი ნანგრევებად იქცა, მოთქვამს ერი.
ოდეს ავი ქარი ქვეყნად დამკვიდრდა, მოთქვამს ერი,
ერი მისი ქალაქის ზღუდესთან განერთხა, მოთქვამს ერი.
მაღალ ბჭეებთან, სად აღრე ვილოდნენ, გვაშები ყრია.
მის ვრცელ უბნებში, სად აღრე ზეიმობდნენ, დაცემულან,
ყველა ფოლორცმე, სად აღრე ვილოდნენ, გვაშები ყრია.
ადგილას ქვეყნის დღესასწაულთა ხალხი იგი უწყალოდ მოისრა.
სისხლი ქვეყნისა ტყვიასებრ შედედდა.
მათი ცხელრები ცეცხლის ღმერთმა ცვილივით დააღწო.

ერმა მისმა, ცულებით მომწყდარმა, ფარი ვერ იფარა.
მახეში გაბმულ ქურციკებივით ქვე დაემხნენ.
ხალხმა, ბოძალით განგმირულმა, სამოსელი ველარ შეიმოსა.
აჰა, სისხლში წვანან, საღ დედა მათი მშობიარობდა!
ვითარცა ღვინომოძალებულთ, თავები ჩაუქინდრავთ.
მახვილთან მღგარი მახვილით მოიწყლა, მოთქვამს ერი.
ვინც მას განერა, ქარიშხალმა დაამხო, მოთქვამს ერი.
ურის სუსტი და ძალმოსილი სიყმილმა მოწყვიდა.
ქალნი და მოხუცნი, სახლით ვერგასულნი, ცეცხლმა შეჭამა.
ჩვილნი, დედის კალთაში მწოლარენი, წყალმა თევზებივით წაიღო.
სამართალი ქვეყნისა წარწყმდა, მოთქვამს ერი.
სიბრძნე ქვეყნისა წარხდა, მოთქვამს ერი.
დედამ ასული თვისი დაუგევა, მოთქვამს ერი.
მამამ ძეს თვისას პირი შეაქცია, მოთქვამს ერი.
ქალაქში ცოლი დაუგევეს, შვილი დაუგევეს, ქონება მიდამოიფანტა.
შავთავიანნი, სადაც კი თავი მიაყუნეს, წარტყვენილ იქნენ.
მისმა ქალბატონმა, ვითარცა გაფრენილმა ჩიგმა, დააგლო ქალაქი თვისი.
ნინგალმა, ვითარცა გაფრენილმა ჩიგმა, დააგლო ქალაქი თვისი.
დახვავებული ქონება მისი წარყვნილმა ხელმა წარიგაცა,
მის ურიცხვ ბელლებში ცეცხლი აგიბგიბდა,
წყლები მისი ცეცხლის ღმერთმა ერთიანად დაშრიგა.
მაღალი მთა, მიუწვდომელი ექიშირგალი, –
მტკიცე საყდარი მისი დიდი წერაქვებით დაინგრა,
სუთელ-ელამელთა, უცხოთესლთა, ჩალის ფასად აქციეს.
წმიდა ქალაქი წერაქვებით დაანგრიეს, მოთქვამს ერი.
ქალაქი ნანგრევებად აქციეს, მოთქვამს ერი.

მოთქვამს ქალბაგონი მისი: “ვაი შენდა, ქალაქო ჩემო!”

მოთქვამს: “ვაი შენდა, სახლო ჩემო!”

მოთქვამს ნინგალი: “ვაი შენდა, ქალაქო ჩემო!”

მოთქვამს: “ვაი შენდა, სახლო ჩემო!”

მე, დედას, დამექცა ქალაქი ჩემი, დამექცა სახლი ჩემი!

ჰოი, ნანნარ, ური დაიქცა, ერი მისი გაიფანტა!

მოდახილა: “თავის სადგომში, თავის ფარეხში დედა მწარედ აღმოიგყვის:
“ქალაქი ქარიშხალმა დააქცია!”

VII

დედა ნინგალი თავის ქალაქიდან მსხემივით განდევნილა.

ქალბაგონი ხმამაღლა გირის თავის შეგინებულ სახლს,
უფლისწული მწარედ მოთქვამს ურის შეგინებულ ტაძარზე:

“ანმა დაწყევლა ქალაქი ჩემი, დააქცია ქალაქი ჩემი,

ენლილი მგრად ექცა ჩემს სახლს, წერაქვით ამოძირკვა.

დაბლიდან ამოსულს ცეცხლი წაუკიდა, ვაგლახ, დაინგრა ქალაქი ჩემი!

ენლილმა მაღლიდან ჩამოსულს ცეცხლი წაუკიდა.

ქალაქის კიდევან შემოგარენი ქალაქისა დაიქცნენ,

“ვაი შენდა, ქალაქო ჩემო!” – აღმომხდების.

ქალაქის გულში შუაქალაქი დაიქცა,

“ვაი შენდა, ქალაქო ჩემო!” – აღმომხდების.

სახლნი ჩემნი შუაქალაქში დაიქცნენ,

“ვაი შენდა, ქალაქო ჩემო!” – აღმომხდების.

ქალაქი ჩემი – უბიწო ცხოვარი არ იმწყესება,

წასულა მწყემსი მისი.
ხარს ჩემსას სადგომიდან აღარ დენიან,
წასულა მეხრე მისი.
ცხვარს ჩემსას ფარეხიდან აღარ დენიან,
წასულა მადოვარი მისი.
არხები ჩემი ქალაქისა ქვიშით ამოივსო,
მათ კალაპოგში წყალი აღარ ჩქეფს,
წასულა მეურნე მისი.
ყანებში ჩემი ქალაქისა ხორბალი განქარდა,
წასულა მუშაკი მათი.
ყანები ჩემი, ვითარცა ყანა გაუთოხნელი, ძეძვს აღმოაცენებს.
ფინიკის ჭალები, თაფლითა და ბადაგით უხვნი, ნარ-ეკალს მრდიან.
მინდორი ჩემი, სად კაზალი და სიკერა იხდებოდა,
გამოშრა, ვითარცა ღუმელი.
მონაგები ჩემი, ვითარცა შემოსეულ კალიისგან წარტაცებული, –
“ვაი, მონაგებო ჩემო!” – აღმომხდების,
მონაგები ჩემი მაღლიდან ჩამოსულმა მაღლა წაიღო.
“ვაი, მონაგებო ჩემო!” – აღმომხდების.
მონაგები ჩემი დაბლიდან ამოსულმა დაბლა წაიღო,
“ვაი, მონაგებო ჩემო!” – აღმომხდების.
განძი ჩემი მიდამოიბნია,
“ვაი, მონაგებო ჩემო!” – აღმომხდების.
ვერცხლის უმეცარმა ჩემი ვერცხლით ხელი აივსო,
ვერცხლი ჩემი და სპეკალი ჩემი გაიფანტა,
“ვაი, მონაგებო ჩემო!” – აღმომხდების.
განძი ჩემი მიმოიფანტა,

ქალაქს ჩემსას, ურს, მოშორებული. “ვაი შენდა, სახლო ჩემო!” –
აღმოვიცყვი.

წმინდა მკერდი მისი შელეწილ, – “ვაი შენდა, ქალაქო ჩემო!” –
აღმოვიცყვი.

თვალნი მისნი ცრემლთაგან წალეკილ, – მწარეა მოთქმა მისი,
“ვაი ჩემდა! ჩემი ქალაქის წილ უცხო ქალაქი აშენდება.

მე, ნინგალი, – ჩემი სახლის წილ უცხო სახლი აღიმართება.

ვაი ჩემდა! სახლი და ბოსელი ვისი მოირღვა, მროხა ვისი განიბნია!

მე, ნინგალი, ვითარცა უღები მწყემსი, – მახვილმა მოსრა ცხოვარი ჩემი!

ვაი ჩემდა, ქალაქიდან განდევნილს, საყუდელის ვერმპოვნელს!

ვაი, მე, ნინგალს, სახლიდან განდევნილს, თავანის ვერმპოვნელს!

მიხილეთ მწირი ხელგანპყრობით მჯდომარე უცხო ქალაქად!

წყევლა და გინება ეწივნენ ასოთ ჩემთა.

იქ მივეახლე მისი ქალაქისა გამო მწარედ მოგირალი,

უფალს მივეახლე მისი დაქცეული სახლისა გამო მწარედ მოგირალი,

მისი დაქცეული ქალაქისა გამო მივეახლე მწარედ მოგირალი.

“ვაი ჩემდა! აჰა, ხვედრი ჩემი ქალაქისა!

მწარეა ხვედრი ჩემი ქალაქისა!” – ვხადოდი.

“მე, დედოფალი, – აჰა, დაქცეული სახლი ჩემი!

მწარეა ხვედრი ჩემი სახლისა!” – ვხადოდი.

ჰოი, აგურნი ჩემი ურისანი, ჩამოქცეულნი და დანგრეულნი!

ჰოი, მარჯული სახლი ჩემი, ქალაქი ნანგრევებად ქცეული ჩემი!

ნანგრევთა შორის მარჯული სახლისა ჩემის დაქცეულის,

განრთხმულვარ წინაშე შენსა,

ვითარცა დაცემული ხარი, ველარ წამოვღვე შენი გალავნიდან.

ვაი ჩემდა! აგება მისი ამაო, დაცემა სასტიკი!

ჰოი, ური ჩემი, ქალბატონისა, სად გაძარში მსხვერპლი წამერთვა!
ჰოი, ენუნქუგი, გაძარი ცეცხლისა ჩემი, სიუხვედამრეტილი!
ჰოი, ქალაქი ჩემი, აგებულად აღარჩასათვლელი, უბრალოდ დაღუპული!
დაქცეული და დაღუპული ჩემი, უბრალოდ დაღუპული!
მოძახილი: “ვაი შენდა სახლო ჩემო!
ვაი შენდა ქალაქო ჩემო!”

VIII

ჰოი, დედოფალო, დასთხიე ვითარცა წყალი, გული შენი,
აწ ვითლა ცოცხალ ხარ?
ჰოი, ნინგალ, დასთხიე ვითარცა წყალი, გული შენი!
აწ ვითლა ცოცხალ ხარ?
ჰოი, წრფელო ქალბატონო, ვის ქალაქი დაგექცა,
აწ ვითლა ეგები?
ჰოი, ნინგალ, ვის ქვეყანა დაგელუპა, დასთხიე, ვითარცა წყალი, გული შენი!
რაღაი დაიქცა ქალაქი შენი, აწ ვითლა ეგები?
რაღაი დაიქცა სახლი შენი, დასთხიე, ვითარცა წყალი, გული შენი!
ქალაქი შენი უცხო ქალაქად გარდაიქცა,
აწ ვითლა ეგები?
სახლი შენი სახლად საგოდებლად გარდაიქცა,
დასთხიე, ვითარცა წყალი, გული შენი.
ჰოი, ქალაქი შენი ნანგრევებად ქცეული, –
აღარ სუფევ მუნ მისდა დედოფლად!
ვეღარ იმკვიდრებ მუნ მისდა მკვიდრად!

ჰოი, ერი შენი მოწყვედილი, –
ველარ შეხვალ მათლა ქალბატონად!
ცრემლი შენი უცხო ცრემლად გარდაიქცევა, –
აღარ მოთქვამს ქვეყანა შენი!
ხალხი შენი უცრემლოდ უცხო მხარეს დაემკვიდრა!
ჰოი, ქალაქი შენი ნანგრევებად ქცეული, –
აწ ვითლა ეგები?
სახლი შენი საძოვრად ქცეული, –
დასთხიე, ვითარცა წყალი, გული შენი!
ური, ტაძარი, ქარს მიეცა, აქ ვითლა ეგები?
მღვლეი მისი მხიარულად აღარ ვალს, –
დასთხიე, ვითარცა წყალი, გული შენი!
ქურუმი საყდარში აღარ იყოფის, – აწ ვითლა ეგები?
ღვთისმსახური, სხურებათა მოქმედი, აღარ ასხურებს.
ჰოი, მამფალო ნანნარ, წესთა შენთა წმიდა საყდარში
აღარ გისრულებენ!
შენი მღვდელმთავარი შენს წმინდა გიგუნაში სელის სამოსელით
აღარ იმოსება!
წრფელი ქალქურუმი შენი, ექიმნუგალში ლხენით მოხმობილი,
საყდრიდან გიჰარად მხიარულად აღარ ვალს.
ახუმი, სახლში დღესასწაულთა, დღესასწაულთ აღარ მართავენ,
სანთურს და ებანს, გულის განსაცხრომელთ, აღარ გიხმიანებენ,
შავთავიანნი დღესასწაულზე წყალს აღარ გიღვრიან,
დამცხრალა ხმები დიდებულთა სახიობათა.
ფური შენი ბოსელში აღარ შედენეს, ერბო მისი აღარ მოგიმზადეს.
ცხვარი შენი ფარეხში აღარ ღვას, რძე მისი აღარ მოგიწველეს.

შენი ერბო ბოსლიდან შენთვის აღარ მოაქვთ, ვიღრემდე?
შენი რძე ფარეხიდან შენთვის აღარ მოაქვთ, ვიღრემდე?
შენს გზებზე, ეგლთა სარბიელზე, მთის ბალახი აღმოცენდა.
ჰოი, დედოფალო ჩემო, ქალაქი შენი, ვითარცა მგლოვია რე დედა,
მოსთქვამს შენს გამო!

ური, ვითარცა გზაბნეული ბავშვი, შენს წიაღს ეძიებს,
სახლი შენი, ვითარცა კაცი ყოვლის დამკარგავი, ხელებს გიწვდის,
აგურნი შენი მარჯული სახლისა, კაცებრ გხადიან: “სად ხარ?”
ჰოი, დედოფალო, სახლიდან გასულხარ, ქალაქიდან გასულხარ!
ვიღრემდის იღგები, ვითარცა უცხო, კიდეგან შენი ქალაქისა?
დედაო ნინგალ, ვიღრემდის მგერობ, ვითარცა მგერი, შენს ქალაქში?
ჰოი, სანაგრელო დედოფალო შენი ქალაქისა, ქალაქი შენი დაგიგდია,
ჰოი, დედაო ნინგალ, სანაგრელო შენი ერისა, ერი შენი დაგიგდია!
ჰოი, დედაო ნინგალ, შემოიქეც, ვითარცა ფური შენი ბოსლისაკენ,
ვითარცა ცხოვარი შენი ფარეხისაკენ!
შემოიქეც, ვითარცა ფური შენი უწინდელი ბოსლისაკენ,
ვითარცა ცხოვარი შენი ფარეხისაკენ!
ვითარცა ჩვილი ბავშვი შენი კალთისაკენ!
ჰოი, ქალწულო, შენი სახლისაკენ შემოიქეც!
დაე, ენლილმა, ღმერთების მეუფემ, გიბრძანოს: “კმა არს!”
დაე, ენლილმა, ქვეყანათა მეუფემ, კეთილი ბედი შემოგიბრუნოს!
ქალაქი შენი თავის ადგილს დაუბრუნოს,
ადასრულო დედუფლობა მისი!
ური თავის ადგილს დაუბრუნოს,
ადასრულო დედუფლობა მისი!
მოდახილი: “სჯულნი ჩემნი უცხოთად შეიცვალნენ”.

IX

ვაგლას! ქარიშხლებმა ქვეყანა წარღვნეს, –
ცის დიდმა ქარიშხალმა, მიწყივ მოღრიალე ქარიშხალმა,
ქარიშხალმა, ქალაქთა დამქცევმა, ქარიშხალმა, გაძართა დამქცევმა,
ქარიშხალმა, ბოსელთა დამქცევმა, ქარიშხალმა, ფარებთა დამქცევმა,
წმიდა სჯულდებათა ხელმყოფელთა ქვეყანა წარღვნეს,
უწმიდურ ხელთ წესების წარმყვნიელთა ქვეყანა წარღვნეს,
ქვეყნისაგან ნათლის მომწყვეტელთა ქვეყანა წარღვნეს,
შავთაჲიანთათვის ნათლის ამკრძალველთა ქვეყანა წარღვნეს.
მოდახილო: “ქარიშხლებმა ქვეყანა წარღვნეს”.

X

ქარიშხალმა, დედის უმეცარმა, ქვეყანა წაღეკა,
ქარიშხალმა, მამის უმეცარმა, ქვეყანა წაღეკა,
ქარიშხალმა, ცოლის უმეცარმა, ქვეყანა წაღეკა,
ქარიშხალმა, შვილის უმეცარმა, ქვეყანა წაღეკა,
ქარიშხალმა, ღის უმეცარმა, ქვეყანა წაღეკა,
ქარიშხალმა, ძმის უმეცარმა, ქვეყანა წაღეკა,
ქარიშხალმა, უძღურის უმეცარმა, ქვეყანა წაღეკა,
ქარიშხალმა, მძღავრის უმეცარმა, ქვეყანა წაღეკა,
ქარიშხალმა, რომლის გამო ცოლი მიატოვეს, ქვეყანა წაღეკა,

ქარიშხალმა, რომლის გამო შვილი მიაგოვეს, ქვეყანა წალეკა,
ქარიშხალმა, ქვეყნად ნათლის წარმხოცელმა, ქვეყანა წალეკა,
ყოველთა ქარიშხალთა ქვეყანა წალეკეს.
მამფალო ნანარ, ქარიშხალი შენს ქალაქში დამკვიდრდა.
შავთავიანი ხალხი შენი შენ შემოგყურებს, –
ცისა და ხმელის ყოველთა იძვრისთა, შავთავიანთა მოხარო,
დაე, დღე იგი ერთბაშად განადგურდეს!
კარი, ვითარცა ღამის კარიბჭისა, მიეხუროს!
დაე, დღე იგი რიცხვთა შორის არ შეირაცხოს!
მოდახილო: “შორეულ დღეთა მიმართ,
სხვა დღეთა მიმართ...”

XI

შორეულ დღეთაგან, ქვეყნის დასაბამით,
ნანნარ, რომელი უსვენებლივ გზას ადგახარ,
ცრემლი მათი ნაგვემი სახლისა შენდა მოვალს,
გაფანტულნი შავთავიანნი განერთხმიან შენს წინაშე!
დანგრეული ქალაქი შენი შენ შემოგგირის!
ჰოი, ნანარ, აღდგენილი ქალაქი შენი დიდებით ვილოდეს შენს წინაშე!
ვითარცა ბრწყინვალე მთიები, ჩაუმქრალად ვილოდეს შენს წინაშე!
კაცი მლოცველი ლოცვას ადგივლენდეს!
მშორველს წრფელი თვალთა გარდამოხედავდე!
ჰოი, ნანარ, ვისი გამჭოლი მზერა მიმოიხილავს ყოველთა გულთა,
გული ხალხისა, აწ შეჭირვებული, ილხენდეს შენს წინაშე!

აქადური

(აშურულ-ბაბილონური)

გული შუმერის ქვეყანად მკვიდრთა სათნო იყოს შენს წინაშე!
ჰოი, ნანარ, შენი ქალაქი, თავის ადგილისკენ მიქცეული, გადიდებდეს!

ქვეყნის შესაქმემდე

წმიდა სახლი, ღმერთების სახლი, წმიდა ალაგას შექმნილი არ იყო,
ლერწაში არ იყო აღმოცენებული, ხე არ იყო დანერგილი,
აგური არ იყო დადებული, ალიბი არ იყო მოზელილი,
სახლი არ იყო აგებული, ქალაქი არ იყო აღმოცენებული,
ქალაქი არ იყო აგებული, სულდგმული არ იყო გაჩენილი,
ნიპური არ იყო შექმნილი, ექური არ იყო აღმოცენებული,
ურუქი არ იყო შექმნილი, ეანა არ იყო აღმოცენებული,
ერიდუ არ იყო შექმნილი, აბზუ არ იყო აღმოცენებული,
წმიდა სახლი, ღმერთების სახლი, მათი სადგომი არ იყო შექმნილი.
მთელი ქვეყანა ოდენ ზღვა იყო.

სამყაროს შექმნა

(თეოგონია)

ოდეს მალლა ცა არ იყო ხმობილი,
დაბლა მიწა-მყარს სახელი არ ერქვა,
ოდეს არც ერთი ღმერთი არ ჩანდა,
სახელი არ ერქვათ, ბედი არ ეწერათ,
არ იყო საყდარი, არც საკურთხეველი,
აბზუ – პირველი მათი ჩამთესველი
და თიამათი ყოველთა მშობელი,
თავ-თავიანთ წყლებს ერთად ურევდნენ.
მერე წარმოიშვნენ ღმერთნი მათ წიაღში:
ლახმუ და ლახამუ გამოჩნდნენ, სახელი ეწოდათ.
ხოლო მრავალი ხანი რა გამოხდა,
ანშარ და ქიშარ წარმოიშვნენ, მათ აღემაგნენ.
დღეთ დღენი მიჰყვნენ, წლებს – წლები:
შეიქმნა ანუ, პირმშო მათი, მშობელთა ორანი,
რადგან ანშარმა თვის ხაგად შექმნა.
ანუმ თვის ხაგად შექმნა ნუდიმუდ,
ნუდიმუდ – ბელადი თავის წინაპართა,
ვრცელაზროვანი, ბრძენი, ძლიერი,

უმძლავრე, ვიდრე მშობელი ანშარ.
არ ჰყავდა მეგობე ღმერთთა შორის.

(შეთქმულება)

მაშინ შემოკრბენ ძმები, ღმერთები,
და ანღურუნას წიაღში სრბოლით
თიამათის შიგანი აამღვრიეს.
აბზუმ ვერ ჩაახშო მათი ხმაური,
თიამათი დაუღუძდა მათ ქცევას.
არ იყვნენ მნეკეთილ, განლალდნენ.
მაშინ აბზუ, დიდი ღმერთების შემოქმედი,
მოუხმობს მუმუს, თანამზრახველს, ეცყვის:
– მუმუ, ჩემი სულის მამებელო,
წამო, თიამათთან წავიდეთ!
წავიდნენ, თიამათს წინ დაუსხდნენ,
და პირმშო ღმერთებს ბრალი დასდეს.
აღალო აბზუმ პირი, თიამათს ხმამალა ეცყვის:
– მათი საქციელი ველარ ღავითმინე,
დღისით ვერ ვისვენებ, არ მძინავს ღამით.
ბოლოს მოვუღებ მათ საქციელს,
სიჩუმე დაღება, მაშინ ვიძინოთ!
რა ესმა თიამათს ეს სიგყვები,
განრისხდა, შეჰყვირა თავის მეუღლეს:
იყვირა მწარედ გამძვინვარებულმა,

ბრაზით აეგსო მთელი შიგანი:
– რად მოვსპოთ ჩვენი დანაბალი?
მათი ავი მნე მშვიდად დავითმინოთ!
აწ მუშუ მიუგებს აბზუს და ურჩევს:
– მამავ, აღმოფხვერ უკეთური მნე,
დღისით მოისვენებ, ღამით ღაიძინებ!
რა ესმა აბზუს, სახე გაუნათდა,
ავი რომ იზრახეს შვილების მიმართ.
და, რაც განიზრახეს თავიანთ კრებულში,
ღმერთებს, მათ პირმშოთ, ეუწყათ ყოველი.

(აბზუს ღათრგუნვა)

ისმინეს ღმერთებმა და შეშფოთღნენ,
ხმა ჩაუწყღათ, მღუმარედ დასხღნენ,
ვრცელაზროვანი და ბრძენთაბრძენი,
ეა, ყოვღისმცოღნე, მიუხვღა ბრახვებს.
ყოვღადღღიერი შეღოცვა შეთხზა,
აბზუს შეუღოცა, ძალი გაუქარწყღა,
ძიღი მიუღვარა, ღრმად ღააძინა.
რა ღააძინა აბზუ ძიღმიღვრიღი,
შეუხსნა სარგყელი, შარავანღი აჰხაღა,
ნათელი წაართვა, თავად შეიღოსა.
მერე შებორკა აბზუ და მოკღა.
აბზუბე ღადღა თავისი გახგღი.

მუშუც შეიპყრო, ლაგამი ამოსლო.
რა ეამ შებორკა, ღათრგუნა ბოროგნი,
რა გაიმარჯვა მოსისხარ მტრებზე,
თავის სამყოფელში მშვიდად მოისვენა,
“აბზუ” უწოდა, ტაძრად განაჩინა.
ღამქინასთან, თავის ცალთან, ღიდებით დავივანა.

(მარღუქის შობა)

ბედისწერის ბინაში, განგების საღგურში,
ღმერთთა უბრძენესი ღმერთი ჩაისახა,
აბზუს წიაღში მარღუქი იშვა,
წმიდა აბზუს წიაღში მარღუქი იშვა.
შექმნა ეამ, მამამ მისმა,
ღაბაღა ღამქინამ, ღეღამ მისმა,
ქაღღმერთთა ძუძუ აწოვებინა,
ძიძამ საზარელი ეღვარებით შემოსა.
საკვირველია აღნაქესი მისი,
მოკაშკაშეა თვალები მისი.
ოღეს მამა მისმა, ეამ, იხიღა,
გაბრწყინღა, გული სიხარულით ავესო,
სრულიყო, ორმაგი ღვთაებობა მიანიჭა,
რომ ყვეღა ღმერთზე აღმატებულიყო.
საოცრად განმშვენღნენ მისნი ასონი,
ვინ შეიცნობს, თვაღს ვინ შეაღგამს!

ოთხი თვალი აქვს, ოთხი ყური აქვს,
ბაგე ცეცხლისმფრქვეველი აქვს.
ოთხივე ყური გაუფართოვდა,
ასევე თვალნი ყოვლის საჭვრეტად.
ფართო ჭანით ღმერთებზე ამაღლდა.
ძე ჩემი, ძე ჩემი,
ძე მზისა, მზე ცისა!

(ურჩხულთა გაჩენა და ქინგუს აღმეგება)

ანუმ ოთხი ქარი გამოუტევა,
ტალღები ააბობოქრა, თიამათი აამღვრია.
აიმღვრა თიამათ, შფოთავს დღე და ღამ.
გამწარდნენ ღმერთები, ქარივით დაქროდნენ.
შიგანში ბოროტი ამრი ჩაუვარდათ,
მშობელ თიამათს სიკცვა უთხრეს:
– ოდეს გიკლავდნენ აბზუს, შენს მეუღლეს,
თან არ ხლებიხარ, მდუმარედ იჯექ.
აწ შფოთავს შიგანი შენი, ვერ მოგისვენია.
გახსოვდეს აბზუ, მეუღლე შენი,
და მუმუ, შებორკილი რომ მის!
შემოკრბენ, თიამათს მხარში ამოუდგნენ,
მრისხანე შეთქმულნი, მოუსვენარნი დღითა და ღამით.
დედა-ხუბურმა, ყოვლის გამჩენმა,
შექმნა იარაღი სწორუპოვარი,

ნაირნაირი ურჩხულები წარმოშვა:
მახვილი კბილები, უწყალო ეშვები,
შხამით აღავსო, ვითარცა სისხლით,
მძვინვარე უშუმგალნი შიშით დაგენა,
ელვით შეჭურვა, ღმერთებს დაამსგავსა,
მათ მჭვრეგელთა შესაძრწუნებლად.
დასხა გველეშაპი, ლახამუ ურჩხული,
მყეფარე ძაღლი, ლომი, მორიელ-კაცი,
ქარაშოტები, თევზ-კაცა, ქუსარიკუ,
შეუბრალებელნი, ბრძოლის უშიშნი.
ღმერთთა შორის, საკრებულოში,
ქინგუ აღაბევა, მთაბე აამაღლა,
ძლოლა ლაშქრისა, კრებულის წარმართვა,
მის ხელთ მიანდო, საკრებულოს დასვა.
– დაგლოცე, აღგაბევე ღმერთების კრებულში,
ღმერთთა საბატონოდ ხელი აგვისე.
ილიდე, მეუღლევ ჩემო, ერთადერთო!
ილიდოს სახელი შენი ანანუქთა შორის!
ბედისწერის დაფები ჩააბარა, მკერდზე მიუმაგრა.
– არ შეიცვალოს შენი ნაბრძანები,
მტკიცე იყოს შენი ნათქვამი!
სრულქმნა თიამათმა თავის დანასახი,
საკუთარ ნაშიერთან ბრძოლად შეემზადა,
აბზუს შურისგებად გაბოროტდა.

(ეას ცდა)

ეუწყა ეას ბრძოლის სამზადისი.
რა ესმა ეას ეს ამბავი,
შიშმა მონუსხა, მღუმარედ დაჯდა.
გონს რა მოვიდა, ანშარისკენ გაემართა,
ანშართან, მშობელ მამასთან, მი-რა-ვიდა,
თიამათის ყოველი განზრახვა აუწყა:
მამავ, მშობელმა ჩვენმა შეგვიძულა,
კრებული შეჰყარა, ბოროტად მძვინვარებს.
ყველა ღმერთი გარსშემოკრებია,
თვით შენი შექმნილნი მის მხარეს არიან,
შეიყარნენ და თიამათს შეუდგნენ.
რა ესმა ანშარს თიამათის ამღვრევა,
თეძომე ხელი დაიკრა, გუჩზე იკბინა.
გული გაუავდა, შიგანი აემღვრა.
აღაღო პირი, ეას ეუბნება:
– წადი, სასტიკებად შეემზადე,
შენი შექმნილია იარაღი, წაიგანე!
აბზე მოგიკლავს, მუმუ შეგიბორკავს,
აწ ქინგუ მოჰკალ, სპათა წინამძღოლი!
ასე მიუგებს ნუღიმუდი ანშარს:
– არ ძალმიცს ქინგუს წინაღგომა!

(ანუს ცდა)

მაშინ ანშარი რისხვით იყვირებს,
მოუხმობს ანუს, ძეს თვისას:
– მოვედ, მძლეთამძლეო გმირო!
ძლიერებით აღმევებულო, უბადლო შემტევო!
წადი, თიამათის წინაშე წარდექ!
ღვიძლი დაუმშვიდდეს, გული გაუნელდეს.
უკეთუ არ ისმინა სიგყვა შენი,
ჩვენი სიგყვა მოახსენე, ვინძლო დამშვიდდეს.
რა ისმინა ანშარის, მამამისის, ნათქვამი,
გაემართა, სავალ გზას დაადგა.
მიუახლოვდა, მიხვდა თიამათის ზრახვას,
ვერ შეძლო წინ აღდგომა,
უკან დაბრუნდა.
წარუდგა შემკრთალი თვის მშობელს, ანშარს,
ასე მოახსენა თიამათზე:
– მკლავი მომერღვა თიამათის მჭვრეგელს.
გაშეშდა ანშარი, მიწას დაამტერდა,
შეკრებილიყო ყველა ანუნაქი,
ბაგენი მოეკუმათ, მღუმარედ ისხდნენ.
– ვერა ღმერთი ვერ წავა საბრძოლველად,
თიამათის წინაშე ვერავინ გადარჩება.

(მარღუქი)

მაშინ ანშარი, ღმერთთა მამა, დიდებულად წამოიძარტა,
გულს ეღვა თხრობად ანუნაქთა მიმართ:

– მძლეთამძლე, მამის შურისმგებელი,
გმირი მარღუქია, მცოდნე ბრძოლისა!

ეამ მარღუქს იღუმალ მოუხმო,

აუწყა ბრახვა, გულში ნადები:

– მარღუქ, გულისხმაჰყავ მამაშენის რჩევა,

მის გულს შენ დააცხრობ, ძეო ჩემო!

ბრძოლად გამზადილი წარუდექ ანშარს,

სიგყვას ეტყვი, ვინძლო დამშვიდელს.

მამის ნათქვამმა გაახარა უფალი,

მიეახლა, წარდგა ანშარის წინაშე.

შეხედა ანშარმა, სიამით ავესო გული,

პირზე აკოცა, შიში განეშორა.

– ანშარ, ნუ ღუმხარ, გახსენი ბაგე!

წავალ, აგისრულებ გულის საწადელს.

რომელი მამრი გაგიბედავს ბრძოლას?

თიამათი – დიაცი – გიმხედრდება.

მამავ შემოქმედო, იხარებდე და იშვებდე!

თიამათის ქედს მალე დათრგუნავ!

მამავ შემოქმედო, იხარებდე და იშვებდე!

თიამათის მკერდს მალე დათრგუნავ!

– ძეო, რომელმა ყოველი სიბრძნე უწყი,

წმიდა შელოცვით დააცხრე თიამათი.

გაახარა უფალი წინაპრის ნათქვამმა,
გახალისდა, მამამისს ეტყვის:
– ღმერთთა უფალო, ღიღი ღმერთების ბედისწერავ!
უკეთუ თქვენი შურისმგებელი ვარ,
შევბორკავ თიამათს და აგისხნით.
შეჰყარე კრებული, წილი მომიმაგე.
უფშუქინაში მხიარულად სხედხართ, –
ჩემი სიტყვა თქვენს ნაცვლად ბელს წყვეტდეს!
არ შეიცვალოს, რასაც კი შევექმნი,
არ უკუმექცეს ბაგეთა სიტყვა!
აღალო ანშარმა პირი თვისი,
გაგას, თანამზრახველს, ეტყვის:
– გაგა, მამებელო ჩემი ღვიძლისა!
ლახმუ-ლახამუსკენ წარგავლენ,
გონიერი ხარ, წაიღებ სიტყვას.
ღმერთები, ჩემი წინაპრები, მომიყვანე.
ყველა ღმერთი ჩემთან მოვიდეს,
შეიკრიბონ, ნადიმად დასხდნენ,
პური ჭამონ, სასმელი შესვან,
მარღუქს, შურისმგებელს, ბედი დაუსაზღვრონ.
დაიძარ, გაგა, მათ წინაშე წარდექ!
რაც ვითხარ, ყოველივე გაუმეორე:
ანშარმა, თქვენმა ძემ, მომავლინა,
თავის განზრახვის თხრობა დამავალა:
თიამათმა, მშობელმა, შეგვიძულა,
კრებული შეჰყარა, ავად მძვინვარებს,

ყველა ღმერთი გარსშემოუკრიბავს,
მისგან შექმნილნიც მის მხარეს ვლენან,
შეიკრიბნენ და თიამათს შეუღგნენ.
გავგზავნე ანუ, ვერ შეძლო წინადგომა,
ნუღიმუდიც შეშინდა, უკუიქცა,
შემდგომ მარდუქი აღიძრა, ბრძენი ძე თქვენი,
მისმა გულმა თიამათთან წასვლა განიმრახა.
აღალო პირი, ასე მეცყვის:
უკეთუ თქვენი შურისმგებელი ვარ,
რომ შევბორკო თიამათი, რომ გისხნათ,
შეჰყარე კრებული, წილი მომიმაგე!
უფშუქინაში, საღ შვებით სხელხართ,
ჩემი სიგყვა თქვენს ნაცვლად ბელს წყვეტდეს!
არ შეიცვალოს, რასაც კი შევქმნი,
არ უკუმექცეს ბაგეთა სიგყვა!
სწრაფლ შემოიქეც, ბედი დავუსამღვროთ,
თქვენი მგრის წინადგომად წავიდეს!
წავიდა გაგა, გზას გაუდგა,
ლახმუ-ლახამუსკენ, წინაპართაკენ.
მიეახლა, მიწას ემთხვია მათ ფეხქვეშ,
კვლავ მოიხარა, წამოდგა, ეცყვის:
– ანშარმა, თქვენმა ძემ, მომავლინა,
თავის განზრახვის თხრობა დამავალა:
თიამათმა, მშობელმა, შეგვიძულა,
კრებული შეჰყარა, ავად მძვინვარებს,
ყველა ღმერთი გარსშემოუკრიბავს,

მისი შექმნილნიც მის მხარეს ვლენან,
შეიკრიბნენ, თიამათს შეუღვნენ.
გავგზავნე ანუ, ვერ შეძლო წინაღობა,
ნადიმუდიც შეშინდა, უკუიქცა;
შემდგომ მარდუქი აღიძრა, ბრძენი ძე თქვენი,
მისმა გულმა თიამათთან წასვლა განიმრახა,
აღალო პირი, ასე მეტყვის:
უკეთუ თქვენი შურისმგებელი ვარ,
რომ შევბორკო თიამათი, რომ გიხსნათ,
შეჰყარე კრებული, წილი მომიმაგე!
უფშუქინაში, სად შვებით სხელხართ,
ჩემი სიგყვა თქვენს ნაცვლად ბელს წყვეტდეს!
არ შეიცვალოს რასაც კი შევქმნი,
არ უკუმექცეს ბაგეთა სიგყვა!
სწრაფლ შემოიქეც, დაუსაზღვრეთ,
რათა თქვენი მგრის წინაღობად წავიდეს!

(მარდუქის აღზევება)

რა ესმათ ლახმუს და ლახამუს, ხმას აუწიეს,
მწარედ მოთქვამდნენ იგიგები:
– უცხო რამ მრახვა განუმრახავს,
ვერ მივხვდით თიამათის საქმეს.
თავი მოიყარეს, წავიდნენ
დიდ-დიდი ღმერთები, ბელის დამსაზღვრელნი.

ეახლნენ ანშარს, უფშუქინა აავსეს.
რა შეხვდნენ ერთურთს, გადაკონცნეს,
შეიკრიბნენ, ნადიმად დასხდნენ,
პური ჭამეს, სასმელი შესვეს.
ტკბილმა სასმელმა შიში გაუქარწყლა,
ღვინით გაეჟღინთათ სხეული,
განიშვეს, ღვიძლი დაუამდათ,
მარდუქს, შურისმგებელს, ბედს უსაზღვრავენ.
დიდებული ტახტი წინ დაუდგეს,
ბელადად დაჯდა წინაპართა წინაშე.
– ღირსეული ხარ დიდ ღმერთებს შორის,
ხვედრი შენი უსწოროა, სიგყვა შენი – ანუ!
მარდუქ, ღირსეული ხარ დიდ ღმერთებს შორის,
ხვედრი შენი უსწოროა, სიგყვა შენი – ანუ!
ამიერიდან არ წარხდება შენი ნათქვამი,
აღღვინება-დამხობა შენს ხელთ იქნება.
მტკიცე გექმნეს ბაგეთნაშობი,
სიგყვა – ნათქვამი არ გეცრუოს!
ვერც ერთმა ღმერთმა ვერ დაგირღვიოს საზღვარი!
მარდუქ, ჩვენი შურისმგებელი ხარ!
სამყაროს მეუფება ჩაგაბარეთ.
საკრებულოდ მიხარ, სიგყვა ავიმალღღეს!
არ მოიცაროს შენი ლახვარი,
შენი მგერი, დაე, დაილახვროს!
უფალო, იხსენ შენი მოსავნი,
ავს შეუღლებული ღმერთები დაამხე!

კვართი დაფინეს მის წინაშე,
მარდუქს, პირმშოს, ასე ეტყვიან:
– უფალო, ხვედრით ღმერთებს აღემატე,
მოსპობა-შექმნა ბრძანე, აღსრულდება!
აღაღე პირი – კვართი მოისპობა.
კვლავ ბრძანე – კვართი გამრთელდება.
ბრძანა და კვართი განადგურდა,
კვლავ ბრძანა, კვართი ხელახლა შეიქმნა.
და რა იხილეს საქმე მისთა ბაგეთა,
აკურთხეს ღმერთებმა: მეფეა მარდუქ!
მიართვეს კვერთხი, ტახტი და მოსასხამი,
მიართვეს ლახვარი, მგერთა შემმუსვრელი.
– წადი და თიამათს სული ამოხადე,
სისხლი მისი უკვალოდ გაქრეს!

(სალაშქროდ წასვლა)

რა დაუსაზღვრეს ბედი წინაპრებმა,
გზა მშვიდობისა მისცეს ლაშქრობად.
შექმნა მშვილდ-ისარი, საჭურვლად იჩინა,
ისარი წამახა, ლარი დაჭიმა,
აილო ლახტი, მარჯვენით იპყრა,
მშვილდი და კაპარტი გვერდზე გადიკიდა.
წარმოშვა ელვა თავის წინაშე,
მგზნებარე აღმა ტანი დაუფარა.

მოქსოვა ბაღე თიამათის შესაპყრობად,
შეყარა ქარები ოთხივე კილისა,
რათა თიამათი არსად გაქცეოდა.
მორეკა შვიდი ქარი, თავისი შექმნილი,
და თიამათზე ამხედრებულს უკან დაეღვენენ.
უფალმა აბუბუ, დიდი საჭურველი, ხელთ იპყრა,
ქარიშხლის შემზარავ ეგლზე ამხედრდა.
სხვივოსანი მოსასხამი მოუსხამს,
შემზარავი ელვა თავს ადგას.
ასე გაემართა უფალი, გზას გაუღვა,
ავი თიამათისკენ პირი მიაქცია.
მაშინ გაეღვენენ ღმერთები, გაეღვენენ.
მისი წინაპრები გაეღვენენ, ღმერთები გაეღვენენ.

(ბრძოლა თიამათთან)

მიადგა, უჭვრეგს თიამათის წიაღს
და ქინგუს, მისი ქმრის, განზრახვას ზვერაგს.
აღმართა უფალმა აბუბუ – საჭურველი,
მძვინვარე თიამათს ამგვარად შესძახა:
– დიდებული ხარ, აღმევებული ხარ,
შენს გულს განზრახავს ქმნა სასტიკებისა.
ღმერთები, მამათა შემწუხებელნი,
შეიძულე, დასალუჰად გაწირე.
საქმაროდ ქინგუ აღგიმევებია,

ნება მისი უზენაეს ნებად გიქცევია.
ღმერთებს, ჩემს მამებს, ბოროტს უზრახავ,
მხედრობა შენი შეჭურვილა,
შენი იარაღი აუსხამს.
აღდეგ, ერთმანეთს სასტიკებით შევებათ!
რა ესმა თიამათს ესე ყოველი,
მძვინვარედ იყვირა თიამათმა, ხმას აუწია,
ფუძემდე შეიდრნენ მისი კიდურები.
წარმოთქვა შელოცვა, გრძნება მოიხმარა.
ბრძოლის ღმერთებმაც მახვილი წამახეს.
შეიბნეს თიამათ და მარღუქ-ბელადი.
ბადე მოისროლა – თიამათი გაახვია,
ქარი, მის უკან მქროლი, სახეში მიჰბერა,
ხახა დაალო თიამათმა შთასანთქმელად,
ქარი შეუშვა, ველარ შეძლო პირის მოკუმვა,
მძვინვარე ქარებმა აუვსეს შიგანი.
შიგანი გაებერა, ხახა დაეფჩინა.
მშვილდი მოჭიმა მარღუქ-ბელადმა,
სტყორცნა ისარი, შიგანი გაუპო.
გაკვეთა წიაღი მისი, გული ამოგლიჯა,
დახუთა, სუნთქვა შეუწყვიტა,
განართხა გვამი მისი, ზედ შედგა.
ოდეს თიამათი – წინამძღოლი მოკლა,
მხედრობა დაუმხო, კრებული დაუფანტა,
ღმერთები, თიამათის შემწენი,
მარდაცემულნი უკუიქცნენ,

განილტოდნენ სიცოცხლის სახსნელად,
გარნა გარემოცულთ ვერ შეძლეს გაქცევა.
დააგყვევა თიამათი, საჭურველი დაუღეწა,
ბადეში გაეხვივნენ, მახეში გაებნენ,
ბნელში ჩაცვივდნენ, გლოვით აღსავსენი.
ქინგუ, მათ კრებულში აღმევებული,
დათრგუნა, დაღუპულ ღმერთებში შერაცხა,
წაართვა დაფა ბედისწერისა, მისი არაღირსი,
ბეჭდით დაბეჭდა, მკერდზე მიიმაგრა.
რა მოსპო ყოველი მგერი აშარისა,
ნუღიმუდის ნება რა სრულყო მარღუქმა,
დაცემულ თიამათის მიმართ უკუიქცა,
დაჯეგა თიამათის ფუძე უფალმა,
უწყალო ლახტით ქალა ჩაუმგვრია,
სისხლის ძარღვები ამოუძირკვა,
და დასაკარგავში ქარებს გააგანა.
იხილეს მამებმა, იშვეს, გაიხარეს,
ძღვენი და სალაში მიართვეს მარღუქს.

(ცარგვალის შექმნა)

მოიხილა უფალმა თიამათის გვამი,
გაკვეთა ურჩხული მშვენიერ ნივთთა შესაქმნელად.
თევზივით გაჭრა ორ ნაწილად,
ერთი ნახევრით გეცა გადახურა,

მოჭიმა კიდენი, მცველები დაუსხა,
უბრძანა თვალყური – წყლებს არ ეღინათ.
ცანი მოიარა, ადგილები მიმოიხილა:
ნულიმუდის სადგომი აბზუს გაუსწორა.
გაზომა უფალმა აბზუს სივრცეები,
აბზუს ორანი, – ეშარა დაამყარა.
დიდ ჭაძრად, ეშარად, ცაში რომ შექმნა,
ანუ, ენლილი და ეა შეიყვანა.
დასახა სადგომნი დიდი ღმერთებისთვის,
მათი ვარსკვლავები ეტლად დაუდგინა.
წელი განაჩინა, საზღვრები დაუსაზღვრა,
თორმეჯ თვეს სამი ვარსკვლავი მიუჩინა.
ოდეს წელიწადის დღეები მოხაზა,
კიკიმიელის სადგური დაამყარა,
მის გვერდით ეას და ენლილის სადგურნი.
გახსნა კარიბჭენი ცის ორთავ კიდეს,
მარცხნივ და მარჯვნივ კარენი მიუბა.
მეცის შუაგულში აზიდა ზენადი.
მთვარე ამოანთო, მფლობელად ღამისა,
ღამის ქმნილება დღეთა აღსარიცხად დანიშნა:
– ყოველივე შეუწყვეტლივ გვირგვინით იარე,
თვის თავში, ქვეყნად გამოჩენისას,
რქა აახშიანე ექვსი ღლის ნიშნად,
მეშვიდე დღეზე ნახევარი გვირგვინი გქონდეს.
მოვანებისას მზეს გაუსწორდი თვის შუაძალში.
ოდეს მზე ცისკიდეზე მოგისწრებს,

შარავანდის სხივი მოიკლე, უკან მოიქციე,
დაბნელების დღეს მზის გზას მიეახლე,
ოცდამეცხრე დღეს კვლავ მზეს გაუსწორდი.
[. . . .]

(კაცის შექმნა)

რა ესმა მარღუქს ღმერთების სიგყვა,
მშვენიერ ნივთთა შექმნა განიზრახა.
აღალო პირი, ეას ეუბნება,
ზრახვას, გულისნადებს, აუწყებს:
– სისხლს შევადედე, ძვალს წარმოვქმნი,
დავსვამ ლულუს, კაცი დაერქმევა,
ღმერთთა სამსახური დაეკისრება.
ხოლო ღმერთებმა, დაე, შეისვენონ!
ღმერთთა მნეს შევცვლი, სახიერვყოფ.
თანაბრად ღირსეულნი ორად განიყვნენ!
ეუბნა ეა, ამგვარად მიუგო,
ღმერთთა შეებაზე სხვა ზრახვას აუწყებს:
– ერთი გაიცეს ღმერთი ძმათა შორის,
ის დაიღუპოს ხალხის გასაჩენად!
თავი მოიყარონ ღიდ-ღიდმა ღმერთებმა,
ცოდვილი გაიცეს, სხვანი გადარჩნენ!
შეყარა მარღუქმა ღიდ-ღიდი ღმერთები,
კეთილად ბრძანებს, განაჩენს იძლევა,

ყურს უგდებენ ღმერთები მის სიგყვას,
ანუნაქებს მეუფე სიგყვას ეუბნება:
– აგიცხადლათ წინანდელი ნამრახი,
სიმართლე, რაც გითქვამთ, აწ მეუწყოს:
ვინ იყო იგი, სასტიკების ამტეხი?
ვინ აამხელრა თიამათი, ბრძოლა ვინ ატეხა?
გაიცეს იგი, სასტიკების ამტეხი!
იგი დაისაჯოს, თქვენ მშვიდად ისხედით!
ამგვარად მიუგეს იგიგებმა, ღიღმა ღმერთებმა,
ცა-მყარის მეუფეს, ღმერთების მრჩეველს:
– ქინგუ იყო სასტიკების ამტეხი,
ვინც თიამათი აამხელრა, ვინც ბრძოლა ატეხა!
შებორკეს ქინგუ, ეას მიუყვანეს,
ცოდვილად შერაცხეს, სისხლი ამოართვეს,
მისი სისხლისგან კაცთა მოღგმა შექმნეს,
ღმერთების სამსახური დააკისრეს.
მაშინ განისვენეს ღიღმა ღმერთებმა.

ნერგალი და ერეშიგალი

ოდეს ღმერთებმა ლხინი გამართეს, ერეშიგალს, თავიანთ დას მოციქული გაუგზავნეს: “ჩვენ ვერ ჩამოვლივართ შენთან, და შენც ვერ ამოდიხარ ჩვენთან.

ვინმე გამოგზავნე, წაიღოს შენი წილი”.

გაგზავნა ერეშიგალმა ნამთარი, თავისი ვეზირი: “აღი, ნამთარ, მაღალ ცაზე!” და წავიდა, სადაც ღმერთები სხედან, წამოღგნენ, მიესალმენ ნამთარს, თავიანთი უფროსი დის მოციქულს.

(ტექსტის ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ მხოლოდ ნერგალი არ ამდგარა თავისი ტახტიდან. უკანდაბრუნებულმა ნამთარმა მოახსენა ერეშიგალს ეს ამბავი, შეურაცხყოფილმა ერეშიგალმა უკანვე გააგზავნა ნამთარი, რათა პასუხი მოეთხოვა ნერგალისთვის).

“ღმერთი, რომელიც ჩემი მოციქულის წინაშე არ წამოღგა, აქ მომგვარე, რომ მოვკლა”.

წავიდა ნამთარი, ღმერთებს ეუბნება ამბავს, ესალმებიან ღმერთები, ეუბნებიან: “მოძებნე ღმერთი იგი, შენ წინაშე რომ არ წამოღგა, და შენს ქალბატონს მიჰგვარე”. დათვალა ნამთარმა ღმერთები: ერთი

აკლდა. “სად არის ღმერთი, რომელიც ჩემს წინაშე არ წამოდგა?” და გაბრუნდა ნამთარი ამბის წასაღებად.

(ნერგალი შეშინებულია, ეას სთხოვს შემწეობას)

მგირალი მიდის ნერგალი ეასთან, თავის მამასთან: “როგორც ღამინახავს ერეშქიგალი, ცოცხალს არ ღამგოვებს”. “ნუ გეშინია, წაგაყოლებ შვიდ და შვიდ ურჩხულს: მუთაბრიკუს, შარაბდუს, რაბიციუს, თირიდს, იდიბთუს, უმმუს, და ლიბუს – ესენი წაგყვებიან”.

ოდეს ნერგალი ერეშქიგალის კარიბჭეს მიაღდა, იყვირა: “მეკარევე, გააღე კარი, ახსენი ურდული, შენი ქალბატონის წინაშე შემოვალ! ერეშქიგალთან გამომგზავნეს!”

გავიდა მეკარე, ნამთარს ეუბნება: “ერთი ღმერთი დგას კარიბჭესთან. გადი, შეამოწმე, არის თუ არა შემოსაშვები”.

გამოვიდა ნამთარი, შეხედა მას, თავის დედოფალს სიხარულით ეუბნება: “ჩემო ქალბატონო, ის ღმერთია, ერთი თვის წინ რომ გაუჩინარდა, შენს წინაშე რომ არ წამოდგა”. ”შემოიყვანე! მოვკლავ, როგორც კი შემოვა”. გავიდა ნამთარი, ეუბნება: “შემოდი, ბატონო ჩემო, შემოდი შენი დის სახლში...” მიუგო ნერგალმა: “ჩემით გაიხაროს შენმა გულმა”.

(ნერგალი შედის ერეშქიგალთან თორმეტი ღემონის თანხლებით)

უბრძანა ნერგალმა თავის მხლებლებს: “კარნი ღიაა! აბა, შეცვივდით, მე უკან მოგყვებით!”

შუაგულ სახლში შეიპყრო ერეშქიგალი, ტახტიდან თმებით დაითრია, თავის მოკვეთა დაუპირა. “ნუ მომკლავ, ჩემო ძმაო! სიგყვა მათქმევინე”. ეს რომ გაიგონა ნერგალმა, ხელი მოუღუნდა. ერეშქიგალი გიროდა, მოთქვამდა:

“იყავ ქმარი ჩემი, მე ცოლი ვიქნები შენი! ვრცელი ქვესკნელის მეფობას ჩაგაბარებ, სიბრძნის დაფებს ჩაგაბარებ. შენ ჩემი ბაგონი იქნები, მე შენი ქალბაგონი ვიქნები”.

ოდეს ნერგალმა მოისმინა მისი ნათქვამი, ხელი ჩამჭიდა და გადაკოცნა, ცრემლები მოსწმინდა. “ამას მთხოვდი? ბევრი თვეების შემდეგ, დაე, ასე იყოს!”

ერეშქიგალისა და ნერგალის ქორწინება

როცა ღმერთები სანადიმოდ შეიყარნენ, ერეშქიგალს, თავიანთ დას, მოციქული გაუგზავნეს. ანუმ ბაგენი აღახვანა, კაკას, თავის მოციქულს, სიგყვას ეუბნება: “კაკა, უკანმოუქცეველ ქვეყნად გაგაგზავნი, ერეშქიგალს, ჩვენს ასულს, ასე უთხარი: რაკი შენ არ ძალგიცს ჩვენთან ამოსვლა, მთელი წელიწადი არ ამოდიხარ ჩვენს წინაშე, და ჩვენც არ ჩამოვდივართ შენთან, მთელი თვე არ ჩამოვდივართ შენს წინაშე, შენი მოციქული მოვიდეს ჩვენთან, ცაბლა აალაგოს, შენი წილი აილოს, რასაც მივცემ მას, შენ მოგიგანოს”.

დაეშვა კაკა ცის გრძელ კიბეზე. როცა ერეშქიგალის კარიბჭეს მიადგა:

“ათუ, გამიღე კარიბჭე”.

“კაკა, შემოდი, მოგესალმოს კარიბჭე”.

პირველ კარიბჭეში შეიყვანა კაკა,

მეორე კარიბჭეში შეიყვანა კაკა,

მესამე კარიბჭეში შეიყვანა კაკა,

მეოთხე კარიბჭეში შეიყვანა კაკა,

მეხუთე კარიბჭეში შეიყვანა კაკა,

მეექვსე კარიბჭეში შეიყვანა კაკა,

მეშვიდე კარიბჭეში შეიყვანა კაკა.

და როცა შევიდა მის ფართო ეზოში, დაიხარა, მიწას აკოცა მის წინაშე,

მერე გაიმართა, წარუდგა და ეგყვის: “ანუშ, შენმა მამამ, გამოგზავნა შენთან,

რომ შენ არ ადიხარ გემოთ. მთელი წელიწადი არ ამოდიხარ ჩვენს წინაშე,

და ჩვენც არ ჩამოვდივართ, მთელი თვე არ ჩამოვდივართ შენს წინაშე,

შენი მოციქული მოვიდეს, გაბლა აალაგოს, შენი წილი აილოს, რასაც მას მივცემ, შენ მოგიგანოს”.

ერეშქიგალმა ბაგენი აღახვანა, ნამთარს, თავის ვეზირს, სიგყვას ეუბნება:

“ჩვენი მამის ანუს მაცნევე, ჩემთან რაგომ მოხვედი? მშვილობა ჰქონდეს ანუს, ენლილს და ეას, დიდ ღმერთებს, მშვილობა ჰქონდეს ნამუს და ნაშს, ბრწყინვალე ღმერთებს, მშვილობა ჰქონდეს ცის დედოფლის მეუღლეს,

მშვილობა ჰქონდეს ნინურთას, ძლიერს ქვეყანაზე!”

კაკამ ბაგენი აღახვანა, სიგყვას ეგყვის ერეშქიგალს: “მშვილობა აქვს ანუს, ენლილს და ეას, დიდ ღმერთებს, მშვილობა აქვს ნამუს და ნაშს, ბრწყინვალე ღმერთებს, მშვილობა აქვს ცის დედოფლის მეუღლეს, მშვილობა აქვს ნინურთას, ძლიერს ქვეყანაზე!”

ბაგე დაძრა ერეშქიგალმა, ნამთარს სიგყვას ეგყვის: “ნამთარ, ჩემო ვეზირო, ცად გამეგზავნე ანუსთან, ჩვენს მამასთან, ნამთარ, აჰყევი ცის გრძელ კიბეს, გაბლა აალაგე, ჩემი წილი აილე, რასაც ანუ მოგცემს, უკლებლივ ჩამომიგანე”.

(როცა ნამთარი შევიდა ღმერთების დარბაზში, ყველა ღმერთი წამოუდგა მას ერეშქივალისადმი პატივისცემის ნიშნად. ერთადერთი ნერგალი არ წამომდგარა).

ეამ დაძრა ბაგე, ნერგალს სიგყვას ეგყვის: “როცა შემოვიდა ნამთარი ღმერთების დარბაზში, ღმერთებმა, ყველამ ერთხმად, ქელი მოიხარეს...

ღმერთის წინაშე, ირქალას წიაღში რომ მკვიდრობს, მის წინაშე ქელი რაგომ არ მოიხარე?..”

(გექსტი დამიანებული, აზრის გამოიგანა ჭირს. ჩანს, გადაწყდა, რომ ნერგალი უნდა ჩავიდეს ქვესენელში და გამოცხადდეს შეურაცხყოფილ ერეშქივალთან. ეა დარიგებას აძლევს მას, როგორ მოიქცეს ქვესენელში)

ეამ დაძრა ბაგე, ნერგალს სიგყვას ეგყვის:

“ჩემო შვილო, სალაშქროდ რომ მიღიხარ და იქ მიხვალ, ისე მოიქეცი, როგორც მე გეგყვი: როცა კი გახტს მოგიგანენ დასაჯლომად, არ მიეკარო, ნუ დაჯდები, როცა ხაბაზი პურს მოგიგანს, არ მიეკარო, პური არ შეჭამო, როცა მზარეული ხორცს მოგიგანს, არ მიეკარო, ხორცი არ შეჭამო, როცა ლუდის მწღე ლუდს მოგიგანს, არ მიეკარო, ლუდი არ შესვა, როცა ფეხის დასაბანად წყალს მოგიგანენ, არ მიეკარო, ფეხი არ დაიბანო, როცა ერეშქივალი, ძვირფას მოსასხამში გამოწყობილი... არ მოიქცე ისე, როგორც კაცები და ქალები იქცევიან”.

ნერგალმა პირი მიაქცია უკანმოუქცეველ ქვეყანას, ბნელეთის სახლს, ირქალას ღმერთის საცხოვრებელს, სახლს, სადაც შემსვლელნი უკან არ ბრუნდებიან, გზას, საითკენაც ერთადერთი ბილიკი მიდის,

სახლს, სადაც შემსვლელთ ნათელი წართმეული აქვთ, სადაც მტკვერია მათი საკვები, თიხა პურია, ფრინველებივით მოსავთ ბუმბული, ნათელს ვერ ჭვრევენ, ბნელში მკვიდრობენ. მგრედებივით კვნესიან და ოხრავენ.

ალაღო ბაგე მეკარემ და ნერგალს სიგყვას ეუბნება: “უნდა ვამცნო ღმერთბე, რომელიც კართან დგას, ნამთარმა გამოიცნოს იგი”. “ჩემო ქალბატონო, ერთი ღმერთი მოვიდა ჩვენს სანახავად”. ერემქიგალმა მოიხმო ნამთარი.

(ნამთარი ამბობს)

“მე გამოვიცნობ მას, გამოვიცნობ მას, ვინც კარს უკან დგას, მოვახსენებ ჩემს ბატონს მის აღწერილობას”. მოვიდა ნამთარი და შეხედა ნერგალს კარის ჩრდილში. გაფითრდა ნამთარი მოჭრილი თამარისკივით,

ტუჩები გაუშავდა ქუნი-ჭურჭლის კიდესავით.

წავიდა ნამთარი და თავის ქალბატონს ეყვავს: “ჩემო ქალბატონო, როცა მამამენტან გამგზავნე, როცა ანუს ღარბაბში შევედი, ყველა ღმერთმა მუხლი მოიყარა, თავი დამიხარა; ქვეყნის ყველა ღმერთმა მუხლი მოიყარა, თავი დამიხარა, ღმერთები ფეხზე აღგნენ ჩემს წინაშე, ერთი ღმერთი არ წამომდგარა ჩემი შესვლისას, ერთ ღმერთს ქელი არ მოუხრია ჩემს წინაშე. ახლა იგი ჩამოვიდა უკანმოუქცეველ ქვეყნად”.

ერემქიგალმა დაძრა ბაგე და ეს სიგყვები უთხრა ნამთარს:

“ჩემო ძვირფასო ნამთარი, ნუ ეძებ შენ ენლილობას, ნუ ესწრაფი საგმირო საქმეებს. რაო, ახვიდე და დაჯდე სამეფო ღარბაბის გახტბე?”

და ვრცელი ხმელეთის სამართალი განსაჯო? როდის ყოფილა, რომ ანუს, მამაჩემის, ცად ავსულიყავ? როდის ყოფილა, რომ ანუნაქების პური მეჭამოს? როდის ყოფილა, რომ ანუნაქების წყალი მესვას? წადი და მოიყვანე ის ღმერთი ჩემს წინაშე!”

წავიდა ნამთარი და შეიყვანა ნერგალი. შეიყვანა ნერგალი პირველ კარიბჭეში, ნელუს კარიბჭეში; შეიყვანა ნერგალი მეორე კარიბჭეში, ენქიშარის კარიბჭეში; შეიყვანა ნერგალი მესამე კარიბჭეში, ენდა-შურიმას კარიბჭეში; შეიყვანა ნერგალი მეოთხე კარიბჭეში, ენურა-ლას კარიბჭეში; შეიყვანა ნერგალი მეხუთე კარიბჭეში, ენლუქუნ-გას კარიბჭეში; შეიყვანა ნერგალი მეექვსე კარიბჭეში, ენდუშუბას კარიბჭეში; შეიყვანა ნერგალი მეშვიდე კარიბჭეში, ენნუგიგის კარიბჭეში. და როცა შევიდა ფართე დარბაზში, მუხლი მოიყარა, მიწას აკოცა მის წინაშე. მერე გაიმართა, დადგა და უთხრა ერეშქი-გალს:

“ანუმ, მამაშენმა, გამომგზავნა შენს სანახავად, მითხრა, დაჯექი იმ გახტმე, განიკითხე დიდი ღმერთების საქმეები, დიდი ღმერთებისა, ირქალაში რომ მკვიდრობენ!”

და როცა გახტი მიუგანეს მას, არ მიეკარა, არ დაჯდა მასზე; ხაბა-ზმა პური მიუგანა, არ მიეკარა, პური არ შეჭამა; მზარეულმა ხორცი მიუგანა, არ მიეკარა, ხორცი არ შეჭამა; ლუდის მწღემ ლუდი მიუგანა, არ მიეკარა, ლუდი არ შესვა; ფხის დასაბანად წყალი მიუგანეს, არ მიეკარა, ფხი არ დაიბანა. წავიდა ერეშქიგალი განსაბანად, და ძვირფას სამოსელში გამოეწყო, ნერგალს თავისი სხეულის ნიშანი ახილვინა. ხოლო ნერგალმა დაიოკა გულისთქმა, არ მოიქცა როგორც კაცები და ქალები იქცევიან...

(ტექსტი გაუგებარია)

წავიდა მეორედ ერეშქიგალი განსაბანად, და ძვირფას სამოსელში გამოეწყო, ნერგალს თავისი სხეულის ნიშანი ახილვინა; ნერგალმა გზა მისცა გულსთქმას, როგორც კაცები და ქალები იქცევიან. და ორნი გადაეხვივნენ ერთმანეთს და სარეცლისკენ გასწიეს. იწვნენ ისინი – დედოფალი ერეშქიგალი და ერა, ერთ დღეს და მეორე დღეს; იწვნენ ისინი – დედოფალი ერეშქიგალი და ერა, მესამე დღეს და მეოთხე დღეს; იწვნენ ისინი – დედოფალი ერეშქიგალი და ერა, მეხუთე დღეს და მეექვსე დღეს; და მეშვიდე დღის დადგომისას ნერგალი ეცყვის: “ახლა გამიშვი, მერე დავბრუნდები უკანმოუქცეველ ქვეყნად”. ტუჩები გაუშავდა ერეშქიგალს რისხვისაგან... წავიდა ნერგალი, ალალო ბაგე და სიგყვას ამბობს, ასე ეუბნება მეკარეს:

“ერეშქიგალმა, შენმა ქალბაგონმა, გამგზავნა. თქვა, აჰა, გაგგზავნი ანუს, ჩვენი მამის ცად, ამიგომ გამიშვი აქედან! იშთარის ძე ბრუნდება უკან...”

აუყვა ნერგალი ცის გრძელ კიბეს. როცა ანუს, ენლილის და ეას კარიბჭეს მიადწია, ანუმ, ენლილმა და ეამ დაინახეს იგი და თქვეს: “იშთარის ძე ამობრუნდა ჩვენთან. ახლა ერეშქიგალი მოსაკლავად დაუწყებს ძებნას... ეამ, მისმა მამამ, აპკუროს მას წყაროს წყალი, და თავმიშველი დაჯდეს ღმერთების კრებულში.”

(როგორც ფრაგმენტული ტექსტიდან ჩანს, მეორე დღეს ერეშქიგალი ემზადება ნერგალთან კვლავ შესახვედრად. ვანიბანება, თოახს და ტახტს ასხურებს წყალს...)

”ანუს, ჩვენი მამის, მოციქული, ჩვენს სანახავად რომ მოვიდა, შეჭამს ჩვენს პურს და შესვამს ჩვენს წყალს”.

(მაგრამ ნამთარი გაუმხელს მას ნერვალის გაპარვის ამბავს)

ნამთარმა აძალი ბაგე და სიტყვას ამბობს, ერეშქიგალს, თავის დელოფალს ეუბნება: “ანუს, ჩვენი მამის, მაცნე, ჩვენს სანახავად რომ მოვიდა, განთიადამდე გაუჩინარდა.” ხმამაღლა იყვირა ერეშქიგალმა, შეწუხებულმა, გახტიდან ძირს ჩამოვარდა, მერე წამოიმართა მიწიდან, ცრემლები ეღვრებოდა დაწვებზე. “ერა, ჩემი განცხრომის საყვარელო! ვერ გავძეხი მასთან ყოფნით, ისე გამშორდა”. აძალი ბაგე ნამთარმა, სიტყვას ამბობს, ერეშქიგალს ეუბნება: “გამგზავნე ანუსთან, შენს მამასთან, რომ დავაგყვევო ის ღმერთი! რომ აქ მოგვგვარო და კიდეე გაკოცოს!”

დაძრა ბაგე ერეშქიგალმა, სიტყვას ამბობს, ნამთარს, თავის ვეზირს, ეუბნება:

“წადი, ნამთარ, ელაპარაკე ანუს, ენლილს და ეას! პირი იქცეი ანუს, ენლილის და ეას კარიბჭისკენ, უთხარი: სანამ ბავშვი და ასული ვიყავი, სხვა გოგონებივით თამაში არ ვიცოდი, ბავშვებივით მხიარული გართობა არ ვიცოდი. ის ღმერთი, შენ რომ გამომიგზავნე, რომელმაც ფეხმძიმე შემქმნა, გამოგზავნე, რომ კვლავ დაწვეს ჩემთან! გამოგვიგზავნე ის ღმერთი, რომ ღამე გავატარო მასთან, როგორც საყვარელმა. უწმიდური ვარ იმისათვის, რომ ღმერთების სამართალს განვიკითხავდე, ღიდი ღმერთებისა, ირქალაში რომ მკვიდრობენ. თუ არ გამომიგზავნი იმ ღმერთს, ირქალასა და ღიდი მიწის წესების მიხედვით, მკვლრებს აღვადგენ და შეჭამენ ისინი ცოცხლებს, მკვლრებს ცოცხლებზე მეტად გავამრავლებ!”

როცა ნამთარი ანუს კარზე მივიდა, ყველა ღმერთმა მუხლი მოიყარა მდაბლად მის წინაშე, ქვეყნის ყველა ღმერთმა მუხლი მოიყარა მდაბლად მის წინაშე. მივიდა ერთთან, მაგრამ ვერ გამოიცნო ის ღმერთი, მივიდა მეორესთან და მესამესთან, მაგრამ ვერ გამოიცნო ის ღმერთი. დაბრუნდა ნამთარი და სიგყვას ეუბნება თავის ქალბატონს:

“ჩემო ქალბატონო, ანუს, მამაშენის ცაზე რომ გამაგზავნე, ჩემო ქალბატონო, იჯდა ერთი ღმერთი, თავშიშველი და შერცხვენილი ღმერთების საკრებულოში”.

“წადი, შეიპყარ ის ღმერთი და აქ მომგვარე! ეამ, მისმა მამამ, წყაროს წყალი ასხურა, და ის მის ღმერთების კრებულში თავშიშველი და შერცხვენილი”.

აუყვა ნამთარი ცის გრძელ კიბეს. როცა ანუს, ენლილის და ეას კარიბჭეს მიაღგა, ანუმ, ენლილმა და ეამ შეხედეს მას და თქვეს: “რისთვის მოხვედი, ნამთარ?” “შენმა ასულმა გამომგზავნა, მითხრა, შეიპყარ ის ღმერთი და აქ მომგვარე”. “მაშინ, შემოდი, ნამთარ, ანუს დარბაზში, და მოძებნე შენი შეურაცხმყოფელი და წაიყვანე”. მივიდა ერთთან, მაგრამ ვერ გამოიცნო ის ღმერთი, მივიდა მეორესთან და მესამესთან, მაგრამ ვერ გამოიცნო ის ღმერთი.

(ბოლოს, როგორც ჩანს, ნამთარი მიაგნებს ნერგალს და, რაკი ის აუცილებლად უნდა ჩავიდეს ქვესკნელში, ნამთარი მას დაარიგებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, ასწავლის მას ქვესკნელის წესებს, რა უნდა წაიღოს თან და ა. შ. დაზიანებული გექსტიდან კონკრეტული ამრის გამოგანა ძნელდება)

ერამ ყურად იღო ნამთარის სიგყვა. გაპოხა თავისი სარგყელი და მშვილდი მოისროლა. დაეშვა ნერგალი ცის გრძელ კიბეზე. როცა

ერეშქიგალის კარიბჭეს მიაღვა, თქვა: “მეკარე, გამიღე კარიბჭე!” დასცა მან ნელუ, პირველი კარიბჭის მეკარე, არ დაანება შერკინება; დასცა მან ნელუ, მეორე კარიბჭის მეკარე, არ დაანება შერკინება; დასცა ნელუ, მესამე კარიბჭის მეკარე, არ დაანება შერკინება; დასცა ნელუ, მეოთხე კარიბჭის მეკარე, არ დაანება შერკინება; დასცა ნელუ, მეხუთე კარიბჭის მეკარე, არ დაანება შერკინება; დასცა ნელუ, მეექვსე კარიბჭის მეკარე, არ დაანება შერკინება; დასცა ნელუ, მეშვიდე კარიბჭის მეკარე, არ დაანება შერკინება. და შევიდა ფართე ეზოში. მივიდა ერეშქიგალთან და გაიცინა. ხელი ჩაავლო მის ნაწნავს, და ტახტიდან ჩამოათრია. ხელი ჩაავლო მის დალალებს... (ტექსტი დაზიანებულია). გადაეხვივნენ ერთმანეთს და სარეცლისკენ გასწიეს. იწვნენ დელოფალი ერეშქიგალი და ერა, ერთ დღეს და მეორე დღეს; იწვნენ დელოფალი ერეშქიგალი და ერა, მესამე დღეს; იწვნენ დელოფალი ერეშქიგალი და ერა, მეოთხე დღეს; იწვნენ დელოფალი ერეშქიგალი და ერა, მეხუთე დღეს; იწვნენ დელოფალი ერეშქიგალი და ერა, მეექვსე დღეს; და მეშვიდე დღის დადგომისას ანუ დაძრა ბაგე და სიგყვას ამბობს, კაკას, თავის ვეზირს, ეუბნება:

“კაკა, უკანმოუქცეველ ქვეყნად გაგზავნი, ერეშქიგალთან, ირქალაში რომ მკვიდრობს, უთხარი: ის ღმერთი, რომელიც გამოგიგზავნე...”

(ტექსტის ბოლო იმდენად დაზიანებულია, რომ ამრის გამოგანა ძალზე ძნელდება. შედეგი ის არის, რომ ნერგალის ქვესკნელში ჩასვლით ბოლო ედება ერეშქიგალის ერთპიროვნულ დელოფლობას. ამიერიდან ქვესკნელს მეფე-დელოფალი მართავს).

იშთარის ჩასვლა ქვესუნელად

მოუსავლეთისკენ, ვრცელ მიწის წიაღად,
იშთარმა, სინის ასულმა, მიმართა ბრახვა.
მიმართა ბრახვა სინის ასულმა ქვესუნელად,
წყვდიადის სახლად, ირქალას ბინად,
სახლად, სად შემსვლელი უკან ვერ გამოდის,
გზად, რომლის ბილიკნი უკან არ ბრუნდება,
სახლად, სად შემსვლელთ სინათლე წაერთვათ,
მტვერი აქვთ სასმელად, ცალახი – სამრდოდ,
ნათლის ვერმჭვრეგელნი წყვდიადში სხედან,
მოსავთ ფრინველებრ ნაკრტენის სამოსი,
კარებს და ურღულს მტვერი აფენია.
ოდეს მიაღგა იშთარი კარს მოუსავლეთისას,
მეკარეს სიგყვას ეუბნება:
“მეკარევ, გააღე კარი შენი!
გააღე კარი შენი, შემოვიდე!
თუ არ გააღებ კარს და ვერ შემოვალ,
კარელს შეგილეწავ, შეგიმტვრევ ურღულს,
მღურბლს შეგილეწავ, კარედებს შეგიმტვრევ.
მკედლებს ამოვიყვან, ცოცხლების შემჭმელთ,

და მკვდრები ცოცხლებს აღემატებიან!”
აღალო მეკარემ პირი, ამეგყველდა:
“შესდექ, ქალბაგონო, კარს ნუ ჩამოაგდებ!
წავალ, შენს სახელს მოვახსენებ დედოფალ ერეშქიგალს”.
შევიდა მეკარე, ერეშქიგალს ეგყვის:
“შეხე, კარს უკან იცდის და შენი იშთარ,
იგი, დიდებულ ზეიმთა გამრიგე”.
რა მოისმინა ეს ერეშქიგალმა,
მოჭრილ ფინიკივით სახე გაუფითრდა,
დაქექილ ლერწამივით ბაგე გაულურჯდა.
“რა განუმრახავს მის გულს ჩემდამი?
რა ჩაუთქვამს ჩემს წინააღმდეგ?
შეხედე, ვით ვზი, ანანუქთა შორის,
პურის წილ გალახს ვჭამ,
ლუდის წილ წუმპეს ვსვამ!
ვიგლოვო ყრმანი, საგრფოთაგან განშორებულნი?
ვიგლოვო ქალწულნი, საგრფოთა წიაღს მოწყვეტილნი?
ვიგირო ჩვილნი, უდროოდ წაგვრილნი?
წადი, მეკარევ, გააღე კარი შენი!
იშთარს ძველისძველნი წესნი აღუსრულე”.
წავიდა მეკარე, გააღო კარი თვისი.
“შემოდი, ქალბაგონო, ქუთუ-ქალაქმა იხაროს შენით!
სასახლე მოუსაველეთისა იშვებდეს შენს წინაშე!”
პირველ კარში შეიყვანა, მოჰხადა გვირგვინი დიდი.
“რაგომ მომხადე, მეკარევ, გვირგვინი დიდი?”
“შედი, ქალბაგონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!”

მეორე კარში შეიყვანა, საყურენი აართვა.
“რაგომ ამართვი, მეკარევე, საყურენი?”
“შედი ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!”
მესამე კარში შეიყვანა, ყელსაბამი შეხსნა.
“რაგომ შემხსენი, მეკარევე, ყელსაბამი?”
“შედი ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!”
მეოთხე კარში შეიყვანა, მკერდის სამკაულნი აართვა.
“რაგომ ამართვი, მეკარევე, მკერდის სამკაულნი?”
“შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!”
მეხუთე კარში შეიყვანა, წელიდან სარტყელი შეხსნა.
“რაგომ შემხსენი, მეკარევე, წელიდან სარტყელი?”
“შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა”.
მეექვსე კარში შეიყვანა, შეხსნა სალგენი ხელთა და ფერხთა.
“რაგომ შემხსენი, მეკარევე, სალგენი ხელთა და ფერხთა?”
“შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!”
მეშვიდე კარში შეიყვანა, მოჰხადა სარცხვინელთა სამოსი.
“რაგომ მომხადე, მეკარევე, სარცხვინელთა სამოსი?”
“შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!”
ოდეს იმთარი მოუსავლეთს შთახდა,
ერეშქიგალი იხილა, წარდგა მის წინაშე,
არ დაფიქრდა იმთარი, მის წინაშე დაჯდა.
ალალო პირი ერეშქიგალმა, ამეცყველდა,
თავის ვეზირს, ნამთარს, სიგყვას ეუბნება:
“ნამთარ, წაიყვანე, ჩემს სასახლეში ჩაკეცე იგი!
შეჰყარე იმთარს სამოცი სენი:
სენი თვალისა – თვალთა მისთა,

სენი მხარისა – მხართა მისთა,
სენი ფერხისა – ფერხთა მისთა,
სენი გულისა – გულსა მისსა,
შეჰყარე სენი მთელ სხეულს მისას”.
რა შთახდა მოუსაველეთს ქალბატონი იშთარი,
ხარ-ფურნი აღარ ხურაობენ,
ქალწულს ყრმაწული აღარ ეუღლება,
სძინავს ყრმაწულს მარგოდ საწოლში,
სძინავს ქალწულს საქალებოში.

[. . . .]

დიდი ღმერთების პაპ-სუქალს სახე დაუბნელდა,
ბაბა შეიმოსა, ფლასები მოისხა.
მიდის პაპ-სუქალი მამამისთან, სინთან, მგირალი,
მეუფე ეას წინაშე იღვრება ცრემლი მისი:
“იშთარი ქვესკნელად შთახდა, ვედარ ამოდის.
რა შთახდა მოუსაველეთს იშთარი,
ხარ-ფურნი აღარ ხურაობენ,
ქალწულს ყრმაწული აღარ ეუღლება,
სძინავს ყრმაწულს მარგოდ საწოლში,
სძინავს ქალწულს მარგოდ საქალებოში”.
ეამ ბრძენ გულში ამრი ჩაისახა,
შექმნა აცუმუნამირ, ცვედანი.
“წარვედ, აცუმუნამირ, ქვესკნელის კარს მიაჰყარ სახე.
ქვესკნელის შვიდი კარი შენ წინაშე განიხვნება.
გიხილავს ერეშქიგალი, გაუხარდები.
რა დაცხრება გული მისი,

რა მოილხენს ღვიძლი მისი,
თავი აღმართე, ვაშრაპებს გახედე.
“ქალბატონო, ვაშრაპი მომცენ, წყალი შეევსა!”
რა მოისმინა ეს ერეშქიგალმა,
თედოებზე ხელი შემოირგყა, თითზე იკბინა.
“აუსრულებელ სათხოვარს მოითხოვ!
განვედ, აცუშუნამირ, წყეულიმცა ხარ!
ქალაქის არხში ეძებდე საზრდელს!
ქალაქის ჭურჭლიდან სვამდე სასმელს!
ზღუდის ჩრდილი სადგომად გექმნეს!
ზღურბლი სამყოფელად გექმნეს!
მთვრალი და ფხიზელი ლოყაზე გცემდეს!”
აღალო კვლავ პირი ერეშქიგალმა, ამეგყველდა,
ნამთარს, თავის ვეზირს, სიგყვას ეუბნება:
“წადი, ნამთარ, ეგალგინას კარზე დარეკე,
ზღურბლი ძვირფასი თვლებით შეამკე,
ანუნაქები გამოიყვანე, ოქროს გახგზე დასხი,
იშთარს ასხურე წყალი ცხოველი, აქ მომგვარე!”
წავიდა ნამთარი, ეგალგინას კარზე დარეკა,
ზღურბლი ძვირფასი თვლებით შეამკო,
ანუნაქები გამოიყვანა, ოქროს გახგზე დასხა,
იშთარს ასხურა წყალი ცხოველი, წაიყვანა.
პირველ კარში გაიყვანა, დაუბრუნა სარცხვინელთა სამოსი.
მეორე კარში გაიყვანა, დაუბრუნა სალგენი ხელთა და ფერხთა.
მესამე კარში გაიყვანა, დაუბრუნა წელის სარგყელი.
მეოთხე კარში გაიყვანა, დაუბრუნა მკერდის სამკაულნი.

მეხუთე კარში გაიყვანა, დაუბრუნა ყელსაბამი.
მეექვსე კარში გაიყვანა, დაუბრუნა საყურენი.
მეშვიდე კარში გაიყვანა, დაუბრუნა დიდი გვირგვინი.
“თამუზი, საგროფო მისი სიყრმისა,
წმიდა წყლით განბანე, სცხე ზეთი სურნელი.
მეწამული სამოსით შემოსე,
ლაჟვარდის სტვირი დაუბრუნე.
შამხათებმა მოალხინონ სული მისი!”
ოდეს ბელილი აასხამდა თავის ყელსაბამს,
თვლებით სავსე იყო მისი კალთა,
და რა შემოესმა ძმის გამო გოდება;
გაწყვიტა ბელილიმ ყელსაბამი,
და თვლებმა მიწის პირი დაფარეს.
“ნუ შემაჭირვებ, ძმაო ჩემო, ერთადერთო!”
ოდეს თამუზი ამოვა ქვესკნელიდან,
ლაჟვარდის სტვირიც თან ამოჰყვება,
თან ამოჰყვებიან მოგირალნი კაცნი და დიაცნი,
მკვდრებიც ამოვლენ, საკმევლის სურნელებას იყნოსენ!

იშთარისადმი

შენ გესაგ, ქალბაგონთ ქალბაგონო, ქალღმერთთა ქალღმერთო!
იშთარ, დედოფალ ხარ ყოველთა საყოფელთა,
წარმმართველი კაცთა მოღვმისა!
ირნინი, ძლევაშოსილ ხარ, იგიგთა შორის უმეშთაესი!
მნათობი ცათა და ხმელისა, სინის გულოვანი ასული!
ვარსკვლავი საბრძოლო შეძახილთა,
წამკიდებელი შეთანხმებულ ძმათა,
მოყვასთა მგრებად შემცვალებელი!
ქალბაგონი ბრძოლის ველისა, ქვესკნელის მრქენელი!
გუშეა, ომით შემოსილი, შიშით შებურვილი!
სალოცავნი, საკურთხეველნი შენ გელიან.
სად არა ჰგიეს სახელი შენი, სად არა ჰგიეს რჯული შენი?
სად არ დახაგულა ხაგი შენი, სად არ დაღვმულა საყდარი შენი?
მოხედავ განძარცულთა, დაცემულთა დღენიდაგ წყალობ!
შენგან არს წყალობა, ქალბაგონო ცათა და ხმელისა,
ქალღმერთო, მწყემსო დანისლულ ხალხთა!
შენგან არს წყალობა, წმინდა ეანას დედოფალო,
ქალბაგონო ბრწყინვალე ბელელთა!
ბრწყინვალე ლომო იგიგებისაგ,

დამმარცხებელი მძვინვარე ღმერთთა!
ელვარე სანთელი ცათა და ხმელისა,
სხივო ყოველთა სამკვიდრებელთა!
ამხდელი პირბადისა ქალწულთაგან!
მამაკაცთა ქალღმერთო, ღიატა იშთარ!
შემოგაღაღდე დამაშვრალმა, სნეულმა მონამ,
მომხედე, ქალბაგონო ჩემო, შეიწყნარე ვედრება ჩემი.
სიწრფოებით მომხედე, ბრძანე წყალობა ჩემი!
წყალობა ჩემი შეძრული სხეულისა,
რომელი სავსეა შფოთით და აღრევით!
წყალობა ჩემი სნეული გულისა,
რომელი სავსეა ცრემლით და ვაებით!
წყალობა ჩემი დამწუხრებული სახლისა,
რომელიც შეაჭირვა გოდებაჲმ!
ირინითუ, მძვინვარე ძუ ლომო, გული დაიცხრე!
მრისხანე ფურო, გუნება გაიხსენ!
განღევნე უკეთურებანი ჩემი განიდან!
ქალბაგონო ჩემო, ვიდრემდის უნდა იმაკვიდნენ ჩემ მომართ?
ვიდრემდის უნდა უხაროდეს მღევარსა ჩემსა?
ფარფაგებს სული ჩემი, ვითარცა ფრინველი ცათა,
ვკვნესი, ვითარცა გრელი ღამით და ღლისით.
რა შევცოდე, ღმერთო ჩემო, ქალბაგონო ჩემო?
ვითარცა უშიში ჩემი ღმერთისა და ქალღმერთისა შევიქენ!
ვხედავ შავ ღღეებს, ქალბაგონო ჩემო,
ბნელითმოცულ თვეებსა და წლებს გულისწყრომათა!
ღუმს სალოცავი ჩემი, ღუმს საყდარი ჩემი.

დუმილი დაღვრილა ჩემს სახლზე და კარ-მიდამოზე.
განადგურდა გვარი ჩემი, კერა ჩემი დაივსო.
ღვთაებამ ჩემმა უცხო ადგილად მიაბრუნა პირი.
შენ გესაგ, ქალბაგონო ჩემო, შენკენ მიიქცევა სული ჩემი,
შენ გევედრები, დამხსენ განკიცხვას,
დამხსენ ცოდვას, დანაშაულს და შეცოდებას!
ბრძანე ბრძანებითა შენითა, განრისხებულ ღმერთს შემარიგე!
გამწყრალი ქალღმერთი დამიბრუნე!
დამრეგილი, მხრჩოლავი კერა კვლავ ამინთე!
ჩამქრალი ჩირადდანი კვლავ გამიჩაღე!
განთესილი მოდგმა ჩემი შემიკრიბე!
ფარეხი განმივრცე, გალავანი გამიფართოვე!
ვიღრემდის იქნები ქალბაგონო ჩემო, მრისხანე და სახემიქცეული?
ვიღრემდის იქნები, ქალბაგონო ჩემო, მძვინვარე და გულგამწყრალი?
მოაბრუნე ქელი შენი უკუმიქცეული.
ჩემდა სასიკეთოდ მომართე პირი შენი!
ლოცვა-ვედრებანი ჩემნი მოგდიოდნენ დაუბრკოლებლივ!
დიდნი წყალობანი შენნი მომეფინონ!
ჩემმა მჭვრეგელმა სახელი განადილოს!
ხოლო მე შავთავიანთ შენს სიქველეს გამოვუცხადებ!
მაღალ არს იშთარ, დედუფალ არს იშთარ!
მაღალ არს ქალბაგონი, დედუფალ არს ქალბაგონი!
ირნინის, ქველ ასულს სინისას, არ უვის გოლი!

(ლოცვა ხელაპყრობით იშთარისადმი)

ანზუს ეპოსი

საცხოვრებელთა მეუფის ძეს, ბრწყინვალეს,
ქალღმერთ მამის ნანდაურს,
ძლიერს ვუმღერი – ღმერთს, ენლილის პირმშოს,
ნინურთას, ბრწყინვალეს, ქალღმერთ მამის ნანდაურს,
ძლიერს განვადიღებ, ღმერთს, ენლილის პირმშოს,
ექურის ნაშიერს, ღმერთთა წინამძღოლს, ენინუს იმედს,
ფარებთა მფარველს, სახლების, ქუჩათა და ქალაქთა მცველს,
ბრძოლათა მცოდნეს, სარგყელით მოთამაშეს, უსწორო მეომარს,
მძვინვარეთა გამხედნელს, დაუღლელს,
ვისი შემართებაც შიშისმარია.

მისი ძლიერების სახელს განვადიღებ,
ფრთოსანი ანზუს მკვლელს თავისი ლახვით...

[. . . .]

და ყველა ღმერთის განჩინებანი მას ჩააბარა; წამოიღო ისინი და ანზუს ჩააბარა. თვისი საწმინდარის შესასვლელის დაცვა მიანდო ენლილმა, თავად განსაბანად წმიდა წყალში ჩავიდა მის წინაშე; ენლილობის ქმნილებებს უჭვრეგს ანზუს თვალი, საუფლო გვირგვინს, მისი ღვთიურობის სამოსელს, მისი ღვთიურობის ბედისწერათა დაფებს უჭვრეგს, უჭვრეგს ღმერთების მამას, ღურანქის ღმერთს.

ენლილობის წართმევა იმრახა თავის გულში, ანბუ უჭვრეტს ღმერთების მამას, ღურანქის ღმერთს, ენლილობის წართმევა იმრახა თავის გულში: წავიღებ ღმერთების ბედისწერათა დაფებს და ყველა ღმერთის განჩინებებს შევკრებ, ტახტს დავეპაგრონები, განგებათ დავეუფლები, იგიგებზე, მათზე ყველაზე გავბატონდები. ბრძოლა ისურვა მისმა გულმა. საწმიდარის შესასვლელთან, რომელსაც უჭვრეტდა, დაელოდა განთიადამდე. როცა ენლილი განსაბანად ჩადიოდა წმიდა წყლებში, გვირგვინი მოიხადა და ტახტზე დაღო, ბედისწერათა დაფებს მისწვდა ანბუს ხელი, ენლილობა აიღო, განგებანი ჩამოყრილია; ანბუ გაფრინდა და თავის მთაში დაიმალა. შიში დასადგურდა, მღუმარება ჩამოვარდა, მამა, მრჩეველი მათი, დადუმდა ენლილი. საწმინდარს შემოეძარცვა მისი ბრწყინვალეობა, ქვეყნის ღმერთები ღონეს ეძებდნენ. ანუმ დაძრა ბაგე და ამბობს, ეტყვის ღმერთებს, თავის შვილებს: “რომელი ღმერთიც მოკლავს ანბუს, ყველგან იდიდება მისი სახელი!” “არხების მეურვე – იყვირეს – ანუს ძე!”

მრჩეველი ეუბნება მას: “შენ ძლიერი ხარ, ადად, მაგარი, ომს არ შეუღრკები, დამეხე ანბუ შენი ლახტით. იდიდება შენი სახელი დიდი ღმერთების საკრებულოში, შენს ძმა ღმერთებს შორის გოლი არ გეყოლება. გაჩნდება, აშენდება შენი საწმიდარები, ოთხივე კუთხეში დაარსდება შენი საღვთო ქალაქები, შენი საღვთო ქალაქები ექურში შევა, იდიდე ღმერთების წინაშე, ძლიერი იყოს სახელი შენი.”

არხების მეურვემ ადადმა მიუგო სათქმელი, თავის მამას ანუს სიტყვას ეუბნება:

“მამავ, მიუწვდომელ მთისკენ ვის მიუჩქარია? ვინ არის ანბუს მსგავსი ღმერთებში, შენს შვილთა შორის? ბედისწერათა დაფებს

მისწვდა მისი ხელი, ენლილობა გაიგაცა, განგებანი ჩამოყრილია. ანზუ გაფრინდა, თავის მთაში დაიმალა. აწ მისი ბაგისმიერი ღურანქის ღმერთებივითაა. ყოველი მისი მგერი მის წინაშე თიხად გადაიქცევა!”

რა ესმათ ეს ღმერთებს, შეშინდნენ, ანუმ სალაშქროდ არწასვლა უბრძანა.

“გიბილმა! – იყვირეს, – ანუნითუს პირმშომ!”

“ანზუ გაფრინდა და თავის მთაში დაიმალა! აწ მისი ბაგისმიერი ღურანქის ღმერთებივითაა, ყოველი მისი მგერი თიხად გადაიქცევა!”

რა ესმათ ეს ღმერთებს, შეშინდნენ. ანუმ გიბილს სალაშქროდ არწასვლა უბრძანა.

“შარამ! – იყვირეს – “იშთარის პირმშომ”.

ანუ, მრჩეველი ეუბნება მას: “შენ ძლიერი ხარ, შარავ, მაგარი, ომს არ შეუდრკები, მოჰკალ ანზუ შენი იარაღით, იდიდებს შენი სახელი დიდი ღმერთების საკრებულოში, შენს ძმა ღმერთებს შორის გოლი არ გეყოლება, გაჩნდება, აშენდება შენი საწმიდარები, ოთხივ კუთხეში დაარსდეს შენი საღვთო ქალაქები, შენი საღვთო ქალაქები ექურში შევა! იდიდები ღმერთების წინაშე, ძლიერი იქნება სახელი შენი.”

შარამ მიუგო სათქმელი, ანუს, თავის მამას, სიგყვას ეუბნება:

“მამავ, მიუწვდომელი მთა ვის გადაულახავს, ვინ არის ანზუს მსგავსი ღმერთებს, შენს ძმებს შორის? ბელისწერათა დაფებს მისწვდა მისი ხელი, ენლილობა გაიგაცა, განგებანი ჩამოყრილია. ანზუ გაფრინდა და თავის მთაში დაიმალა, აწ მისი ბაგისმიერი ღურანქის ღმერთებივითაა”.

[. . . .]

შეიკრიბნენ იგივეები, ღმერთები ერთობლივ შეშფოთებული არიან; სიბრძნის უფალი, აფსუში დამკვიდრებული, ააყენეს. თვისი გულის სიგყვა უთხრა თავის მამას, ანუს, ამბობს:

“მე ვიპოვი იმ ღმერთს და ანზუს შებორკვას ვაუწყებ კრებულში; მე ვიპოვი იმ ღმერთს, და ანზუს შებორკვას ვაუწყებ კრებულში”.

ესმათ იგივეებს მისი ეს ნათქვამი, ათრთოლდნენ იგივეები, ფეხები დაუკოცნეს, თვალსხივოსანმა დაძრა ბაგე, ამბობს, ანუსა და დაგანს სიგყვას ეუბნება...

[. . . .]

მახის, სახებათა ქალბატონის დიდება წარმოთქვა კრებულში: “მოუხმე ძლიერს, ბრწყინვალეს, შენს ნანდაურს, მკერდგანიერს, ბრძოლაში შვიდეულის გამყვანს, ნინგირსუს, ძლიერს, ბრწყინვალეს, შენს ნანდაურს, მკერდგანიერს, ბრძოლაში შვიდეულის გამყვანს!”

ესმა მისი ეს ნათქვამი დიდებულს მახს და თქვა: “კეთილი!” მის ბაგისმიერზე გაიხარეს ქვეყნის ღმერთებმა, ათრთოლდნენ და ფეხები დაუკოცნეს. დაიძახა ღმერთების კრებულში, და თავისი ძე, გულის საყვარელი, მოიყვანა, უთხრა: “უმენაეს ანუსა და დაგანის წინაშე, – რა რომ გამოაცხადეს კრებულში თავიანთი განჩინებანი, ყველა იგიგი, ერთობლივ, მე ვშობე, ღმერთთა შორის უპირველესნი – მე მამიმ! ჩემს ძმას და ანუს ცის მეუფება განვუწესე; ეს მე ვარ, მეფობა რომ განვუწესე. [. . . .] მამაშენიც მე გამოვსახე”.

[. . . .]

დათქვი ვადა. ღმერთებს, რომელნიც მე შევექმენი, ნათელი დაუბრუნე! გაემზადე საბრძოლველად, შენი შვიდი ქარიშხალი მადლიდან დააგყდეს თავს. მისწვდი ფრთოსან ანზუს და შებორკე იგი, მოასვენე ღელამიწა, რომელიც მე შევექმენი, ანზუს სამყოფელი კი

არივ-ღარივ, შიშმა მოიცვას იგი. [. . .] აღვძრავ მათზე ერთობლივ *აშამშუთებს*. გადაიკიდე შვილდი, შენმა ისრებმა შხამი აგარონ! აესულივით პირისახე შეიცვალე, ღრუბელი წაიძლოლე წინ, შენი სახე ვერ გამოიცნოს. შენი სხივოსნება ჩვენზე გადმოვიდეს, შენი მომაკვდინებელი ძალა მიუშვი, მთების დაქცევა იცი, არ გაბრწყინდეს მის თავზე მზე, დღემ ნათელი სიბნელედ გადაუქციოს; მოუსპე სიცოცხლე, შებორკე ანზუ, ქარმა მისი ფრთები საიღუმლო ადგილებში წაილოს, ექურის სახლისკენ, შენს მამა ენლილთან; მისი მთები და ველები წალეკე, ააფორიაქე. ბოროგი ანზუს სიცოცხლე მოკვეთე, მეფობა შემოვიდეს ექურში, შენს მშობელ მამას განგებანი დაუბრუნდეს. გაჩნდეს, აშენდეს საწმიდარები, ოთხივ კუთხეში დაფუძნდეს შენი საღვთო ქალაქები, შენი საღვთო ქალაქები, ექურში შევიდეს; აღზვედი ღმერთების წინაშე, ძლიერი იყოს სახელი შენი!”

მოუსმინა თავის დედას მეომარმა, გამხსნედა საბრძოლველად, ანზუს მთებისკენ ამაყად გაემართა. ჩემმა უფალმა შეკაზმა შვიდი ქარი, გმირმა შეკაზმა შვიდი *იმხულლუ*, მგვრის დამყენებელი შვიდი *აშამშათი*, აღძრა სასტიკი ქარიშხალი, გზა მისცა შეხლა-შეგაკვებებს, [. . .] მთის ძირას შეეყარნენ ერთურთს ანზუ და ნინურთა, შეხედა მას ანზუმ და მიეჭრა მას, კბილები დაახრჭიალა, ქარიშხალივით გადაეფინა მთებს მისი *მელამი*, მძვინვარე ლომივით ებგერა მას, გულის რისხვით იყვირა გმირმა: “წავიღებ ყველა განჩინებას ერთიანად, და ღმერთების ყველა ბრძანებას უკან დავაბრუნებ” “ვინა ხარ, ჩემთან საბრძოლველად რომ მოსულხარ?”

შეუგია, თავისი ბაგისმიერი მიაგება ანზუს, მიუგო ანზუს გმირმა ნინურთამ:

“მეფე ანუსა და ღურანქის ღმერთების სახელით, წერამწერელი ღმერთების სახელით, შენთან საბრძოლველად მოვედი, შენი შემმუსვრელი!”

ისმინა ანზუმ მისი ნათქვამი, მძვინვარედ იღრიალა მთებში, უკუნი დასადგურდა, მთების სახე წყვლიადმა მოიცვა, მზე, ღმერთთა ნათელი, ბნელში გაეხვია, [გაუგებარია] წინ გაიჭრა ანზუს ხმაზე, [გაუგებარია] საბრძოლო პერანგი სისხლში დასველდა, იწვიმა სიკვდილის ღრუბელმა, ელავდნენ ისრები, გახურდა ბრძოლა მათ შორის. ძლიერმა, ბრწყინვალემ, ქალღმერთ მამის პირმშომ, ანისა და დავანის საყრდენმა, ნინიქუნგის ნებიერმა [. . .] აავსო, მშვილდიდან ლერწმის ისრები სცყორცნა მას. ანზუს ვერ მისწვდა, ლერწამი უკან დაბრუნდა. ანზუმ შესძახა:

“ლერწმის ისარო, შენი ლერწმოვანისკენ გაბრუნდი! მშვილდის სახევე, შენი გყისაკენ! ძარღვო – ცხოველის ზურგს, ისრის თბევ – ფრინველს დაუბრუნდი!”

ხელთ ეპყრა ანზუს ღმერთების ბედისწერის დაფები. მოზიდა ნინურთამ მშვილდის ლარი, ვერ მისწვდა მის სხეულს. ბრძოლა დაცხრა, ომი გასრულდა, საჭურველი უქმ იქმნა, მთის გულში ანზუ ვერ შებოროკეს. შესძახა ნინურთამ ადაღს, ბრძანება მისცა:

“გაუმეორე ეას, რაც იხილევ: რომ, ბაგონო, ნინურთამ ანზუ მოიმწყვდია, ნინურთამ ბანაკში მგვერი დააყენა, მშვილდი მოზიდა, ისარი სცყორცნა, ვერ მისწვდა ანზუს, უკან დაბრუნდა. ანზუმ შესძახა: ისარო, რომ მოღიხარ, შენი ლერწმოვანისაკენ გაბრუნდი! მშვილდის სახევე – შენი გყისაკენ! ძარღვო – ცხოველის ზურგს, ისრის თბევ – ფრინველს დაუბრუნდი! ხელთ ეპყრა მას, ანზუს, ბედისწერის დაფები. მოზიდა მშვილდის ლარი, ვერ მისწვდა მის სხეულს. ბრძოლა დაცხრა,

ომი გასრულდა, საჭურველი უქმ იქმნა, მთის გულში ანბუ ვერ შებორკეს”.

აღაღმა ქედი მოიხარა, ბრძანება მიიღო, ბრძოლის ამბავი თვალსხივოსან ეას წაუღო:

“რომ, ბაგონო, ნინურთამ ანბუ მოიმწყვდია, ნინურთამ ბანაკში მგვერი დააყენა, მოზიდა მშვილდი, ისარი სცოროცნა, ვერ მისწვდა ანბუს, უკან დაბრუნდა. ანბუმ შესძახა ისარს: ისარო, რომ მოღიხარ, შენი ლერწმოვანისაკენ გაბრუნდი! მშვილდის სახეე – შენი გყისაკენ! ძარღვო – ცხოველის ბურგს, ისრის თბეე – ფრინველს დაუბრუნდი! ხელთ ეპყრა მას ბედისწერის დაფები [. . .] მოზიდა მშვილდის ლარი, ვერ მისწვდა მის სხეულს. ბრძოლა დაცხრა, ომი გასრულდა, საჭურველი უქმ იქმნა, მთის გულში ანბუ ვერ შებორკეს”.

ისმინა თვალსხივოსანმა თავისი ძის სიგყვა, დაღუშდა და მერე გაუგზავნა სიგყვა:

“გაუმეორე შენს ბაგონს ჩემი ბაგის ნათქვამი, რასაც ვიგყვი, მისთვის დაიმარხე. ბრძოლა არ შეწყვიტო, ძალა მოიკრიფე; დააცხრე იგი (ანბუ), ქარიშხალთან შეხლისას ფრთები დაცვივდეს. აიღე იარაღი და ისრებს რომ მიუშვებ, ფრთები აუკაფე მარჯვნივ და მარცხნივ. დაინახოს თავისი ფრთები და ბაგის სათქმელი დაეკარგოს. “ვაი, ფრთა ფრთაზე!” – იყვირებს, ნუ შეგეშინდება მისი. მოზიღე მშვილდი! მოწინააღმდეგის მკერდს სცოროცნე ლერწმის ისარი ეღვასავით, ფრთა და ნაკრგენი პეპლებივით აცეკვდნენ, მოკვეთე მისი სიცოცხლე. შებორკე ანბუ, ქარმა მისი ფრთები საიღუმლო ადგილებში წაიღოს, ექურის სახლში, შენს მამა ენლილთან, მისი მთები და ველები წაღეკე, ააფორიაქე! ბოროტ ანბუს სული ამოართვი. მეფობა შევიდეს ექურში, შენს მშობელ მამას დაუბრუნდეს განგებანი! გაჩნდნენ, აშენდნენ საწმი-

დარები, ქვეყნის ოთხივე კუთხეში დამყარდეს შენი საღვთო ქალაქები, შენი საღვთო ქალაქები შევიდეს ექურში, იდიდე ღმერთების წინაშე, იძლიეროს შენმა სახელმა!”

ადაღმა ქელი მოიხარა, ბრძანება მიიღო, რაც ეამ ილაპარაკა, გაუ-
მეორა:

“ბრძოლა არ დაცხრეს, ძალა მოიკრიფე, დააცხრე ანზუ, მისი ფრთე-
ბი ქარიშხალთან შეხლისას დაცვივდნენ, აიდე (სხვა) იარალი და ის-
რებს რომ გაგყორცი, ფრთები მოკვეთე, შეხედოს თავის ფრთებს,
ბაგის სათქმელი დაეკარგოს. “ფრთა ფრთაზე!” – იყვირებს. ნუ შე-
გეშინდება მისი. მოზიდე მშვილდი! მოწინააღმდეგის მკერდს სტყორ-
ცნე ლერწმის ისარი ელვასავით, ფრთა და ნაკრგენი პეპლებივით
აცეკვდნენ, მოკვეთე მისი სიცოცხლე, შებორკე ანზუ, ქარმა მისი
ფრთები საიდუმლო ადგილებში წაიღოს, ექურის სახლში, შენს მამა
ენლილთან. მისი მთები და ველები წალეკე, ააფორიაქე! ბოროტ ან-
ზუს სული ამოართვი. მეფობა შევიდეს ექურში, შენს მშობელ მამას
დაუბრუნდეს განგებანი! გაჩნდნენ, აშენდნენ საწმიდარები, ქვეყნის
ოთხივე კუთხეში დამყარდეს შენი საღვთო ქალაქები, შენი საღვთო
ქალაქები შევიდეს ექურში. იდიდე ღმერთების წინაშე, იძლიეროს
შენმა სახელმა!”

მოსმინა ნინურთამ თავისი მამის, თვალსხივოსანი ეას სიგყვა, სა-
ბრძოლველად გამხნევდა, ანზუს მთისკენ გასწია. უფალმა შვიდი მეო-
მარი შეკაზმა, გმირმა შეკაზმა შვიდი *იმხულუ*, მგვერის დამყენებელი
შვიდი *აშამშუთი*.

*(საბოლოო შეჯამების ამსახველი ეპიზოდი ფრაგმენტულად არის შემონახ-
ული. საბოლოოდ ნინურთა იმარჯვებს, კლავს ანზუს და მის გვამს ენლილის*

ტადრის – ექურის თავანზე მიაკრავს. ენლილს დაუბრუნდება მოცაცეული ენლილობა და ბედისწერის დაფები, ღმერთები და მთელი ქვეყნიერება, “შავთავიანები” გახარებული არიან. ეს მხსნელი გმირობა ჩაიდინა ენლილის ძემ მამის სადიღებლად.)

ერას ეპოსი

დაფა პირველი

“მეფევე ყოველთა სამკვიდრებელთა, სამყაროს შემქმნელო, ხენდურსანგავ, ენლილის პირმშოვ [. . .], უზენაესო კვერთხისმპყრობელო, შავთავიანებზე მზრუნველო, მწყემსო კაცთა მოღვმისა, იშუმ, განთქმულო შემმუსვრელო, რომლის ხელი ღირსია მისი მძვინვარე იარაღის გარებისა და მისი ბასრი შუბის აელვებისა. ერა, ღმერთების გმირი, ბრდღვინავს თავის სადგომში. საომრად ისწრაფის მისი გული. ეუბნება თავის იარაღს: “იცხე სიკვდილის შხამი! შვიდეულს, სწორუპოვარ მეომრებს: შეირგყით თქვენი საჭურველი! შენ გეუბნება: ველად მსურს გასვლა”.

“ჩირაღდანი ხარ შენ, შენს ნათელს უმზერენ! წინამძღოლი ხარ, ღმერთები უკან მოგყვებიან! საგეგარი ხარ, შემმუსვრელი! ერა, აღიმართე ქვეყნის დასამხოზად, როგორ გინათლება ღვიძლი, როგორ გიხარის გული!”

ერას მკლავები, როგორც უძილო კაცისა, მოქანცულია. ეუბნება თავის გულს: “აღვდგე თუ ვიძინო?” ესიგყვება თავის იარაღებს: “ეყუდეთ თქვენ-თქვენ კუთხეებში!” შვიდეულს, სწორუპოვარ მებრძოლებს: “გაბრუნდით თქვენ-თქვენ სადგომებში!”

და შენ, იშუმ, ვიდრე გააღვიძებ მას, ეძინოს თავის საწოლში! მამისთან, თავის სასძლოსთან ერთად, ეძლეოდეს ნეგარებას! ენ-გიდუდუ, უფალო, ღამ-ღამობით მოარულო, მთავართა გამძლოლო, ვინც მოყმეთ და ასულთ სიმშვიდეში ამყოფებს, ღღესავით უნათებს. შვიდეულის, უსწორო მეომართა, ღვთიურობა განსხვავებულია, მათი წარმოშობა უცნაურია, შიშისმომგვრელი არიან. მათი მჭვრეტელი კანკალებს; სუნთქვა მათი სიკვდილია. ხალხი ძრწის, ვერ ბედავს მათთან მიახლოებას. იშუმში კარია მათ წინ ჩაკეტილი.

როცა ანუმ, ღმერთების მეფემ, მიწაში დათესა თავისი თესლი, მიწამ მას შვიდი ღმერთი უშვა და მან შვიდეული უწოდა მათ. ისინი წარდგნენ მის წინაშე, რომ ბედი გადაეწყვიტა მათთვის. მოუხმო ერთს და ასე ამცნო: სადაც წახვალ და მარს დასცემ, მეგოქე არ გეყოლება! მეორეს უთხრა: ცეცხლივით წვავე, ალივით ბუგავე! მესამეს უბრძანა: ღომის სახე მიიღე, შენი მჭვრეტელი შეძრწუნდეს. მეოთხეს უთხრა: შენი მძვინვარე იარაღის აღმართვით მთებს ანგრევე! უთხრა მესუთეს: ქარივით დაუბერე და გამოძე დეღამიწა! უბრძანა მეექვსეს: ზემოთ და ქვემოთ იარე, არავინ დაინდო! მეშვიდე გველეშაპის შხამით გაგენა: დაამხე ყოველი ცოცხალი! და რა ანუმ შვიდეულს, ყველას მათ ბედი დაუსამღვრა, ჩააბარა ისინი ერას, ღმერთების მეომარს, უთხრა: იარონ შენს გვერდით! როცა ხალხის ხმაური შენამდე მოაღწევს და შენი გული მათ განადგურებას განიზრახავს, შავთავიანთა ამოხოცვას, შაქანის პირუტყვის ამოწყვეტას, მძვინვარე იარაღად გყავდეს, შენს გვერდით იარონ.

ისინი მძვინვარენი არიან, შემართულია მათი იარაღი. ეუბნებიან ერას: “აღდექ! დადექ! რაგომ დაყულებულხარ უძღური მოხუცივით ქალაქში? უძწო ბავშვივით დამჯდარხარ სახლში? ველად გაუსვ-

ლეღივით ღიაცის საჭმელი ვჭამოთ? ომის უმეცარივით გვეშინოდეს დავძრწოდეთ? ველად გასვლა მოყმისთვის ზეიმია; მთავარი კი, რომელიც ქალაქში რჩება, ჭამით ვერ ძღება. თავისი ხალხის პირში აუგად მოხსენიება, მისი ღირსება დამცირებულია. როგორ გაუშვიროს ხელი ველად გამსვლელს? ქალაქში მჯდომმა ძალაც რომ მოიკრიბოს, ველად გამსვლელს როგორ გაუწევს მეგობრობას? ქალაქის გემრიელი პური როგორ შეედრება ნაცარში გამომცხვარ ხმიაღს? ტკბილი ლუღი როგორ შეედრება მათარის წყალს? შემალღებულზე მღგარი სასახლე როგორ შეედრება საღამუქრო კარავს? მეომარო ერა, გაღი ველად, ააქლარუნე შენი იარაღი! ხმა აღიმაღლე, ახმიანდე ზევით და ქვევით! იგიგებმა გაიგონონ და განაღიღონ შენი სახელი; ანუნაქებმა გაიგონონ და შეშინდნენ შენს ხსენებაზე; ღმერთებმა გაიგონონ და მოიღრიკონ შენს უღელქვეშ; მეფეებმა გაიგონონ და დაემხონ შენს წინაშე; ქვეყნებმა გაიგონონ და ხარკი მოგიგანონ; უძღურებმა გაიგონონ და გამხნევედნენ; ძღიერებმა გაიგონონ და ფერხნი დაგიკოცნონ; მაღალმა მთებმა გაიგონონ და თავები დახარონ; აბობოქრებულმა ზღვებმა გაიგონონ და შეშფოთდნენ, თავიანთი ღოვლათი დაკარგონ; ხშირ შამბნარში ღეროები ამოიძირკვონ; გაუვალ ლაქაშებში ლერწმები დაიგლიჯონ. ხალხი შეშინდეს, იკლოს მათმა ხმაურმა; პირუტყვი აკანკალდეს და თიხად გადაიქცეს. ღმერთები, შენი მამები, დაინახავენ, განაღიღებენ შენს გმრობას. მეომარო ერა, რაგომ მიაგოვე ველი და ქალაქში დამჯდარხარ? [. . .]. გმრო ერა, გელაპარაკებით და ჩვენი ნაუბარი გემწარება; ლამის მთელმა ქვეყანამ დაგვკაბნოს ჩვენ. ნამღვილად უნდა ისმინო ჩვენი ნათქვამი! ანუნაქებს, ღუმიღის მოყვარულთ, სიკეთე უყავი; ანუნაქებს ხალხის ხმაური არ აძინებს. ქვეყნის სიცოცხლე –

საძოვარი ჯოგმა გადაჯეგა; მიწისმუშაკი მწარედ მოთქვამს თავის ყანაში; ლომმა და მგელმა გაწყვიტა შაქანის ჯოგი; მწყემსს თავისი ფარის გამო არ სძინავს ღლე და ღამე, შენ შეგღაღადებს. და ჩვენც, ვინც ვიცით მათაა გადასასვლელები, გზა დავკარგეთ; აბლაბულა ახვევია ჩვენს საომარ საჭურველს; ჩვენი ერთგული მშვილდი აგვიჯანყდა, ველარ მოვბიდეთ; ჩვენს მახვილ ისრებს წვეტები გაელუნათ, ჩვენს სატევარს უხმარობისგან ჟანგი მოეკიდათ”.

ისმინა მათი მეომარმა ერამ; შვიდეულის ნათქვამი ზეთივით ეტკბო. დაძრა ბაგე, იშუმს ეუბნება:

“რაგომ ღუმხარ, ამას რომ ისმენ? გზა გამიხსენი, ლაშქრობას შევუდგე; შვიდეულმა, უსწორო მებრძოლეებმა, ჩემი იარაღი ჩემს გვერდით აგარონ! შენ კი ჩემს წინ იარე, ჩემს უკან იარე!”

ესმა იშუმს მისი ეს ნათქვამი, დაძრა ბაგე, მეომარ ერას ეუბნება:

“მბრძანებელო ერა, რაგომ განიზრახე ღმერთებისათვის ბოროტი? ქვეყნების დასამხოებად, ხალხის გასაწყვეტად ავს რაგომ იზრახავ?”

ერამ დაძრა ბაგე, ამეცყველდა, იშუმს, მის წინ მავალს, სიგყვას ეუბნება:

“იშუმ, ყური მიგდე, გაიგონე ჩემი ნათქვამი. ხალხზე გეცყვი, ვის შეწყალეაზეც ლაპარაკობ, – ღმერთების წინ მავალო, ბრძენო იშუმ, რომლის რჩევა სასიკეთოა, ცაში გარეული ხარი ვარ, მიწაზე ლომი ვარ, ქვეყანაში მეფე ვარ, ღმერთებში მძვინვარე ვარ, იგივებში გმირი ვარ, ანუნაქებში ძლიერი ვარ, გარეული მხეცების გამწყვეტი ვარ, მათაა მრქენელი ვერძი ვარ, ლერწმოვანში ცეცხლი ვარ, შამბნარში ცული ვარ, ლაშქრობის გზაზე ბაირაღი ვარ, ქარივით ვუბერავ, ადაღივით ვვრგვინავ, შამაშივით მთელ ცარგვალს მოვიხილავ, ველზე მორბენალი ველური ვერძი ვარ, საძოვარზე გავიჭრები და

ფარეხში ჩემს ადგილს ვიმკვიდრებ. ღმერთებს, ყველას, ბრძოლის ეშინიათ, შავთავიანები კი საქულველნი არიან. მე, – რაკი მათ არ ეშინიათ ჩემი სახელისა – და მე მარდუქის ბრძანება უგულვებლევავ, იგი თავის ნებისაებრ მოიქცა. მარდუქი განვარისხე, მისი გახტიდან წამოვავდე და ხალხი უპაგრონოდ დავავდე”.

გმირი ერა ბაბილონს, ღმერთების მეფის ქალაქს, მიუბრუნდა; ესანგილაში, ცისა და მიწის სასახლეში, შევიდა და წარდგა მის (მარდუქის) წინაშე; დაძრა ბაგე და ღმერთების მეფეს ეუბნება:

“რაგომ დაკარგა ბრწყინვალეობა შენი მეფობის ნიშანმა, ვარსკვლავის სადარმა? გვირგვინი შენი მეუფებისა, ეთემენანქის ღარად რომ ანათებდა, რაგომ შეიბურა?”

დაძრა ბაგე ღმერთების მეფემ, ამეგყველდა, ერას, ღმერთების მეფეს, სიგყვას ეუბნება:

“მეომარო ერა, იმ საქმეზე, რომლის გაკეთებას შენ აპირებ, ერთხელ, ღიდი ხნის წინათ განვრისხდი და ჩემი გახტიდან წამოვიმართე, წარღვნა მოვახდინე. წამოვიმართე ჩემი გახტიდან და ცისა და მიწის სამართალი დაირღვა. აჰა, ცა რომ შეირყა, ცის ვარსკვლავთა სადგურები შეიცვალა და აღარ აღვადგინე; ქვესკნელი რომ შეიძრა, ხნულების მოსავალი შემცირდა, გაძნელდა შრომა; ცისა და მიწის სამართალი რომ დაირღვა, წყაროებმა დაიკლო, მდინარეები დაშრა. მიმოვიხედე და მიმშილია! სულდგმულის შობადობამ იკლო, აღარ ავადორძინე. თითქოს მიწის მხენელი ვყოფილიყავი, მთელი თესლი ხელთ ვიპყარ. სხვა სახლი ავაშენე და იქ დავსახლდი.

ჩემს ძვირფას ნიშანს წარღვნამ დაკრა, შეიბალა. ჩემი სახის გაბრწყინება და ჩემი შესამოსლის განწმედა ვირას, ცეცხლის ღმერთს, ვუბრძანე. და როცა ჩემი ძვირფასი ნიშანი გაბრწყინდა და გასრულ-

და ეს საქმე, ჩემი მეუფების გვირგვინი დავირქვი და ჩემს ადგილზე დავბრუნდი. ჩემი სახე დიდებული გახდა, ჩემი შეხედვა – შესაზარი. ხალხმა, ვინც წარდენას გადაურჩა, იხილა, რაც მოხდა. ახლა ჩემი საჭურველი აღმართო და ნაგამალი მოვსპო? მათი ბრძენები აფსუში ჩავგზავნე და მათი ამოყვანა აღარ ვბრძანე; ქარვის ხეს, მესუს, ადგილი შევუცვალე და ვერავინ იპოვა. ახლა იმ საქმეზე, შენ რომ ბრძანე, მეომარო ერა:

სად არის მესუს ხე, ღმერთების ხორცი,

სამყაროს მეუფის საკადრისი?

წმიდა ხე, ბრწყინვალე მორჩი, მეუფების შესაფერი?

რომლის ფესვები ვრცელ ზღვაში ას ბერუზე ღრმავდება,

ქვესკნელის უფსკრულამდე?

რომლის წვეროკინი მალლა ანუს ცას სწვდება?

სად არის მაგინდურუს ელვარე ქვა, რომელიც მე ავირჩიე?

სად არის ნინილდუმი, ჩემი ღვთიურობის დიდი ღურგალი?

ელვარე ცულის მპყრობელი,

ვინც დღესავით აბრწყინებდა მას და ჩემ ფეხქვეშ მიგებდა?

სად არის გუშქინბანდა, ღმერთთა და კაცთა გამომსახველი,

რომლის ხელები წმიდაა?

სად არის ნინაგალი, ზემო და ქვემო დოლაბების მპყრობელი?

ვინც გყავივით ღეჭავს მაგარ სპილენძს

და ჭედავს საჭურველს?

სად არის რჩეული ქვები, ვრცელი ზღვის ნაშობნი,

გვირგვინის სამკაულნი?

სად არის აფსუს შვიდი აფქალი, წმიდა თევზები,

რომელთაც ეას მსგავსად, მათი მეუფისა, ფართე გონება აქვთ?”

გმირმა ერამ მოუსმინა მას და წამოდგა, დაძრა ბაგე და დიდებულ მარდუქს სიგყვას ეუბნება:

[. . . .]

მარდუქმა, ეს რომ მოისმინა, დაძრა ბაგე და სიგყვას ეუბნება გმირ ერას:

“ჩემი ტახტიდან წამოვიმართები და ცისა და მიწის სამართალს დავარღვევ, წყალი აღიღდება და ქვეყანას წაღეკავს, ნათელი ღღე წყვდიალად გადაიქცევა; ქარიშხალი აცყდება და ცის ვარსკვლავები შეიბურება; ავი ქარი დაუბერავს და ყოველი სულდგმულის მშენი დაბნელდება; ავსულები წამოიმართებიან და [. . . .] შეიპყრობენ; ანუნაქები ამოვლენ და სულდგმულთ ამოწყვეტენ. ვიდრე იარაღს ავისხამდე, ვინ გააბრუნებს მათ უკან?”

ეს რომ გაიგონა ერამ, დაძრა ბაგე და სიგყვას ეუბნება დიდებულ მარდუქს:

“დიდებულო მარდუქ, ვიდრე სახლში შეხვიდოდე, გირუ შენს სამოსელს განწმედს და შენს ადგილზე დაბრუნდები. მანამდე ცისა და მიწის სამართალი მტკიცედ მეჭირება ხელში. ცაში ავალ და იგიგებს განჩინებას მივცემ, აფსუში ჩავალ, ანუნაქებს მოვიხილავ, სასტიკ ავსულებს უკან მოუქცევებ ქვეყნად წავასხამ; ჩემს მძვინვარე იარაღს მათზე აღვმართავ; ბოროტ ქარს, როგორც ფრინველს, ფრთებს შევუკრავ. ამ სახლთან, სადაც შეხვალ, დიდებულო მარდუქ, კარის მარჯვნივ და მარცხნივ ანუს და ენლილს ხარებივით დავაყენებ”.

გაიგონა ეს დიდებულმა მარდუქმა და სიგყვა, რაც ერამ წარმოთქვა, ეამა.

დაფა მეორე

(დასაწყისი შემონახული არ არის)

იშუმმა დაძრა ბაგე, ამეცყველდა, გმირ ერას სიცყვას ეუბნება:
[. . . .]

შევიდა ემესლამში და ავიდა თავის ტახტზე. თავისთვის ლაპარაკობს ამ საქმეზე, მისი მრისხანე გული პასუხს არ იძლევა, კვლავ ეკითხება მას [. . . .].

“გმა გახსენი, ლაშქრობას ვიწყებ, ღლე მიიწურა, გადავიდა ქამი; შამამს ვეცყვი, რომ სხივებს უკლოს; სინმა ღამით შებუროს თავისი სახე; ადაღს ვეცყვი: უკან გაიხმე შენი მოზგრები! გაფანტე ღრუბლები, შეაჩერე თოვლი და წვიმა, მარღუქს და ეას [. . . .]; ვინც სიუხვეში გაიზარდა, გვალვაში ღაიმარხება; ვინც წყლის ღინებას მიჰყვება, მტვრიანი გზით დაბრუნდება; ღმერთების მეფეს ვეცყვი: ესაგილაში იჯექი! სიცყვას, რაც ბრძანე, საქმედ აქცევენ, შენს ბრძანებას აღასრულებენ; შავთავიანები შეგძახებენ, ნუ მიიღებ მათ ვედრებას; ქვეყნებს მოვასწორებ, ნანგრევებად ვაქცევ; ქალაქებს დავამხობ, გავაუღაბურებ; დავაქცევ მთებს და გავწყვეტ მათ ჯოგებს; ზღვებს ავაბობოქრებ და მოვსპობ მათ ღოვლათს; გავაუღაბურებ ლერწმოვანს, ცეცხლით გადავბუგავ; ხალხს დავამხობ და ცოცხალს არ დავგოვებ; არაფერს დავგოვებ, ერთ თესლსაც კი; შაქანის პირუტყვს საძოვარზე არ მიუშვებ; ქალაქიდან ქალაქში ჯარისკაცებს დავგზავნი. შვილი მამას შეიძულებს, ერთმანეთს მშვიდობას არ ეცყვიან; დედა შვილს, მომღიმარი, ბოროტებას განუზრახავს; ღმერთების სამყოფელში, სადაც ბოროტება არ იყო, ბოროტმოქმედს შევიყ-

ვან; დიდებულის სამყოფელში ნაძირალებს დავასახლებ; გარეულ მხეცებს საცხოვრებლებში შემოვრეკავ; ქალაქი, სადაც კი ისინი გამოჩნდებიან, გაუკაცრიელდება; მთის ჯოგებს ჩამოვრეკავ და ყველა ადგილს, სადაც კი მათ ფეხს დავადგმევინებ, გავაპარტახებ; მინდვრის მხეცებს ქალაქის მოედნებზე მივუშვებ; ნიშნებს ავად ვაქცევ, საწმიდარებს წავბილწავ, ღმერთების სამყოფელში სანხულხაზას შევიყვან; მეფის სასახლეს ნანგრევებად ვაქცევ; ხალხის ჟრიამულს შევწყვეტ, ადამიანებს სიხარულს წავართმევ, მშვიდობის ადგილზე მტრობას დავამკვიდრებ...”

[. . . .]

დაფა მესამე

(გრძელდება ერას მუქარები)

“წავართმევ ქონებას, მათ კი ღლეებს შევამოკლებ; მართალსაც კი, ვინც გამოესარჩლება, სულს ამოვხდი; ბოროტს კი, სულის ამომხდელს, მაღლა დავსვამ; ადამიანთა გულებს შევცვლი: მამა შვილს არ მოუსმენს, ქალიშვილი დედას სიძულვილით დაელაპარაკება; მათ ფიქრებს გავაბოროტებ, ღმერთს დაივიწყებენ, თავიანთ ქალღმერთს დიდად შეურაცყოფენ; აღვძრავ ავაზაკებს და გზებს გადავაკეცინებ, შუაგულ ქალაქში ერთმანეთის ძარცვას დაიწყებენ;

ლომი და მგელი გაწყვეტენ შაქანის პირუტყვს; [. . . .]; ჩვილზე და თოთოზე გლოვას გადავაჩვევ ძიძას; ალაღას ხმას ყანებიდან განვღვნი. მწყემსი და სარქალი თავიანთ ბინებს დაივიწყებენ; სამოსელს შემოვაძარცვავ ადამიანებს; ყმაწვილკაცებს შიშვლებს ვა-

გარეხ ქალაქის ქუჩებში; ყმაწვილკაცებს ქვესკნელში უსამოსლოდ ჩავერეკავ; ყმაწვილკაცის სიცოცხლის ფასი ერთ სამსხვერპლო ცხვარს გაუთანაბრდება; დიდებულისთვისაც ძვირი შეიქნება შამაშის სამისნოს ბაგკანი, სნეულს კი შემწვარი ხორცის ერთი ნაჭერი მოენაგრება შესაწირავად... [ტექსტის ფრაგმენტები] მათი სისხლი არხის წყალივით აღინე ქალაქის ქუჩებში; გახსენი მათი ძარღვები და მდინარეში მიუშვი. ენლილმა “ვაი” იყვირა, გული შეეკუმშა, თავის სადგომში [. . .]; შეუწყალებელი წყველა გაჩნდა მის ბაგეზე; დაიფიცა, აღარ შესვამდა მდინარის წყალს; მათი სისხლის შეეშინდა და ექურში ვერ შევიდა.

ერა იშუმს, თავის წინამძღოლს, სიგყვას ეუბნება:

“შვიდეული, სწორუპოვარი მეომრები... [ტექსტი უაღესად ფრაგმენტულია]; გზა გახსენი, შევუდგე ლაშქრობას; შვიდეული, სწორუპოვარი მეომარნი, დარაბზე; ჩემი მძვინვარე იარაღი ჩემს გვერდით ვილოდენ; და შენც, ჩემს წინ მავალო და ჩემს უკან მავალო!”

ისმინა იშუმმა მისი ეს სიგყვა, სიბრალულმა მოიცვა და თქვა თავის გულში: “ვაი ჩემს ხალხს, ერას რისხვა თავს რომ დააგყდა; მათ ამოსაწყვეტად არ ცხრება მისი მკლავი; თითქოს ბოროტ ანზუს შესაპყრობად ბადე აქვს მოსროლილი...”

იშუმმა დაძრა ბაგე, ამეცყველდა, მეომარ ერას სიგყვას ეუბნება:

“რაგომ განიზრახე ბოროტება ღმერთებისთვის და კაცთათვის? შავთავიანი ხალხისთვის ბოროტი განიზრახე შეუბრალებლად?”

ერამ დაძრა ბაგე, ამეცყველდა, იშუმს, თავის წინამძღოლს, სიგყვას ეუბნება:

“იგიგების ამრი იცი და ანუნაქების რჩევა; შავთავიანი ხალხს შენ უცხადებ გადაწყვეტილებებს [. . .]; რაგომ ლაპარაკობ უმეცარივით?”

თითქოს მარღუქის სიგყვა არ უწყოდე, იმგვარად მირჩევ; ღმერთების მეფე ამღვარია თავისი ცახტიდან, ქვეყნები როგორ გაძლებენ? თავისი მეუფების გვირგვინი მოიხადა – მეფემ და მთავარმა დაივიწყეს თავიანთი ბრძანებები; მარჯვენაში უპყრია კვერთხი, თავისი დიდებული იარაღი; მარღუქმა შეიხსნა თავისი სარგყელი; ღმერთთა და კაცთა კავშირი გაწყდა, ძნელია შეკვრა;

მძვინვარე გირუ, ცეცხლის ღმერთი, თავის სამკაულს დღესავით აბრწყინებს და თავის მელამს გამოუგევეს. მარჯვენაში კვერთხი უპყრია, თავისი დიდი იარაღი; დიდებული მარღუქის მზერა მძვინვარეა. ხოლო მე რასაც გეუბნები *[ტექსტი ფრაგმენტულია]*... ღმერთების წინამძღოლო, ბრძენო იშუმ, ვისი რჩევაც სასიკეთოა, ახლა რაგომ ლაპარაკობ ასე? მარღუქის სიგყვა არ გეამება”.

[. . . .]

დაძრა იშუმმა ბაგე, ეუბნება მეომარ ერას:

“მეომარო ერა, ცის აღვირები შენ გიპყრია, მთელი ხმელეთის გამგებელი ხარ, ქვეყანაზე ბატონობ, ზღვებს აბობოქრებ, მთებს მოასწორებ, კაცთა მოდგმას უძღვები და ჯოგებს მწყემსავ; ეშარა შენს წინაშეა, ენგური შენს ხელთაა, შუანაზე ბრუნავ, ესანგილას განაგებ; ყველა განგება შეკრებილი გაქვს; ღმერთებს ეშინიათ შენი, იგიგები გიფრთხიან, ანუნაქები ძრწიან შენს წინაშე; რჩევას იძლევი, ანუ, ცის ღმერთი, გისმენს; ენლილი გეთანხმება, შენს გარეშე არაფერი შეიცვლება; უშენოდ ბრძოლა ვის უნახავს? ბრძოლის შესამოსელი შენია! და შენ ამბობ შენ გულში: საქულველი ვარ”.

ღაფა მეოთხე

“ო, მეომარო ერა, დიდებული მარდუქის სახელის არ გემინია! ბაბილონი, ქვეყანათა კავშირი, დაგირღვევია, შენი ღვთიური ბუნება შეგიცვლია, ადამიანს დამსგავსებხარ; შენი იარაღით აღჭურვილხარ და ბაბილონში შესულხარ; ბაბილონში ქალაქის დამპყრობელივით ალაპარაკდი, ბაბილონელები, დაუცველი ლერწმებივით, ყველანი შენს წინააღმდეგ შეიკრიბნენ; ვინც იარაღი არ იცოდა, საგვეარი იშიშვლა; ვინც მშვილდოსნობა არ იცოდა, მშვილდი მოზიდა; ვინც ომი არ იცოდა, ბრძოლაში ჩაება; ვინც ფრთები არ იცოდა, ჩიტივით გაფრინდა.

(ტექსტი ფრაგმენტულია)

განმგებელი, სიწმიდეთა მცველი, შეურაცხევს; ბაბილონის კარიბჭე, სიუხვის მდინარე, მათმა ხელმა გადაკეცა; ბაბილონის საწმიდარს ქვეყნის მძარცველებივით ცეცხლი წაუკიდეს; შენ მათ თავში იყავი, წინ მიუძლოდი; ბაბილონის შიდა კედელს ისარი სცყორცნე, “ვაი, გულო”, აღმოხდა; მუხრა, კარიბჭის მცველი, ვაყებისა და ქალების სისხლში იჯდა; ბაბილონის მცხოვრებნი ჩიგები იყვნენ, შენ – მათი მომნადირებელი; ბაღეში გაახვიე ისინი, შეიპყარ და მოსპე, მეომარო ერა! ქალაქი გააპარგახე, ლომის სახე მიიღე და სასახლეში შეხვედი; დაგინახა ლაშქარმა და საჭურველი აისხა; განმგებლის, ბაბილონის შურისმგებლის, გული რისხვით აღივსო; უბრძანა თავის ლაშქარს, ეძარცვათ, როგორც მგრები ძარცვავენ; ლაშქრის წინამძღოლს ბოროტის ქმნა დაავალა: ამ ქალაქისკენ გგზავნი შენ,

კაცო! ღმერთის ნუ გეშინია, ადამიანს ნუ უფრთხი; დიდი და პაგარა ერთიანად დახოცე; ნურავის დაინდობ, ნურც ძუძუმწოვარ ბავშვს; ბაბილონის დაგროვებული ღოვლათი იალაფე. მეფის ჯარი შეიკრიბა და შევიდა ქალაქში, ცეცხლოვანი ისრებით და აღმართული ხმლებით... მათი სისხლი არხის წყალივით აღინე ქალაქის მოედანზე; მათი ძარღვები გახსენი და გაასისხლმდინარე; დიდმა ბაგონმა მარდუქმა დაინახა და “ვაი” იყვირა, შეიძრა მისი გული; დაურღვეველი წყევლა აღმოხდა მის ბაგეებს; დაიფიცა, აღარ შესვამდა მდინარის წყალს; მათი სისხლის გამო ესანგილაში აღარ შევიდოდა.

“ვაი, ვაი, ბაბილონო! ვითარცა ფინიკი შენი თაფანი ავაყვავე,
მაგრამ ქარმა გამოაშრო!

ვაი, ვაი, ბაბილონო! ვითარცა ნაძვი გირჩებით, ხორბლით აგავსე,
მაგრამ ვერ დავეტკი მისი სისავსით!

ვაი, ვაი, ბაბილონო! ვითარცა სიუხვის მგილი დაგნერგე,
მაგრამ ვერ მოვისთველე მისი ნაყოფი!

ვაი, ვაი, ბაბილონო! ვითარცა ბეჭედი ქარვისა ცის ქელზე დაგკიდე,
მაგრამ შვებით ველარ გიმშირე!

ვაი, ვაი, ბაბილონო! ვითარცა დაფა ბედისწერათა ხელთ გიპყარ,
მაგრამ ველარავის ჩაგაბარე!”

ასე ამბობდა დიდებული მარდუქი.

[. . . .]

“სიპარი, ძველთაძველი ქალაქი, ბელმა განარიდა წარღვნის წყლებს, რადგან ეძვირფასებოდა მას. შამაშის ნების წინააღმდეგ დააქციე მისი გალავანი და მისი ქონგურები დაანგრე; ურუქი, ანუსა და იშთარის საყოფელი, ებრეთების, შამხათების და ხარიმთების ქალაქი, რომელთაც იშთარმა ქმრები წაართვა და თავისად შერაცხა,

სუთელების –კაცისა და ქალის წინაშე ააკენესა. აღადგინა ეანაში საჭურისები და ევნუქები, იშთარმა რომ ხალხის დასაშინებლად მამაკაცობა დედაკაცობად შეუცვალა; ხანჯლოსნები და მახვილოსნები, ისინი, ვინც იშთარის გულის გასახარად, სისაძაგლეს სჩადიოდნენ, სასტიკი განმგებელი, შეუბრალებელი, დაუყენა მათ; დათრგუნა ისინი და მათი წესები ჩაშალა; იშთარი გაჯავრდა და ურუქზე რისხვა დაათია; აღძრა მგერი და, როგორც მარცვლები, წყლით წარხოცა ქვეყანა. ფარსის მცხოვრებმა ეუგალის დანგრევის გამო გოდებისგან სული ვერ მოითქვა; მგერი, რომელიც შენ აღძარი, არ ცხრება”.

იშთარანმა ასე მიუგო: “დერი-ქალაქი ნანგრევებად აქციე; ხალხი, მასში მცხოვრები, ლერწამივით გათელე; როგორც ქაფი წყლის წინაშე, მათი ხმა ჩაახშე; არ დამინდე მეც და სუთელებს მიმეცი; მე დერი-ქალაქისთვის სამართალს ვეღარ განვიკითხავ, ქვეყნის საქმეს ვეღარ ვწყვეტ, განაჩენს ვერ ვიძლევი; ხალხმა სამართალი დაივიწყა, ძალადობას ხელი მიჰყო, სიმართლე მიატოვა, ბოროტებას შეუღდა. და მე ერთ ქვეყანაზე შვიდ ქარს აღვძრავ.

ვინც ბრძოლაში არ მოკვდება, ქამიანობაში მოკვდება;
ვინც ქამიანობაში არ მოკვდება, მგერს გყვედ ჩაუვარდება;
ვინც მგერს გყვედ არ ჩაუვარდება, ყაჩაღი მოკლავს;
ვისაც ყაჩაღი არ მოკლავს, მეფის მახვილი მისწვდება;
ვისაც მეფის მახვილი არ მისწვდება, მთავარი დაამხოვს;
ვისაც მთავარი არ დაამხოვს, ადადი წარხოცავს;
ვისაც ადადი არ წარხოცავს, შამაში გადაბუგავს;
ვინც გარეთ გავა, ქარი გახვეტავს;
ვინც თავის სახლში შევა, ავსული დაჰკრავს;
ვინც მალლობზე ავა, წყურვილით მოკვდება;

ვინც დაბლობზე ჩავა, წყლისგან მოკვდება;

მაღლობი თუ დაბლობი ერთნაირად მოუღებს ბოლოს.

ქალაქის განმგებელი თავის მშობელ დედას ასე ეტყვის: იმ დღეს, როცა მშობლი, ნეტავ შენს მუცელში დავრჩენილიყავი; ჩვენი სუნთქვა შემწყდარიყო და ერთად დავხოცილიყავით – რომ მიმეცი ქალაქს, რომლის კედლები ჩამოიქცა, რომლის ხალხი საქონელია, მათი ღმერთი – ყასაბი, და რომლის ბაღე გაშლილია და მისგან თავს ვერავინ დააღწევს. ვინც ვაჟი შვა, აჰა, ჩემი ვაჟი, ამბობს: ეს გავზარდე მე, ეს იქნება ჩემი შურისმგებელიო. მე მოვკლავ მას, მამამისი დამარხავს, მერე მის მამას მოვკლავ და დამმარხავი არ ეყოლება. ვინც სახლი და განუნი აიშენა, ასე ამბობს: ეს მე ავაშენე და შვებას ვპოვებ მასში, როცა წამიყვანს ბედისწერა, აქ დავიძინებო. მას მოვკლავ და მის განუნს ავაოხრებ, მერე კი ნაოხარს სხვას მივცემ”.

“გმირო ერა, შენ კლავ მართალს, კლავ უსამართლოს; კლავ მას, ვინც შეგცოდა; კლავ მასაც, ვისაც არ შეუცოდავს; კლავ ქურუმს, ვინც ღმერთის სამსახურად იჩქარის; კლავ კარისკაცს, მეფის მსახურს; კლავ მოხუცებულს თავის პარმადთან; კლავ პაგარა გოგონებს მათ საწოლებში; და მაინც არ ცხრები და გულში ამბობ, ვძულვარო მათ და ასე ამბობ გულში, მეომარო ერა:

“ძლიერს დავამხობ და სუსტს შევაშინებ; ჯარის წინამძღოლს მოვკლავ და ჯარს გაფხანტავ; საწმიდარის გიგუნას, გალაგნის ქონგურებს დავანგრევ; ქალაქის მშენებებს მოვსპობ; პალოებს ამოვძირკვავ, რომ ხომალდი [. . .]; საჭეს დავლეწავ, რომ ხომალდი ნაპირს ვერ მიაღგეს; ანძას ამოვაძრობ და გავძარცვავ აღჭურვილობისგან; ძუძუებს გავაშრობ და ვერ იცოცხლებენ ჩვილები; წყაროებს გადავკეცავ და ნაკადულები უხვ წყალს ვერ მოიგანენ; ქვესკნელს შე-

ვარყევ და ცას შეეძრა; შულფაეს სხივთა ბრწყინვალეობას ჩავაქრობ და ცის ვარსკვლავებს ჩამოვყრი; ხეთა ფესვებს მოვკვეთავ და გოგებს აღარ გამოიგანენ; გალაენის საძირკველს გამოვთხრი, რათა შეირყეს მისი თავი; მივსწვდები ღმერთების მეფის სამყოფელს, რომ რჩევა აღარ იყოს”.

ისმინა ეს მეომარმა ერამ და სიგყვა, იშუმმა რომ წარმოთქვა, წმიდა ბეთივით ეტკობო მას. და ეს თქვა მეომარმა ერამ:

“ზღვა ზღვას, სუბართუ სუბართუს, აშურელი აშურელს, ელამელი ელამელს, ქაშელი ქაშელს, სუთელი სუთელს, გუთიელი გუთიელს, ლულუბელი ლულუბელს, ქევეყანა ქევეყანას, ქალაქი ქალაქს, სახლი სახლს, კაცი კაცს, ძმა ძმას არ დაინდობს, ერთმანეთს დახოცავენ, და მერე აღდგება აქადელი ყველას დასამხოზად და ყველაზე საბატონოდ”.

მეომარი ერა იშუმს, თავის მაცნეს, სიგყვას ეუბნება:

“წადი, იშუმ, სიგყვა, რაც წარმოთქვი, აღასრულე, აისრულე გულისწადილი!”

იშუმმა ხიხის მთისკენ მიმართა პირი. შვიდი უსწორო მეომარი უკან მიჰყვა; ხიხის მთას მიაღვა გმირი, აღმართა ხელი და ჩამოიქცა მთა; ხიხის მთა მიწასთან გაასწორა, კვიპაროსის გყვ გაჩეხა; ქალაქები გააუკაცრიელა, უდაბნოდ აქცია; მთები დააქცია, მისი ცხოველები ამოწყვიტა; ზღვები აბობოქრდა და დაიკარგა მისი დოვლათი; ლელიანი და ლერწმოვანი გადახმა ცეცხლში გადაბუგულივით; ჯოგები დაწყევლა და მიწად აქცია.

დაფა მესუთე

როცა ერა დაცხრა და თავის ადგილზე დაჯდა, ღმერთები ყველანი მას შესცქეროდნენ; იგიგები და ანუნაქები ერთიანად შეშინებულები იდგნენ. ერამ დაძრა ბაგე და ღმერთებს, ყველას, ეუბნება:

“ყური მიგღეთ ყველამ, ჩემი სიგყვა ისმინეთ! ნამღვილად, მე ჩემ წინა ცოდვაში ავი ჩავიფიქრე, გული განვირისხე და ხალხი ამოვწყვიტე; ქირის მწყემსივით ფარის წინამძღოლი ფარეხიდან გავიყვანე; მასავით, ვისაც ბალი არ დაურგავს, სწრაფად ავჩეხე; ქვეყნის მპარცველივით მართალი და ბოროტი განურჩევლად დავამხე; როგორც მსხვერპლი მძვინვარე ლომის ხახას თავს ვერ დააღწევს, და სადაც ერთი მძვინვარებს, მეორეს არ ძალუცს რჩევის მიცემა!

იშუმის გარეშე, ჩემი მაცნისა, რამე მოხდება? სად არის თქვენი მაწვიმებელი, თქვენი ქურუმი? სად არის თქვენი დამპყრებელი? აღარ იყნოსავთ საკმევლის სურნელებას?”

იშუმმა დაძრა ბაგე, ამეგყველდა, მეომარ ერას სიგყვას ეუბნება:

“მეომარო, იღუმე და ისმინე რასაც გეგყვი! კმარა! ახლა დამშვიდდი, რომ გემსახუროთ. შენი რისხვის დღეს სად იყო შენი მეგოქე?”

გაიგონა ერამ და სახე გაუბრწყინდა, ნათელ დღესავით გასხვიოსნდა.

შევიდა მესლამის ცაძრად და ცახგმე დაბრძანდა. მოუხმო იშუმს და მისცა ნიშანი, აქადის გაფანტული ხალხის გამო ვაცა ბრძანება:

“ქვეყნის შემცირებულმა ხალხმა კვლავ იმაგოს; მცირემ და დიდმა იარონ მის გმებზე; სუსტმა აქადელმა ძლიერ სუთელს ძლიოს; ერთმა შვიდი ცხვარივით წაასხას; მის ქალაქებს ნანგრევებად და მის მთებს უღაბნოდ ვაქცევ; მის მძიმე ნაღავლს შუანაში მიიგან;

განრისხებულ ღმერთებს შეარიგებ მათ საცხოვრისებთან; შაქანს და ნისაბას კვლავ ქვეყნად ჩამოიყვან; მთებს მათ სიუხვეს და ზღვას მის ღოვლათს მოაგანინებ; გაპარგახებულ ყანებს ღოვლათს გამოალეზინებ. დაე, ყველა ქალაქის განმგებელმა მათი უხვი ღოვლათი შუანაში მიიგანოს; დაე, დანგრეულმა ტაძრებმა თავები შუადღის მზესავით აღმართონ; ეფფრატმა და ტიგროსმა უხვი წყლები მოიგანონ; ესანგილასა და ბაბილონის მზრუნველმა, ყველა ქალაქის განმგებელმა [. . . .]”.

ურიცხვი წელი დიდ ბატონს ნერგალს და გმირ ერას დიდება!

რაც ერა განრისხდა ქვეყანათა დასაქცევად და ხალხის ამოწყვეტა განიზრახა, იშუმმა, მისმა მრჩეველმა, დაუცხრო რისხვა და დააბრუნა თავის ადგილზე.

ამ დაფის ჩამწერი არის ქაბით-ილანი-მარდუქი, დაბიბის ძე. ღამით გამოეცხადა (იშუმში) და, როცა დილით გაიმეორა, არაფერი დაუკლია, ერთი ბწკარიც არ მიუმატებია. ისმინა ეს ერამ და დასტური დასცა; მოეწონა იშუმს, მის მოციქულს. ღმერთები, ყველანი ერთობლივ, აქებდნენ მასთან ერთად, და ასე ილაპარაკა გმირმა ერამ:

“რომელი ღმერთიც პატივს მიაგებს ამ სიმღერას, მის საწმიდარში სიუხვე დაგროვდება და რომელიც უგულვებელყოფს, ვერ იყნოსავს საკმევლს. რომელი მეფეც ჩემს სახელს განადიდებს, სამყაროზე იმეფებს; მთავარს, რომელიც ჩემი გმირობის დიდებას იტყვის, მეტოქე არ ეყოლება; მგალობელი, ვინც მას იგალობებს, ქამიანობაში გადარჩება; მეფისა და მთავრისთვის მოსაწონი იქნება მისი ნათქვამი; დაფათმწერალი, ვინც გაავრცელებს მას, უცხო ქვეყანაში გადარჩება და თავის ქვეყანაში დაფასებული იქნება; ბრძენთა საწმიდარში, სადაც ჩემი სახელი მარადის იხსენება, მივცემ მათ დიდ ცოდნას; სახლში,

სადაც ეს ღაფა იღება, თუნდაც ერა მრისხანებდეს და შვიდეული მუს-
რავედეს, ჟამიანობის მახვილი არ ეწევათ, მშვიდობით იცხოვრებენ.
ეს სიმღერა სამარადისოდ ეგოს, გაგრძელდეს სამუდამოდ, ყველა
ქვეყანა ისმენდეს და აქებდეს ჩემს გმირობას, ხალხმა იცოდეს და
ჩემს სახელს აღიღებდეს!”

აღაპა

ბედის გამრიგემ და სიბრძნის უფალმა,
ვისი ბრძანებაც ანუს ბრძანებაა,
საჭვრეგად ქვეყნის ბედისწერათა
ვრცელი გონებით სრულყო აღაპა.
მაგრამ მარტოოდენ სიბრძნე მიანიჭა,
მარადი სიცოცხლე არ მიანიჭა.
მრავალთა ღლეთა და წელთა წინათ
ბრძენთაბრძენი, კაცი ერიდუელი,
ეამ კაცთა მოდგმის ბელადად შექმნა,
მოძღვრად, ვის სიგყვას ვერვინ შერყვნიდა.
ვრცელაზროვანი შორის ანუნაქთა,
უბიწო, წმიდახელიანი, მცხებელი ქურუმი,
ღვთაებრივ წესთა გამრიგე იყო.
მცხოვლებთან ერთად პურს აცხობდა,
ერიდუს მცხოვლებთან ერთად პურს აცხობდა.
სამზრდელს და სასმელს ერიდუსთვის მარად ამზადებდა,
წმიდა ხელებით გაბლას განაწყობდა,
გარეშე მისა გაბლა არ ალაგდებოდა.
გაძრის ხომალდის საჭეს მართავდა,

ერიდუსთვის სათევზაოდ გადიოდა.
ერთხელ ადაპამ, ერიდუელმა,
რა დაღვა ქამი განსვენებისა,
რა დაიგმანა ერიდუს ჭიშკრები,
წმიდა ყურეში, ნანარის ყურეში,
შეაგლო ხომალდი თვისი.
ოდეს დაჰბერა კეთილმა ქარმა,
გზას შეუღვა ხომალდი მისი.
ნიჩბით მართავდა ხომალდს ადაპა
და ასე შეცურდა ვრცელ ოკეანეში.
ზღვა კრიალებდა, ვითარცა სარკე...
მოულოდნელად ატყდა ქარიშხალი,
სამხრეთის ქარმა ხომალდს დაუბერა
და ჩაძირა თევზთა სამყოფელში.
გული აღევსო წყრომით ადაპას,
სასტიკად დაწყევლა სამხრეთის ქარი:
“სამხრეთის ქარო, საშველად შენდა,
მოიხმე ძმები, ვინც კი გისხენან!
უნდა დავლევო მე ფრთენი შენნი”.
რაწამს წარმოთქვა სიტყვები ესე,
ფრთენი დაეღეწა ქარს სამხრეთისას.
შვიდ ღღეს არ ქროდა სამხრეთის ქარი.
ანუმ მოუხმო მსახურს, ილაბრათს:
“რად არ ქრის შვიდ ღღეს სამხრეთის ქარი?”
ასე მიუგებს მსახური ილაბრათ:
“უფალო, ადაპამ, ერიდუელმა,

ქარს სამხრეთისას ფრთენი დაულეწა”.
რა ესმა ანუს სიგყვები ესე,
შესძახა: “მშველელი!”, ტახტიდან წამოდგა:
“აქ მომგვარეთ ადაპა, კაცი იგი!”
აქ ეამ, ვინც უწყის ზეცის საქმენი,
მზრუნველი ხელი მოჰკიდა ადაპას,
ადაპას თმები მოაზრდევინა,
სამგლოვიარო ძაძით შემოსა,
და შთააგონა სიგყვები ესე:
“ადაპა, მეუფე ანუსთან მიდიხარ,
ნათქვამი ჩემი შეიგონე:
ოღეს ცაღ ახვალ, ანუს კარიბჭეს მიაღვები,
ანუს კარიბჭესთან თამუზი და გიშვიდა დაგხვდებიან,
დაგინახავენ, შეგეკითხებიან:
კაცო, ვის გამო შექმნილხარ ასე?
ადაპა, ვის გამო შემოსილხარ ძაძით?
მიუგებ:
ჩვენი ქვეყნიდან ორი ღმერთი დაიკარგა...
მათ გამო შექმნილვარ ასე,
მათ გამო შევმოსილვარ ძაძით.
შეგეკითხებიან:
ვინ ორი ღმერთი დაიკარგა ქვეყნიდან?
მიუგებ:
თამუზი და გიშვიდა.
ერთურთს შეხედავენ, გაიდიმებენ,
და კეთილ სიგყვას ეცყვიან ანუს,

ანუს მწყალობელ სახეს გიჩვენებენ.
ოდეს წარდგები ანუს წინაშე,
სიკვდილის საჭმელს მოგიგანენ, არ ჭამო!
სიკვდილის სასმელს მოგიგანენ, არ შესვა!
სამოსელს მოგიგანენ, შეიმოსე!
ნელსაცხებელს მოგიგანენ, ტანს იცხე!
რჩევა, რაც გირჩიე, არ დაივიწყო,
სიგყვა, რაც გითხარ, შეიგონე!”
მაშინ მოვიდა ანუსგან მაცნე,
ანუს ბრძანება მოიგანა:
“აქ მომგვარეთ ადაპა, კაცი იგი,
ვინც სამხრეთის ქარს ფრთენი დაუღეწა!”
გეცის გზად დააყენა, გეცად აიყვანა.
გეცად ასვლისას,
ანუს კარიბჭესთან მიდგომისას,
თამუში და გიშმიდა ანუს კარიბჭესთან დახვდნენ.
ოდეს დაინახეს ადაპა, შესძახეს:
“კაცო, ვის გამო შექმნილხარ ასე?
“ადაპა, ვის გამო შემოსილხარ ძაბით?”
“ჩვენი ქვეყნიდან ორი ღმერთი დაიკარგა.
მათ გამო შევექმნილვარ ასე.
მათ გამო შევემოსილვარ ძაბით”.
“ვინ ორი ღმერთი დაიკარგა ქვეყნიდან?”
“თამუში და გიშმიდა”.
ერთურთს გადახედეს და გაიღიმეს.

ოდეს ადაპა მეუფე ანუს წინაშე წარდგა,
შეხედა ანუმ და შესძახა:
“რად დაუღეწე, ადაპა, სამხრეთის ქარს ფრთენი?”
ასე მიუგებს ადაპა ანუს:
“შუაგულ ზღვაში, უფალო ჩემო,
ეას გაძრისათვის თევზს ვიჭერდი.
ზღვა სარკესავით კრიალებდა,
მაგრამ უეცრად აგყდა ქარიშხალი,
სამხრეთის ქარმა ხომალდს დაუბერა
და ჩაძირა თევზთა სამყოფელში.
ამად დავწყევლე სამხრეთის ქარი”.
დადგნენ მის მეობად თამუზი და გიშზიდა,
კეთილი სიგყვები მიუთხრეს ანუს.
დადუმდა ანუ, გული დაუცხრა.
“რად გაუმქლავნა უღირს კაცისშვილს
ეამ წიაღი ცათა და მიწისა?
რად განაღადა, სახელი რად მისცა?
აწ რაღა ვუყოთ ჩვენ კაცსა ამას?
სიცოცხლის საჭმელი მიუგანეთ, შეჭამოს!”
სიცოცხლის საჭმელი მიუგანეს, არ შეჭამა.
სიცოცხლის სასმელი მიუგანეს, არ შესვა...
სამოსელი მიუგანეს, შეიმოსა.
ნელსაცხებელი მიუგანეს, განს იცხო.
შეხედა ანუმ, გაუკვირდა:
“ეჭა, ადაპა, რად არ შეჭამე, რად არ შესვი?
ამიერიდან ველარ იცოცხლებ...”

“ეამ, უფალმა ჩემმა, შთაბაგონა:
არ შემეჭამა, არც შემესვა”.
აღაღო ანუმ პირი და წარმოთქვა:
“წაიყვანეთ, უკან დააბრუნეთ,
მის მიწიერ სადგომზე დასვით!..”

ეთანა

გველი და არწივი

მათ გამოსახეს გეგმა ქალაქისა, ღმერთებმა ჩადეს მისი საძირკვლები, მათ გამოსახეს ქიში-ქალაქი, იგიგებმა დააფუძნეს მისი კედლები.

“დაე, ის იყოს მათი მწყემსი, ეთანა იყოს მათი მშენებელი...”

ანუნაქები დიდი ღმერთები, ბედისწერის დამსაზღვრელნი, დასხდნენ სათათბიროდ ქვეყნისათვის, ოთხივე კუთხის შემქმნელნი, ყოველთა ნივთთა გამომსახველნი.

ყველას ბრძანებისამებრ იგიგებმა დააწესეს დღესასწაული ხალხისათვის, მაგრამ მეფე ჯერ არ იყო განწესებული ურიცხვს ხალხზე, მას ჟამს თავსაბურველი არ იყო შეთხზული, არც გვირგვინი, არც კვერთხი იყო ლაყვარდით შემკული, არც ტახტი იყო ჯერ მოწყობილი, ხალხებისგან დასაცავად ჭიმკრები ჩაკეცეს.

იშთარი ჩამოვიდა ციდან მწყემსის საძებნელად და მეფეს ეძებდა ყველგან, ენლილმა გასინჯა ეთანას ტახტი, კაცისა, რომელსაც იშთარი წყალობს...

“დაე, მეფობა იყოს მის ხელში, დაე, ქიშის გული გამხიარულდეს!

მეფობა, სხივოსანი გვირგვინი, ტახტი ჩამოიგანა და [. . . .]”.

ააგო გოდოლი, აუგო საწმიდარი ადადის ჭაროსის ღმერთს. საწმიდრის საფარველქვეშ ჭადარი აღორძინდა, მის ვარჯებში არწივი დასახლდა, მის ფესვებში დასახლდა გველი. ღღენიადაგ ველურ მხეცებს მვერავენ. არწივმა ბაგე დაძრა, გველს ეტყვის:

“გული მიწევს შენთან სამეგობროდ”,
აღალო გველმა პირი, არწივს ეუბნება:
“დაუნდობელი ხარ შენ, არწივო!
ძლიერ ავსულებს და ეშმებს ანაღგურებ.
მოდღი, მე და შენ მთაზე ავიღეთ,
ბარი ღვეგოვოთ, ურთიერთს შევფიცოთ”.
ასე მოიქცნენ გველი და არწივი,
შამაშის წინაშე წარმოთქვეს ფიცი:
“ვინც გადაუხვიოს შამაშის გზიდან,
დაე, შეეკრას მთის გადასასვლელი,
ბილიკი დაეკარგოს, გზა ველარ გაიგნოს,
შუბი განმგმირავი მისკენ მიიმართოს!
ვრცელია ბადე გმირი შამაშისა,
უვრცელეს ხმელეთს ეფინება იგი,
მორეულ მენას მოიცავს იგი.
შამაშის ბადეს თავს ვინ დააღწევს?
თვით ავი ანბუ მას ვერ გაექცა!”
ასე შეჭფიცეს გველმა და არწივმა,
ქმნეს მეგობრობა ურთიერთს შორის
და წადილი თავიანთი გულისა

ურთიერთს განუცხადეს.
ხის ჩრდილქვეშ შობა გველმა,
ხის მწვერვალზე იბარცყა არწივმა.
გველი გადიოდა სანადიროდ...
ოდეს გველი შეიპყრობდა პროხას ან ცხვარს,
არწივი კვებავდა თავის მართვეს.
ოდეს გველი შეიპყრობდა თხას ანუ ქურციკს,
არწივი კვებავდა თავის მართვეს.
და ოდეს მართვე არწივისა
სრულიქმნა ასაკით და ტანით,
და ოდეს მომძლავრდნენ ფრთენი მისნი,
არწივმა თვის გულში ბოროტი იმრახა,
ბოროტი იმრახა არწივის გულმა,
მოყვასის შვილთა შეჭმა განიმრახა:
“სრულიქმნა მართვე ჩემი ასაკით და ტანით,
მომძლავრდნენ ფრთენი მისნი,
აწ შორს გაფრინდება სამრდოს საძებრად.
ხოლო მე შევჭამ გველის წიწილებს,
აფრინდები და ზეცად ავალ,
იქ დავიმკვიდრებ სამყოფელს ჩემსას,
ვინლა იქნება მპოვნელი ჩემი?
გული გველისა ვერას მიხვდება”.
მცირე მართვე მისი, ვრცელაზროვანი,
არწივს, მამამისს, სიგყვას ეუბნება:
“ნუ შეჭამ, მამავ, გველის წიწილებს,
მამამის ბადეში გაეხვევი,

შეგიპყრობს ბაღე შამაშის ფიცისა.
შამაშის მცნებათაგან გარდამხლომი
შამაშის ხელითვე ბოროტად ისჯება!”
არ შეისმინა სიგყვები იგი,
არ შეისმინა მართვეს ნათქვამი,
დაეშვა, შეჭამა გველის წიწილები.
ამ ამბის შემდგომ შუადღის ჟამსა
გველი ბრუნდებოდა თავის წიწილებთან,
მოჰქონდა გვირთად საზრდელი მათი.
და რა იხილა ბუღე ანგრეული,
რომ აღარ იყვნენ მისი წიწილები,
მყის მიხვდა გველი არწივის საქმეს.
შამაშის წინაშე დაღვარა ცრემლები,
და ასე იგყოფდა შამაშის მიმართ:
“შენ შეგივრდები, ჰოი, გმირო შამაშ!
ამბავი მომაქვს არწივის საქმისა,
არწივის მზაკვრობა უნდა განგიცხადო:
მარადლე ფიცის ერთგული ვიყავ,
ავი არ მიმრახავს ჩემი მეგობრისთვის.
მრთელია ბუღე მისი, ჩემი – დანგრეული,
მრთელია მართვე მისი,
წიწილნი ჩემნი კი აღარ მისხენან.
მან ბუღე ჩემი იღუმალ მოძებნა...
ოდეს მე არ ვიყავ ჩემს წიწილებთან,
დაეშვა, შეჭამა ჩემი წიწილები.
ჩემდამო ბოროტი მიუბღე, შამაშ!

შამაშ, ვრცელია ბაღე შენი,
უვრცელეს ხმელეთს ეფინება იგი.
შამაშ, ვრცელია ბაღე შენი,
შორეულ გეცას მოიცავს იგი.
მაგა ბადისგან თავს ვინ დააღწევს?
თვით ავი ანბუ მას ვერ გაექცა!
ნუ გაექცევა შენს ბაღეს არწივიც,
ბოროტის მქნელი და მზაკვარი,
ვინც ავი იზრახა თვისი მოყვასისთვის!”
შეიწყნარა შამაშმა გველის ვედრება,
აღალო პირი, გველს ეუბნება:
“გაჰყევი გზას და მთა გაღიარე,
გზაზე ხარის ლეშს დაგახვედრებ.
მუცელი გაუფატრე, ფაშვში შეუძვერ,
და მის შიგანში მოიწყვე ბინა.
ცის ყველა ფრინველი ქვე დაეშვება
გემოსხილვად ხარის ლეშისა.
არწივიც მათთან ერთად დაეშვება,
რადგან ვერ მიხვდება შენს სამყოფელს,
გვამში შესასვლელს დაუწყებს ძებნას.
ოდეს შეაღწევს იგი მის შიგანში,
არ დააყოვნო, ფრთებზე მოეჭიდე,
დაუგლიჯე ფრთენი, და ნაკრტენი,
მხარი მოსტეხე, ორმოში ჩააგდე,
დაე, კვდებოდეს მშიერ-მწყურვალი”.
რა ესმა გმირი შამაშის სიგყვები,

გველი გბას გაჰყვა და მთა გადიარა.
ლეშს ხარისას მიადგა გველი,
მუცელი გაუფატრა და ფაშეში შეუძვრა,
და მის შიგანში მოიწყო ბინა.
ცის ყველა ფრინველი ქვე დაეშვა.
ნუთუ ვერ მიხვდება არწივი მახეს, –
ნუთუ ფრინველებთან ერთად ხარის ლეშს შეჭამს?
აღალო არწივმა პირი, მართვეს ეუბნება:
“დაეფრინდეთ, ვჭამოთ ამ ხარის ხორცი”.
მცირე მართვე, ვრცელაბროვანი,
არწივს, მამამისს, სიგყვას ეუბნება.
“ნუ ჩახვალ, მამაჩემო, ვინძლო ამ ხარში
გველი იყოს მოკალათებული!”
არ შეისმინა სიგყვები იგი,
არ შეისმინა მართვეს ნათქვამი.
ქვე დაეშვა და ხარს დააფრინდა.
მვერაფს არწივი ლეშს ხარისას,
და წინ და უკან იმზირება.
და რა მიაგნო ფაშეში შესასვლელს,
ხარის შიგანში შევიდა არწივი.
სწრაფ გველი ფრთებზე მოეჭიდა.
აღალო არწივმა პირი, გველს ეუბნება:
“ოღონდ შემიწყალე, რასაც მთხოვ, მოგცემ”.
აღალო გველმა პირი, არწივს ეგყვის:
“თუ გაგიშვი, რა ვუთხრა უზენაეს შამამს?
სასჯელი შენი ჩემდა მოიქცევა,

სასჯელი, რაიც უნდა დაგაკისრო”.
დაუგლიჯა ფრთენი და ნაკრტენი,
მხარი მოსტეხა, ორმოში ჩააგლო,
რათა მომკვდარიყო მშიერ-მწყურვალი.
მას შემდეგ არწივი შამაშს ევედრება:
“ნუთუ ორმოში უნდა დავიღუპო?
ვინ უწყის სასჯელის ჩემის სიმძიმე?
იხსენ სიცოცხლე ჩემი, არწივისა,
და სახელს შენსას მარად მოვიხსენებ!”
აღალო შამაშმა ბაგე, არწივის ეუბნება:
“ბოროტი ხარ, მძიმედ მაწყენინე,
ღმერთებისგან ნაკრძალი შეჭამე.
თუნდაც შემომფიცო, არ მოგივალ!
ჰა, კაცი ერთი, მას მოგივლენ,
იგი გექმნება ხელისმპყრობელად”.

ეთანა და არწივი

ეთანა მარადღე ევედრება შამაშს:
“შენ შეგეწირა ჩემი პოხილი ცხვარი,
ჩემ კრავთა სისხლი ქვესკნელში ჟონავს.
ხომ ვცემდი თაყვანს ღიდ ღმერთებს,
მცირე ღმერთებს ხომ პატივს ვცემდი!
ქალქურუმები მსხვერპლს შემოგწირავდნენ.
აღმოხდეს კურთხევა შენს ბაგეებს!
მომანიჭე მე შობის ბალახი!

მიჩვენე მე შობის ბალახი!
სიბერწე აღმომიფხარ, სახელი განმიმტკიცე!”
დაძრა შამაშმა ბაგე, ეცყვის ეთანას:
“გზას გაჰყევ, მთა გადაიარე,
გზად ორმო შეგხვდება, შიგ ჩაიხედე:
ორმოში ვღია არწივი ერთი,
იგი გაპოვნინებს ბალახს შობისას”.
რა ესმა გმირი შამაშის სიგყვა,
გზას გაჰყვა ეთანა, მთა გადაიარა,
გზად ორმო შეხვდა, შიგ ჩაიხედა,
შიგ ეგლო არწივი ფრთებდალეწილი,
შამაშს განეჩინა მისთვის იქ ლოდინი.
და რა იხილა არწივმა ეთანა,
დაძრა ბაგე, ეცყვის ეთანას:
“რად მოსულხარ, ეთანა, რა გაგჭირვებია?”
დაძრა ეთანამ ბაგე, არწივს ეუბნება:
“ძმობილო, მომეც შობის ბალახი,
მიჩვენე შობის ბალახი!
სიბერწე აღმომიფხარ, სახელი განმიმტკიცე!”
შეხვდა არწივმა და ეცყვის ეთანას:
“თუ ჭეშმარიტად ეთანა ხარ, ცხოვართა მეფე!
თუ ჭეშმარიტად ეთანა ხარ, ცხოვართა მწყემსი!
ამომიყვანე ამ ორმოს სიღრმიდან,
მომეც ბალახი განკურნებისა,
დალეწილი ფრთები გამიმრთელე.
მაშინ მოგანიჭებ შთამომავლობას”.

(ეთანა იბრუნებს არწივზე და ბოლოს განკურნებულს ამოიყვანს ორმოდან)

მოჰკიდა ხელი მეშვიდე თვეზე ორმოში ყოფნისა,
მერვე თვეს ორმოს ნაპირამდე ამოიყვანა,
არწივი დააცხრა საჭმელს მშიერი ლომივით, ძალა მოიკრიფა.
არწივმა დაძრა ბაგე, ეთანას ეცყვის:
“მეგობარო, მე და შენ დავძმობილდეთ,
მთხოვე, რაც გინდა, აგისრულებ!”
ეთანამ დაძრა ბაგე, არწივს ეცყვის:
“ახილვინე ჩემს თვალებს დაფარული...” [. . . .]
დაძმობილდნენ ეთანა და არწივი.
ეთანამ იხილა სიმმარი, არწივს უამბო:

(სიმმრის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი)

არწივმა აუხსნა ეთანას სიმმარი:
შენი სიმმარი სასიკეთოა.
ეთანა კვლავ ეცყვის არწივს:
“მეგობარო, ვიხილე მეორე სიმმარი”

*(ეთანა ხელავს სიმმრად ლერწმებს, გროვად დახვავებულს სახლში; ხე-
დავს თავის მგრებს, რომლებიც ბოროტ გველებად მიდიან მასთან და თავ-
ყანს სცემენ მას. არწივი სასიკეთოდ უხსნის ამ სიმმარსაც).*

[. . . .] არწივმა დაძრა ბაგენი, ეცყვის ეთანას:
“ჩემო მეგობარო, [. . . .] ღმერთი,

ჩვენ განვვლეთ ანუს ენლილის, ეას კარიბჭენი,
ჩვენ განვვლეთ სინის, შამაშის, ადადის, იშთარის კარიბჭენი,
ქელი მოვიდრიკეთ მათ წინაშე ორთავემ, მე და შენ,
ვისილე სახლი სარკმლებიანი, ბეჭედლაუსმელი, და შევედი შიგნით.
იქ ერთი ბრწყინვალე ქალწული ბრძანდებოდა,
ტანადი იყო და ლამაზნაკვთებიანი,
ტახტი იყო აღმართული, იაგაკი მოტკეპნილი,
ტახტის თავითით ლომები იწვნენ,
როცა შევედი, მეცნენ ლომები,
გამედვიძა და წამოვხტი შემკრთალი”.

არწივი ეცყვის ეთანას:

ჩემო მეგობარო, ყველაფერი ცხადია...

[. . . .]

ამგვარად ეცყვის არწივი ეთანას:

“წამო, მეგობარო, ცად აგიყვან.

ჩემს მკერდს მოაყრდენ ზურგი შენი,

ჩემს ფრთებს მოაყრდენ მკლავები შენი,

ჩემს მხრებს მოაყრდენ მხრები შენი!”

ისმინა ეთანამ არწივის სიცყვები:

მის მკერდს მიაყრდნო ზურგი თვისი,

მის ფრთებს მიაყრდნო მკლავები თვისი,

მის მხრებს მიაყრდნო მხრები თვისი.

მძიმე შეიქნა გვირთი არწივისა.

ოღეს ამაღლდნენ ერთ ბერუმე,

ამგვარად ეცყვის არწივი ეთანას:

“ჩახედე, ძმობილო, როგორ ჩანს ხმელეთი,

ზღვას გადახედე, ექურის ნაპირებს!”
“ხმელეთი მოჩანს უმცირეს ბორცვად,
ზღვა გარეუვლის, ვითარცა გუბე”.
ოდეს ამაღლდნენ ორ ბერუბე,
ამგვარად ეტყვის არწივი ეთანას:
“ჩახედე ძმობილო, როგორ ჩანს ხმელეთი!”
“ხმელეთი, ძმობილო, თვალს ეფარება!”
ოდეს ამაღლდნენ სამ ბერუბე,
ამგვარად ეტყვის არწივი ეთანას:
“ჩახედე, ძმობილო, როგორ ჩანს ხმელეთი!”
“ირგვლივ ვიხედები, ხმელეთი არ ჩანს,
ვრცელი ზღვის კვალსაც ვერ მოვკარ თვალი!
ძმობილო, მესვლა აღარ შემიძლია,
ქვემოთ დამართე აწ ფრენა შენი!
ძირს ჩამიყვანე, წავალ ჩემს ქალაქში!”
ისმინა არწივმა ეთანას ვედრება...
ერთ ბერუბე დაეშვა არწივი,
და მასთან ერთა ეშვება ეთანა.
ორ ბერუბე დაეშვა არწივი,
და მასთან ერთად ეშვება ეთანა.
სამ ბერუბე დაეშვა არწივი,
და მასთან ერთად ეშვება ეთანა.
ბოლოს მიაღწიეს ზურგს ხმელეთისას,
მიწაზე დაეშვა ეთანა,
კვლავ ცაში აფრინდა არწივი...
[. . . .]

უმეფობა

რა არის ხალხი თვინიერ მეფისა?
ოდენ ცხვრის ფარა, უმწყემსოდ შთენილი.
ხალხი თვინიერ წინამძღოლისა?
წყალი, უმერწყულოდ შთენილი.
მუშაკი თვინიერ მოძღვრისა?
ყანა, უგუთნისდებოდ შთენილი.
სახლი თვინიერ პატრონისა?
დედაკაცი, უქმროდ შთენილი.

ლეგენდა შარუქინ აქადელზე

მე ვარ შარუქინი, მეფე ძლიერი, მეფე აქადისა,
დედაჩემი ღვთისმხევალი იყო, მამა არ ვუწყვი.
ძმა მამაჩემისა მთიანეთში სახლობდა.
ხოლო ქალაქი ჩემი – აზუფირანი
ევფრატის ნაპირზე გაშენებულა.
მუცლადმილო დედამ, ღვთისმხევალმა, იღუმალ მშობა.
ლერწმის კილობანში ჩამსვა, კარი ფისით ამომიქოლა.
მდინარეს მიმცა, წყალმა არ დამფარა.
წამილო მდინარემ, აქისთან, მერწყულთან მიმიგანა.
აქიმ, მერწყულმა, წყლიდან სარწყულით ამომიგანა.
აქიმ, მერწყულმა, შვილად ამიყვანა.
აქიმ, მერწყულმა, თავის მებაღედ დამადგინა.
ოღეს მებაღე ვიყავ, იშთარმა შემიყვარა.
ორმოცდათხუთმეტი წელი მეფობას ვიქმოდი.
შავთავიან ხალხზე ვბატონობდი, ვმართავდი.
ძლიერ მთაგრეხილებს ბრინჯაოს ცულებით ვანგრევდი.
გემოურ მთებზე ავდიოდი,
ქვემოურ მთებს გადავლახავდი.
ზღვის ქვეყანას სამგზის შემოვადექ.

დიღმუნი ღაიპურო სელმა ჩემმა.
მეფე ვინმე, ჩემ შემდგომად აღბევებული,
შავთავიან ხალხზე ბაგონობდეს, მართავდეს.
ძლიერ მთავრეხილებს ბრინჯაოს ცულებით ანგრევედეს.
ზემოურ მთებზე ადიოდეს,
ქვემოურ მთებს გადალახავდეს.
ზღვის ქვეყანას სამგზის შემოადგეს.
დიღმუნი ღაიპუროს სელმა მისმა.
[. . . .]

ხამურაბი

ოდეს მაღალმა ანუმ, ანუნაქთა ხელმწიფემ, ენლილმა, ცათა და ხმელეთის უფალმა, ქვეყნის წერათა მწერელმა, მარლუქს, ეას პირმშოს, ყოველთა ხალხთა ზედა ენლილობა განუწესეს, იგიგთა შორის განაღდეეს, ბაბილონის მაღალი სახელი გამოაცხადეს, სამყაროს კიდეთა მიმართ განავრცეს და მის წიაღში დაუღვინეს მარადიული მეფობა, რომლის საფუძველი, მსგავსად ცათა და ხმელეთისა, მყარია, მას ქამს მე, ხამურაბის, დიდებულ მთავარს, ღვთის მოშიშარს, – ქვეყნად სამართლის გამოსაბრწყინებლად, ბოროტებისა და უკეთურების აღმოსაფხვრელად, ძლიერისაგან სუსტის არდასაჩაგრავად, შავთავიანებზე მზისებრ აღმოსახლომად, ქვეყნის გასანათებლად, – ანმა და ენლილმა ხალხთა საკეთილდღეოდ სახელით მომიწოდეს.

ხამურაბი ვარ, ენლილისგან დადგენილი მწყემსი, სიუხვისა და დოვლათის დამგროვებელი, ყოვლის აღმსრულებელი ნიპურისათვის, ცათა და ხმელეთის კავშირისა, ერთგული მზრუნველი ექურის ტაძრისა.

მეფე ძალმოსილი, ერიდუს აღმდგენელი, ეაბბუს წესთა განმწმედელი; გრიგალი ოთხივე კიდისა, განმაღიდებელი ბაბილონის სახელისა, მისი უფლის მარლუქის გულის მაამებელი, რომელიც დღენი მისნი ესაგილას ტაძრად მსახურებს.

სამეუფო თესლი, სინის მიერ ჩასახული, გამამდიდრებელი ურისა, მორჩილი მლოცველი, სიუხვის მომგანი ექიმწუგალის გაძრისათვის.

მეფე გონიერი, ყურისმგდებელი ძლიერი შამაშისა, სიპარის საძირკვლის ჩამყრელი, მწვანით შემოსველი აიას სანთიობოსი, დამხაზველი ებაბარის გაძრისა, რომელიც ცათა სამყოფელს შეჰგავს.

გმირი, ღარსას შემწყალებელი, მისი შემწე შამაშისათვის, ებაბარას განმაახლებელი, უფალი, მხსნელი ურუქისა, სიუხვის წყლების გამოძღვები მისთა მკვიდრთათვის, ზეამწევი ეანას თავანისა, მოსავლის დამაუზჯვებელი ანუსთვის და იშთარისთვის.

ქვეყნის მფარველი ჩრდილი, შემომკრებელი ისინის გაფანტული ხალხისა, დამხვავებელი სიუხვისა ეგალმახისათვის.

მეფეთა უშუმგალი, გაბაბას ძმობილი, ქიშის სამყოფლის განმამტკიცებელი, ემეთეურსანგის გაძრის მომბურველი ელვარებით, ინანას დიდებულ წესთა სრულმყოფელი, მეურვე ხურსანქალამას გაძრისა;

ციხესიმაგრე მგრების წინაშე, ვისაც ნერგალმა, მისმა მოყვასმა, საწადელი გაუსრულა, ვრცელმყოფელი ქუთუ-ქალაქისა, მესლამისათვის ყოველივეს მაუხვებელი.

მძვინვარე ხარი, მგრების მრქენელი, თუთუს ნებიერი, ბარსიპას აღმცხები სისარულით, დაუცადებელი მზრუნველი ეზიდას გაძარბე.

მეფეთა ღმერთი, სიბრძნის მეცნიერი, ვრცელმყოფელი დილბათის ყანებისა, ძლიერი ურაშის ბელლების აღმცხები.

უფალი, ღირსი კვერთხისა და გვირგვინისა, რომლითაც სრულყო მამიმ, ბრძენმა ქალღმერთმა, დამდგენელი ქიშის სამღვრებისა, უხვად შემწირველი წმიდა საბრძელისა ქალღმერთ ნინთუსათვის.

სრულყოფილი გამრიგე, მიმჩენელი საძოვართა და დასარწყულებელთა ლაგამ-გირსუსათვის, მიმგანი ღიღთა შესაწირავთა ენინუს გაძარში.

მგრების შემპყრობელი, ქალღმერთ თელითუმის ნანდაური, განმასრულებელი ხალაბის ნიშნებისა, იშთარის გულის გამხარებელი.

უმწიკვლო მთავარი, რომლის ხელთაპყრობა ადაღმა უწყის, გმირი ადაღის დამაცხრობელი ბით-ქარქარაში, განმამზადებელი ჯეროვან საქმეთა ეულგალგალის გაძარში.

მეფე, ადაბისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი, მზრუნველი ემახის გაძარმე.

მეფეთა მთავარი, სწორუპოვარი მეომარი, მაშქან-შაბრიმისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი, სიუხვით დამარწყულებელი მესლამისა.

ბრძენი განმგებელი, რომელიც მისწვდა წყაროს სიბრძნისა, მალგუმის მკვიდრთა შემფარებელი ძნელბედობისას, მათთა სამყოფელთა სიმღიდრეში დამამყარებელი ეასა და დამგალუნუნასათვის, განმადიდებელი თავისი მეფობისა, მარადის წმიდა მსხვერპლის შემწირველი.

მეუფეთა უპირველესი, ეეფრაგისპირა ღაბების დამპყრობელი მისი გამჩენის დაგანის შემწეობით, რომელმაც მერასა და თუთულის მკვიდრნი შეიწყალა.

განდიღებული მთავარი, გამდიმბელი იშთარის სახისა, ნინაზუსათვის წმიდა საბრღელთა დამღგენელი, თავისი ხალხის გამოძხსნელი გასაჭირიდან, ფერხთა მათთა მშვიდობით დამღგენელი ბაბილონში.

მწყემსი ხალხისა, რომლის საქმენი იშთარს ეთნვა, დამავანებელი იშთარისა ეულმაშის გაძრად, ფართომოედნიან აქადის შუაგულში.

ჭემმარიგებათა გამომცხადებელი, ერის წარმმართველი, დამბრუნებელი აშურ-ქალაქისთვის მისი მოწყალე მფარველი ქალღმერთისა.

ამბოხის ჩამქრობი, მეფე, რომელმაც ნინუაში ემეშმეშის ტაძარში იშთარის სახელები გამოაცხადა.

ეს მე ვარ დიდებული, მლოცველი დიდი ღმერთებისა, შვილთაშვილი სუმულაელისა, ძლიერი მემკვიდრე სინმუბალიგისა, მარადიული თესლი მეუფებისა, მეფე ძლიერი, მზე ბაბილონისა, სინათლის გამომგვევებელი შუმერისა და აქადის ქვეყნად, სმენად მომაქცეველი ოთხივ კიდისა, იშთარის ნანდაური.

ოდეს მარდუქმა ხალხის წარსამართავად, ქვეყნისათვის კეთილ მნეთა სასწავლებლად წარმომგზავნა, ქვეყნის ბაგეში ჭეშმარიტება და სამართალი ჩავდე, ყოფა ხალხისა ღავაამე, მას ქამს...

კანონების ეპილოგი:

აჰა, მართალი სამართალი, რომელიც ხამურაბიმ, მეფემ ძლიერმა, დაადგინა და ქვეყანას მტკიცე წესი და სასიკეთო მართვა-გამგეობა მიაღებინა.

მე ვარ ხამურაბი, მეფე სრულყოფილი. შავთავიანთა მიმართ, რომელნიც ენლილმა ჩამაბარა, რომელთა მწყემსობა მარდუქმა მომანდო, უბრუნველი არა ვყოფილვარ, არ დავზარებულვარ, მშვიდობიან სამყოფელს ვეძებდი მათთვის, მძიმე გასაჭირი მათი ღავსხენი და სინათლე გამოვუგევე. ძღვევამოსილი იარაღით, რომელიც გაბაბამ და იშთარმა მომანდვეს, სიბრძნით, რომელიც ეამ დამიბედა, ძლიერებით, რომელიც მარდუქმა მომანიჭა, მგერნი ჩემნი ჩრდილოეთიდან ვიდრე სამხრეთამდე ამოვიძირკვე, ომები ჩავაქრე, ქვეყანას კეთილდღეობა მოვუგანე, დაბათა მკვიდრნი სამშვიდობოს ღავავანე, დამაფრხთობელი მათი არ ღავაჭაჭანე.

დიდმა ღმერთებმა მომიწოდეს და, აჰა, მე მწყემსი ვარ მშვიდობის-მყოფელი, რომლის კვერთხი სამართლიანია; კეთილი ჩრდილი ჩემი ჩემს ქალაქს აფენია; შუმერისა და აქადის ხალხი ჩემს უბეში შევიფარე, ჩემი მფარველი ქალღმერთისა და მისთა ძმათა წყალობით სამშვიდობოს გაეცივანე, ჩემი სიბრძნის წყალობით დავიფარე.

ძლიერისაგან სუსტის არდასაჩაგრავად, ობლისა და ქვრივისათვის სამართლის მისაცემად ბაბილონში, ქალაქში, რომლის თხემი ანუმ და ენლილმა ზეაღმართეს, ესანგილაში, გაძარში, რომლის საფუძველი ცათა და ხმელეთის მსგავსად მყარია, რათა სამართალი განკითხულიყო, ქვეყნის განაჩენი გადაწყვეტილიყო, მიმძღავრებულს სამართალი მისცემოდა, ჩემი ძვირფასი სიგყვები ქვაზე ამოკვეთეთ და ჩემი ქანდაკის წინ, რომელ არს *მეფე სიმართლისა*, დაედგი.

მეფეთა შორის აღმატებული ვარ, ჩემი სიგყვები გამორჩეულია, ძლიერებას ჩემსას გოლი არა ჰყავს.

შამაშის ბრძანებით, ცათა და ხმელეთის დიდი მსაჯულისა, ჩემი სამართალი საქვეყნოდ გამოვაცხადე. მარღუქის, ჩემი უფლის სიგყვით, ჩემს განჩინებებს წამხდენელი არ შეეხოს! ჩემს საყვარელ ესანგილას გაძარში სახელი ჩემი მარადის კეთილად იხსენებოდეს!

მიმძღავრებული კაცი ვინმე, თუ სარჩელი აქვს, მოვიდეს ჩემი ქანდაკის წინაშე, რომელ არს *მეფე სიმართლისა*, ქვაზე ამოკვეთილი ამოიკითხოს, ჩემი ძვირფასი სიგყვები შეისმინოს და ჩემი ქვა სარჩელს განუმარტავს. სამართალი თვისი იხილოს, გული დაიმშვიდოს და ხმამაღლა წარმოთქვას:

“უფალი ხამურაბი, რომელიც ხალხს მშობელ მამად მოევიდინა, თავისი უფლის მარღუქის სიგყვას ეთაყვანება. მარღუქის ნება ჩრდილო-

ეთიდან ვიდრე სამხრეთამდე აღასრულა, გული მარდუქისა, თავისი უფლისა, დააბა, ხალხს კეთილდღეობა სამარადისოდ დაუმკვიდრა და ქვეყანა წაღმართად წარმართა”.

დაე, მან წინაშე უფლისა ჩემისა მარდუქისა და დედოფლისა ჩემისა ცარფანითუსა სრული გულით დამლოცოს. შედუ და ლამასუ, ესანგილად შემავალი ღმერთები, ესანგილას გაძრის ღვთიური აგური მის მრახვებს მარადლე ჩემი უფლის მარდუქის და ჩემი დედოფლის ცარფანითუს წინაშე სათნოჰყოფენ.

მომავალ ღღეთა მიმართ სამარადისოდ იყოს ესე:

მომავალმა მეფემ ამ ქვეყნისამ სამართლის სიგყვანი, ჩემს მიერ ქვაბე ამოკვეთილნი, დაიცვას, სამართალი ქვეყნისა, მე რომ გამიჩენია, გადაწყვეტილებანი, მე რომ გადამიწყვეტია, არ შეცვალოს, განჩინებანი ჩემნი არ წაახდინოს. უკეთუ კაცსა მას სიბრძნე მოსდგამს, ქვეყნის წარმართვის ძალი მოსდევს, ყური მიუგდოს ჩემს სიგყვებს, რომელნიც ამ ქვაბე დამიწერია; გზა-კვალი, სამართალი ქვეყნისა, მე რომ განმიკითხავს, გადაწყვეტილებანი ქვეყნისა, მე რომ გადამიწყვეტია, ამ ქვამ განუმარგოს. სწორად წარმართოს შავთავიანები, სამართალი მათი განიკითხოს, განჩინებანი მათი განაჩინოს, თავის ქვეყანაში ბოროტი და უსამართლო ამოძირკვოს, თავის ხალხს კეთილდღეობა მოუტანოს.

მე ვარ ხამურაბი, მეფე სიმართლისა, რომელსაც შამაშმა ჭემმარიგება შთააგონა. სიგყვები ჩემი გამორჩეულია, გოლი არ ეძებნება ჩემს საქმეებს. ოლონდ ფუჭია უგუნურთათვის, განბძნობილთათვის კი – სანაქებო.

უკეთუ კაცი იგი ჩემს სიგყვებს, რომლებიც ჩემს ქვაბე ამომიკვეთავს, ყურს მიუგდებს, სამართალს არ წაახდენს, ჩემს სიგყვებს არ გადავა,

ჩემს განჩინებათ არ შეცვლის, კაცსა მას შამაშმა ჩემსავით, სამართლის მეფისა, კვერთხი გაუხანგრძლივოს და სამართლით ამწყესინოს თავისი ხალხი.

უკეთუ კაცი იგი ჩემს სიგყვებს, რომელნიც ჩემს ქვაბე ამოვკვეთე, ყურს არ მიუგდებს, ჩემს წყევლას უგულებელყოფს, ღმერთების წყევლას არ შეუშინდება, ჩემ მიერ განკითხულ სამართალს წაშლის, ჩემს სიგყვებს გადავა, ჩემს განჩინებებს შეცვლის, ზედამოკვეთილ სახელს ჩემსას ამოფხეკს და თავის სახელს ამოკვეთავს, გინა ამ წყევლის შიშით სხვას წააქეზებს, კაცსა მას – გინდ მეფე იყოს, გინდ მთავარი ვინმე, გინდ განმგებელი ვინმე, გინდ უბრალო მოკვდავი ვინმე სახელდარქმეული – დიდმა ანუმ, ჩემი ზეობის გამომცხადებელმა, მეფობის შარავანდი წაართვას, კვერთხი გადაუგეხოს და ბედი დაუწყევლოს!

ენლილმა, უფალმა, წერათა მწერელმა, რომლის ბრძანება უცვალებელია, განმადიდებელმა ჩემი მეფობისა, ჩაუქრობელი ჯანყი, დამლუპველი შფოთი აუგეხოს სამკვიდრებელში, ვაების მეფობა, სანმოკლე დღენი, სიყმილის წლები, გაუთენებელი უკუნი, მყესეული სიკვდილი ბედად დაუსამღვროს. აღსპოლვა მისი ქალაქისა, განფანტვა მისი ხალხისა, დამხობა მისი მეფობისა, გაქრობა მისი სახელისა და სახსენებლისა თავისი მძიმე ბაგვებით ბრძანოს!

ნინლილმა, დიდმა დედამ, ვისი ბრძანებაც ექურის გაძრად პატივდებულია, დედუფალმა, მთნეველმა ჩემთა ზრახვათა, მსჯავრისა და განაჩენის აღგილას ენლილის წინაშე მისი საქმე ავაღ გამოაჩინოს, მისი ქვეყნის განადგურება, მისი ხალხის აღსპოლვა, მისი სისხლის წყალივით დაღვრა მეუფე ენლილის ბაგვებს ათქმევინოს!

ეამ, დიდმა ბელადმა, ვისმიერი ბედისწერანი ყოველთა უწინარესია, ბრძენთა ბრძენმა ღმერთებს შორის, ყოვლის მეცნაურმა, ჩემი

სიცოცხლის დღეგრძელმყოფელმა, ცნობა და სიბრძნე წაუღოს მას და შეშალოს, მდინარეთა სათავეები დაუწყვიტოს, ხორბალი, კაცთა საზრდო, მის მიწაზე აღარ მოიყვანოს!

შამაშმა, ცათა და ხმელეთის მსაჯულმა, ყოველთა სულდგმულთა წარმმართველმა, უფალმა ჩემმა მისანდობელმა, მეუფება მისი დაამხოს, სამართალი მისი არ განიკითხოს, გზა-კვალი აურიოს, მის ლაშქარს გერფი შეურყიოს, მისნობისას მისი მეფობის საფუძვლის ამოძირკვის და ქვეყნის განადგურების ავი ნიშნები გამოუჩინოს! შამაშის სიბყვა, დამლუპველი, უმაღ ეწიოს: გემოთ მოკვდავთაგან აღმოფხვრას, ქვემოთ ქვესკნელში მის სულს წყალი მოაწყუროს!

სინმა, ცათა უფალმა, ჩემმა გამჩენმა ღმერთმა, რომლის ნამგალი ღმერთებს შორის ანათებს, გვირგვინი და ტახტი მეფობისა წაუღოს, მძიმე სასჯელი, ნიშანი ცოდვისა, სხეულიდან წარუხოცელი, დაადოს! მისი მეობის დღენი, თვენი და წლები ვაებითა და ცრემლთაღენით დაუსრულოს, წინააღმდეგომნი თავისი მეფობისა ახილვინოს, სიცოცხლე, სიკვდილს შემსგავსებული, ბედისწერად დაუსამღვროს!

ადაღმა, სიუხვის უფალმა, ცათა და ხმელეთის მოურაგმა, ჩემმა შემწემ, ცათა შიგან წვიმა და სიღრმეთა შიგან წყლის ღვარი წაართვას, ქვეყანა სიყმილითა და შეჭირვებით გაუნადგუროს; მის ქალაქზე რისხვით იგრგვინოს და ქვეყანა მისი ნაწარღვნალ ბორცვებად აქციოს!

გაბაბამ, დიდმა მეომარმა, ექურის პირმშომ, ჩემს მარჯვნივ მავალმა, ბრძოლის ველზე საჭურველი დაუღეწოს, დღე ღამედ შეუცვალოს და მგერი უგრძნეულად თავს დაასხას!

იშთარმა, ბრძოლისა და შერკინებათა დედოფალმა, ჩემი საჭურველის მაშიშველებელმა, ჩემმა კეთილმა ლამასუმ, ჩემი მეობის მოყვარულმა, თავისი მრისხანე გულითა და დიდი წყრომით მეფობა მისი

დაწყევლოს, სიკეთე ბოროტებად შეუცვალოს. ბრძოლისა და შერკინების ველზე საჭურველი დაულეწოს, შფოთი და ამბოხი ჩამოუგდოს, მისი მეომრები მოსრას და მათი სისხლით მიწა მორწყას, მის მოლაშქრეთა გვამები ველზე დაახვავოს, მისი ხალხი არ შეიწყალოს. თავად იგი მტერს ჩაუგდოს ხელში და მტრის ქვეყანაში შებორკილი მიიყვანოს!

ნერგალმა, ღმერთთა შორის ძლევამოსილმა, ბრძოლაში სწორუპოვარმა, ჩემმა გამმარჯველმა, თავისი ძლიერებით ლერწამს მოღებული ცეცხლივით ხალხი გადაუბუგოს, თავისი ძლიერი იარაღით გაკვეთოს და ასონი მისნი თიხის ქანდაკივით შემუსროს!

ნინთუმ, ქვეყანათა მაღალმა დედოფალმა, ჩემმა გამჩენმა დედამ, მემკვიდრე წაართვას და სახელი აღარ შესძინოს, და მან თესლი კაცებრივი თავის ხალხში ვეღარ ააღორძინოს!

ნიქარაქმა, ანუს ასულმა, ექურის ტაძრად ჩემთვის კეთილი სიგყვის შემაწევარმა, მძიმე საღმობა, ავი სენი, მწარე წყლული, დაუამებელი, მკურნალთაგან შეუტყობელი, სახვევთაგან მოუშუშებელი, სიკვდილის ნაკბენისებრ წარუხოცელი, მისთა ასოთ მიამთხვიოს და სულის ამოხდომამდე მისი ჯანი გამოაგლოვებინოს!

ცათა და ხმელეთის დიდმა ღმერთებმა, ანუნაქებმა ერთობლივ, ტაძრის მცველმა შედუმ, ებაბარას ღვთიურმა აგურმა კაცი იგი, თესლი მისი, ქვეყანა მისი, მეომარნი მისნი, ხალხი მისი და ლაშქარი მისი მწარე წყევლით დაწყევლონ! ენლილმა თავისი უცვალებელი ბაგით საშინელი წყევლით დაწყევლოს და წყევლა იგი სწრაფ ეწიოს!

აშურბანიპალის ლოცვა I

ვის შეუნახავს მცნება სამარადისოდ?
ყველა ადამიანი, ვინც კი არსებობს, ცოდვილია,
მე, შენს მსახურს, ყოველი ცოდვა მაქვს ჩადენილი,
მე ვიდექი შენს სამსახურში, მაგრამ სიცრუისკენ გადავუხვიე,
მე ვგყუოდი და თავს ვიმართლებდი,
უკეთურს ვლაპარაკობდი, შენ უწყი ყოველი,
სისაძაგლეს სჩავდიოდი, სულმუდამ ბოროტებას ვიქმოდი,
მე დავხარბდი შენს აღურაცხელ სიმდიდრეს,
მოვინდომე შენი ძვირფასი ვერცხლი.
ხელი აღვმართე და შევბღალე, რაც არ უნდა შებღალულიყო,
უწყმიდური შევდიოდი გაძარში,
შესაზიზღარ სისაძაგლეს ჩავდიოდი შენს წინაშე,
ვარღვევდი შენს მცნებებს და წესებს, გაგაჯავრე,
ჩემი გულის მძვინვარებაში შევაჩვენე შენი ღვთიურობა,
უკეთურებას სჩავდიოდი შეგნებულად თუ შეუგნებლად.
კმარა, ღმერთო ჩემო! დაცხრეს შენი გული!
დაე, ქალღმერთი, რომელიც მრისხანებს, დამშვიდდეს!
შეაკავე შენი გულის რისხვა,
დაე, შენი ღვთიურობა, რომელსაც ვფიცავ, შემირიდდეს მე.

ბევრიც რომ იყოს ჩემი უთნობა, ახსენი ჩემი ბორკილები,
შვიდი ცოდვაც რომ მქონდეს ჩადენილი, დაცხრეს შენი გული,
ბევრიც რომ იყოს ჩემი შეცოდება,
გამოიჩინე დიდი სიკეთე და განმწმიდე,
ღმერთო ჩემო, დავიქანცე, აიპყარ ჩემი ხელი,
მიწაზე ვეცემა, თავი დამიჭირე.
მე ხარი ვარ, არ ვიცი, რომელ ბალახს ვჭამ,
მე ცხვარი ვარ, არ ვიცი, რა არის ცოდვის გამოსყიდვა,
მე მდინარის წყალი ვარ, არ ვიცი, საით მივდივარ,
მე ხომალდი ვარ, არ ვიცი, რომელ ყურეს მივაღგე.
კაცის ცოდვა და შეცოდება უფრო მეტია, ვიდრე თმა მის თავზე,
მე დავდიოდი ჩემს ცოდვებსა და შეცოდებებში,
ფოთლებივით რომ იყო დახვავებული.
აჰა, ამ დღეს შემინდე და დამხსენი მათგან.

აშურბანიპალის ლოცვა II

(ნაბუსადმი, სიბრძნისა და მწერლობის ღმერთისადმი)

ნაბუსათვის, სრულქმნილი პირმშოსი,
ცათა და ხმელეთის მზრუნველისა,
მპყრობელისა სიბრძნის დაფათა,
ბედისწერათა საწერელისა,
ღღეთა განმგრობისა, მკედართა მაცხოვრისა,
ნათლის მფენელისა დანისლულ ხალხზე! –
დიდმა მეუფემ, აშურბანიპალმა, დიდებულმა,
აშურის, ბელის და ნაბუს სათნო ბელადმა,
მწყემსმა, ღმერთების საკურთხეველთ გამრიგემ,
მათი საზორველის დამწესებელმა,
ქემ ასარხადონისამ, სამყაროს მეფისა, აშურის მეფისა, –
რათა ცოცხლობდეს სული მისი,
რათა გაგრძელდნენ ღღენი მისნი,
რათა მრთელ იყოს ხორცი მისი,
რათა მყარ იყოს გახგი მისი,
შეწყნარებულ იქნან ლოცვანი მისნი,
შეპყრობილ იქნან მგერნი მისნი, –

ეას სიბრძნე, გალობანი, ცოდნის საუნჯე,
ღმერთთა გულების შვებად მოხვეჭილი,
აშურში და აქადში დაცულ დაფებიდან,
ახალ დაფებზე გადმოვწერე, გამოვარჩიე,
ნინუაში ეზიდას დაფათსაცავს შევძინე,
ნაბუ, მეუფევე ცათა და ხმელეთისა,
დაფათსაცავს ამას კეთილად მოჰხედე,
აშურბანიპალს, შენი ღვთიურობის მოშიშს,
ღღენიადაგ სწყალობდე!
ბრძანე სიცოცხლე მისი შენი ღვთაების სადიდებლად!

ქება ბარსიპას

ზეცას ვით შეჰგავს ბარსიპა ქალაქი,
ემარას ორანია მაღალი ეზიდა,
ღვთაების ყოვლად საწადელი.
ქალაქის მშვენება – მორთული მგილი,
მწვერვალი მისი – ღრუბელთა მიმწვდომი,
ფუძე მისი – ქვესკნელს ჩაზიდული,
აგური მისი – ძვირფასი სპეკალი,
ქონგური მისი – ოქრო რჩეული,
ზღუდე მისი – სპეგაკი ალბასგრო,
საფირონია ეზიდას სამოსი!
ვინც მასში მკვიდრობს, ღმერთთა მწერელია,
ნაბუ, ესაგილას წული,
აგარებს ღაფებს ბედისწერათა,
ღმერთებს აღუსრულებს ყოველთა წესთა,
ხელთუპყრავ სამართლის საწერელი,
მარადლე უჭვრეგს შავთავიანებს.
დამკვიდრდი საყდრად, უფლისა წულო!
ტაძარი შენი, მაღალი ეზიდა,
დაე, აღივსოს შენგამო ღხენით!

ღამისადმი

წვანან დიდებულნი, ღამშვიდლენ მოყმენი.
ბინდი ჩამოწვა...
ღუმს მშფოთვარე მოღგმა კაცისა,
ღაიგმანნეს განხმულნი კარნი.
სამყაროს ღმერთნი და ქალღმერთნი, –
შამაში, სინი, აღადი და იშთარი
შეღიან ციურ სავანეში.
სამართალს აღარ გარღაწყვეტენ,
საქმეთ აღარ განიკითხავენ.
ღამე იბადება ბნელი საშოდან.
სასახლე მიყუჩდა, საღგომნი დაღუმდენ,
განისვენებენ ურიცხვნი დაბანი.
უკანასკნელად იყვირა ნერგალმა
და ძილს მიეცა სამართლის მძებნელი,
მართალთა მეოხი, ობოლთა მამა,
შესულა შამაში თავის საღგომში.
ღიდი ღმერთები ღამეულ ჟამისა:
ელვარე გიბილ და გმირი ერა,
მშვილდი და უღელი,

გველი და ურჩხული,
ეჭლი და ვაცი,
ვერძი და ვეშაპი,
დაე, აღმოზრწყინდნენ!

მდინარისადმი

მდინარეე, შექმნილო ყოველთა ნივთთა,
ოლეს დიდმა ღმერთებმა გაგთხარეს,
მშვენიერნი ნიეთნი მიდამოგისხეს!
შენს წიაღში ეამ, სიღრმის უფალმა, დაილო ბინა,
წინალუდგომელი ნიაღვარი ნიჭად გიბოძა,
ცეცხლი და რისხვა, ელვა და შიში
ეამ და მარღუქმა გიწყალობეს.
შენ განიკითხავ კაცთა სამართალს.
დილო მდინარეო, უმეშთაესო მდინარეო,
მდინარეო წმიდა საყდართა!
განმწმედელი წყლები შენი ცოდვათაგან გვისხნის.
ყოველი ბილწება ჩემი სხეულისა გარიყე!
ანუ სიღრმეთაკე ჩაძირე!

მარილისადმი

ჰე, მარილო, წმიდა ადგილზე ჩასახულო,
ენლილმა ღმერთების საკვებად განგაწესა.
გარეშე შენსა არ სერობს ექური,
გარეშე შენსა არ იყნოსენ საკმეველს ღმერთნი და მეფენი.
მე, მავანი ძე მავანისა, ჯალოსაგან შევკრულვარ,
უქმურმა ცხრო და ცხელება შემყარა.
განმაშორე ჯალო, დახსენ კრულება ჩემი!
უქმური განმიღევენე ტანიდან!
ხოლო მე, ვითარცა ღმერთს, რომელმაც შემქმნა,
სამარადისო ქებას შეგასხამ.

შობის სიმღერები

I

თანაყოფის წყლებში შეიქმნა ძვალი,
კუნთების ქსოვილში შეიქმნა ნაყოფი;
ზღვის ბობოქარ წყლებში, საშინელში,
თიამათის შორეულ წყლებში,
სადაც ჩვილს შეკრული აქვს მხრები,
რომლის სიღრმეს ვერ სწვდება შამაშის თვალი.
მოხედა ასარილუხიმ, ძემ ენქის,
დაუსსნა საკვრელნი, შემბორკველნი,
გზა გაუნათა, გაუსსნა სავალი...

II

ფური მაკედ არის, მშობიარობს ფური
შამაშის სადგომში, შაქანის ბოსელში,
უყურებს და გირის შამაში,
უყურებს მელამე, ეღვრება ცრემლები.
რად გირის შამაში?
მელამეს რად ეღვრება ცრემლები?
ჩემი გაუსსნელი ფურის გამო,
ჩემი დაუბადებელი ხბოს გამო...

აშურული ლოცვები

სინისადმი

ბრწყინვალე სინ, მაღალ ცად ნათობ!
სინ, ახლადმოვანებული, განმაბრწყინვებელი ცათა და სმელისა,
სინათლის დამდგენელო მრავალ ხალხთათვის,
“შავთავიან” ხალხისკენ იგზავნება სხივები შენი.
ბრწყინვალეა ნათელი შენი მაღალ გეცაში,
დიდებულია ჩირაღდანი შენი, ვით ცეცხლის ღმერთია ალი შენი,
ავსებს ბრწყინვალეობა შენი ვრცელ დედამიწას.
ხალხი ძლიერდება შენი ხილვისას
გეცის ანუ ხარ, რომლის ამრს ვერავინ შეიცნობს,
ვრცელია ნათელი შენი, ვით შამაშისა, შენი პირმშოსი.
განროთხმულან წინაშე შენსა დიდი ღმერთები,
ქვეყანათა განგება ჰგიეს შენ წინაშე.
მთვარის დაბნელების უბელობის ჟამს,
რაც ხდება ამა და ამ თვეს, ამა და ამ დღეს,
ბოროტი და უკეთური ნიშების უბელობისას,
რაც ჩემს სასახლეში და ქვეყანაში ჰგიეს,
დიდი ღმერთები შენ გეკითხებიან, იძლევი რჩევას.

ზარალის შევსებად
შენდამო მოვიქეც, შენ გეძიებ, შენი სამოსელის კალთებს მოვეჭიდე,
ვით კალთებს ჩემი ღმერთისას და ქალღმერთისას
სამართალი განმისაჯე, გარდამიწყვიტე განგება,
შეიცან ქცევა ჩემი.
რამეთუ ცხონება ჩემი და მშვიდობა შენთანა ჰგვის.
ქალბაგონო, შენ მოგენდე, ვახსენე სახელი შენი.
შენდა მიიქცევიან სასმენელნი ჩემნი, მიხსენი მე,
შენს ღვთაებრიობას განვადიდებ.
მიიღე ხელაპყრობა ჩემი, შეიწყნარე ვედრება ჩემი.
გამეგზავნე ჩემს განრისხებულ ღმერთთან და ქალღმერთთან.
ღმერთთან ჩემი ქალაქისა, რომლის გული მრისხანებს
და ბრაზობს ჩემზე.
ქამსა ზმანებისა და ხილვისა, რაც შემემთხვევა,
ქამსა მთვარის დაბნელების უბედობისას, რაიც მოხდება
ამა და ამ თვეს ამა და ამ დღეს,
ავი ნიშებისა და უკეთურ სასწაულთა,
რაიც ჩემს სასახლეში და ქვეყნად ჰგვის,
მეშინის, ვკრთები და ვბნელდები!
შენი უბუნაესი ბრძანების სიგყვით, რაიც ექურში არ იცვლება,
შენი წრფელი დაპირებით [. . .], რაიც არ იცვლება,
დაბრუნდეს მრისხანე ღმერთი ჩემი, ბრაზიანი ქალღმერთი მოიქცეს!
და ღმერთი ჩემი ქალაქისა, მარდუქი, რომელიც მრისხანებს,
დამშვიდდეს.

გულასადმი II

გულა, ქალბაგონო განდიდებულო, მოწყალე დედავ,
მკვიდრო ცათა და ხმელისა,
შენ მოგიწოდებ, ჩემო ქალბაგონო, ღამიდეგ, ისმინე ჩემი,
შენ გეძიებ, შენ შემოგცქერი,
ვით ჩემი ღმერთის და ქალღმერთის კალთას,
შენს კალთას ვეჭიდები,
რადგან განმრთელება და გაჯანსალება შენთანა ჰგვიეს.
რადგან ხსნა, შეწყალება და ცხონება შენ იცი.
გულა, უდიდესო ქალბაგონო, მოწყალე დედაო,
სიმრავლეთა შორის ცის ვარსკვლავებისა,
ქალბაგონო, შენ შემოგექცევი, შენკენ მიიპყრობა სასმენელი
ჩემი, წმიდა ფქვილი მიიღე ჩემგან, შეიწყნარე ვედრება ჩემი.
ჩემს განრისხებულ ღმერთთან გამეგზავნე,
ჩემს განრისხებულ ქალღმერთთან გამეგზავნე,
ჩემი ქალაქის ღმერთთან გამეგზავნე, რომელიც დრგვინავს
და ბრაზობს ჩემზე.
შორის ხილვასა და მზანებასა, რაც წილად მხედება,
მეშინია და ვძრწი მე.
გულა, ღიადო ქალბაგო, ამადლებული შენი სახელით,
რომელიც ენლილის ექურში განდიდებულია,
და შენი მტკიცე აღთქმებით, რომლებიც არ იცვლება,
ჩემი ღმერთი განრისხებული დამიბრუნე,
ჩემი ქალღმერთი ბრაზიანი მომიქციე,
ღმერთი ჩემი ქალაქისა, განრისხებული,

რომლის გული მძვინვარებს ჩემზე,
რომელიც მწყრალობს, დაამშვიდე,
რომელიც გულმოსულია, დააწყენარე.
გულა, დიადო ქალბაგონო, უღონოთათვის კეთილი
სიგყვის შემაწევარო,
მარდუქთან, ღმერთთა მეფესთან, მოწყალე უფალთან, სიგყვა
მიიგანე, კეთილი თქვი.
ფართეა ფარი შენი, ძლიერია შეწყალება შენი,
ნება სიკეთისა და სიმრთელისა ჩემკენ მომართე,
სილიადეს შენსას განვაცხადებ, დიდებით განგადიდებ!

გირუსადმი (ცეცხლის ღმერთი)

დაცხრი, ძლიერო ცეცხლო გირუ!
შენთან ერთად დაცხრნენ მთები და მდინარეები!
შენთან ერთად დაცხრნენ ტიგროსი და ევფრათი!
შენთან ერთად დაცხრეს ოკეანე, ვრცელი ზღვა!
შენთან ერთად დაცხრეს გზა, ასულო დიდი ღმერთებისა!
შენთან ერთად დაცხრეს ღვარძლი, ბალახებში ამოსული!
შენთან ერთად დაცხრეს გული განრისხებული
ჩემი ღმერთისა და ჩემი ქალღმერთისა!
შენთან ერთად დაცხრეს გული ჩემი ქალაქის განრისხებული
ღმერთისა და ქალღმერთისა!
დღეს გაიხსნას შეკრული გული
ჩემი ღმერთისა და ჩემი ქალღმერთისა,

და გამოვიდეს ჩემი სხეულიდან,
რადგან მსაჯული ხარ და მე ვდგავარ შენ წინაშე,
მხსნელი ხარ და მუღამ შენკენ მოვიქცევი,
საჯე სასჯელი ჩემი, გადაწყვიტე ჩემი განაჩენი.

ნუსქუსადმი (მზის ამოსვლამდე, ყოველდღე)

ნუსქე დიდებულო, ღურანქის ნაშიერო,
ენლილის რჩეულო, მრჩევლისა, გარდამწყვეტელო ბედისწერათა,
უბენაესო სუქქალო, განმგებელო ყოვლისა, რასაც სახელი აქვს,
წმიდა ზეცად მაღალია სიგყვა შენი,
ეშარრაში განდიდებულია ნათქვამი შენი!
აღმობდომისას გიმზერენ დიდი ღმერთები.
შენ გარეშე ექურში ღვინი არ იმართება,
გარეშე შენსა ანუ, მამა შენი, სასჯელს არ აწესებს,
მრჩეველი ენლილი განაჩენს არ გადაწყვეტს.
მე მავანი, ძე მავანისა, რომლის ღმერთი ესა და ეს არის,
ქალღმერთი ესა და ეს, შენ ქვეშე განვეერთხე.
მოიღე წყალობა, მრისხანე გული შენი მალე დაცხრეს.
წინაშე ენლილისა, მრჩევლისა, ჩემი სურვილის დამცველი იყავი.
ცოდვას დამხსენ, აღმოფხარ უთნობიანი ჩემნი,
კეთილმა შედუმე, კეთილმა ლამასუმ დღენიადაგ ჩემს მხარეს იარონ.
პირი და ენა კეთილს მეგყოდნენ,
შენ წინაშე ვიარებოდე, სიცოცხლით ვძლებოდე!

შამაშისადმი

დიდებულო, სრულყოფილო, მემკვიდრეო აშიმბაბარასი,
ახლადგამოჩენილო ნათელო, გამხსნელო კაცთა მშერისა,
მაჩინებელო სინათლისა.

შამაშ, განმგებელო მკვდართა და ცოცხალთა,
მჭვრეტელო ყოვლისა, რასაც კი სახელი აქვს,
ღვთაებრივო შუქო ცათა და მიწისა, სამყაროს სხივო,
სიპარის უფალო, ებაბბარას მფარველო,
ღვიძლო ძმაო მარდუქისა, ბაბილონის მეოხვე.
სიგყვას შენსას პატივს სცემენ ღმერთები, იდიდები,
ვრცლად გაფენილი კაცთა მოღვმა, “შავთავიანები”

აღიღებენ შენს სიქველეს

მარგოულ მოყმეს თანამგზავრს ანიჭებ.

ცვედან კაცს მემკვიდრეს ანიჭებ,

ჩაკეგილ ურდულეებს აღებ,

ვერმხედველს სინათლეს უმკვიდრებ,

ღაფარულ ღაფას, გაუხსნელს აღმოიკითხავ.

ღმერთების მსაჯულო, უფალო იგიგებისა,

შამაშ, ქვეყნის ბედისწერათა უფალი ხარ.

ბედი გადაწყვიგე, გზები კეთილ ჰყავ,

წრფელი იყოს ნიშები ჩემი,

კეთილი იყოს სიზმრები ჩემი,

სიზმარი, რომელსაც ვიხილავ, კეთილად დაადგინე.

წრფელად ვიარო, თანამგზავრი ვიპოვო.

ღღენი ჩემნი კეთილნი იყოს,

მომეცი კეთილი ზრახვები.
ქუჩებში კეთილსასურველი იყოს სიგყვა ჩემი.
სიხალისესა და მხიარულებაში გავაგარო დღე.
ჭეშმარიტება მარჯვენით მედგას, სამართლიანობა – მარცხენით.
ვილოდეს მხსნელი ღმერთი ჩემს გვერდით.
არ მომშორდეს მცველი სიმართლისა, ჩემ უკან მავალი.
სუქქალმა ბუნენემ გითხრას სიგყვა კეთილი,
აიამ, საყვარელმა შენმა მეუღლემ, შერიგება გითხრას.
შამაშ, ღმერთების წინამძღოლი ხარ, მოწყალება მოიღე.
ზეცა შეგხაროდეს, მიწა ზეიმობდეს შენ გამო.
ღმერთები ერთობლივ გაკურთხებდნენ,
დიდმა ღმერთებმა გული გაგიხარონ.

მარღუქისადმი

გმირო მარღუქ, რომლის რისხვა წარდენაა,
რომლისგან შეწყნარება ვითარცა მოწყალე მამისაგან.
თქმამ და არმოსმენამ დამადონა,
ღალატმა და უპასუხობამ შემაწუხა,
ძალა ჩემი გამოვიდა ჩემი გულიდან,
ვით მოხუცებული დამდრიკა.
უფალო, დიდებულო, მარღუქ, მოწყალეო უფალო,
კაცთა მოდგმა, რა სახელიც არ უნდა ერქვას,
რომელი მათგანი შეგიცნობს?
ვის არ შეუცოდავს, ვის არ დაუშავებია,

ღმერთის გზას ვინ შეიცნობს?
განგაღიღებ და ბოროტებას არ მივიღებ.
ცხოვნების ადგილს ვეძიებ მე.
ჩაღნილი ცოდვა ღმერთებთან მომეთხოვება
შენ მიმართ ცოდვა ჩავიდინე,
ღვთაებრივი კანონი დავარღვიე.
ცოდვა ჩემი სიჭაბუკისა, შეცნობილი და შეუცნობელი, მომიტყევე.
გული შენი აძგერდეს მოწყალებით, ცოდვისგან დამხსენ,
დანაშაულისგან განმათავისუფლე.
არეულობანი ჩემნი განანათლე,
ამღვრეულობანი ჩემნი დაწმინდე.
ცოდვა მამისა, მამის მამისა, დედისა, დედის დედისა,
ჩემი ოჯახისა, ჩემი გვარისა და ჩემი სანათესაოსი,
მე არ მომეახლოს, გვერდზე ჩამიაროს, წავიდეს.
შემეხიტყვე, ღმერთო ჩემო, ნარდიონივით განწმინდე.
ჩემი ღვთაების კეთილი ხელებისთვის სიკეთით მიმბრუნე.
ლოცვად, ვედრებად და მოწიწებად მარად დაგიდგები.
ქვეყნის მდიდართა ხალხთა, ალაგ-ალაგ რომ მკვიდრობენ,
განგაღიღონ! ცოდვისგან დამხსენ, ცოდვისგან განმათავისუფლე!
გმირო მარდუქ, ცოდვისგან დამხსენ, ცოდვისგან განმათავისუფლე!
დიდო ქალბატონო ერუა, ცოდვისგან დამხსენ!
კეთილო სახელო ბაბუ, ცოდვისგან დამხსენ!
დიდო ქალბატონო თაშმეთუმ, ცოდვისგან დამხსენ!
გმირო ნერგალ, ცოდვისგან დამხსენ!
ღმერთებო, ანუსთან მცხოვრებნო, ცოდვისგან დამხსენით!
დიდი ცოდვა, რომელიც კი სიჭაბუკიდან ჩამიდენია,

მოსპეთ, შვიდგზის დახსენით!
გული შენი, ვითარცა მშობელი მამისა და მშობელი დედისა,
თავის ადგილს დაუბრუნდეს!
გმირო მარდუქ, დიდად განგადიდებ!

შელოცვა

ბნელეთის მკვიდრმა დაგოვა ბნელეთი,
მზის შუქის საჭვრეგად ამოსულა.
“რაგომ ჭირვეულობს?” – გირის დედა,
ცად ანთუს მიმართ ცრემლები ეღვრება.
ეს ვისი ხმაა, მიწაში რომ ისმის?
თუ ძაღლია – ლუკმა გადაუგდონ,
თუ ფრინველია – საკენკი დაუყარონ,
თუ ჭირვეულია, კაცის ნაშობი –
ანუს და ანთუს შელოცვა შეულოცონ,
რომ მამამ იძინოს, ძილი დაასრულოს,
დედამ, მქსოველმა, ქსოვა დაასრულოს.

ჩემი არ არის ეს შელოცვა: ეას, დამუს და გულას შელოცვაა, ნინაქუთუმის, შელოცვათა ქალბატონის, შელოცვაა. მათ მითხრეს, მეც გავიმეორე: “შელოცვა, ბავშვის დასამშვიდებელი”. წესი ასეთია: ბავშვის სასთუმალთან პურს დადებ, სამგზის წაიკითხავ ამ შელოცვას, პურს თავიდან ფეხებამდე გაუჭარებ და ძაღლს გადაუგდებ. ეს ბავშვი დაწყნარდება.

უბრალოდ განჯულის აღსარება

(დაცემა)

დამაგლო ღვთაებამ ჩემმა, გაუჩინარდა,
დამგოვა ქალღმერთმა ჩემმა, გარემიიქცა,
განმეშორა კეთილი სული ჩემს გვერდით მავალი,
გაფრინდა ლამარი, სხვის ძებნად წარვიდა.
ღირსება ჩემი წარხდა, სასოება ჩემი წარიკვეთა,
საშიში ნიშები დამიმკვიდრდა.
ნათელმხილველი ჩემს საქმეთ ვერ ცხადჰყოფს.
გავალ სახლიდან კიდევან მოარული, –
გარეთ ნათქვამი ავს მომისწავებს.
დავწვები ღამით: საშიშია სიზმარი ჩემი.
მეფე – ღვთის ხორცი, მზე თვისი ხალხისა,
გამწყრომია, აღარ მშვიდდება;
დიდებულნი ბოროტს მიმრახავენ,
ერთი ამბობს: “სიცოცხლეს მოვუსპობ!”
მეორე იცყვის: “განსაგებელს მოვაშორებ!”
მესამე: “მის განსაგებელს მე დავიჭერ!”
“შევალ მის სახლში!” – ამბობს მეოთხე.

მეხუთე იტყვის: “მონაგებს წავართმევ!”,
მეექვსე და მეშვიდე მათ ზრახვას მიჰყვებიან.
შვიდთა კავშირი ძალებს ამგვიცებს:
ავსულებივით უწყალონი, მსგავსნი ეშმათა,
ერთხორც და ერთზრახვა არიან.
კეთილშობილ ბაგეთა ჩემთა ლაგამი ამოსდეს, –
და დამუნჯდნენ მეტყველნი ბაგენი ჩემნი.
მჭექარე ძახილი ჩემი დაღუმდა,
გეაღმართული თავი ჩემი მიწად დაიდრიკა,
მამაცი გული ჩემი შიშით დაითრგუნა,
ფართე მკერდი ჩემი უაზნომ შედრიკა,
ძლიერი მხრები ჩემი ორთავე მომერღვა,
ოდესდაც გვიადად მავალმა კნინად სვლა ვიწყე.
დიდებული ვიყავ, მონად გარდავიქეც!
ნათესავთ შორის განდევილად ვიქეც!
უცხოლ შემრაცხა ნათესავმა ჩემმა.
ქუჩად მივდივარ, – მაყურადებენ,
სასახლეში შევდივარ, – მაშგერდებიან.
ქალაქი ჩემი უცხოთავეთ მიბღვერს,
სასტიკი და მგრულია ქვეყანა ჩემი,
მგრად გარდამექცა მოყვასი ჩემი,
ვერაგი მოძმე ჩემი ილაღვის ჩემს მომართ,
იარაღს ლესავს თანამდგომი ჩემი,
ხმამალლა მწყევლის ქვეშევრდომი ჩემი,
სახლს ჩემსას გარეაწყდებიან.
მოკეთეს ჩემსას ხარო გაეთხარა,

ხოლო აღბევედა მაჭირვებელი ჩემი.
სიცრუვის მოწამეთ ღმერთი მფარველობს,
ხოლო შემწყალებელს სიკვდილი უწერია.
ხუნდები და ბორკილი ადევს ჩემს სახლეულს,
ჩემი ყანებიდან განდევნეს ჰოპუნა.
დუმს ჩემი ქალაქი უცხო ქალაქივით.
საქმე ჩემი სხვას დააკისრეს,
ჩემს განსაგებელში სხვა განაწესეს.
დღისით – ოხვრა, ღამით გოდება,
თვეობით მოთქმა, წლობით სიმძიმელი.
ტრედივით მოვთქვამ დღენი ჩემნი.
სიმღერის ნაცვლად კენესა აღმომხდების,
მარადღე გირილით თვალნი დამევესნენ.

(მართალი ცხოვრება)

კვლავ ცოცხალი ვარ, განხდა დათქმული ქამი.
მიმოვიხედები: ჰოი, ბოროტებაჲ ბოროტებათა!
გრძელდება უბედობა ჩემი, სამართალი ვერ ვპოვე.
ღვთაებას ვუხმობ, სახეს არ მიჩვენებს,
ქალღმერთს ვევედრები, თავს მაღლა არ სწევს.
რა უკუღმართობა გრიალებს ირგვლივ!
მსგავსად იმისა, ვინც ღვთაებას მსხვერპლს არ სწირავდა,
ინახად მჯდარი ქალღმერთს არ უხმობდა,
ქელს არ იხრიდა, თაყვანისცემას არად მიიჩნევდა,

ვის ბაგეებში შემწყდარიყო ლოცვა და ვედრება,
ვინც ღვთის დღე შეურაცხყო, შეიძულა შაბათი,
ვინც მცონარებდა, ივიწყებდა ღვთაებრივ მცნებებს,
ღვთისაღმი მოწიწებას ხალხს არ შთააგონებდა,
თავისი ღვთაების უხსენებლად ჭამდა საჭმელს,
დაივიწყა ქალღმერთი, იფქლი არ მიაერთვა,
ვინც უღებ იქმნა, აღარ გაახსენდა უფალი თვისი,
ვინც საბეიმო ფიცი ღვთისა ფუჭად დაიფცა, –
მათივე მსგავსად მომეგო მე.

ხოლო მე მახსოვდა ლოცვა და ვედრება,
ლოცვა იყო სიბრძნე ჩემი, მსხვერპლმეწირვა – სჯული ჩემი,
დღე ღვთისაღმი თაყვანისცემისა – სიხარული ჩემი გულისა,
დღე ქალღმერთის სასწაულისა – სარგებელი და მოგება,
ლოცვა მეფისა მიმართ – ლხენა ჩემი,
და მისღამი გალობანი – სიკეთე ჩემი.

ქვეყანა ჩემი გამოვწვართე ღვთის წესთა მარხვაში,
ქალღმერთის ძვირფასი სახელი ჩემს ხალხს ვახსენებინე,
ქებანი მეფის მიმართ ღვთაებრივად ვაქციე,
და მოწიწება სასახლისაღმი ხალხს შთაავაგონე, –
მეგონა, სათნო იქნებოდა ესე ღვთისათვის,
თურმე კაცებრივი სიკეთე ღვთისათვის ბოროტება ყოფილა,
კაცის სიძულვილი რამ ღვთისათვის სიკეთე ყოფილა.
ვინ მიხვდება ცათა წიაღში ღმერთების ნებას?
ვინ შეიცნოს ქვესკნელის ღმერთების მრახვა?
ვით გაიგოს მოკვდავმა კაცმა გზა ღმერთებისა?
გუშინ ცოცხალი დღეს უკვე მკვდარია!

წამის წინ მგმუნვარე აწ შვეებით ილხენს.
ერთ წამს უზრუნველად მღერალი,
მეორე წამს მოგირალით მოთქვამს.
ანაზღად იცვლება მოკვდავის გუნება:
მოშიებული გვამს ემსგავსება,
გამაძლარი ღმერთს ეგოქება.
სიგებობების ჟამს ცადასვლად ისწრაფვის,
უბელობის ჟამს ქვესენელსა ნაგრობს.
მაკვირვებს საქმენი ესე,
ვერ შევიცან აზრი მათი.

(სნეულება)

სნებანი აღიძრნენ ჩემ წინააღმდეგ:
ავმა ქარმა დაუბერა ცის კიდიდან,
ქვესენელის მკერდიდან აღმოხდა უქმური,
უღრეკმა ავსულმა დაგოვა ექური,
ღამაშითუ ამოძვრა მთის ნაპრალიდან,
ბალახივით ამოძვრა უძლურება,
გარემოადგნენ თავისქალას ჩემსას,
სახე დამიბნელეს, თვალნი წყლად მიქციეს,
კისრის ძარღვები დამიწყვიტეს, ქელი დამიდრიკეს,
მკერდი მიგვემეს, გულ-მკერდი ჩამილეწეს,
გულღვიძლში სახმილი გამიჩაღეს,
შიგნეული აღმიშოთიეს,

ასოთა ჩემთა ციებ-ცხელება შეჰყარეს,
მაღალი ტანი ზღუდესავით მომირღვიეს,
ძლიერი სხეული ლერწამივით დამიხარეს.
ულუ-ეშმამ ჩემი სხეული სამოსელივით მოისხა,
ვითარცა ბადემ მომიცვა ძილქუშმა.
თვალ მასხენ, – ვერ ხეღვენ თვალნი ჩემნი,
ყურ მასხენ, – ვერ ესმით ყურთა ჩემთა.
განმერღვენენ მკლაენი ჩემნი,
მოუძღურდნენ მუხლნი ჩემნი,
სვლა გადაავიწყდათ ფერხთა ჩემთა:
ბნელიანივით შემეკრა სუნთქვა,
კარი ჩემი დაიგმანა, აუზი ჩემი დაიბეჭდა,
სიყმილი გამიგრძელდა, ყელი დამეხშო,
ხორბალს მაწვდიან, ანწლივით ვყლაპავ,
ლუდი, – სიცოცხლე კაცთა მოდგმისა, გამიმწარდა,
სიყმილისგან სახე შემეცვალა,
ძვლებზე აექვა გყავი ჩემი.
საპყრობილედ მექცა სახლი ჩემი,
განრღვეულნი მკლაენი სხეულის ბორკილად მექცა,
დავარდნილი ფეხები ხუნდებად მექცა.
მთელი ღლე მღევნის მე მღევნელი,
ღამით არ მასვენებს ერთი წამითაც.
საქონელივით მძინავს ჩემსავ სიპილწეში,
ცხვარივით ვგორაობ ჩემსავ სკორეში.
მარჩიელს აფროთხობს ნიშები ჩემი,
შემლოცველი ვერ არკვევს სენის ბუნებას,

და ვადას ჩემი ავადობისას ვერ საზღვრავენ.
არ მშველის ღმერთი, ხელს არ მჭიდებს,
ქალღმერთი არ მწყალობს, ჩემ გვერდით არ ვალს.
ღიაა სამარე ჩემი და დაჭირებაც მზადაა უკვე,
ვიდრე მოეკვდებოდე, გლოვა დამისრულებს.
ქვეყანა ამბობს: “როგორ განადგურდა!”
რა ესმა ჩემთა ჭირთა მოხარულს, სახე გაუბრწყინდა.
მაგრამ მე ვუწყი ღღე, ოდეს მოდგმა ჩემი,
ყველა ნაცნობი ჩემი, მზის ნათელს მოშორდება.

(განკურნება)

მაშინ ვიხილე მე სიმმარი,
და ღამეულ სიმმარში, რაიც მეგმანა:
კაცი რჩეული და ახოვანი,
სახედიდებული, სპეგაკით მოსილი,
ელვით დაფარული, საშინელი,
დაადგრა წინაშე ჩემსა.
და გამიშეშდა მე გვაში სრულად.
“ქალბატონმა გამომგზავნა მე
სალმობათაგან შენდა განრინებად”.
და მეორედ ვიხილე მე სიმმარი.
და ღამეულ სიმმარში, რაიც მეგმანა,
კაცი რჩეული, ბრწყინვალე ანაგების ვიხილე.
ხელთ ეპყრა კვერთხი თამარისკისა, განმწმენდელი.

“ლალურალიმამ, ნიპურის მკვიდრმა,
გამომგზავნა შენდა განსაწმედალ”.
მაპკურა წყალი, თან რომ მოიგანა,
წარმოთქვა ლოცვა განკურნებისა,
და განწმიდა სხეული ჩემი.
და მესამედ ვიხილე მე სიზმარი,
და ღამეულ სიზმარში, რაიც მეგზანა:
ქალწული ერთი ბრწყინვალე სახისა,
ვითარცა ცათა დედოფალი, ღვთაების სწორი,
შემოვიდა და დაჯდა წინაშე ჩემსა.
ვხადე: “ბრძანე განკურნება ჩემი”.
ბრძანა: “ნუ გეშინის! შენდა განკურნებად მოველ.
კმა იყოს შენთვის ეგზომი სალმობა,
ვინაც ღამეულ ქამს ხილვა იხილე”.
ჩემს ხანგრძლივ სალმობაში ხსნა მომეველინა, –
და მყის დასრულდა სნეულება ჩემი,
და დაიმსხვრა ბორკილები ჩემი.
მაშინ დაცხრა გული ჩემი უფლისა,
მაშინ დაუტევა გულისწყრომა მოწყალე მარდუქმა,
მაშინ შეიწყნარა მან ლოცვანი ჩემნი,
მაშინ გამობრწყინდა კეთილი ღიმილი მისი,
მაშინ მრქვა: “განრინებულ იქმენ სალმობაში მყოფო!”
არად ჩათვალა შეცოდებანი ჩემნი,
განაქარვა ცოდვანი ჩემნი,
განდევნა ავი ქარი ცათა კიდისაკენ,
ექურს მიაქცია უძლეველი ეშმა,

ქვესკნელის მკერდში ჩააბრუნა უკმური,
ზღვის ტალღებს გააგანა კრუნჩხვა.
ბალახივით აღმოფხვრა უძღურების ძირი,
ძილი უკეთური, დაწოლისას ღვარად მოდენილი,
ვითარცა ნისლი, ცის აღმვსები, შორს გაფანტა,
სიკვდილის ლიბრი, თვალთა დამნისლავი,
უამრავ ბერუბე გაგზავნა, ხელვა განმინათლა.
ყურნი ჩემნი, ყრუსებრ დაგმანულნი,
ზინთისაგან განწმიდა, გახსნა სასმენელი ჩემი.
ნესტონი ჩემნი, სურდოსაგან უსუნთქველნი,
ხუთვისაგან დახსნა, და აწ ვსუნთქავ.
ბაგენი ჩემნი, მბოდვარნი და ბრკობილნი,
შეამსუბუქა, ბრკოლისაგან იხსნა.
პირი ჩემი, მოკუმული და ძნელმეცყველი
ქმნა ვითარცა ბრინჯაო და წვირისაგან განწმინდა.
კბილები ჩემი, დაღრჭენილი, ერთმანეთს მიბჯენილი,
დახსნა ბორკილთაგან და ფესვები მათი მოასვენა.
ენა ჩემი, სასას აქმული, ვერმოძრაავი,
აამოდრაავა და აწ დიან სიგყვანი ჩემნი.
ხორხი ჩემი, დაჭიმული, სულთმობრძავივით ხრჩობადი,
განკურნა და სტვირივით აახშიანა.
სასულე ჩემი, გაბერილი, ჰაერის ვერმიმღები,
დაფუშა და გახსნა სარქველი მისი.
ქელი ჩემი, დაღრეკილი და მორღვეული
მთასავით აღამაღლა და აღმართა, ვითარცა სვეტი.
მუხლნი ჩემნი, შებორკილნი და უძრავნი,

დახსნა ბრკოლისაგან და სვლად მოძრავეო.
სახე ჩემი, მოღრუბლული განაბრწყინა.
და მე, განრინებული, ვვალ ქუჩად ქუნუშ-ქუდრისა.
ვინაც ესანგილა დაივიწყა, იხილოს სასწაული ჩემი!
უფალმა ხელი ჩამჭიდა,
უფალმა ფეხზე დამადგინა,
უფალმა სიცოცხლე დამიბრუნა,
უფალმა მიხსნა ბნელი სკნელიდან,
ხუბურის წყლებიდან ამომიყვანა!
მე, საფლავად ჩამავალი,
“მზის აღმოსავლის ბჭიდან” შემოვბრუნდი.
“ბჭეში სიუხვისა” სიუხვე მომენიჭა.
“ბჭეში ლამარისა” მომეახლა მფარველი ლამარი.
“ბჭეში სვებედისა” ვპოვე სვებედი.
“ბჭეში სიცოცხლისა” მოვიპოვე სიცოცხლე.
“ბჭეში მზის აღმოსავლისა” ცოცხალთა შორის შევირაცხე.
“ბჭეში ნათელ საოცრებათა” ცხადიქმნა ნიშები ჩემი.
“ბჭეში ცოდვათაგან დახსნისა” დაიხსნა ბორკილები ჩემი.
“ბჭეში თაყვანისცემისა” ამეგყველდა ბაგე ჩემი.
“ბჭეში ოხვრათაგან დახსნისა” განქარდნენ ოხვრანი ჩემნი.
“ბჭეში წმიდა წყლისა” მესხურა წყალი განწმედისა.
“ბჭეში მშვიდობისა” მუხლი მოვიყარე მარღუქის წინაშე.
“ბჭეში უხვებისა” ვემთხვიე ცარფანითუს ფერხთა.
იხილეს ბაბილონის ძეთა, თუ ვით განაცოცხლებს მარღუქი,
და ყოველი მხარე ახსენებდა დიდებას მისას.
ვინ იგყოდა, უკეთუ კვლავ შეძლებდა იგი თვისი მზის ჭვრეგას?

ვინ იფიქრებდა, უკეთუ კვლავ ივლიდა ქუჩად?
მკვლრეთით ვინ აღადგენს მარლუქის თვინიერ?
ცარფანითუს თვინიერ რომელი ქალღმერთი ანიჭებს სუნთქვას?
მარლუქს საფლავთაგან აღდგინება ძალუცს!
ცარფანითუმ წარწყმედისგან განრინება უწყის!
სადაც კი მყარია მიწა და ცა განფენილი,
სადაც მზე ბრწყინავს და ცეცხლი გიბგებებს,
სადაც დის წყალი და ქარი უბერავს,
არსებანი, არურუს თითებით მოზელილნი,
სულღმულნი, ცისა და ხმელეთის იძვრისნი,
ყოველმა მოკვდავმა მარლუქი აღიღონ.

ბელუკულმართისა და ბრძენკაცის დიალოგი

“ბრძენო, მახლობელი ჩემო, ყური მიგდე,
იჭვები ჩემი მსურს გაგანდო.
ყოველი დამაშვრალი შენს ქებაშია:
სად ვპოვო ბრძენი, საფერი შენი?
სად ვპოვო მოძღვარი, მსგავსი შენი?
სად ვპოვო მრჩეველი, გამგები ჩემი?
გავთავდი! ნაღველმა გული ამიმღვრია:
ნაბოლარას ბედმა ჩამსახავი წამართვა,
დედა წამივიდა მოუსავლეთში,
დედ-მამამ დამტოვა ბედის ანაბარა”.

“ღირსო მოყვასო, ნაღვლიანად უბნობ!
ძვირფასო, შავ ფიქრებს აპყოლილხარ,
ვითარცა უგუნური ვინმე იზრახავ,
მოღიმარი სახე შავად შეგიცვლია.
მართლაც მიგვატოვეს ჩვენმა მამებმა,
განვლეს გზანი სიკვდილისანი.
ხუბურის წიაღსვლა ძველთაგან თქმულა.
მაგრამ დააკვირდი კაცთა მოღვმას:
ვინ ამღიდრებს არასმქონე პირმშოს?

ლოვლათის პატრონს ვინ წყალობდა?
ღვთისმოსავი ლამარს შეიძენს,
სიმდიდრეს იხვეჭს ქალღმერთის მოშიში”.
“წყაროა, მოყვასო, გული შენი, სათავეუშრეტი,
სავეება ზღვათა, დაუვსებელი.
შეგეკითხები, მიმიხვდი კითხვას:
წარმატება ჩემი წარხდა, სიუხვე ჩემი დაივსო,
ძალი ჩემი მოუძღურდა, სვე ჩემი განქარდა,
პური ჩემი ყანისა აღარ გამაძლებს,
ღვინო, სიცოცხლე კაცთა, წყურვილს აღარ მიკლავს.
განა მტკიცეა ღღე ლხენისა? მაცოლინე!
რა მარგო ღვთისაღმი მოწიწებამ?
კანჯარი სტომაქს რომ ივსებს და ივსებს,
განა ინიშნებს ღვთაებრივ ნიშებს?
მძვინვარე ლომი, უკეთესი ხორცის მჭამელი,
განა ფქვილს შესწირავს განრისხებულ ქალღმერთს?
მდიდარი მხვეჭელი, მზრდელი ქონებისა,
განა ღვთის წინაშე ოქრო-ვერცხლს წონის?
როდის ყოფილა, რომ დამეკლოს სამორველი,
შეუსვენებლივ ვლოცულობდი ღვთაების მიმართ”.
“ფინიკის ხეო, ხეო სიუხვისა, ძვირფასო ძმაო!
ყოველი სიბრძნით მონიჭებულო, ოქროს სამკაულო!
რად გშურს კანჯარისა, მოთარეშის?
განა არ უწყი, ბედი რას უმზადებს?
ისარი ეწევა ველად გალაღებულს.
იხილე ლომი, ნახირის მგერი, –

ჩადენილ ცოდვისთვის მთხრებლი ეთხრება.
გამომძალველი, სიმდიდრის მომხვეჭი,
ბედისწერის დღემდე სარზე აიგება.
ნუთუ შენ გინდა, მათ გზას დაადგე?
მუღმივი სიკეთე ისურვე ღვთისგან!”
“გრილი ნიავია განსჯა შენი, ამოდმქროლი,
ღირსო მოყვასო, კეთილად მირჩევ.
მაგრამ მსურს გითხრა კვლავ სიგყვა ერთი:
სვიანი გზით ვალს ღმერთის არმძებნელი,
ხოლო გლახაკლება ქალღმერთს შევრდომილი.
სიყრმიდანვე ღმერთის ნებისად მივიქცეოდი,
ლოცვა-ვედრებით მივსდევდი ქალღმერთს.
უსარგებლო გვირთი უღლად მიგვირთავს:
ღმერთმა სიმდიდრის წილ გაჭირვება მომაგო.
ღმერთი არ აბრკოლებს გზას ბოროტისას.
უფროსი ძმა გზას ღომივით მიჰყვება,
უმცროსს ახარებს მეჯორის ხვედრიც.
მემკვიდრე ქუჩად ამაყად დავალს,
ნაბოლარა ძე კარდაკარ დაღის”.
“წრფელო, გონიერო, არასწორად განსჯი,
გაავებულხარ, ღვთისადმი მკრეხელო.
ღრმაა ღვთის ზრახვა ცათა წიაღივით,
ვინ შეიცნობს ქალღმერთის ნებას?
არურუს მიერ შექმნილთა შორის
პირველი ნაშობი ნაკლულევანია,
ძროხის პირველი ხბო მომცროა,

ორჯერ მეტია მომღევნო ნაყოფი.
პირველად სუსტი ბავშვი იბადება,
მხოლოდ მეორე იწოდება გმირად.
ღვთის ნება ერთ ვინმეს გამოეცხადება,
ხოლო დანარჩენი უმეცარია”.

“მისმინე, მოყვასო, განსაჯე აზრი ჩემი:
აღიღებენ ძლიერს, თუნდ მკვლელი იყოს,
ამღაბლებენ უძლურს, ვისაც ცოდვა არ ჩაუღენია.
ამართლებენ მძიმე დამნაშავეს,
ღვენიან მართალს, ღვთის ნების მიმღევარს.
ძალმომრის სალარო ოქროთი ივსება,
აცარიელებენ მათხოვრის გუდას.
მხარს უჭერენ ძლიერს, დამნაშავეთ კრებულს,
ხოლო სუსტს სპობენ, უმწეოს ღვენიან.
მე, გადატაკებულს, უაზნო მავიწროებს”.

“ნარუს, ღმერთთა მეუფეს, კაცთა შემოქმედს,
ღიდებულ ზულუმარს, მათი თიხის მომზელს,
დედოფალ მამის, მათ გამომსახველს,
კაცთა მოღგმა უკუღმართად შეუქმნიათ:
უკეთური აზრები ჩაუნერგავთ მათთვის:
მჭევრმეტყველებენ შესახებ მდიდრისა:
“მეფეა, შეძლებულნი მის გვერდით ვლენანო”.

ხოლო საწყალ კაცს ქურდად მიიჩნევენ,
ცილს სწამებენ, მოკვლად ესწრაფიან,
მას აკისრებენ ყველა დანაშაულს,
აშინებენ, ცეცხლივით აქრობენ”.

“მოწყალეო მოყვასო ჩემო, მიხვდი ჩემს სატკივარს,
შემეწიე, მომხედე, ნუ დამტოვებ!
მე, მორჩილმა, გონიერმა, ღვთისმოსაემამ,
შველა და შეწევნა ვერასოდეს ვპოვე.
ქალაქის მოედანზე ქედმაღლად არ მივლია,
თავს მაღლა არ ვწევდი, მიწას დავცქეროდი.
შემეწიოს ღვთაება ჩემი, რომელმა მიმაგლო;
შემიწყალოს ქალღმერთმა, რომელმა უკუმაგლო!
მწყემსი შამაში კაცთა მოღვმას ღვთაებრივად მწყესავს”.

ბაგონი და მონა

ბაგონი. მონავ, მისმინე!

მონა. მიბრძანე, ბაგონო!

ბაგონი. ეგლი შემეკაზმე, სასახლეში წავალ.

მონა. წადი, ბაგონო ჩემო, წადი!

ვინძლო იქ ჯილდო მოგელოდეს,

მეფემ კეთილი თვალთ შემოგზედოს.

ბაგონი. არა, მონავ, სასახლეში არ წავალ!

მონა. არ წახვიდე, ბაგონო ჩემო, არ წახვიდე!

შორეულ მხარეს წარგავლენს მეფე,

შეუცნობ გზაზე გაგამგზავრებს,

დღითა და ღამით სიმწარეს განახვებს.

ბაგონი. მონავ, მისმინე!

მონა. მიბრძანე, ბაგონო!

ბაგონი. სწრაფად მომიტანე წყალი,

ხელებს დავიბან, ვინადიმებ.

მონა. ინადიმე, ბაგონო ჩემო, ინადიმე!

დროდადრო ნადიმი სულს შევებას ანიჭებს,

მფარველი ღმერთის ნადიმზე მომლხენს

ხელდაბანილი ეწვევა შამაში.

ბატონი. არა, მონავ, არ ვინადიმებ!
მონა. ნუ ინადიმებ, ბატონო ჩემო, ნუ ინადიმებ!
სიყმილი და ჭამა, წყურვილი და სმა.
კვლავ კაცის წინააღმდეგ მიდის.
ბატონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბატონო!
ბატონი. ეგლი შემიკაზმე, ველად გავიჭრები.
მონა. გაიჭერ, ბატონო ჩემო, გაიჭერ!
მოთარეშე კაცის სტომაქი სავსეა.
მონადირე ძალდი სახრავს შოულობს,
ონავარი ფრინველიც იკეთებს ბუღეს,
მონავარდე კანჯარი...
ბატონი. არა, მონავ, ველად არ გავიჭრები.
მონა. ნუ გაიჭრები, ბატონო ჩემო, ნუ გაიჭრები!
ბუღის ამარაა მოთარეშის საქმე,
მონადირე ძალდი კბილებს დაიმგვრევს,
ონავარი ფრინველი გალიაში მოხვდება,
უდაბნოა კანჯარის სადგომი.
ბატონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბატონო!
ბატონი. ბრალმდებელს ჩემსას დავუღუმდები.
მონა. დაუღუმდი, ბატონო ჩემო, დაუღუმდი!
ბრალდებას ბრალდება მოჰყვება,
ამაო საქმეში გაეხვევი.
ბატონი. არა, მონავ, ბრალმდებელს არ დავუღუმდები!
მონა. არ დაუღუმდე, ბატონო ჩემო, არ დაუღუმდე!

ბრალმდებლის მიმართ თუ სიტყუას არ იტყვი,
ალარ დაგინდობს, გაგითამამლება.
ბატონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბატონო!
ბატონი. ამბოხების მოწყობა მინდა.
მონა. ასე ჰქმენ, ბატონო ჩემო, ასე ჰქმენ!
ამბოხებას თუკი არ მოაწყობ,
სამოსელს ვინ მოგცემს, სტომაქს ვინ აგივსებს?
ბატონი. არა, მონავ, ამბოხებას არ მოვაწყობ.
მონა. არ მოაწყო, ბატონო ჩემო, არ მოაწყო!
კაცს შეამბოხეს ან მოაკვდინებენ,
ან გყავს გააძრობენ, ან თვალებს დასთხრიან,
ანდა შეიპყრობენ, დილეგში ჩასვამენ.
ბატონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბატონო!
ბატონი. ქალი მინდა შევიყვარო.
მონა. შეიყვარე, ბატონო ჩემო, შეიყვარე!
კაცს უკეთუ ქალი შეუყვარდა,
დაავიწყდება დარდი და სევდა.
ბატონი. არა, მონავ, ქალს არ შევიყვარებ!
მონა. არ შეიყვარო, ბატონო ჩემო, არ შეიყვარო!
ქალი ორმოა, თხრილი და ხარო,
ქალი ორლესული საგვევარია,
ვაქკაცის კისრის გარდამკვეთელი.
ბატონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბატონო!

ბატონი. წყალი მომართვი, ხელთ განვიბან.
ღმერთს ჩემსას მსხვერპლი მსურს შევსწირო.
მონა. შესწირე, ბატონო ჩემო, შესწირე!
პირადი ღვთისადმი მსხვერპლის შემწირველი
კმაყოფილია: სესხს სესხზე გასცემს.
ბატონი. არა, მონავ, ღმერთს მსხვერპლს არ შევწირავ!
მონა. ნუ შესწირავ, ბატონო ჩემო, ნუ შესწირავ!
ძალღვივით შენს უკან ღვენას შეაჩვევ.
წესთა აღსრულებას, ან ხშირად თაყვანს,
ანუ სხვას რასმე შენ კვალად მოგთხოვს.
ბატონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბატონო!
ბატონი. სესხს გავცემ, ვითარცა მევახშე.
მონა. გაეცი, ბატონო ჩემო, გაეცი!
მევახშის მარცვალი მარცვლადვე რჩება,
სარგებელი კი იზრდება მისი.
ბატონი. არა, მონავ, სესხს არ გავცემ!
მონა. არ გასცე, ბატონო ჩემო, არ გასცე!
გაცემა ქალის სიყვარულსა ჰგავს,
სარგებლის მიღება – შვილების შეძენას.
შენს ხორბალს შეჭამენ და თან დაგწყევლიან,
ხორბლის სარგებელსაც წაგართმევენ.
ბატონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბატონო!
ბატონი. სიკეთეს ვიქმ ჩემი ქვეყნისთვის.
მონა. ქმენ, ბატონო ჩემო, ქმენ სიკეთე!

მარდუქის წრეშია იმ კაცის საქმენი,
რომელიც ქვეყნისთვის სიკეთეს ჩადის.
ბაგონი. არა, მონავ, არ ვიქმ ქვეყნისთვის სიკეთეს.
მონა. არა ქმნა, ბაგონო ჩემო, არა ქმნა სიკეთე!
შედექ ძველ ბორცვებზე, გაიარე!
იხილე ჩონჩხები ჩინებულთა და უჩინოთა, –
ვინ უკეთურია, ვინ ქველმოქმედი?
ბაგონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბაგონო!
ბაგონი. მითხარ, აწ რაღაა სიკეთე?
მონა. ჩემი და შენი კისრების დამტკვრევა,
და მათი წყალში გადაყრაა სიკეთე,
რომელი მაღალი მისწვდება ზეცას?
რომელი ვრცელი მოიცავს ქვესკნელს?
ბაგონი. არა, მონავ, ჯერ მე შენ მოგკლავ,
ჩემ უწინარეს შენ გაგაგზავნი.
მონა. სამ დღეს თუ იცოცხლებს ჩემ შემდგომ ბაგონი ჩემი!

ლექსიკონი

აბაბა – ლაგაშის თემის ერთ-ერთი ქალღმერთი.

აბბუ – შუმ. “წყლის მცოდნე” ან “მცოდნე მამა”. 1) მამრული საწყისი ქაოტური წყლებისა შესაქმის მითოსში; 2) ხმელეთისქვეშა მტკნარი წყლის ოკეანე; 3) ეას (ენქის) სამყოფელი.

აბისიმითი – შუმერული ღედოფალი ურის III დინასტიის ხანისა (ძვ.წ. XXI ს.). სახელი სემიტური წარმოშობისაა: “მამაჩემი – ღირსება ჩემი”.

აბუბუ – როგორც ჩანს, ხმაბაძეითი სიგევა 1) წარღვნა, წარღვნის ხმა, ქარიშხალი; 2) ღმერთების ერთ-ერთი იარაღი.

აგა – შუმერული ქალაქის, ქიშის I დინასტიის მეფე (ძვ.წ. XXVII ს.), გილგამეშის თანამედროვე.

ადაბი – შუმერული ქალაქ-სახელმწიფო სამხრეთ შუამდინარეთში.

ადადი – ჭექა-ქუხილისა და გაროსის ღმერთი ბაბილონელთა პანთეონში.

ამაგი – სიკვდილისა და უკურნებელი სენის გამომწვევი ავსული.

ამუფირანი – აქადის პირველი მეფის, შარუქინის, სამშობლო ქალაქი მდინარე ევფრატზე (მდებარეობა დაუდგენელია).

ალარი – საწესჩვეულებო სიმღერა, საგალობელი.

ალგარი – დაფლაფისმაგვარი მუსიკალური საკრავი.

ალუ – სნეულების შემყრელი ავსული.

ამანქი – იგივე ენქი (იხ.) შუმერული ენის ემესალურ (ე.წ. “ქალთა”) კილოზე.

ამაშქუნგა – შუმ. “წმიდა ფარეხი”, ქალღმერთ ინანას გაძარი ქალაქ ღერში.

ანღურუნა – შუმ. “მეციერი სადგომი”, ღმერთების ბინა.

ანზაგარი – ინანას გაძარი ქალაქ აქშაქში.

ანზუ – ენლის ნაშიერი, აქალური მითოსის ქარიშხლისა და ქაოსის ფრინველი.

ანზუდი – შუმერული მითოსური ბუმბერაზი ფრინველი.

ანი – შუმ. “ცა”, ცის უმენაესი ღმერთი შუმერულ პანთეონში.

ანუ – აქალური ფორმა შუმ. ანისა; უმენაესი ღმერთი ბაბილონურ პანთეონში.

ანუნაქები – ჩვეულებრივ, დაბალი რანგის ღმერთების საერთო სახელწოდება. ზოგიერთი გექსტის მიხედვით, ცის ღმერთების საერთო სახელწოდება.

ანუნები – იგივე ანუნაქები.

ანშანი – იგივე ელამი, ქვეყანა შუმერის აღმოსავლეთით, დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე.

ანშარი – შუმ. “ზემო ყოვლადობა”, ზემო სამყაროს პერსონიფიკაცია შესაქმის მითოსში; მისი საპირისპიროა “ქიშარ” (იხ.).

არალი – ქვესენელის, მკვდართა სამყოფელის, ერთ-ერთი სახელწოდება.

არურუ – შუმ. “თესლის მომნიჭებელი”, ქალღმერთი, რომელმაც ადამიანი შექმნა მოგელილი თიხისგან (გილგამეშის ეპოსში უშუალოდ მისი შექმნილია ენქიდუ).

ასარილუხი – მარლუქის (იხ.) ერთ-ერთი სახელი მრვალთაგან.

აქადი – ქალაქი ჩრდილო შუამდინარეთში, რომელიც გამოჩნდა ისკორიაში ძვ.წ. XXIV ს.-ის დასასრულს; შუამდინარეთის პირველი იმპერიის ცენტრი. როგორც ჩანს, სემიტური მოდგმის ხალხით იყო დასახლებული.

აქშაქი – შუმერული ქალაქი.

აშურბანიპალი – აშურეთის სწავლული მეფე (668-627), ბიბლიოთეკის დამაარსებელი ნინევეში.

აშური – 1) აშურელთა მთავარი ღმერთი; 2) აშურელ მეფეთა საგახტო ქალაქი მდინარე ტიგროსზე.

აცუშუ-ნამირ – აქად. “ამოსვლა მისი ნათელ”, ინანას მაცნის სახელი.

ახუ – შუმერული გაძრის რომელიდაც ნაწილი.

ბაბა – ლაგამის თემის ქალღმერთი, რომელიც შეუღლებული იყო ნინგირსუსთან, ლაგამის ღვთიურ პატრონთან.

ბაბილონი – აქად. “კარი ღვთისა”, ქალაქი ეფფრატზე (დღევანდელი ბაღდადის მახლობლად), ბაბილონის იმპერიის საგახგო ქალაქი.

ბაგარა – ქალღმერთ ბაბას გაძარი ლაგაშში.

ბადთიბირა – შუმერის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ხუთთაგან (ერიდუ, ბადთი-ბირა, ლარაკი, სიპარი, შურუპაკი).

ბართუშგარა – შუმ. “წმიდა სადგომ-საყდარი”, ინანას გაძარი, შუმერის რელიგიურ ცენტრში, ნიპურში.

ბარსიჰა – ქალაქი ბაბილონის მახლობლად, ეფფრატის მარჯვენა ნაპირზე (ახლანდელი ბირსი), მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი ბაბილონის იმპერიაში.

ბელი – აქად. “უფალი”, “პატრონი”, მთავარი ღმერთების ზედწოდება.

ბერუ – მანძილის საზომი ერთეული: ორი საათის სავალი.

ბურანუნა – ეფფრატის შუმერული სახელწოდება.

გაგა – ღმერთების პირველი თაობის თანამზრახველი და მაცნე შესაქმის მითოსში.

გათუძღუგი – ლაგაშის მფარველი ქალღმერთი, ლაგაშის დედად წოდებული (“დედა მრავალთა შვილთა”).

გალათურა – ეფემერული არსება, შექმნილი ენქის მიერ ინანას საშველად.

გაშანი – შუმ. “ქალბატონი”, ინანას სახელი შუმერული ენის ე. წ. “ქალთა” კილოზე.

გაშანქიგალი – იგივე ერეშქიგალი (იხ.) “ქალთა” კილოზე.

გაშანშუბური – იგივე ნინშუბური (იხ.) “ქალთა” კილოზე.

გეშთინანა – შუმ. “ციური ვაზი”, ღუმუზის დის სახელი.

გეშთინდუღუ – ღუმუზის დობილი და შემწე.

გიბილი – შუმ. “ცეცხლი”, შუმერულთა ცეცხლის ღვთაება.

გიგუნა – შუმ. “საფლავი”, გაძრის ნაწილი, სადაც თითქოს იმარხებოდა მომკვდარი და კვლავამდგარი ღვთაება.

გილგამეში – ურუქის ლეგენდური მეფე (დაახ. XXVII ს.), აქადური ეპოსის მთავარი გმირი.

გიპარი – გაძარი, სადაც სრულდებოდა საკრალური ქორწინების რიტუალი ქალაქის ღვთაებასა და ქურუმ ქალს შორის; ქურუმთა სამყოფელი.

გირსუ – ქალაქი ლაგაშის თემში, მისი მთავარი საკულტო შუაგული.

გიშბანი – საკულტო დანიშნულების სამოსელი.

გიშიდა – შუმ. “ზე კეთილი”, ღუმუზის დის ერთ-ერთი სახელი.

გუ – წონის ერთეული, დაახ. 30 კგ.

გუაბა – დაბა ლაგაშის თემში.

გუგალანა – შუმ. “ცის ბელადი”, ქვესკნელის ერთ-ერთი ღვთაება.

გუღა – ლაგაშის ქალაქ-სახელმწიფოს ენსი, მმართველი (2144-2124).

გუთიელები – ზაგროსის მთიანეთის (ახლანდელი ლურისგანი) ერთ-ერთი გომი, რომელმაც დაამხო შარუქინის (სარგონის) დინასტია და 125 წლის მანძილზე ბაგონობდა შუამდინარეთში.

გულა – მკურნალობის ქალღვთაება.

გუშეა – ქალღმერთი იმთარის ერთ-ერთი სახელი.

დაგალ-უშუმგალანა – შუმ. “ცის დიდი ურჩხული” ღუმუზის ზედწოდება.

დაგანი – დასავლეთ სემიტური (ამორეველთა) ღვთაება, თითქოს განასახიერებს ხორბლის სულს.

დამუ – თამუზის ერთ-ერთი სახელი.

დამქინა – შუმ. “დედოფალი მიწისა და ცისა”, ეას მეუღლე.

დერი – ქალაქი გიგროსის ზედა წელზე.

დიღმუნი – ეწოდებოდა სპარსეთის ყურეში (“ქვემო მღვამი”) მდებარე კუნძულებს და აღმოსავლეთ არაბეთის სანაპიროს.

ღუმუმი – შუმ. “ძე ჭემმარიგი”, ღვთაებრივი მწყემსი; მომკვდარი და კვლავალმდგარი ღვთაება, ინანას საგრაფო.

ღუმუმი-აბმუ – ღუმუზის სრული სახელი, რომლითაც ის იწოდება როგორც ენქის ძე.

ღურანქი – შუმ. “ჭიპლარი ცისა და მიწისა”, გაძრებისა და ქალაქების ეპითეტი.

ეა – სიბრძნის, ხელოვნებათა, მაგიისა და მგენარი წყლების ღმერთი ბაბილონურ პანთეონში.

ენა – შუმ. “ცის სახლი”, ინანა-იმთარის გაძარი ურუქში.

ებაბარა – შუმ. “სახლი მშისა” ან “სახლი ბრწყინვალე”, მშის გაძარი ქალაქ ლარსაში.

ებგალი – ინანას გაძარი ქალაქ უმაში.

ეგალგინა – შუმ. “მტკიცე სასახლე”, ქვესკნელის დელოფლის სამკვიდრებელი.

ეგალმახი – შუმ. “სახლი უმენაესი”, გაძარი ქალაქ ისინში.

ელილმუნა – შუმ. “სახლი დილმუნისა”, ინანას გაძარი ქალაქ ურში.

ელინა – შუმ. “ველი”, “უღაბნო”, წმიდა ადგილი ურუქის გალაფნის გარეთ.

ემიდა – შუმ. “სახლი ჭემმარიტი”, ღვთაება ნაბუს გაძრის სახელწოდება (ბარსი-პასა და ნინუაში).

ეთანა – ქიშის ქალაქ-სახელმწიფოს ლეგენდარული მეფე (XXIX ს.).

ელამი – შუამდინარეთის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნა.

ემახი – შუმ. “სახლი უმენაესი”, გაძრის სახელი ადაბსა და უმაში.

ემესლამი – მარლუქის გაძარი ბაბილონში (“სახლი მესლამისა”).

ემუშქალამა – შუმ. “სახლი ქვეყნის გველისა”, ინანას გაძარი ქალაქ ბალთიბირაში.

ენგური – მტკნარი წყლების მიწისქვეშა ოკეანე.

ენინუ – შუმ. “სახლი ორმოცდაათისა”, ლაგამის მთავარი გაძარი, ნინგირსუს საკულტო ცენტრი.

ენლილი – შუმ. “ჰაერის უფალი”, შუმერელთა ეროვნული ღმერთი, შუმერული პანთეონის სამების მეორე წევრი (ან, ენლილ, ენქი).

ენმებარაგესი – ქიშის ქალაქ-სახელმწიფოს ლეგენდარული მეფე (XXVII ს.).

ენმერქარი – მზის ძე, ურუქის I დინასტიის ლეგენდარული მეფე (III ათასწლ.).

ენუნქუგი – შუმ. “სახლი დიდებული, ბრწყინვალე”, ნინგალის გაძარი ქალაქ ურში.

ენქი – შუმ. “უფალი-მიწა”, შუმერელთა ღმერთი სიბრძნისა და წყლის სიღრმეთა.

ენქიმდუ – მიწათმოქმედების ღვთაება, ქალღმერთ ინანას ხელის მადიებელი.

ერა – სიკვილისა და შავი ჭირის ღმერთი.

ერეშქიგალი – შუმ. “ქალბატონი დიდი მიწისა”, ქვესკნელის დელოფალი.

ერიდუ – შუმერელთა უძველესი ქალაქი შუამდინარეთის უკიდურეს სამხრეთში, ევფრატისა და სპარსეთის ყურის შესართავთან, განთქმული რელიგიური და საკულტო ცენტრი ენქის მთავარი გაძრით.

ესანგილა – შუმ. “სახლი თავაღმართული”, გაძარი ბაბილონში, მარდუქის სამყოფელი.

ესილისირა – ქალღმერთ ბაბას გაძარი ლაგაშში.

ეულგალი – შუმ. “სახლი დიდი ქარიშხლისა”, ღვთაება საგარანის გაძარი ქალაქ ღერში.

ეულმაში – ინანას გაძარი აქადში (“ულმაშის სახლი”).

ექიშნუგალი – მთავარი ღმერთის ნანარის ანუ სუენის (სინის) გაძარი ურში.

ექიშშირგალი – მთავარის გაძარი ურში.

ექური – შუმ. “სახლი-მთა”; 1) ენლილის გაძარი ნიპურში; 2) ქვესკნელის ერთ-ერთი სახელწოდება.

ეშარა – შუმ. “სახლი ყოვლადობისა”, ცის სახელწოდება.

ემდამქუ – ინანას გაძარი გირსუში (ლაგაშის მთავარ უბანში).

ემეში – ყოველი თვის მე-4, მე-8, მე-17 და 25-ე დღეების აღსანიშნავი დღესასწაული.

ზაბალამი – დაბა ურუქის მახლობლად.

ზაბუ – მთიანი ქვეყანა შუამდინარეთის აღმოსავლეთით.

ზიუსულრა – შუმ. “ღვთაება სიცოცხლისკენ მავალი”, შურუპაკის მითოსური მეფე, წარღვნის გმირი, გაუკვდავებული.

ზუბის მთიანეთი – მითოსური მხარე შუმერის აღმოსავლეთით.

ზულუმარი – ეას ერთ-ერთი სახელი.

თამუში – ბაბილონელთა დუმუში (იხ.).

თიამათი – ბაბ. “ზღვა”, პირველყოფილი ქაოგური წყლების ღვთაება, სამყაროსა და ღმერთების მშობელი.

იბისუნა – ურის III დინასტიის უკანასკნელი მეფე (1963-1940), რომელიც ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ცხვედ წაიყვანეს ელამელებმა.

იგიგები – ცის დაბალი რანგის ღვთაებანი.

ილიგინა – მდინარე ტიგროსის შუმერული სახელწოდება.

ილაბრათი – ანუ-ღმერთის მრჩეველი ადაპას მითოსში.

ინანა – შუმერთა განთქმული ქალღმერთი, პერსონაჟი ბევრი ეპოსისა და მითოსისა, სიყვარულისა და ომის ქალღვთაება.

ირნინი – იშთარის ერთ-ერთი სახელი. “გილგამეშიანის” თანახმად, ამ სახელით იშთარი კედარის გყეში მკვიდრობს.

ირნინითუ – იგივე ირნინი.

ირქალა – იგივე ერეშქიგალი, ქვესკნელის დედოფალი.

ისინი – შუმერული ქალაქი, ცნობილია ისინის ღინასტია (ძვ.წ. 2017-1985 წწ.).

იშთარანი – ქალაქ დერის პატრონი ღვთაება.

იშთარი – შუმერული ინანას (იხ.) ბაბილონური სახესხვაობა.

იშუმი – ცეცხლის ღვთაება, ომისა და შავი ჭირის ღმერთის ერას მრჩეველი.

იშქური – შუმერულთა ღმერთი ჭექა-ქუხილისა და გაროსის (ბაბილონულთა ალადი).

კაზალი – ერთგვარი მაგარი სასმელი.

ლაგაში – შუმერის ერთ-ერთი დაწინაურებული თემი, ქალაქ-სახელმწიფო, მდებარეობდა გიგროსის ნაპირას.

ლათარაკი – ქალაქ ბადთიბირას მფარველი ღვთაება.

ლამარი – ლაგაშური ქალღვთაება; შემდგომ მფარველი ღვთაების ზოგადი სახელწოდება.

ლამაშითუ – სნების შემყრელი ავსული.

ლარაკი – შუმერის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ხუთთავან (ერიდუ, ბადთიბირა, ლარაკი, სიპარი, შურუპაკი), წარღვნამდელი კულტურის ცენტრი.

ლანხუ და ლახამუ – პირველგაჩენილი წყვილი სამყაროს შექმნის ეპოსში.

ლილა – დედრული არსება, ავსული ქალი.

ლუგალბანდა – ენმერქარის ძე, ურუქის I ღინასტიის ლეგენდარული მეფე (III ათასწლ.).

ლულუ – პირველგაჩენილი კაცი.

ლულუბელები – ზაგროსის მთიანეთის ერთ-ერთი გომი.

მაგიშუა – ნინლილის გაძარი ნიპურში.

მაგუენა – გაძარი ლაგაშში.

მამი – ქალღმერთი, იწოდება “ადამიანთა მშობელ სამოდ”.

მარდუქი – შუმ. “მზის ხბო”, ბაბილონის მთავარი ღვთაება; სამყაროს შექმნის ბაბილონური მითოსის თანახმად კოსმოსის შემოქმედი.

მართუ – ერთ-ერთი დასავლეთ სემიტური გომი და მათი ქვეყანა (სხვანაირად ამურუ, “ამორეველნი”); გომის ეპონიმი.

მარხაში – სამთავრო ელამის მხარეში.

მაშგური – რომელიდაც დაუდგენელი ჯიშის ხე.

მელაზი – ნათება, რომლითაც მოსილნი არიან ღმერთები და ღვთიური საგნები (აურა).

მელუხა – შორეული საზღვაოსნო ქვეყანა აღმოსავლეთში, რომელთანაც შუმერს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა.

მინა – წონის ერთეული, დაახ. 500 გრ.

მიქუ – რომელიდაც მუსიკალური საკრავი.

მულილი – იგივე ენლილი (იხ.) “ქალთა” კილომე.

ნაბუ – ბაბილონური ღვთაება, ქალაქ ბარსიპას მფარველი, მარდუქის ძე, დამწერლობისა და სიბრძნის ღმერთი.

ნამშიდთარა – შუმ. “ჰემმარიგ-ბედ-გადაწყვეტილი”.

ნანარი – მთვარის ღვთაება.

ნამთარი – შუმ. “ბედისწერა”, ქვესკნელის დელოფლის, ერეშქიგალის, მაცნე, სიკედლის დემონი.

ნანშე – ლაგაშის ქალღვთაება, მთავარი ღმერთის – ნინგირსუს და.

ნარამსინი – აქადის დინასტიის მეფე (2190-2154).

ნარუ – ენლილის ერთ-ერთი სახელი.

ნეთი – ქვესკნელის კარიბჭის მცველი.

ნერგალი – ქვესკნელის ანუ მკვდრეთის ღმერთი, ერეშქიგალის ქმარი.

ნიდაბა – ყანების ქალღმერთი, ითვლება აგრეთვე დამწერლობისა და სიბრძნის (ცოლნის) ღვთაებად.

ნინაბუ – შუმ. “კურნების უფალი”, ქვესკნელის ერთ-ერთი ღვთაება.

ნინაქუთუმი – შელოცვათა ქალღვთაება.

ნინაშთე – ქალაქ ლარაკის მფარველი ქალღმერთი.

ნინგალი – შუმ. “დიდი ქალბატონი”, მთვარის ღმერთის მეუღლე; მზის ღმერთის, უთუს, დედა.

ნინგირსუ – შუმ. “გირსუს უფალი”, ლაგაშის მფარველი ღმერთი.

ნინგიშშიდა – შუმ. “უფალი ჭემშარიგი ხისა”, ღაწყვილებულია თამუშთან და, როგორც ჩანს, იზიარებს მის ბუნებას.

ნინგულა – შუმ. “დიდი ქალბაგონი”, ლაგაშის თემის ერთ-ერთი ქალღვთაება, სირარას უბნის მფარველი ღვთაება.

ნინეგალა – შუმ. “ქალბაგონი სასახლისა”, მთვარის ღმერთის ასული.

ნინთური – შუმ. “ქალბაგონი შობისა”, კაცობრიობის მშობელი ღედა.

ნინისინა – ქალაქ ისინის მფარველი ქალღმერთი (“ისინის ღელოფალი”).

ნინლილი – შუმ. “ჰაერის ქალბაგონი”, ენლილის მეუღლე.

ნინმარი – ლაგაშელი ქალღმერთი.

ნინმახი – შუმ. “უზენაესი ქალბაგონი”, ქალაქ ქემის მფარველი ქალღმერთი.

ნინსიქილა – შუმ. “სუფთა ქალბაგონი”, მითოსური დილმუნის ქალღმერთი, ენქის მეუღლე.

ნინსუნა – შუმ. “ქალბაგონი-ფური”, გილგამეშის ღედა; ურის III დინასტიის მეფეთა მითოსური მშობელი.

ნინუა – ნინეფია, აშურელ მეფეთა საგახგო ქალაქი.

ნინურთა – ომის ღმერთი, ენლილის შურისმგებელი.

ნინქასი – შუმ. “ქალბაგონი-პირის ამესები”, სასმელთა ღვთაება.

ნინშარა – ზღაპრული ფრინველი, არწივის მსგავსი.

ნინ-შუბური – ინანას მაცნე და შემწე (“ქალთა” კილომე – გაშანშუბურ).

ნიპური – შუმერის რელიგიური და კულტურული ცენტრი, შუმერელთა ეროვნული ერთიანობის შუაგული.

ნისაბა – მარცვლეულისა და დამწწერლობის ქალღმერთი.

ნუღიმუდი – შუმ. “მემოქმედი”, ენქის ანუ ეას ერთ-ერთი სახელი.

ნუნამირი – ენლილის ერთ-ერთი სახელი.

პაპ-სუქალი – 1) “მრჩეველი პაპი”, ღმერთების მაცნე, 2) იშთარის შემწე აქალღურ მითოსში.

სარგონი, შარუქენი (აქად. “მეფე კანონიერი“) – აქადის იმპერიის დამაარსებელი (დაახლ. 2334–2279).

სარი – შუმერული ფართობის ერთეული.
სიგქურშაგა – შუმ. “ქურშაგის აგურები”, ინანას ტაძარი ქალაქ უმაში.
სინი – იგივე, ნანარი, სუენი, მთვარის ღმერთი.
სიპარი – ქალაქი შუაგულ შუამდინარეთში ევფრატის ნაპირას.
სირარა – ლაგაშის ერთ-ერთი უბანი.
სირთური – ღუმუზის დედა.
სუბართუ – ხურიტების ქვეყანა ანუ მიგანი.
სუენა – მთვარის ღვთაება, იგივე სინი და ნანარი.
სუთელნი – ელამის მთებში მობინადრე ტომი.
სუმუკანი – გარეული ჯოგების პაგრონი, იგივე შაქანი.
ტირიგანი – მთიელ გუთიელთა უკანასკნელი განმგებელი შუმერში (დაახლ. 2050).
უდუგი – კეთილი სული, “მფარველი ანგელოზი”.
უთუ – შუმ. “მზე”, შუმერელთა მზის ღმერთი.
უთუხენგალი – ურუქის მეფე, შუმერის განმათავისუფლებელი გუთიელთა ბატონობისგან (2055-2048).
უმა – შუმერული ქალაქი სამხრეთ შუამდინარეთში.
უნუგი – ურუქის შუმერული სახელწოდება.
ური – შუმერის უდიდესი ქალაქი უკიდურეს სამხრეთში, მთვარის ღმერთის მთავარი საკულტო ცენტრი.
ურიმი – ქალაქ ურის შუმერული სახელწოდება.
ურის III დინასტია – სხვანაირად ურის III იმპერია, შუმერული აღორძინების ხანა (2047-1940).
ურის ქვეყანა – ეწოდებოდა ჩრდილოეთ შუმერს, ტიგროსისა და ევფრატის აუზის იმ მონაკვეთს, სადაც ეს ორი მდინარე ერთმანეთს უახლოვდება.
ურნამუ, ურნამა – ურის III დინასტიის დამაარსებელი (2047-2030).
ურუქი – შუმ. უნუგ, შუმერული ქალაქი სამხრეთში, ევფრატის პირას; ინანას მთავარი საკულტო ცენტრი.
ურუქუნგი – შუმ. “წმიდა ქალაქი”, ლაგაშის ზეღწოდება.
უსახარა – უმას ქალღმერთი.

- უფშუქინა** – ღმერთების საკრებულო დარბაზი.
- უშუმგალი** – შუმ. “დიდი უშუმი”, ურჩხული; ღმერთების ძლიერების სიმბოლო.
- ფუქუ** – რომელიღაც მუსიკალური საკრავი.
- ქაშელი** – მომთაბარე გომი შუამდინარეთის ჩრდილოეთში.
- ქეში** – ქალაქი ჩრდილო შუმერში.
- ქინგუ** – ქაოსის ძალების წინამძღოლი, რომლის სისხლისაგან არის გაჩენილი კაცთა მოღვმა.
- ქინირშაგი** – ღუმუზის საკულტო ადგილი ლაგაშის შემოგარენში.
- ქიური** – ნიპურის გაძრის (ექურის ანუ “დიდი მთის”) ერთ-ერთი ნაწილი.
- ქიშარი** – შუმ. “ქვემო ყოვლადობა”, ქვემო სამყაროს პერსონიფიკაცია შესაქმის მითოსში.
- ქიშნუგალი** – მთვარის ღმერთის გაძარი ურში.
- ქუბათუ** – ქალის აქადური სახელი.
- ქუთუ** – ქვესკნელის ქალაქი. ამ სახელწოდების ქალაქი რეალურადაც არსებობდა ბაბილონეთში, სადაც იმყოფებოდა ქვესკნელის ღმერთის, ნერგალის, მთავარი გაძარი.
- ქულაბა** – ქალაქ ურუქის ცენტრალური კვარგალი, სადაც მეფეთა რეზიდენცია მდებარეობდა.
- ქულიანა** – შუმ. “ცის მოყვასი”, ღუმუზის ერთ-ერთი სახელი.
- ქული-ენლილი** – შუმ. “ენლილის მოყვასი”, ღუმუზის ერთ-ერთი სახელი.
- ქუნუშ-ქუდრი** – ქალაქ ბაბილონის მთავარი ქუჩა.
- ქურგარა** – ეფემერული არსება, შექმნილი ენქის მიერ ინანას საშველად.
- ქუსარიკუ** – ურჩხულებრივი არსება.
- შამაში** – აქად. “მზე”, მზის ღმერთი.
- შათ-იშთარი** – აქად. “იშთარისა”, ქალის საკუთარი სახელი.
- შამხათი** – აქად. “მხიარული”, იშთარის კულტის მსახური ქალები.
- შარა** – ქალაქ უმას ღვთაება.
- შაქანი** – გარეული ჯოგების პაგრონი (იგივე სუმუკანი).
- შუანა** – ბაბილონის მეორე სახელი.

შუბური – მთიანი ქვეყანა შუმერის აღმოსავლეთით.

შულგი – ურის III დინასტიის მეორე მეფე (2029-1982).

შუსუნა – ურის III დინასტიის მეოთხე მეფე (1972-1964).

შუშინი – ისტორიული ანშანია (ელამის) დედაქალაქი.

ცარფანიტუ – აქად. “ვერცხლოვანი”, ბაბილონელი ქალღმერთი, მარდუქის მეუღლე.

ხალუბი – მითოსური გყიანი მხარე.

ხამაზი – ქვეყანა ზაგროსის მთიანეთში შუმერის აღმოსავლეთით.

ხენდურსანგა – შუმერული ღვთაება, იშუმის (იხ.) ორეული.

ხინარი – ქვესენელის ღმერთების სახელი.

ხიხი – მითოსური მთა ერას ეპოსში.

ხუბური – 1) თიამათის ერთ-ერთი სახელი; 2) ქვესენელის მდინარე.

ხუვავა – მითოსური კედარის გყის მცველი, ურჩხულებრივი არსება.

ხურსანქალამა – შუმ. “ქვეყნის (შუმერის) მთა”, ინანას გაძარი ქალაქ ქიშში.

სარჩევი

| | |
|--|---|
| <i>ბურაბ კიკნაძე</i> სიგყვა ორ მდინარეს შორის | 5 |
|--|---|

შუმერული

| | |
|--------------------------|----|
| სამოთხის მითოსი | 23 |
| ენქი და სამყაროს წესრიგი | 25 |
| წარღვნის დასასრული | 30 |
| ენლილი და ნინლილი | 32 |
| ენლილი და ნამზიდთარა | 37 |
| ინანა და შუქალეთუდა | 38 |
| ინანა და ღუმუმი | 47 |
| ინანას ნიშნობა | 49 |
| ინანა-ღუმუმის ტრფიალება | 54 |
| ღუმუმის ვნებანი | 57 |
| ღუმუმის სიზმარი | 65 |
| ღუმუმის აღსასრული | 69 |

| | |
|------------------------------------|-----|
| ინანა მოთქვამს ღუმუზიზე | 71 |
| ინანას ჩასვლა ქვესკნელად | 72 |
| ინანას გასაჭირი | 86 |
| ინანას ზეიმი | 89 |
| ინანას სიმღერა | 94 |
| ენმერქარი და არათა | 96 |
| ენმერქარი და ენსუხვირანა | 111 |
| ლუგალბანდა და ანზულ-ფრთოსანი | 119 |
| ლუგალბანდა მთის გამოქვაბულში | 130 |
| მართუს ქორწილი | 138 |
| ქება დედისა | 142 |
| გუდას სიმმარი | 145 |
| გოდება აკლებულ ლაგაშზე | 159 |
| თუმალის ისგორია | 161 |
| აქადის წყველა | 163 |
| გამარჯვების სიმღერა | 171 |
| ურნამუ – არხის მშენებელი | 173 |
| ურნამუს დაგირება | 175 |
| მეფე შულგის სადიდებელი | 177 |
| შულგის მოგზაურობა შუმერის გაძრებში | 182 |
| საგრაფილო ჰიმნი მეფე შუსუენასადმი | 184 |
| გოდება მეფე იბისუენაზე | 186 |
| გოდება ურის დაქცევის გამო | 189 |

**აქადური
(ამურულ-ბაბილონური)**

| | |
|------------------------------------|-----|
| ქვეყნის შესაქმემდე | 211 |
| სამყაროს შექმნა | 212 |
| ნერგალი და ერეშქიგალი | 232 |
| ერეშქიგალისა და ნერგალის ქორწინება | 235 |
| იშთარის ჩასვლა ქვესკნელად | 244 |
| იშთარისადმი | 250 |
| ანზუს ეპოსი | 253 |
| ერას ეპოსი | 262 |
| ალაპა | 281 |
| ეთანა | 287 |
| უმეფობა | 298 |
| ლეგენდა შარუქინ აქადელზე | 299 |
| ხამურაბი | 301 |
| ამურბანიპალის ლოცვა I | 310 |
| ამურბანიპალის ლოცვა II | 312 |
| ქება ბარსიპას | 314 |
| ლამისადმი | 315 |
| მდინარისადმი | 317 |
| მარილისადმი | 318 |
| შობის სიმღერები | 319 |
| ამურული ლოცვები | 320 |
| სინისადმი | 320 |
| გულასადმი I | 321 |

| | |
|-------------------------------------|-----|
| გულასადმი II | 323 |
| გირუსადმი | 324 |
| ნუსქუსადმი | 325 |
| შამაშისადმი | 326 |
| მარღუქისადმი | 327 |
| შელოცვა | 330 |
| უბრალოდ ტანჯულის აღსარება | 331 |
| ბელუკუმართისა და ბრძენკაცის დიალოგი | 342 |
| ბაგონი და მონა | 347 |
| | |
| ლექსიკონი | 352 |



**ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი
“მემკვიდრეობა”**

თამაზ ჩხენკელი, *გრაფიკული ნიღბები*, 2009.

წახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, 1. 2009.

გილგამეშეანი: ძველი შუამდინარული ეპოსი, აქადურიდან და შუმერულიდან
თარგმნა ბურაბ კიკნაძემ, 2009.

ძველი შუამდინარული პოეზია, შუმერულიდან და აქადურიდან თარგმნა
ბურაბ კიკნაძემ, 2009.